# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით    ფასი 1,50 ლარი    11 ნოემბერი 2011 №23(153)

1516
2011



ლუისი და სუბიექტივიზმი
თამაზ ხარაიშვილის ლექსები
ამიტომ ელოლიავები წარსულს
რას ერჩიან იაკობ გოგებაშვილს
პოეტი რაჭის ერისთავი როსტომ
ქვეყნად გამიგებს მხოლოდ პოეტი
ჯეკ ლონდონის მაწანწალა და ფერია
თეიმურაზ დოიაშვილი გალაკტიონზე
ოძისის მუზეუმის სინამდვილე და მოლოდინი
გივი ალხაზიშვილის შთაბეჭდილებათა ნაკვალევი

# წიგნის თარო


ცისანა კვინტრაძე-ბოქიაშვილი
ჯანსუღ ჩარკვიანი-
მამულიშვილი და პოეტი


ვაჟა ჩოჩია
ბისმარკი
და გერმანიის პრობლემა
1862–1882


MŪŽĪBAS SKARTIE


ალექსანდრე მღებრიშვილი
ცხინვალის
ლიტერატურული და
კულტურული ცხოვრების ისტორია


მერაბ სამუშია
ხმელი ფოთლები


ალექსანდრე მღებრიშვილი
ეპოქათა
სამანებთან




დავით ბერიაშვილი
შენიღბული
საზოგადოება


გიზო ზარნაძე
ტატიაშო

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ერი და ბედისწერა | 2 | ლია კუხიანიძე **ვინ შეაჩერებს ყორდანიებს ანუ რას ერჩიან გოგებაშვილს** |
| ესსარეს-ინტერვიუ | 7 | ლადო მინაშვილი **„საქართველო უპირველეს ყოვლისა“** |
| პროზა | 8 | ზურაბ ლავრელაშვილი **განკვართული** |
| პოეზია | 22 | თამაზ ხარაიშვილი **ვედრება და სხვა ლექსები** |
| დიალოგი | 24 | **ოქისის მუზეუმი: სინამდვილე და მოლოდინი** (გვესაუბრება გიორგი და დავით ერისთავების მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორი დიმიტრი რუსია) |
| პოეზია | 26 | თეკლე არშბა **ფიქრი და სხვა ლექსები** |
| ესეისტიკა | 27 | კ.ს. ლუისი **სუბიექტივიზმის შხამი** |
| გალაკტიონი — 120 | 32 | თეიმურაზ დოიაშვილი **„და მელანდება... მოხუცი მამა“** (ციკლიდან „გალაკტიონი და ილია“) |
| რეპორტაჟი | 40 | ანა ბერძენიშვილი **ნაბიჯი მომავლის პოეტიკაში** (რაჭის ერისთავი როსტომ — როგორც პოეტი) |
| ფიქრი და განსჯა | 43 | გივი ალხაზიშვილი **შთაბეჭდილებათა ნაკვალევი** |
| კრიტიკა | 46 | მერაბ გეგია **ქვეყნად გამიგებს მხოლოდ პოეტი...** |
| გამოხმაურება | 50 | ნოშრევან არაბული **კვდება ხევსურეთი** (დაგვიანებული ბარათი ქ-ნ ეთერ ბერიაშვილს, ბ-ნ კობა მოწყობილს (და სხვებსაც) |
| ახალი წიგნები | 51 | ნინო ვახანია **ამიტომ ელოლიავები წარსულს** |
| დაუვიწყარი სახელები | 54 | მიხეილ ჭონქაძე **მისი საუკუნე, მზითა და სევდით...** |
| დღიურის ფურცლებიდან | 56 | თათია ჯგუშია **თეთრი ქაფით ნაქსოვი ჩიტები** (ნინო სადღობელაშვილის ლექსები) |
| უსხოური ნოველა | 57 | ჯეკ ლონდონი **მაწანწალა და ფერია** |
| მოზაიკა | 63 | **რამონ ივანოვიჩ ლოპესი** |



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: „ჩემი სამშობლო ჩემი ბიბლიოთეკაა“
ირაკლი შუბაშიკელის კომპიუტერული გრაფიკა

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა ტექი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TECI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 25 ნოემბერს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია კუხიანიძე

# ვინ შეაჩერებს ყორდანიებს

## ანუ რას ერჩიან იაკობ გოგებაშვილს

*...თითქოს წონა აღარც გააჩნდა „დედაენას“*
*თორემ სხვაგვარად როგორ აისვეტებოდა*
*და გადი გამოდიოდა ქარი მის პირველივე*
*სტრიქონში —აი, ია. ელამუნებოდა და*
*ეალერსებოდა სამყაროს სუნთქვად მოისმოდა.*

**როსტომ ჩხეიძე „ბურჯი ეროვნებისა“**

„მთელი სიცოცხლის მანძილზე ვიცავდი თვითმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედაენაზე, ქართული ეკლესიის განთავისუფლებას ანუ ავტოკეფალიას, ქართული ტერიტორიის გადასვლას ქართველის გლეხების ხელში... ყველა ამას ვიცავდი ორსავე ენაზე, როგორც ქართულზე, ისე რუსულზე ერთნაირი გაბედულებით, ერთნაირი მიმართულებით და შინაარსით. და ვერც ერთი ცილისმწამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსა და ახალ ნაწერებში თუნდ მცირე ოდენს ორჭოფობას, ორგულობას. მე გამოვედი საზოგადოებრივ ასპარეზზე შემუშავებული პროგრამით, ღრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის მე იოტის ოდენადაც არ მიღალატნია არც ერთხელ, არასდროსა. მე არასდროს არ დამვიწყებია, თუ რისი შემძლეა ჩვენი პატარა ერი. „მაქსიმუმი შესაძლებლობისა“, ასეთი იყო ჩემი დევიზი და არას დროს შეუძლებელზე ჩვენს ერსა არ ვაქეზებდი, რადგან ცაში წეროების დევნა საუკეთესო ღონისძიებაა, რომ ყველა შინაური ფრინველიც კი ხელიდან გამოეცალოს სახლსა და თვითონაც სიკვდილის გზას დაადგეს“.

ნამდვილად ვერ იფიქრებდა თავის ცხოვრებასა და საქმიანობაში მრავალი წინაალმდეგობის, ცილისწამებისა და სიავის გადამტანი იაკობ გოგებაშვილი, ამ სიტყვების დაწერიდან გავიდოდა საუკუნეზე მეტი და მაშინ, როცა მისი ღვაწლის უცდომელი შეფასება ყველა გონიერი ქართველისათვის ბავშვობიდანვე აქსიომა გახლდათ, მაინც გამოჩნდებოდნენ მზისთვის ლაფის მსროლელი ადამიანები, რომლებიც, როგორც ყოველთვის, მზეს ვერაფერს დააკლებდნენ, მაგრამ იმ უდიდეს მადლს კი შეურაცხყოფდნენ, რომლის პასუხისმგებლობის გაცნობიერება ქართველს შეგნებულ ქართველად აქცევს, დამფასებლად გოგებაშვილის პიროვნებიდან წამოსული ნათლისა, „დედა-ენიდან“ მოყოლებული სულს რომ ავსებს და მის მატარებელს ამით წუთისოფლის სიბნელეს მიაპობინებს.

იაკობ გოგებაშვილს ცილისმწამებელი და განმაქიქებელი არასოდეს აკლდა და არც ესაა გასაკვირი, რადგან ღვთის კაცები ხომ იმის გზას გადიან, ვინც „სოფელსა შინა იყო და სოფელი მის მიერ შეიქმნა და სოფელმან იგი ვერ იცნა“. ეს ისეთივე ძველი, ცხოვრებისეული ჭეშმარიტებაა, როგორც ის, „სამოღვაწეო ასპარეზზე“ გამოსულ ყოველ ახალ დამპყრობელს თან ის ქართველები გამოჰყვებიან, მას გამარჯვებას იმ ბურჯებზე შეტევით რომ უიოლებენ, რომლებზეც ერი დგას.

ერთ-ერთ ასეთ შეტევად შეიძლება ჩავთვალოთ ედიშერ ჭელიძის გამოხდომა, სათაურით, „იაკობ გოგებაშვილის წმინდანად კანონიზების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით“, რომელშიც ის მიზანშეუწონლად მიიჩნევს გოგებაშვილის წმინდანად კანონიზირებას და ამით თავს მის კეთილმოსურნედ თვლის. კანონიზირების მომხრეთ კი მტრებად მოიხსენიებს.

მას შესანიშნავად გასცა პასუხი გიორგი გოგოლაშვილმა წერილით „არა ცილი სწამო“ და ისე ამხილა აბსურდი ედიშერ ჭელიძის მოსაზრებებისა, როგორც გოგებაშვილის სახელს ეკადრებოდა.

პარადოქსია, რომ ბატონი გიორგი აქსიომის მტკიცებულობის გამო გაისარჯა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გარჯა ფუჭი სრულიად არ გახლავთ, რადგან ბოროტება მუდამ სამოქმედო სივრცის გაფართოებისაკენ მიისწრაფის და როცა ამ მიზნით მავანნი თავის ადგილას მყარად მდგარ ღირებულებებს დაეჯაჯგურებიან, გაჩუმება იმის იმედით, ინვალიჯახირონ, ძვრასაც ვერ უზამენო, დანაშაულებრივი უპასუხიმგებლობაა, რადგან ყველაზე მძლავრ კლდესაც კი შეარყევს დროთა განმავლობაში ზღვის მარილიანი ტალღების შეხლა და აბობოქრებული სიავე რა კეთილის მომტანი იქნება ყოველმხრივ კარმოლებული, ტერიტორიებშემოფლეთილი, ომებში დამარცხებული, უკიდურეს სულიერ და მატერიალურ შეჭირვებაში ჩავარდნილი, ეროვნული ცნობიერების საყრდენგამოსაცლელად განწირული ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობის ჯერ კიდევ საზღვარგარეთ გაუქცეველი ნაწილის ბოლომდე გაუპიროვნებლობა-დაშინებისათვის, ე.წ. ლიბერალიზმისა და დემოკრატიის სახელით გაშმაგებულნი „იღვწიან“ ხილული თუ უხილავი ძალები.

ედიშერ ჭელიძის ვრცელი, სიმართლეს მოკლებული მოსაზრებანი სოფისტიკას სცილდება და იგი ერისტიკოსად გვევლინება, რითაც ამართლებს არისტოტელეს განმარტებას ერისტიკაზე, როგორც უწესო ხერხებით კამათის ხელოვნებაზე.

შოპენჰაუერმა ერისტიკის არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური ანალიზი მოგვცა წიგნში, „ერისტიკა, ანუ ხელოვნება კამათში გამარჯვებისა“, რომელშიც გვიჩვენა სულის წყობა კამათში ჩართული იმ მხარისა, რომელსაც ჭეშმარიტებაზე მეტად საკუთარი შეხედულება უყვარს, ამის გამო, სიმართლე ტყუილად ეჩვენება, ტყუილი-სიმართლედ. იგი „ერისტიკური დიალექტიკით“ მოქმედებს, ანუ თავის მიზანს, მუდამ მართალი იყოს, ორთაბრძოლაში, რომელსაც შოპენჰაუერი „გონებათა ფარიკაობას“ უწოდებს, დაშვებული ხერხებისა და ტაქტიკური ეშმაკობების მაგივრად იმ დარტყმებით ახორციელებს, ფარიკაობის მასწავლებლები „ლორულს“ რომ უწოდებენ.

ამ ტიპის მოკამათენი რომ მუდამ არიან, მთელი სიცხადით წარმოაჩინა გიორგი გოგოლაშვილმა თავის მეორე წერილში, „კიდევ ერთხელ ჭელიძეზე, ამპარტავნებასა და უკიდეგანო ამბიციებზე“, რომელიც ედიშერ ჭელიძის 90 გვერდიანი „ოდეს სამართალმან დაგასამართლოს“ პასუხად დაიწერა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, ზემოაღნიშნულ წიგნში შოპენჰაუერის მიერ მსგავსი ამბიციების მოკამათეთა დასახასიათებლად მოტანილი, XVII საუკუნის დიდი ინგლისელი ფილოსოფოსის, „ლევიათანის“ ავტო-

რის, ტომას ჰობსის სიტყვების ჭეშმარიტება: „არაფერია ადამიანისათვის საკუთარი ამპარტავნების დაკმაყოფილებაზე უფრო მაღალი და არც ერთი ჭრილობა იმაზე მტკივნეული, ვიდრე მასზე მიყენებული".

ასე რომ, გამოხდომას იაკობ გოგებაშვილის, ანუ მთელი გონიერი საქართველოს წინააღმდეგ, პასუხი ამომწურავად გაეცა. თითქოს სალაპარაკოც აღარაფერია, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, რადგან პრობლემა ედიშერ ჭელიძის რეალობასმოკლებული მოსაზრებანი კი არაა, არამედ მიზეზები, რომლებიც მათ შობს და ფრთას აშლევინებს.

„ჩვენ ისტორიის გზაჯვარედინზე ვიმყოფებით, როდესაც კულტურულ ღირებულებებს აყალიბებენ არა მშობლები, სკოლა და ეკლესია, არამედ ყოველივე ამას გლობალური მედიის კონგლომერატები თავიანთ შეხედულებათა მიხედვით ქმნიან და ჰყიდიან", წერდა ამერიკელი ფილოსოფოსი ჯორჯ გერბნერი მაშინ, როცა გლობალიზაცია ჯერ კიდევ არ იყო ბოთლიდან საბოლოოდ ამოსული, ვიღაცისთვის კეთილი და ვიღაცისთვის ბოროტი ჯინი. თუ ზემოთ მოყვანილს დავუმატებთ ჰოლანდიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რუუდ ლუბერსის (ჰოლანდიელი პოლიტოლოგი პოლ ტრეანორი იმოწმებს მას წერილში „გლობალიზაცია მითოსი") სიტყვებს მისივე წიგნიდან „ეკონომიკისა და საზოგადოების გლობალიზაცია": „1989 წელს დაიმსხვრა საზღვრები და დაიწყო ინტერნეტისა და საერთაშორისო მაფიის ტრიუმფი. სამყარო საშიში გახდა", მივიღებთ ჩვენი თანამედროვეობის ნამდვილ სურათს. თანამედროვეობისა, რომელშიც კაცობრიობა მძევლად ჰყავს აყვანილი საერთაშორისო მაფიის გლობალიზმის მამებს, რომლებსაც გაუპიროვნებელი და გაერთფეროვნებული პლანეტა სჭირდებათ თავიანთ მუდამ დაუკმაყოფილებელ სურვილთა დასაკმაყოფილებლად.



*იაკობ გოგებაშვილი*

მსოფლიოში დიდი ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი კატაკლიზმები ხდება. კაცობრიობა ყოფნა-არყოფნის ზღვარს უახლოვდება. ღმერთის დამვიწყებელს, არავინ იცის, ვისი წინასწარმეტყველება აუხდება, ჰანტინგტონისა თუ ფუკუიამასი. ყველას თავისი გასჭირვებია და რა გველის, რას გვიქადიან ჩვენ, ქართველებს, მსოფლიო პოლიტიკის დღევანდელი შემქმნელნი და რა შუაშია იაკობ გოგებაშვილი?!.

რა თქმა უნდა, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, შუაში კი არა, თავშია, რადგან იგი თავის სულიერ ძმებთან ერთად დღესაც ისეთივე საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი ავისმსურველთათვის, როგორც საუკუნის წინათ.

ნათქვამის შემდეგ დღემდე ისე საბედისწეროდ არასოდეს გაჟღერებულა 1903 წლის 24 მაისს, სოხუმში, შერვაშიძეთა ბაღში, იქაური საზოგადოების მიერ მოწყობილ სადილზე, ილიას სამადლობელში ნათქვამი სიტყვები:

„...ღმერთს ვთხოვ, გიხსნათ თქვენ, აქაური ქართველობა იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავსავით თვალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე. დღეს აქამომდე ამ მშვენიერ აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე გულდაგულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი, — იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზ, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნება მადლობელიც გაუხდეთ.

კიდევ ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელ მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქმნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლიენეთ მხდალ და მშიშარა ფულისაგან და შეირჩინოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თავ-მოსაწონებლად".

...მამისმკვლელებს ღმერთი როგორ გვიხსნიდა, ამიტომაც ვიძლიენით და ვერც ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა შევინარჩუნეთ ჩვენდა სადღეგრძელოდ და თავმოსაწონებლად, მაგრამ მანამ, სანამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაგვიკარგავს, ეროვნულ ცნობიერებას დასანგრევად მიმდგარი, ძველს დამატებული, ისევ „მოყვრად მოსული", ორთავიან არწივზე დახვენილი და დაუნდობელი ახალი მტერი უნდა ვიცნოთ. „მხდალი და მშიშარა ფულისათვის" ხელის ბიჭებად ქცეული ქართველებისა და ნაცადი ტექნოლოგიების წყალობით, მისთვის სასარგებლო პროგრამას რომ ახორციელებს. ქვეყანას გვაცლის ხელიდან.

გამგებისთვის ცხადია, ე.წ. ოქტომბრის რევოლუციით შექმნილი, დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული ჯოჯოხეთური რეჟიმიდან ძლივს თავდახსნილებს ისევ რევოლუციებით, მეორეს — უფრო, უარესს გვიმზადებენ. ამის სულისჩამდგმელთ, გლობალიზაციის სინონიმად ქცეულ, მსოფლიოს ამერიკანიზაციისათვის მებრძოლ თანამემამულეებს, ამერიკელმა პოლიტოლოგმა, პროფესორმა კლაუს გრინმა ტყუილად კი არ უწოდა „ახალი იაკობინელები", ყოფილ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს (უმცროსს) კი მისი საქმიანობის, ფრანგული რევოლუციის მთელ მსოფლიოში ექსპორტის გამო — „მთავარი იაკობინელი". თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იაკობინელთა სულიერი მამის, რუსოს სიტყვები, „ადამიანი იბადება თავისუფალი, მაგრამ მერე ყველგან ბორკილებშია ჩაჭედილი. ადამიანის გა-

სათავისუფლებლად ტრადიციული საზოგადოება და რწმენა უნდა დაინგრეს", დღემდე რჩება ყველა რევოლუციონერის ბნელი გზის მანათობელ შუქურ ვარსკვლავად, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, რამდენ უკვე მომხდარ უბედურებას, დაღვრილ სისხლს, მომავალ საშინელ ტრაგედიებსა და ძალადობით თავსმოხვეული ცხოვრების წესით სულიერ და ზნეობრივ ნგრევას გულისხმობს ჯორჯ ბუშის თითქოსდა კეთილშობილური ზრახვის გამომხატველი ნათქვამი: „თავისუფლებისა და დემოკრატიის წინსვლა ჩვენი ერის მიერ შექმნილი მისიაა. მოუთმენლად ველი, როდის გავუძღვებით მსოფლიოს ამ მიმართულებით... არსებობს ღირებულებათა სისტემა, რასაც სახელს ვერაფერი გაუტეხს და თუ ეს ღირებულებანი კარგია ჩვენი ხალხისათვის, კარგი უნდა იყოს სხვებისთვისაც".

როგორც აღვნიშნეთ, მისიონერებს თავიანთი მისიის აღსრულება ჩვენთანაც დაწყებული აქვთ. მიზნისკენ სავალი გზა — თავისუფალი. ქვეყნის დემონტაჟი დაწყებულია, მოსახლეობა, ნაწილი გაქცეული, დარჩენილები შეშინებულნი, ავტორიტეტები გალანძღული, მიწა-წყალი გაყიდული, წინა თაობები და მათი დამსახურებანი-არად ჩაგდებული. განათლება — მუდმივი უნიჭო ექსპერიმენტების წყალობით მიწასთან გასწორებული. პატრიოტიზმი მხოლოდ ახალგაზრდული ბანაკების თანმხლებ სიტყვად დარჩენილი. ახალი თაობა უსამშობლო კოსმოპოლიტებად ქცევისათვის განწირული. ტელევიზიაში, კინოში, ადამიანთა ქვენა გრძნობები ასახულ-განდიდებული, ეკლესია და ოჯახის ღირებულებანი — შეურაცხყოფილი, ის ადამიანები, რომლებიც ხვდებიან, რაც ხდება, მოღალატეებად, საზოგადოების მტრად გამოცხადებულნი ან აბუჩად აგდებულნი. საყოველთაო ნიჰილიზმამდე თითქოს აღარაფერია დარჩენილი, აღარავინაა მათი დამპირისპირებელი, მაგრამ არა, არიან ისინი, გადაულახავი წინააღმდეგობანი, უხილავი მეციხოვნენი ეროვნული ენერგიის შინაგანი ციხე-სიმაგრისა, რომელთა გამოისობით ერის ისტორიულ მეხსიერებას ბზარი არ გაუჩნდება, გვეცოდინება, „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადცა" (ილია), სანამ მათი ღირებულებანი დავიწყებას არ მიეცემა. ამიტომ არიან ისინი ყველანაირი მტრის დარტყმის მთავარი სამიზნეები.

თუ რატომ არის იმ მეციხოვნეთაგან ერთ-ერთის, იაკობ გოგებაშვილის ცილისწამება მოწინააღმდეგის მხრიდან სრულიად კანონზომიერი, თავად „მთავარი დამნაშავის" მოსაზრებებით დავრწმუნდებით.

ახლა წარსულის ხსენება მიღებული არაა, უფრო მეტიც, ყველაფერი განქიქებულია, კითხვის ნიშნის ქვეშაა დაყენებული ჭეშმარიტება და ღვაწლი ერის გადამრჩენი ისტორიული გამარჯვებებისა და წმინდანებისა. უდიდეს ქართველთა ძეგლები გადატანილია და თვალს მიფარებული.

რისთვის?

„...საარაკო უკულმართობის გამო ყოველს ღონისძიებასა ვხმარობთ, რომ ჩვენის წარსულის ყოველი ღირსება დავმალოთ, უარვყოთ ყოველივე მისი თავისებურება და ღვაწლი, გავათახსიროთ, დავამციროთ მიწასთან გავასწოროთ, ამით გამოვუთხაროთ ძირი ჩვენს აწმდგომსა და მომავალსა და გარეშე პირთ ვათქმევინოთ... თქვენი ეროვნება უძლურია, უნიჭოა, ფუქსავატია და სრულიად ღირსი არ არის დაცვისა და სიცოცხლისა. თქვენ თუ მასალად გამოდგებით სხვა ერისათვის, თორემ საკუთარისა და თავისებურების ცხოვრებისათვის თქვენთვის ბუნებას არ მიუნიჭებია არც ძალა და არც შნო".

შაგრენის ტყავივით პატარავდება საქართველო. დაკარგულია აფხაზეთი, სამაჩაბლო. თითქმის ყველა მეზობელი თუ ჩვენთან შემოხიზნული ძირძველ ქართულ ტერიტორიებს გვედავება. დაუკარგავი მიწა-წყალი, ნიაღისეული, სახნავ-სათესი, სავარგულები, უცხოელებზე იყიდება.

„ჩვენ არ ვიცით ჩვენი მდიდარი ბუნების მოვლა, მისი მოვლა და სარგებლობა სხვებმა იციან და ფულის მეშვეობით ცდილობენ ხელიდან გამოგვაცალონ ჩვენი მიწა-წყალი. მიწა-წყლის დაკარგვას მოჰყვება ერის გაქრობა... რადგან მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ასე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია... ყველას ჩვენი ამოფხვრა ენატრება და ჩვენი ტურფა სამშობლოს დაპატრონება".

პატრიოტიზმისადმი სწორი დამოკიდებულება ერის სულიერი სიჯანსაღის ნიშანია. ვის ჰქვია დღეს პატრიოტი?

თანამედროვე სოციოლოგია პატრიოტიზმის მრავალგვარობის არსებობა-განმარტებას გვთავაზობს: კონსტიტუციური, ეთნიკური, საზოგადოებრივი, ლიბერალური, პოლისური, პატრიოტულ-ნაციონალისტური, იმპერიული, ინტერნაციონალური, ტერიტორიული, სახელმწიფოებრივი...

ჩვენთან ტელე და ბეჭდური მედია პატრიოტიზმს მხოლოდ ახალგაზრდულ ბანაკებზე საუბრისას იხსენიებს. სამაგიეროდ, რასაც პატრიოტიზმი გამოხატავს, იმის დასამცრობად კი ძალზე პოპულარულია სემუელ ჯონსონის ცნობილი გამონათქვამი. „პატრიოტიზმი-არამზადების უკანასკნელი თავშესაფარია", რომელიც მან 1775 წლის 7 აპრილს ლიტერატორთა კლუბში წარმოთქვა, თანახმად 1779 წელს დაბეჭდილი მისი ესეისა, „პატრიოტიზმი. მიმართვა დიდი ბრიტანეთის ამომრჩეველს", რითაც მხარი დაუჭირა ხელისუფლებაში მყოფ ტორებს და ამ ფრაზით ერთნაირად ამხილა ხელისუფლებასა თუ ოპოზიციაში მყოფი ცრუ პატრიოტები, ანუ დემაგოგები, რომლებიც თავიანთი მერკანტილური მიზნებისთვის პატრიოტიზმს იყენებდნენ, როგორც იდეოლოგიურ თავშესაფარს.

პატრიოტიზმის გაგების იმ მრავალფეროვნებაში, რომელსაც გლობალიზაციის პროცესები კიდევ უფრო გაამდიდრებს და მისი საბოლოო დევალვაციისათვის კიდევ უფრო პოპულარულს გახდის კონტექსტიდან ამოგლეჯილ, ზემოაღნიშნულ გამონათქვამს, შეგნებული ქართველისათვის შეუცვლელად და გადამრჩენად რჩება პატრიოტიზმის გაგება იმ მნიშვნელობით, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა მოგვცა პასუხში თავისსავე დასმულ შეკითხვაზე, „ვისა ჰქვიან პატრიოტი?".

„მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაულალავად ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადაელობება, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი ნამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე".

გლობალიზაცია თითქოს აღარ ტოვებს ადგილს პატრიოტიზმის გასავითარებლად; ევროპას, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სახელმწიფოები ეროვნული ნიშნით არიან შექმნილნი, აშინებს ეროვნული იდეოლოგიები, მასში ფაშიზმის აჩრდილს ხედავს, მაგრამ ეს სულაც არ უშლის

ხელს არც მას, არც ამერიკასა და იაპონიას სახელმწიფოებრივად იზრუნონ თავიანთი ახალგაზრდების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების აღზრდაზე.

საფრანგეთის სკოლებში არის სპეციალური პროგრამა, რომელიც ისტორიის გაკვეთილებითა და კონკურსებით ცდილობს მიზნის მიღწევას. თავიდანვე უნერგავს მოსწავლეებს, რომ ისტორია და პატრიოტიზმი განუყოფელია. არსებობს სახელმწიფო პროგრამები ფრანგული ენის, კინემატოგრაფიის, კულტურის დასაცავად.

გერმანიაში არის „მოხალისის სოციალური წელი“, „ეკოლოგიური წელი“, სადაც მოსწავლეები და სკოლის კურსდამთავრებულნი არიან ჩართულნი და სახელმწიფო ამ გზით ცდილობს მათ მორალურ-ზნეობრივ აღზრდას.

ჩინეთში ეკონომიკური რეფორმით მიღწეული ქვეყნის წარმატებანი გამოიყენება მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად.

ამერიკას, რომელმაც შეძლო სხვადასხვა ეროვნების, ენისა და კულტურის ხალხები ნაციად ჩამოეყალიბებინა, შემუშავებული აქვს მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდის სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც დიდი ადგილი უჭირავს „პატრიოტის დღედ“ გამოცხადებულ 11 სექტემბერს.

იაპონიაში მთავრობას თავისი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია ახალგაზრდობის სწორად აღზრდა, რომელიც გულისხმობს თაობათა შორის კავშირის გაძლიერებას, საკუთარი ენისა და კულტურის სიყვარულის სწავლას, პატივისცემას მეზობელი ქვეყნებისადმი (კორეა, ჩინეთი, მათი რთული ისტორიული თანაცხოვრებიდან გამომდინარე). ამიტომ მოამზადა და მიიღო (2006 წელს) განათლების II კანონი (I მიღებულ იქნა 1947 წელს), რომელიც აერთიანებს 2002 წელს მიღებულ 6-წლიან სასწავლო პროგრამას „სამშობლოს სიყვარულის აღზრდა“ და 2003 წლის „სიტყვის თავისუფლება და პატრიოტიზმი იაპონიაში“ თავისი შეფასების სისტემიანად, მიუხედავად იმისა, რომ მას იაპონიის საზოგადოების ერთი ნაწილის მწვავე კრიტიკა მოჰყვა (პატრიოტიზმის შეფასება შეუძლებელია და ეს განათლების პოლიტიზაციას მოახდენსო), კანონი ძალაშია და მოქმედებს.

რუსეთს აქვს სახელმწიფო პროგრამა „რუსეთის მოქალაქის პატრიოტული აღზრდა“ (2006-10 წ.წ).

...ჩვენ გვაქვს სამხედრო-პატრიოტული ორკვირიანი ბანაკები.

იაკობ გოგებაშვილი კი მიიჩნევდა, რომ პატრიოტიზმი აღზრდას მოითხოვდა („ისეთსავე ერთგულ ზრუნვას და მოვლას, როგორც კარგის შვილის აღზრდა დედ-მამისაგან“). რადგან „...ძალ-ღონე ყოველი ერისა, უმთავრესად დამოკიდებულია ეროვნულის მამულიშვილურის გრძნობის განვითარება-გაღონიერებაზე. სადაც ცენტრალური გრძნობა სუსტია, იქ ხალხიც უძლურია, და იმყოფება, ასე ვთქვათ, თუჯის მდგომარეობაში, რომელიც უბრალო ცემითაც კი ტყდება. სადაც ეს ცენტრალური გრძნობა მეფობს, ხალხი ძლიერს ერთეულს წარმოადგენს და ჰგავს რკინას, რომელიც ცემისგან ფოლადდება“.

დღეს არ არსებობს განათლების ქართული სისტემა, სკოლაში „პატრონების“ ერთგული დილეტანტების ხელდასხმით ხორციელდება ქართული სკოლისათვის მიულებელი ექსპერიმენტები, რომელთაც მსოფლიოში მიღებული წარმატებული საგანმანათლებლო სისტემის გამოცდილების გადმოღებად ნათლავენ, ისე, რომ არად დაგიდევენ არც ეროვნულ პედაგოგიურ მეცნიერებას, არც მოსწავლის ეთნოფსიქოლოგიას და არც აღზრდის განსხვავებულ მიზნებს.

იაკობ გოგებაშვილი იზიარებდა დიდი პედაგოგის უშინსკის აზრს, „ეროვნული პედაგოგიური მეცნიერება უნდა იყოს თვითმყოფადი, სხვა ქვეყნის პედაგოგიური თეორიების უგუნური გავლენებისგან თავისუფალი“ და მიაჩნდა, რომ მიმბაძველობა-ნამხედურობა საქმეს მხოლოდ ავნებდა.

დღევანდელი სკოლის ხელმძღვანელთაგან განსხვავებით, გოგებაშვილს ჩამოყალიბებული ჰქონდა ბავშვის აღზრდისა და მისი საოცნებო ქართული სკოლის მიზანი.

სკოლაში „ჯეროვანი ადგილი უნდა ჰქონოდა ყველა იმას, რაც ზრდის მოსწავლეებში ქართულ სულსა და გულს და ამკობს მათ ყოველი ეროვნული ღირსებითა და თავისუფლებითა“.

აღზრდის მიზნის, „შეიხორცონ ქართული მამულიშვილობა, აივსნენ ქართული თავისებურობით და გახდნენ ნამდვილი, სრულნი ადამიანები, გამოსადეგნი თავის სამშობლოსათვის და სასარგებლონი სახელმწიფოსათვის“, განხორციელება კი შობდა „ახალი ტიპის ქართველს“, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანს, რომელიც „ახალ ხანას დაუყენებდა ჩვენს სამშობლოს“.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც სულიერი ძმა ილია ჭავჭავაძისა, მისთვის მიულებელს კი არ აკრიტიკებდა, არამედ სამოქმედო გეგმასაც ადგენდა. წერილი „ქართული მიმართულება“ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნისათვის ქართული საქმის კეთების პროგრამად, რომელშიც იგი ერის დასაყრდენ ოთხ ბურჯს ასეთი თანმიმდევრობით ასახელებდა: მიწა, ენა, სკოლა, ეკლესია.

ტყუილად არ უწოდებია გოგებაშვილს ქართული ენისათვის „ბურჯი ეროვნებისა“. მთელი მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი სხვა რა არის, თუ არა ბრძოლა მშობლიური ენის ღირსების აღდგენა-დაცვისათვის, ენისა, რომლის უარესი დღეები უკან ნამდვილად არ დარჩენილა, რადგან, როგორც საუნჯეს კი არა, „ისე ექცევიან, როგორც ავგულა დედინაცვალი ექცევა ათვალისწუნებულ თავის გერსა“.

„...მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელ საუნჯესა? გვესმის ჩვენ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა? ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერსა ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ჰხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ ობიექტურად, თავის თავად მდიდარი და განვითარებული ქართული ენა სუბიექტურად ჩვენს პირში არის ლატაკი და დღენაკლულს არსებას მოგვაგონებს“.

ჯერ კიდევ როდის წერდა, როგორც იაკობ გოგებაშვილი უწოდებს, პედაგოგიკის მამამთავარი კომენიუსი, „ბავშვს ჯერ დედაენა უნდა ასწავლო და მერე უცხო ენა. ერთი მეორის შემდეგ, თუ ერთ დროს დააწყებინებ ორივე ენის სწავლას, მაშინ ბავშვს გონებას დაუმახინჯებო“.

ამჟამინდელი განათლების რეფორმის განმახორციელებელნი არად აგდებენ იმ ძირითადს, ვერცერთ სფეროში გატარებული რეფორმა ვერ იქნება საქმისა და ქვეყნისათვის სასარგებლო, თუ არ იქნა გათვალისწინებული პროფესიონალთა და ექსპერტთა ცოდნა და გამოცდილება. სხვა რად შეიძლება ჩაითვალოს, თუ არა სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულებელყოფად, როცა პირველკლასელებს სხვა ბევრ მიულებელ რაიმესთან ერთად, უცხო ენის შესწავლას მშობლიური ენის შესწავლასთან ერთად აწყებინებენ.

„ევროპულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის და განსაკუთრებით ჩვენთვის, რომ ამ მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია. გოეთე აღნიშნავდა, „ვინც დედაენის გარდა სხვა ენა არ იცის, მან რიგიანად არც ეს დედაენა არ იცისო“. მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველს, შეაქციეთ ზურგი უცხო ენასა და დარჩით მხოლოდ დედაენის ამარა... მაგრამ არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ევროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურ ენას და მხოლოდ მისუკან შეუდგება ხოლმე უცხო ენის ცოდნის შეძენას“.

იაკობ გოგებაშვილი მიიჩნევდა, რომ ბავშვს მშობლიური ანბანის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ 8 წლიდან, ანუ მესამე კლასიდან უნდა დაეწყო უცხო ენის შესწავლა, დედაენა ღვთით ბოძებულია, ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი უფალს მიმართავდა მხოლოდ დედაენით გამოიხატება, რადგან „დედა-ენა არს ენა გულისა და სულისა, ყველა უცხო ენანი კი არიან მხოლოდ ენანი მეხსიერებისა“.

გოგებაშვილი მოითხოვდა იმის გათვალისწინებასაც, რომ შესასწავლი უცხო ენა მშობლიურისგან განსხვავებით სულ სხვა ენათა ოჯახის კუთვნილებაა და ერთდროულად სრულიად განსხვავებული ენების შესწავლა ბავშვის „გონების ვარჯიშობას, მოძრაობას და განვითარებას სწორედ ისევე დაუშლის, როგორც ჩვენს სხეულს აბრკოლებს შეუსაბამო ტანისამოსი, რომელიც ზედ არ არის გამოჭრილი“.

„ორკეც და სამკეც უკუღმართობას“ უწოდებდა იაკობ გოგებაშვილი დღეს სკოლებში არცთუ იშვიათად მიღებული ორი-სამი უცხო ენის ერთად შესწავლას.

ცალკე თემაა ქართველ მასწავლებელთა საკითხი, რომელთაც იაკობ გოგებაშვილზე დიდი გულშემატკივარი დღემდე არ გამოსჩენია და არც მათი მდგომარეობა შეცვლილა დიდად.

„მათი ღვაწლი სრულებით გათვალისწინებული არავისა აქვს. ეს უჩინარნი მხვნელნი და მთესველნი გონებრივი ყანისა ისე იშვიათად ეღირსებიან დაფასებას, როგორც უდაბნო სახარა წვიმას“.

ბევრი რამ ხდება ჩვენს დღევანდელობაში ისეთი, გაგრძელებად რომ ჩანს იმისა, იაკობ გოგებაშვილმა თავის წერილში, „დაბალი ღობე ერთაშორის“ რომ გვიჩვენა და ყოველ აბზაცს იწყებდა სიტყვებით „სად თქმულა, სად გაგონილა?“ ჯერ კიდევ შორია იმ დრომდე, როცა ქვეყანას გოგებაშვილის მოწინააღმდეგენი კი არა, ისინი გაუძღვებიან, „ვინც საქმეს სჭრის გონებით და სინდისით და ვისაც სამშობლოს სიკეთე და ბედნიერება სათამაშო ბურთად არ მიაჩნია“. მანამ კი დიდი მასწავლებლის მოსწავლეებს სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა შეურიგებელი ბრძოლა „უძალო ბოროტების“ (როგორც თვითონ გოგებაშვილი უწოდებდა დაუსაბუთებელ, შეუსაბამო კრიტიკას) წინააღმდეგ.

როცა არჩილ ჯორჯაძე გარდაიცვალა და შეგნებულმა ქართველმა მასთან ერთად დაასამარა იმედი საქართველოს უკეთესი მომავლისა, გულმოკლულმა გიორგი ლასხიშვილმა თქვა: „კაცი არ ჩანს მეორე, ყორდანიას შემჩერებელი“.

ყორდანიას ფერმეჩერებმა რა ხეირიც მოუტანა ქვეყანას, ყველასთვის ცხადია. ყორდანიები რომ დევის მოკვეთილი თავებივით ხელახლა ჩნდებიან ყველა ეპოქაში, არც ესაა ახალი და ისტორიულმა გამოცდილებამ იმ ჭეშმარიტებაშიც დაგვარწმუნა, რომ მათი შეჩერება მხოლოდ იმ ქართველთა სიმრავლეს შეუძლია, რომლებიც თავს გოგებაშვილის მოსწავლედ და საქმის გამგრძელებლად აღიარებენ.

რაც შეეხება გოგებაშვილის წმინდანად კანონიზირებას, პირველ რიგში, რაც ღმერთს სურს, მაინც აღსრულდება, თუ წმინდანობისთვის აუცილებელ იმ ნიშნებსაც გავითვალისწინებთ, XVII საუკუნეში რომ ეუწყა კონსტანტინოპოლის პატრიარქს ნექტარის: I) ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა (სწორი ცხოვრება), II) სიცოცხლის ფასად დაცვა და მსახურება ქრისტიანული ღირებულებებისა, III) ღმერთის ნების გამოვლენა ნიშნებითა და სასწაულებით (თუმცა ეს სავალდებულო არაა), IV) ხალხის გამორჩეული პატივისცემა და სიყვარული სიცოცხლეშივე, V) დროის გასვლა, — და კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ამ საკითხზე კამათის უსაგნობაში ეჭვიც არ შეგვეპარება.

შოპენჰაუერს ზემოთ აღნიშნულ წიგნში, „ერისტიკა, ანუ ხელოვნება კამათში გამარჯვებისა“, სოფისტიკის შენიღბული შეცდომების შეცნობა ჭეშმარიტების გაგების ბიძგად მიაჩნდა, ისევე, როგორც მათემატიკოსები თვლიან „მათემატიკურ სოფისტიკას“ მათემატიკის სილამაზედ და ლოგიკური აზროვნების ხელისშემწყობად; გამარჯვებად კი ის, მარტოდ დარჩენილი ოპონენტი, რასაც მანამ თავგამოდებით ებრძოდა, იმის სიმართლეს აღიარებდა ისე, უხერხულობის განცდა არ ექნებოდა, რომ დაარწმუნეს, პირიქით, იამაყებდა, რომ ამ დასკვნამდე თვითონ მივიდა.

„ნეტარ არიან მორწმუნენი“... ვინ იცის, იქნებ ედიშერ ჭელიძე ერთხელ კიდევ მიუბრუნდეს თავის „ნააზრევს“ და სინანულით მოუბოდიშოს გოგებაშვილის სულს, თუ არადა ისევ იაკობ გოგებაშვილს მოვიშველიებთ.

„ეს ჩემი უკანასკნელი პასუხია ბატონი ნიკოლაძისადმი. ის უეჭველია, კვლავაც გულუხვად დამნამებს ცილს და ლანძღვა-გინებასაც არ მომაკლებს, მაგრამ შეუძლია, სავსებით დამშვიდებული იყოს, მე არ დავარღვევ ჩემს დუმილს და მას პასუხს არ გავცემ. ამას მავალებს მკითხველი საზოგადოების ინტერესები“.

იაკობ გოგებაშვილი არასოდეს ტოვებს თავის უბედურებაში ჩავარდნილ დამცირებულ და შეურაცხყოფილ თანამემამულეებს, ხვალინდელი, უკეთესი მომავლის იმედსა და რწმენას აძლევს მათ.

„...როცა რომელიმე უფლება უმაღლესი სახელმწიფოს ძალის მიერ ჩამორთმეული აქვს ადამიანსა, ან მთელს ერსა, და ესენი იძულებულნი არიან, დაემორჩილონ თავის ბედსა, ეს უძლურებას და არაფრობას მორჩილისას როდი მოასწავებს, თუნდაც ეს ჩამორთმევა უსამართლოდ მომხდარიყოს, მოგეხსენებათ, რომ ძალა ალმართსა ხნავს და ლომსაც ჰბოჭავს, გარნა ამის გამო, არც ალმართი იქცევა დაღმართად, არც ლომი—კურდღლად“.

იაკობ გოგებაშვილი მართლაც საშიში მოწინააღმდეგეა ჩვენი ავის მსურველთათვის. ვ. კრასინსკი წერილში „ლიტერატურა და გლობალური რეალობები“ წერდა: „რამდენად ქმედითია დღეს ლიტერატურა ანუ, სამხედროების ენაზე რომ ვთქვათ, რამდენი დივიზიის გამოყვანა შეუძლია თანამედროვე გლობალიზმის პირობებში? ერთი პასუხი ნათელია, ლიტერატურას მრავალი დივიზია ჰყავს, მათი სახელებია: ჰომეროსი, დანტე, შექსპირი, დოსტოევსკი, ბალზაკი, ჯოისი, თომას მანი და ა.შ.“

საქართველოს, ქართულ ლიტერატურას ჰყავს თავისი დივიზიები. ერთის სახელი იაკობ გოგებაშვილია და რატომ ერჩიან მას, ვფიქრობთ, ისეთივე ცხადია, როგორც უკვდავება ქართველი ერისა.

ლადო მინაშვილი

# „საქართველო უპირველეს ყოვლისა“



**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როცა ყველაფერზე ხელი გაქვს ჩაქნეული.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— საქართველოში. სულიერად არსად გამიჭირდებოდა ცხოვრება, მაგრამ რამდენადაც ჩემი შესაძლებლობების რეალიზებას ყველაზე უკეთ აქ ვახდენ... რა თქმა უნდა, თბილისში.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— შენს თავისუფალ, ლაღ ქვეყანაში თავისუფლად და ლაღად ცხოვრება.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ისინი ბევრნი არიან, ქართველები და არაქართველები, თუ უსათუოდ უნდა დასახელდნენ, ქართველთაგან რუსთველის ავთანდილი („ავთანდილის სული მსურს"), ვაჟას ზნემაღალი გმირები... რა ვქნა, ლუარსაბი და დარეჯანიც მიყვარს, რომ არაფერი ვთქვა ბეკინაზე და დარისპანზე...

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— გრიგოლ ორბელიანის „გმირნი, მამულის მადიდნი", ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ განსახიერებული მეფე ერეკლე, სოლომონ ლიონიძე, აკაკის თორნიკე ერისთავი, ცოტნე დადიანი, ილია ჭავჭავაძის მეფე დიმიტრი თავდადებული, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ განსახიერებული გიორგი პირველი, დავით აღმაშენებელი...

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ფიროსმანი, დავით კაკაბაძე, ფრანგი იმპრესიონისტები...

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— ზაქარია ფალიაშვილი, რევაზ ლაღიძე... ვერდი, ბეთჰოვენი, ბახი, მოცარტი, შოპენი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— მამაკაცურს, რაინდულს—საკუთარი პიროვნული ღირსების გრძნობას, სხვისი ღირსების დანახვას და აღიარებას, გამძლეობას, უდრეკელობას...

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— სულიერი შინაარსით დაპირობებულ გარეგნულ სილამაზეს, ერთგულებას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მიმზიდველი?**

— სხვისთვის სიკეთის ქმნა, ქვეყნის, საყვარელი ადამიანისთვის თავგანწირვა.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— მასწავლებლობა, ახალგაზრდობის გრძნობებისა და გონების წვრთნა; მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის კითხვა.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— თუ არ თეატრალური ინტერესი, სხვად ყოფნა არ მნდომებია, მაგრამ ჩემთვის მისაბაძი ადამიანი იყო და რჩება გამორჩეული მეცნიერი და პედაგოგი გრიგოლ კიკნაძე — ჩემი დიდი მასწავლებელი, თაობათა მასწავლებელი.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— "არ ვდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად" ე.ი. პიროვნული სიმყარე.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობარში?**

— პირდაპირობას, ერთგულებას.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— ალბათ, ხასიათის სირბილე.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— სულიერი სისავსით ცხოვრება, როცა ყოფა არ გთრგუნავს, დაბლა არ გექაჩება.

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ჩემი ქვეყნის უბედურება.

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— მიღწეულით უკმარი, მუდამ წინმხედი.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ამ ორ კითხვას ერთად ვუპასუხებდი. როგორც პოეტი ამბობს: **„ჯერ იყო და შემაძულეს ცისფერი, ახლაა და შემაძულეს ვარდი"**, თორემ მართლა ორივე მიყვარდა.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— არწივი, შევარდენი... ბულბული, შაშვი.

**— თქვენი საყვარელი პოეტი?**

— რა ვქნა, ბევრი მყავს, რომელი გამოვტოვო — რუსთველი, გურამიშვილი, გრ. ორბელიანი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი... ტარიელ ჭანტურია, ეკა ბაქრაძე... მაპატიონ, ვინც ვერ ვთქვი, მათი ლექსებიც სულს ესალბუნება.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ეს კითხვაც ჩემთვის იმას ჰგავს, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო? ყველა ქართველი კლასიკოსი ძვირფასია ჩემთვის, უცხოელების ჩამოთვლა თუ დავიწყე, რა დაამთავრებს.

**— საყვარელი გმირი კაცი ისტორიაში?**

— არათუ საყვარელი, თაყვანსაცემი გმირები მყავს ისტორიაში: ფარნავაზი, მირიანი, ვახტანგ გორგასალი, დიდი დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, სოლომონი, მეფე ერეკლე, ილია ჭავჭავაძე...

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— მზე თამარი, ქეთევანი—უდიდესი წმინდანი, საქრისტიანო რომ გააოცა რწმენით და გამძლეობით.

**— საყვარელი სახელი?**

— გიორგი, ვახტანგი, ლევანი. დავითი, ირაკლი...ნინო, თამარი, ქეთევანი, რუსუდანი.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— პირმოთნეობას, უტიფარ ტყუილს.

**— ისტორიული პირი, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— შადიმანი, ყორღანაშვილი...ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე...რამდენი თანამედროვეც, როცა ისტორია მიიბარებს მათ ავადსახსენებელ სახელებს.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— დიდგორის ომი, ბასიანის ბრძოლა, რამდენი ბრწყინვალე გამარჯვება მეფე ერეკლესი.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— მომავალში განსახორციელებელი, რომელიც ბოლო დროის ბევრ უაზრო ან დანაშაულებრივ "რეფორმას" გააუქმებდა და "ჩვეულებისაებრ მამულის სვლას" შეუწყობდა ხელს.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ჩემი ნდომა ცოტა დაგვიანებულია... ისე კი სულ მინდოდა და ვოცნებობდი სიყმაწვილეში, ვყოფილიყავი ოპერის დიდი მომღერალი, რა თქმა უნდა, დრამატული ტენორი.

**— როგორი გინდოდათ, რომ მომკვდარიყავით?**

— მშვიდი, სიკვდილთან ფილოსოფიურად შერიგებული, შეძლებისამებრ ვალმოხდილი ქვეყნის, ახალგაზრდობის, ოჯახისა და შვილების წინაშე.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— მღელვარე, ქვეყნის ბედით სიმშვიდედაკარგული.

**— თქვენი დევიზი?**

— „საქართველო უპირველეს ყოვლისა".

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ვისურვებდი, რომ ჩემთვის თავზე ხელი დაედო და ეთქვა:

„შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა"!



ზურაბ ლავრელაშვილი

# განკვართული

საბედოსაგან ნატკენი გულის დასაამებლად მინდია პეტერბურგშიც ისევე ასკეტურად და სამოქალაქო თვინიერების შეგნებით ცხოვრობდა, როგორც ინსტიტუტში... ქარხანაში გვიანობამდე რჩებოდა და ჩუხონელი დედაკაცისაგან ნაქირავებ ბინაში მარტო დასაძინებლად მიდიოდა. უქმე დღეებში კი, როცა დიდი ქალაქის მცხოვრებნი ჯგროდ მოედებოდნენ გასართობ ალაგებსა და ბაღებს, მდინარესთან მივიდოდა და დაფიქრებული დაჰყურებდა ტალღების დენას. ზოგადად, როგორც მგრძნობიარე ადამიანების უმეტესობას, მინდიასაც უყვარდა წყლის ცქერა, მაგრამ აქ, ჩრდილოეთში, წყალი სქელი იყო, კუპრისფერი, თითქოს ლილაგარეული და მზის სხივს არ ისხლეტდა...

შემოდგომის ერთ ნაშუადღევსაც, როცა გრანიტის მოაჯირს მიყრდნობილი ნევას უმზერდა, უკნიდან ვიღაცამ ხელი დაჰკრა მხარზე.

- კავკასიელო, შენა ხარ? აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო?

ლალაიანცი იყო. ქურქი ეცვა, თბილი ქუდი ეხურა, გრძელი ცხვირი სიცივით ასწითლებოდა და ხელებს კმაყოფილი იფშვნეტდა, სტუდენტობის ამხანაგის ნახვით გახარებული. ერთმანეთი გადაკოცნეს, მოიკითხეს და მინდიამაც უამბო, რა ქარს გადმოეგდო აქეთ. უთხრა, პუტილოვის ქარხანაში დასაოსტატებლად ჩამოვედი, რათა სამშობლოში გამოცდილ ინჟინრად დავბრუნდეო... ნამდვილი მიზეზი კი დაუმალა... ტრინესგან რომ იყო გულდაკოდილი და შვებას განდეგილობაში ეძებდა...

- ბედი გქონია, რევოლუციის ქარცეცხლში რომ მოხვდი, - კვლავ ხელი დაჰკრა მხარზე ლალაიანცმა, - იცოდე, დიდი ამბები მოხდება... შემოგვიერთდი...

მერე იმანაც გაანდო ამხანაგს, რა დიადი მისიით იყო რუსეთში ჩამოსული... რევოლუცია მზადდებოდა თურმე და საყოველთაო გამოსვლებისთვის ემზადებოდნენ... ლალაიანცი აქტიურად მონაწილეობდა გაფიცვების ორგანიზებაში, რადგან მუშათა პარტიის წევრი გამხდარიყო და ექსპლუატატორთაგან ჩაგრულთა განთავისუფლება დაესახა მიზნად...

- მარტინოვიც ჩვენთან არის, - უთხრა ალგზნებულმა და აცმუკდა, - პარტიაში თუ გაწევრიანდები, კაცობრიობის ნათელ მომავალს შეეწევი იცოდე... იფიქრე, ძმაო, მერე შემოგივლი...

მან კიდევ ერთხელ დაჰკრა ხელი მინდიას მხარზე და გაშორდა. მინდია კი ისევ გრანიტს მიეყრდნო და წყალს გახედა, მაგრამ ამჯერად ნაღვლიანი ფიქრები აღარ წამოშლია... ლალაიანცთან შეხვედრამ სტუდენტობა მოაგონა და ოდნავ გახალისდა, სიმხნევე მოემატა... ლალაიანცის შემოთავაზება სერიოზულად არ მიუღია, მაგრამ სტუდენტობის ამხანაგთან შეხვედრით ისიც კმაყოფილი იყო... კმაყოფილი იყო, ჩრდილოეთის ცივ და უამურ დიდ ქალაქში ძველი ნაცნობი რომ იპოვა... ახლა მარტოობა არც ისე გაუსაძლისი ეჩვენებოდა, მით უმეტეს, რომ ლალაიანცი ხშირად აკითხავდა ნაქირავებ ბინაზე და ქაქანით ართობდა - ზოგჯერ ვინმე აგიტატორი ან პარტიის წევრი მოჰყავდა და მინდიას სთხოვდა, რამდენიმე დღით შეინახეო... თავადაც დარჩა ერთი-ორი ღამე, თუმცა დილაადრიან დგებოდა და სადღაც მირბოდა - როგორც თვითონ ამბობდა, რევოლუციის ნაპერწკლის გასაღვივებლად...

---

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა" №22

- თვითმპყრობელობას სიტყვის თავისუფლება უნდა გამოვგლიჯოთ ხელიდან , - შეაგონებდა სტუდენტობის მეგობარს, - მეფის ტახტი მომპალია და სადაცაა ძირს დაეცემა, მაგრამ როდი უნდა ვიჩქაროთ... ჯერ ბურჟუაზიული რესპუბლიკა შეიქმნება, მერე პროლეტარიატი აიღებს ხელში მართვის სადავეებს... ყველაფერი ისტორიული კანონზომიერების შესაბამისად უნდა მოხდეს...

ალგზნებული აგიტატორი ხელებს იქნევდა და მასპინძლის წინ ქანაობდა, იმანჭებოდა... იყო რაღაც სასაცილო და მაიმუნის ზველვისებური ლალაიანცის გამხდარი სხეულის მიმოხვრაში, ფანატიკოსობამდე მისულ მის რწმენაში, რითაც კაცობრიობის ნათელ მომავალს სჭვრეტდა და მინდიასაც არაერთხელ უკითხავს, ეგ მომავალი როგორ წარმოგიდგენია, რევოლუციის შემდეგ რა იქნებაო...

- ბროლის სასახლე, კვადრატულად დახაზული მინდვრები, - სერიოზულად მიუგო ლალაინცმა, - ჩერნიშევსკი წაგიკითხავს? ის მემარცხენე ინტელიგენტი იყო და არა მარქსისტი, მაგრამ ბევრი რამ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგზე უკეთ ესმოდა... იცი, რა ცხოვრება მოგველის? მსოფლიო დიდ ძმურ ოჯახს დაემსგავსება და ერთა შორის სხვაობაც გაქრება... აღარ იქნება რუსი თუ გერმანელი, თათარი თუ ფრანგი, ინდოელი თუ ინგლისელი... ყველას ადამიანი ერქმევა...

- გგონიათ, ადამიანი უცებ შეიცვლება? - უწადინოდ ჰკითხა მინდიამ.

- ხომ გკითხე, ჩერნიშევსკი თუ წაგიკითხავს-მეთქი, - უკმაყოფილოდ შეეპასუხა აგიტატორი, - ძველი თაობა წყალს უნდა გავაყოლოთ და ქვეყანა ახალ ადამიანს დავუმკვიდროთ, თავისუფალსა და ლაღს...

და მან რამდენიმე ციტატა მოიშველია იმ უტოპისტთა ნაწერებიდან, ვისაც კაცობრიობის ბედნიერ მომავალზე ეფიქრა... მინდიამ ამხანაგს ხუთმანეთიანი ჩაუდო ქურქის ჯიბეში და აგიტატორიც რევოლუციის ხანძრის დასანთებად გაიქცა, თუმცა ჯერ მხოლოდ ნაპერწკალი თუ ბჟუტავდა აქა-იქ... ზამთრისპირის პეტერბურგი მაინც რაღაც ავბედითის მოლოდინით იყო გასუდრული... მუშათა გაფიცვები გახშირდა, ქარხნები იხურებოდა, იანვრის ერთ თოვლიან საღამოს კი დიასახლისის ბიჭმა ამბავი მოიტანა, მთავრობამ დემონსტრანტები დახვრიტა ნევის პროსპექტზეო...



მხატვარი ინა ჭელიძე

მინდიამ მაშინვე ჩაიცვა და ქარხანაში წავიდა იმის შესამოწმებლად, ვინმე მარბიელი ხომ არ შევარდნილიყო იქ არეულობის დროს...

კარი დარაჯმა გაუღო და ჯარისკაცივით უპატაკა, უფროსობა უკვე იყო, ყველაფერი წესრიგშია და არაფერი მომხდარაო. მინდიამ კარი მაინც გაალებინა და საამქროები დაათვალიერა. ყველა კარი დაკეტილი იყო.

- ეტლს მოგიყვანთ, თქვენო კეთილშობილებავ, - უთხრა დარაჯმა, ყოფილმა ჯარისკაცმა, ვინც უფროსებს სამხედრო ყაიდაზე მიმართავდა ხოლმე, - უკვე გვიანია, თანაც არეულობის გამო ხალხი დამფრთხალია... ახლა ეტლის შოვნა გაგიჭირდებათ...

მინდიამ ქურქის საყელო აიწია და ჭიშკართან გაჩერდა. ფანრის შუქი ანათებდა თოვლიან ქუჩას და უცნაურ ჩრდილებს ჰფენდა. სახლებში უკვე ჩაექროთ შუქი და ქალაქი სასაფლაოს ჰგავდა.

ქუჩის კუთხეში რაღაც ლანდები აბოჟირდნენ. ვილაცეები გადარბოდნენ და გადმორბოდნენ, თითქოს ფანრის ქვეშ გაჩერებული კაცის დანახვას დაუფრთხიანო, და ღამის სიბნელეში მხოლოდ თოვლის ჭრაჭუნი თუ ამხელდა, ხორციელები რომ იყვნენ... მინდიამ მხედველობა დაძაბა და მისკენ მომავალი ორი მუშა დაინახა, ისინი გაუბედავად მიუახლოვდნენ და ფარნის ახლო შეჩერდნენ.

- კაცი კვდება, ბატონო, - შეჰღაღადა მერე იმათგან უფრო ხნიერმა და შუქზე გამოიწია, რათა მინდიას უკეთ დაენახა, - საავადმყოფოში მიყვანამდე ვაითუ ღმერთს სული მიაბაროს...

მინდია შებრუნდა და ჭიშკარი შეაღო. ხნიერმა მუშამ რაღაც ნასჩურჩულა თანამგზავრს და ისიც თოვლში ჩექმების ჭრაჭუნით გაიქცა ქუჩის კუთხისაკენ, მალე კი ორმა კაცმა დარაჯის ბუდრუგანაში ავადმყოფი შემოიყვანა.

- რა სჭირს? - ხნიერ მუშას ჰკითხა მინდიამ.

- ტყვია აქვს მოხვედრილი.

- უექიმოდ ვერ ვუშველით, ეტლს გავგზავნი, სადაცაა დარაჯი მოიყვანს, - კარისკენ გაიწია მინდიამ, მაგრამ ხნიერმა მუშამ მკლავი დაუჭირა. მინდიამ გაკვირვებულმა მოხედა. ბუდრუგანას ნათურის შუქზე მუშას დაღლილი და

სევდიანი სახე უჩანდა, ჩრდილებით დაღარული. მინდიას ხელი ჩაებღუჯა და უხმოდ შეჰყურებდა.

მინდია უცებ მიხვდა.

- კარგი, როგორც გინდათ, - თქვა მერე და მიდგა განზე.

- გმადლობ, კეთილო ბატონო, - შვებით ამოისუნთქა მუშამ, - ცოტა სპირტი და ბინტი რომ მქონდეს...

დაჭრილი დარაჯის ტახტზე დააწვინეს და მინდიას მიერ სამუშაო კაბინეტიდან მოტანილი დანით ხნიერმა მუშამ ბეჭიდან ტყვია ამოუღო...

- ბერდანისაა, - დაკოჟრილ თითებში შეატრიალა გვერდშეჭყლეტილი ტყვია და ჯიბეში ჩაიდო. - სამახსოვროდ მინდა მქონდეს...

მერე სპირტით ჭრილობა მოჰბანა და ბინტით შეუხვია, მინდია კი შეცბუნებული დაჰყურებდა დაჭრილის ბეჭზე ლაქასავით დამჩნეულ ტყირპს...

- ვინ არის ეს კაცი? - დაეკითხა მერე მუშას.

მუშამ წელანდელივით უხმოდ შეხედა და თავი ოდნავ გადააქნია.

- ბატონო, შენი ჭირიმე, იმდენი სიკეთე გვიყავით და ნუ ინებებთ, - თქვა მერე მუდარით.

დაჭრილი დარაჯის მიერ მოყვანილ ეტლში ჩააწვინეს და მარხილიც ჭრიალით გასრიალდა პეტერბურგის უკაცრიელ ქუჩაში.

მინდია ქარხნიდან გამოვიდა.

- ეტლი ისევ მოვიყვანო, თქვენო კეთილშობილებავ? - ჰკითხა დარაჯმა.

- ნულარ შეწუხდები, კუზმა, ფეხით გავივლი.

- საშიში დროა, თქვენო კეთილშობილებავ, ფრთხილად იყავით... ხალხი გამხეცდა, - დაუბარა დარაჯმა და ბუდრუგანის კარი შეიკეტა.

მინდიამ ველარაფერი უპასუხა და მთვარეულის ნაბიჯით გაჰყვა ჩრდილებით დასახლებულ ქუჩას.

* * *

დიდი ხანია ვილანდისაგან არაფერი ისმოდა. მინდიამ რამდენჯერმე დაზღვეული წერილი გაგზავნა მამობილის მისამართზე, მაგრამ წერილები უკან დაუბრუნდა. როგორც ჩანს, ვილანდი ჯერაც არ მიბრუნებულიყო შინ და თურქმენეთის უდაბნოებში მორიგ ქიმერას დასდევდა... დემონსტრაციის დახვრეტიდან ექვსი თუ შვიდი თვე იყო გასული... პეტერბურგი კვლავ ჯანყის მოლოდინში გასუსულიყო, მინდია კი ისევ სიზმარეულ, მთვლემარე ყოფაში გადაშვებულიყო - ჩრდილოეთი რუხი, ნაცრისფერი ციალი ლანდებით ავსებდა იმის გონებას... ლალაიანცი და მუშათა პარტიის სხვა წევრები იატაკქვეშა მოღვაწეობაზე გადასულიყვნენ, რადგან მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა მუშათა გამოსვლებს... გაფიცვები ჩაახშვეს, სამაგიეროდ, დღე არ გავიდოდა, ტერორისტული აქტი არ მომხდარიყო და ვინმე თანამდებობის პირი არ მოეკლათ... გაზეთები მოწინავეების ნაცვლად მკვლელობების ანგარიშს აქვეყნებდნენ. ყველაზე გახმაურებული ამათგან თავად ტრუბეცკოის მკვლელობა იყო, რომელსაც ტერორისტები ვასილის კუნძულზე, ხიდთან, დასხმოდნენ თავს და ხელყუმბარებით აეფეთქებინათ... თავადს ერთ-ერთი თვალსაჩინო პოსტი ეკავა მთავრობის კაბინეტში და მისმა სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩრდილოეთ დედაქალაქში... მკვლელები მალევე შეიპყრეს - ისინი მინდიასათვის ნაცნობი მუშათა პარტიის წევრები გამოდგნენ... სხვათა დაშინების მიზნით და დანაშაულის პრევენციისათვის მთავრობამ გადაწყვიტა, მკვლელები სანიმუშოდ დაესაჯა... როგორც გაზეთი იუწყებოდა, მათ საჯაროდ დასჯიდნენ პლაცზე: ზოგს სიკვდილი ელოდა, ზოგსაც ციმბირში გადასახლება - ამ ბოლო ღონისძიებით მთავრობა ჰუმანურობის გამოჩენას ცდილობდა, რაკი გაციმბირება მუშათა პარტიის შედარებით ახალგაზრდა წევრებისთვის გადაეწყვიტათ...

მინდიამ გაზეთი განზე გადასდო და გულში დაიფიცა, დასჯის ალაგას არ ნასულიყო, მაგრამ კვირა დილით, როცა რევოლუციონერთა საჯარო გასამართლება უნდა მომხდარიყო, მოულოდნელად გადაწყვეტილება შეცვალა... ვერ იტყოდა, თუ რატომ ჰქნა ეს - ალბათ იმ ფარული ალღოს გამო, რომელიც ყურში იდუმალ აწვეთებდა, იმათ შორის ნაცნობებს ნახავო... ვინ იყვნენ ეს ნაცნობები? ლალაიანცი და ზოგიერთი მისი თანაპარტიელი ტუსაღთა შორის ხომ არ ერია... ვილას ნახვას მოელოდა? მინდია ცდილობდა, შინაგან ხმას გასძალიანებოდა, მაგრამ ფეხები თავისით მიაქანებდნენ პლაცისაკენ... იქ უკვე შეკრებილიყო უშქარი ბრბო... მოსულიყვნენ ხნიერნიც და ახალგაზრდანიც, ჩინიანებიც და უჩინონიც; დედაკაცებს ძუძუთა ბალღები წამოეყვანათ და ტუსაღებისთვის განკუთვნილი ფიცარნაგისკენ ახედებდნენ, თითქოს იქ საწმიდაო საქმე უნდა აღსრულებულიყო და იქიდან მადლი რამ გადმოვიდოდა პატარებზე... დილის თორმეტი საათისათვის პლაცი ცარიელი იყო, მხოლოდ ფიცარნაგზე მიმოდიოდა მშვიდად ჯალათი და თოკებისა და სამარცხვინო ბოძების სიმაგრეს ხელით ამოწმებდა... მზე ნელი-ნელ ზენიტს უახლოვდებოდა... სიცხით მოთენთილი ბრბო მზესუმზირის ჩენჩოს აფურთხებდა, თაფლაკვერებს ილოღნებოდა და უნდილი შეძახილებით მოითხოვდა დამნაშავეთა გამოყვანას... ბოლოს, როცა მზე ზამთრის სასახლის სახურავს გადასცდა და ჩრდილები დაგრძელდა, პლაცზე ცხენოსანი დრაგუნები გამოჩნდნენ... ისინი ფორანს მოაცილებდნენ, რომლითაც ტერორისტები მოჰყავდათ... ბრბოს ოხვრა და შვების ექო აღმოხდა... ჯალათმა ტუსაღები ჩაიბარა და ბოძებს მიაბა... მოხელემ განაჩენი წაიკითხა... ბრბოში აქა-იქ კანტიკუნტად ტაშისცემა გაისმა... ყველანი ისე იყვნენ დაღლილნი ფეხზე დგომითა და სიცხით, რომ ყვირილის ნიათიც აღარ ჰქონდათ... მარტო სიცხით გალექებულმა ორმა ლოთმა წამოიყვირა მინდიას სიახლოვეს, „გაუმარჯოს მეფესო“ და იქვე მდგომებმა მკაცრად შეუბღვირეს და ჩააჩუმეს, რაკი ხალხის შმაშურში განაჩენი ვერავინ გაიგო... მინდიამ იცოდა, რომ პყრობილთაგან ნაწილს დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, სხვებს კი სამოქალაქო სიკვდილი და გაციმბირება, მაგრამ მღვდლის მოსვლამდე ვერავინ გაიგო, ვინ იყო სასიკვდილოდ განწირული... მარტო მას შემდეგ, რაც შავი ანაფორით მოსილმა ხუცესმა სიკვდილმისჯილებს ორიოდე სანუგეშო სიტყვა უთხრა და განზე გადგა, ბრბო მიხვდა, ვინც უნდა დაეხვრიტათ და შექანდა, შეტორტმანდა... ოცმეთაურმა ჯარისკაცები ბოძების წინ გაამწკრივა და აღმართული ხმლით ნიშანი მისცა: გაისმა თოფების ბათქი და ბოძებზე თოკებით მიკრულ სამ ტუსაღს თავები გვერდზე ჩამოუვარდათ... გვამები ახსნეს და მაშინვე გაიტანეს, როგორც კი საგანგებოდ ამ საქმისთვის მოწვეულმა ექიმმა მათი სიკვდილი დაადასტურა... შემდეგ ჯალათმა დანარჩენ სამთაგან ორ ტუსაღს თავზემოთ დაშნები გადაამტვრია და დასჯის ცერემონიაც ამით გათავდა...

ბრბოში ვიღაც შეეხო მინდიას მხარზე: ბუხარულ ხალათში გამოხვეული შავტუხა ავარა ედგა გვერდით, რაღაცას ანიშნებდა. მინდია მისკენ დაიხარა. ავარამ ჩალმასავით თავპირზე მობლარდნილი ხამი ქსოვილი გადაიწია და მინდიამ ლალაიანცი იცნო.

- ჩუ, - ტუჩზე თითი მიიდო აგიტატორმა, - აქედან გავიდეთ...

ბრბოში გზა გაიკვლიეს და უკაცრიელ ჩიხში შევიდნენ.

- მეფის ოხრანკა დაგვდევს, - ჩურჩულით ამცნო ლალაიანცმა, - ხალხმრავალ ადგილებს ერიდე... თუ რომელიმე ჩვენგანი გატყდა, შენამდეც მოვლენ...

შემდეგ ფეხის წვერებზე აიწია და ყურს ბრაზით ჩასძახა:

- ამათ ყველაფერს ვაზღვევინებთ... ჩვენი დროც მალე დადგება!

- დაწყნარდი, არტემ, - ლალაიანცის ხელი მოიშორა მხრიდან მინდიამ, შემდეგ ჰკითხა, ის პატიმარი ვინ იყო, ვინც ჯალათმა დაშნის გატეხვის ღირსად არ სცნოო... ალბათ ვინმე უაზნო, რადგან ასეთი წესით მხოლოდ თავადაზნაურებს სჯიანო...

- იცნობ? - კითხვა შეუბრუნა აგიტატორმა, - მაგის სახელს კიდევ გაიგონებ... ჩვენი პარტიის გამოჩენილი აქტივისტია...

ჩიხში ცხენოსანმა პატრულმა შემოიხედა. ლალაიანცი დაფრთხა და რომელიღაც ეზოში ხვლიკივით შეძვრა. მინდიამ კარგა ხანს უცადა მეგობარს, მაგრამ ტერორისტი აღარ გამოჩენილა...

* * *

თუმცა ის აგრე იოლად არ დაეხსნებოდა... ოთხი თუ ხუთი კვირის შემდეგ ლალაიანცმა ბინაზე მიაკითხა მინდიას და დახმარება სთხოვა.

- გაზეთის გამოცემა გვინდა, - ცხვირის ქექვით უთხრა და მასპინძლის მოწოდებული სირჩა არაყი მყისვე გადახუხა, - იმპერიალისტები იარაღს აჟღარუნებენ, სანდო წყაროსაგან ვიცით, რომ რუსის მეფე ამ ომში უეჭველად ჩაებმება... ჰოდა, მშრომელები უნდა გავაფრთხილოთ, იარაღი არ აიღონ ხელში მათი მოძმე სხვა ქვეყნების მუშებისა და გლეხების საჟლეტად... პროპაგანდისათვის კი პრესა გვჭირდება...

- ჩემგან რას ითხოვთ? - ჰკითხა მასპინძელმა და მეორე სირჩა არაყიც დაუსხა.

-კონსპირაციულ ბინას სტამბისათვის და ფულს ქაღალდისათვის... პარტიას საწევრო შენატანები არ ჰყოფნის, თორემ არ შეგაწუხებდით...

- მდიდარი არ ვარ, არტემ...

- ეგ ვიცი, - აგიტატორმა მეორე სირჩაც გადაიპირქვავა ხახაში და სამოსის სახელოს უსუნა რუსული ჩვეულებისამებრ, - თუ ბინას არ დაგვითმობ, აკრძალული ლიტერატურა მაინც შეგვანახინე...

- მოვიფიქრებ, არტემ, ვნახოთ...

ლალაიანცი წავიდა და ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა. შეთანხმდნენ, რომ ფინეთიდან შემოტანილ სააგიტაციო წიგნებს მინდია ბინაში დამალავდა. ეჭვი რომ არავის აეღო, ლიტერატურა ქარხნისთვის საჭირო ინვენტარისათვის გაგზავნილი ფურგონით უნდა წამოეღოთ...

- იცოდე, პარტია ამას არ დაგივიწყებს, - გული აუჩვილდა უცებ ლალაიანცს, - კაცობრიობის ხსნა ახლოვდება, ძმაო...

კვირა დილით ფურგონში ჩასხდნენ და ფინეთის ყურესაკენ გასწიეს. ფურგონი ქარხნის მუშას მოჰყავდა, ვინც თურმე ლალაიანცის თანაპარტიელი იყო დიდი ხანია...

- აი, ნახავ, მალე მთელი მსოფლიოს მშრომელები შემოგვიერთდებიან და მეფის დამპალ რეჟიმსაც დავამხობთ, - იქადნიდა ამით გაგულისებული ლალაიანცი, - მუქთახორებსა და პარაზიტებსაც მოვსპობთ... შენ კი არ გიხარია ეს ამბავი?

- არ ვიცი, არტემ, არ მიფიქრია ამაზე.

ლალაიანცი ფურგონზე წამოიყაყვა.

- განა მჩაგვრელები და ექსპლუატაცია არ გძულს? მუშათა ყვლეფა, ხალხის სილატაკე!..

- მე სისხლისღვრა მძულს, თანაც, ჩაგრულები მალევე იქცევიან ხოლმე მჩაგვრელებად, როგორც საფრანგეთის რევოლუციის დროს მოხდა...

- ეე, ძმაო, ეგენი ბურჟუები იყვნენ და ხალხი მოატყუეს. ეს კი მშრომელთა ჯანყია.

- კლასობრივი სხვაობა არაფერს ნიშნავს. ადამიანი ადამიანია.

ლალაიანცმა მოსაუბრეს შეხედა და ხელი ჩაიქნია, ისევ ფურგონში მიჯდა.

- პოლიტიკური შეგნება გაკლია და ეგ არი. აი, მივალთ და მარტინოვი ყველაფერს სადად და გასაგებად აგიხსნის.

- მარტინოვი? ისიც თქვენიანია?

- მარტინოვი ახლა ჩვენი ფრაქციის სული და გულია, ჩვენი გონება, ჩვენი სინდისი, - სიამაყით თქვა აგიტატორმა და ისევ წამოიწია, - რომ იცოდე, გაზეთის იდეაც მისია... სახალხო აჯანყებისაც... სხვა თეორეტიკოსები ასე როდი ფიქრობდნენ, იმან კი პირველმა თქვა, უნდა ავჯანყდეთო... ნახავ, რა ამბებსაც დავატრიალებთ.

მანანის ბუჩქებით დაფარულ მინდორზე გავიდნენ და მუშამ ცხენები შეაყენა. ლალაიანცი ფურგონიდან ჩახტა.

- აქ დამიცადე, - უთხრა მინდიას და გაეცალა. ნახევარ საათში ისევ მობრუნდა, მინდია იხმო.

- ხომ იცი, სიფრთხილე მაინც აუცილებელია, - მოუბოდიშა მერე, როცა ბუჩქნარში გაკვალული ბილიკით მიდიოდნენ და მათ წინ ფიორდის მსგავსი პატარა ტბა გამოჩნდა, - მარტინოვი ახლა კონსპირაციულად იმყოფება აქ, რადგან რუსეთში ცხოვრება აუკრძალეს... ის კი თავისას არ იშლის, ძმაო, რაღაი რევოლუციისთვის შეუწირავს თავი... მამაცი ადამიანია...

ბუჩქნარს იქით ვრცელი დაბლობი ტბებითა და ყურეებით იყო მოფენილი. ტბის პირას კარვები და ხის ქოხები იდგა.

- ეს ჩვენი რევოლუციური დასახლებაა, - თითით უჩვენა ლალაიანცმა და მარჯვნივ განაკაფში შეუხვია. მოსუფთავებულ პატარა მინდორზე ხის ნამორებისაგან მაგიდა და სკამი გაემართათ...

- ეს კი ჩვენი ბელადის სამუშაო კაბინეტი, - მაგიდა და სკამები დაანახვა თანამგზავრს აგიტატორმა, - მარტინოვი აქ წერს ხოლმე სტატიებსა და ბროშურებს მუშებისათვის მზიან ამინდში... ცოტა დაიცადე და მალე ისიც მოვა...

მართლაც, ხუთიოდე წუთში განაკაფში მარტინოვი გამოჩნდა... უწინდელ მორცხვ ყმაწვილს როდი ჰგავდა - დასრულებულიყო, დავაჟკაცებულიყო; შესახედაობით მთიბავს თუ დღიურ მუშას ჰგავდა, მაგრამ თვალები ამხელდნენ უბირი გარეგნობის მიღმა მის გონიერებას... მინდიას ფხიზელი და მჩხრეკავი მზერით შემოსცქეროდა, თუმცა

ცდილობდა მისი მზერა არავის შეემჩნია და თვალში გაელვებულ ნაპერწკლებს ოსტატურად მალავდა...

- ამას არ დაგივიწყებ, - უთხრა მინდიას და ხელი ღონივრად ჩამოართვა, როცა წიგნები ფურგონში ჩაანწყვეს და საიმედოდ შეფუთეს, - სამწუხაროა, რომ პარტიის წევრობაზე უარს ამბობ... პატიოსანი ხალხის მხარეს რომ დგახარ, ეგეც საკმარისია...

მინდია მიხვდა, ლალაიანცს ელაპარაკნა მარტინოვთან მის შესახებ და ალბათ ისიც ეთქვა, პარტიის წევრობა შევთავაზე და უარი მითხრაო...

- ეგ მხოლოდ ჩვენი ძმობის ხათრით... სტუდენტური წლების მოსაგონრად... ქვეყნის ამობრუნება კი არ მაინტერესებს, - მიუგო უწადინოდ, რაკი ეგონა, ლალაიანცის მსგავსად, მარტინოვიც რევოლუციის სიკეთეზე გამიბამს კამათს, როგორც უწინ სჩვეოდაო, მაგრამ მარტინოვმა მხოლოდ წამით შეხედა, იმის ხელი ისევ ჩაბღუჯული ეჭირა, და მოკლედ უთხრა:

- გვინდა თუ არ გვინდა, ეგ მაინც მოხდება.

- ისტორიული კანონზომიერების შესაბამისად, არა? - გაეცინა მინდიას.

- თუნდაც... არადა ძალით მოვახდენთ.

- ძალადობით არაფერი გამოვა.

- ძალა აქ არის, - შუბლზე მიიდო თითი მარტინოვმა, - ადამიანის გონიერება თუ გწამს, ყველაფერი იოლია.

- ადამიანი მხეცია. არც ეს დაივიწყო.

მარტინოვმა კვლავ ყურადღებით შეხედა.

- საინტერესოა, - ჩაილაპარაკა მერე და მინდიას ისევ ღონივრად ჩამოართვა ხელი, - ამაზე როგორმე შემდეგ ვისაუბროთ. გმადლობ და ნახვამდის. იმედია, კიდევ შევხვდებით.

იმან ახლა მკლავზე მოუთათუნა მინდიას და მანანის ბუჩქნარს მიეფარა. მინდია და ლალაიანცი ფურგონთან დაბრუნდნენ. ლალაიანცი კოფოზე აძვრა.

- ცხენები შენ მიგყავს, არტემ? განა რევოლუციის მეგზურობა არ გირჩევნია?

ლალაიანცმა მათრახი მოიმარჯვა და ცხენებს გადასცხო.

- იხუმრე, იხუმრე და ნახავ რაც მოხდება. - ჩაიბურდღუნა და ცხენებს ისევ მოუნაცვლა მათრახის წვერი, - აჩუ, თქვენი დედაც!..

* * *

ზამთარში დემონსტრაციები გახშირდა და ლალაიანცმაც უმატა მინდიას ბინაზე სიარულს. მისი ვარაუდი ახდა - ევროპის კონტინენტზე ომი მძვინვარებდა... ქარხანა შეკვეთას შეკვეთაზე იღებდა საომარი იარაღისა და ტრანსპორტისათვის საჭირო ნედლეულის დასამზადებლად... როგორც ლალაიანცი ამბობდა, ომით ისევ კაპიტალისტები ხეირობდნენ, თუმცა ბრძოლის ექო პეტროგრადამდე არ აღწევდა...

- ხალხი აღდგა, - უთხრა ლალაიანცმა მინდიას თებერვლის ერთ ნაშუადღევს, - ომი უნდა შევაჩეროთ! წამო, რევოლუციის ხანძარი გაყურებინო...

მან მინდია აიძულა ქურქი ჩაეცვა და დემონსტრაციაზე წაიყოლა. გზად ცდილობდა საბოტაჟზე დაეყოლიებინა, თუ ქარხანა მუშაობას შეწყვეტს, მილიტარისტები იარაღს ველარ დაამზადებენ და მშრომელების გაჟლეტას ველარ მოახერხებენ, აქამდე ათასობით რომ იჟუჟებიანო. აგიტატორის თქმით, მარტინოვის ფრაქციას ფართო პროპაგანდისტული მუშაობა წამოეწყო ჯარისკაცთა შორის და ამ გზით ცდილობდა ომის საშინელების შეჩერებას...

- რუსული ტროიკა გადაბრუნდა, ძმობილო, - მინდიას უსწრებდა წინ და მონადირე ძაღლივით ცმუკავდა ლალაიანცი, - ამ ომში რუსეთი ისედაც შერცხვენილი გამოვა, ამიტომ ზავი ახლა იმისთვის მისწრებაცაა, სანამ მოკავშირეები მის საზღვრებს მოსდგომიან... ნახე, რა ხდება, ხალხს მოსწყინდა უაზრო სისხლისღვრა...

მართლაც, დათოვლილი ქუჩები დემონსტრანტებითა და ლოზუნგებით იყო სავსე... „ძირს მეფე!“, „გაუმარჯოს საბჭოებს!“, „მშვიდობა და სოლიდარობა!“ - ეწერა ტრანსპარანტებზე, მუშურად ჩაცმულ ახალგაზრდებს რომ მოეპქონდათ.

ვრცელ მოედანზე ხალხი ორატორს უსმენდა.

- მარტინოვია, - გაუხარდა ლალაიანცს და მინდიას მხარი წაჰკრა, - უსმინე რა ნათლად ლაპარაკობს: ქარხნები - მუშებს, მიწა კი გლეხებსო... ასეთი მკაფიო და ნათელი პროგრამა მოგისმენია ოდესმე?

მჭიდროდ შეკრულ ხალხში მარტინოვის ფიგურა ბუნდად ჩანდა... ის გადაყირავებულ საზიდარზე იდგა და სიტყვას ამბობდა, თუმცა არც მისი ნათქვამი აღწევდა აქამდე... წინ მდგომები დროდადრო ტაშით აგულიანებდნენ ორატორს, აქა-იქ ნაცნობი შეძახილებიც ისმოდა - ისევ იმ შინაარსისა, ტრანსპარატებზე რომ ეწერა... ლალაიანცი მინდიას მარტინოვის სიტყვას უმეორებდა:

- ფრონტზე მუშათა და გლეხთა საბჭოები უნდა შეიქმნას, მერე თანდათანობით ხელისუფლება მშრომელების ხელში გადმოვა...

დათოვლილ ქუჩაზე ჯარისკაცთა რაზმი გამოჩნდა. წინ ცხენოსანი კაზაკები მოდიოდნენ და შიშველი ხმლები შემართული ეჭირათ უნაგირებზე გადმოხრილებსა და ხალხის ასაჩეხად გამზადებულებს.

- დარბევას გვიპირებენ, - კბილები გაალრჭიალა და ქურქში ხელი ჩაიყო ლალაიანცმა, - მუშათა სისხლს ამათ არ შევარჩენ იცოდე... შენ კი არ გაიქცე... ჩვენიანი ხარ.

გასაქცევი ისედაც არსად იყო, რადგან დამსჯელ ჯარისკაცთა რაზმს ქუჩა ორივე მხრივ შეეკრა. მერე წინ იმათი მეთაური გამოვიდა და დემონსტრანტებს უყვირა, დაიშალეთო...

ხალხმა ყრუ გუგუნით უპასუხა.

- უუხ, თქვენი! - ისევ კბილები გაალრჭიალა ლალაიანცმა, უბიდან ნაგანი ამოიღო და ჯარისკაცებს ესროლა... მაშინვე საპასუხო ზალპი გაისმა და ხალხში რამდენიმე კაცი წაიქცა...

- არ შეშინდე, არ გაიქცე, - გიჟივით იმეორებდა სახეშეშლილი, გამხეცებული ლალაიანცი და ტყვიას ტყვიაზე ისროდა. დემონსტრანტებმა ყაზახებზე მიიწიეს... გაისმა მოკლე, წყვეტილი ბრძანება და ხმალშემართული ყაზახები ხალხისკენ გამოქანდნენ...

- წავიდეთ, თორემ დაგვხოცავენ, - მკლავში ხელი წაავლო და ძალით გაიყვანა გვერდითა ჩიხში აბორგებული ლალაინცი მინდიამ... ის კი უძალიანდებოდა, წასვლა არ უნდოდა, მერე დამორჩილდა და ძუნძულით გაჰყვა, თან ხმამაღლა იგინებოდა...

პეტროგრადის ცაზე ჩრდილოური ციალი ინავლებო-

და... ჩიხში ყრუდ აღწევდა ხმლების ჩახუნი, სროლის ხმა და დაჭრილთა კვნესა... ლალაიანცი და მინდია ეზო-ეზო ცდილობდნენ სასაკლაოს გაშორებოდნენ, მაგრამ თითქოს მოჯადოებულ წრეში ბრუნავენო, გასასვლელისთვის ვერ მიეგნოთ... სასაკლაოს ექო თან სდევდათ...

- უკან დავბრუნდეთ, - გაიწია ლალაიანცმა.

რამდენიმე ნაბიჯს იქით ქვის კედელთან დაჭრილი ჯარისკაცი იჯდა: არეულობისთვის თუ გამოერიდებინა მათსავით თავი... გვერდით შაშხანა ედო, მიბნედილი სახე გაფითრებოდა და ქალურად ნაზ, ლამაზ სახეზე დაისის ანაშუქი დასთამაშებდა... მარცხენა ფეხზე შინელი გადაეწია და ჩექმის გაძრობას ცდილობდა, იქვე კი სისხლს თოვლი გაეწითლებინა...

ლალაიანცმა დაჭრილთან მიირბინა.

- მიშველე, - შესცინა ჯარისკაცმა და წაიხარა, ჩექმას დაეჯაჯგურა.

ლალაიანცმა ნაგანი ამოიღო და ყმაწვილს კეფაში ტყვია დაახალა. მერე ჯარისკაცს წიხლი ამოსცხო. მკვდარი გადაყირავდა და გვერდულად წაემხო თოვლში.

ლალაიანცმა კიდევ გააჩხაკუნა სასხლეტი, მაგრამ, ეტყობა, მჭიდში ვაზნა აღარ იდო... უბიდან მასრა ამოიღო, დატენა იარაღი.

- არტემ რას შვრები? - მაჯაში უტაცა ხელი მინდიამ.

- იქით გაიწი! - შეუღრინა აგიტატორმა, თან იარაღიანი ხელის განთავისუფლებას შეეცადა, - გეგონათ, ჩვენი ძმების სისხლს შეგარჩენდით! ყველას დაგხოცავთ, თქვენი დედაც!..

დუჟმორეული, შეშლილი სახე მინდიას ახლო მიუტანა და ჩაუსისინა:

- ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია... გამეცალე!

ჩიხში რამდენიმე გამოქცეულმა დემონსტრანტმა შემოუხვია. ლალაიანცისა და მინდიას დანახვისას ჯერ შეყოყმანდნენ, მერე თამამად გამოსწიეს წინ. კეპჩამოფხატული, შავპალტოიანი კაცი მინდიას მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

მინდიამ მარტინოვი იცნო.

- გხედავ, ჩვენთან ხარ, - უთხრა მარტინოვმა თბილი, დაბალი ხმით და მინდიას თვალებით შესცინა, მკვდარი ჯარისკაცისკენ არც გაუხედავს, თითქოს ვერ ამჩნევსო...

მინდიამ თავის გაქნევით ანიშნა მიცვალებული.

- რა მოხდა? - ახლა კი იკადრა შებრუნება მარტინოვმა, - რაო, ლალაიანცმა მოკლაო? ეს ალბათ სამწუხარო გაუგებრობაა...

- დავინახე, როგორ დახვრიტა, - მტკიცედ მიუგო მინდიამ.

მარტინოვმა მხრები შეჰყარა.

- ექსცესებს ვერ ავცდებით, - თქვა მერე გულგრილად.

მინდიამ ხელი ჩაიქნია და მათ გაშორდა.

- გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, - მიაძახა მარტინოვმა და ისიც წავიდა, თანამოაზრენი გაიყოლა. კედლის ძირას თოვლში ჩამხობილი ჯარისკაცი კი ნელი-ნელ ხევდებოდა და საღამოს ბინდში ეხვეოდა... თოვლში ნაჟღენთი სისხლის ლაქასაც ეცვალა ფერი... გამუქებულიყო, ჩაეჟონა თოვლში და შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ქუჩაზე მიმავალ მოსამსახურე გოგოს ფეხი დაუცდა და ჟოლოს მურაბიანი ქილა გაუტყდა, იმ ადგილას კი ტკბილ წვენს დაეჩნია მომცრო ლაქა...

* * *

პუტილოვს ნევის პირას ჰქონდა სანყობები და იქ მთავრობის მიერ მიჩენილი ჯარისკაცები გუშაგობდნენ - საგანგებო სიტუაციაში ხელისუფლებამ დედაქალაქის მსხვილ მრეწველებს ყაზახ-რუსების ოცეულები მიამაგრა საყარაულოდ და მუშათა შორის მღელვარების აღსაკვეთად; ქარხანასაც ჯარისკაცები იცავდნენ; გარდა ამისა, ქარხნის პერსონალიდან ვინმე უთუოდ მორიგეობდა ღამღამობით, თუმცა ხანძრის გაჩენა მაინც ვერავინ გაიგო...

შეღამებისას კუზმა მოვარდა კაბინეტში და მინდიას უპატაკა, საამქრო იწვისო... ჯარისკაცთაგან ზოგი დამთვრალიყო, ზოგს კი აგიტაციის შედეგად პოსტი მიეტოვებინა და წასულიყო... მინდიამ მაშინვე ცოცხალი რიგი გააჭიმინა უახლოეს შადრევნამდე და მეხანძრეების მოსვლამდე ხანძრის ჩაქრობას ხელმძღვანელობდა... მალე ტელეფონით გამოძახებული საამქროთა გამგეები და ბუღალტერი მოვიდნენ. ცეცხლი უფრო ძლიერდებოდა...

- დოკუმენტაცია იწვის, - მწუხარედ თქვა სათვალიანმა ბუღალტერმა და ალმურმოდებული ადმინისტრაციული შენობისკენ გაიხედა.

მინდიამ ვიღაცას სათლი გამოსტაცა, ქურქზე წყალი გადაისხა და შენობაში შევარდა. იქაურობა კვამლს გაევსო და უცებ მიხვდა, რა უაზრო თავგანწირვა იყო აქ შემოსვლა... ქვეყანა ინგრეოდა და ქარხნის საბუთები ვიღას უნდოდა!.. პროტესტის აუხსნელმა შეგრძნებამ თუ შემოაგდო, საყოველთაო ნგრევისა და სისხლისღვრის საწინააღმდეგო გრძნობამ... კვამლის ბურუსში ხელგაწვდილი მიაბიჯებდა და უცებ მის წინ აბრიალებული თავხე ჩამოიქცა... მინდია გასასვლელისკენ შემობრუნდა და მის წინ კიდევ ჩამოვარდა ცეცხლმოდებული კოჭი... გასასვლელი ჩაეხერგა... კვამლი კი უფრო მატულობდა, თითქოს ჯოჯოხეთის წიაღიდან ამოდიოდა სქელი, მხუთავი ჯანღი და ქვეყნიერებას წამლავდა... ეს აღსასრული იყო... ცეცხლის ენებს შორის ვიღაცის აწოწილი, ხანძრით განათებული ფიგურა გამოჩნდა, ცეცხლის არილი მანათობელი შარავანდივით რომ შემოჰხვეოდა გარს...

- მომყევი! - უბრძანა იმქვეყნიდან მოვლენილმა აჩრდილმა, - მე გაგიყვან აქედან...

* * *

მანანის ბუჩქნარით მოფენილ ეწერს ჩრდილოური მწუხრის მზე დანათოდა და ფიორდებით დასერილ თოვლიან ყურეში ყინულის კრისტალებს აბრწყინებდა. საღამოსპირი იყო. უკაცრიელი ზღვის ნაპირი დუმილით გასუდრულიყო, თითქოს ქვეყნიერება აქ, ყინულით შეჭედილ სამეფოში თავდებოდა...

მინდია და ვილანდი ყურესთან იდგნენ და გადათეთრებულ ზღვას გაჰყურებდნენ.

მერე ვილანდმა უთხრა:

- სამხრეთით ვერ წახვალ - იქ ახლა სამოქალაქო ომია... შორი გზით მოგიწევს მოგზაურობა, თუმცა იქნებ გეფიქრა და ევროპაში წამომყოლოდი.

- სამშობლოში მინდა დავბრუნდე, - მკაცრად მიუგო მინდიამ, - მეყო ხეტიალი...

ვილანდმა საფულე გაუწოდა.

- ფრთხილად იყავი, ჩემო ბიჭო... ადამიანებს ერიდე!

ერთმანეთს გადაეხვივნენ და ვილანდი წავიდა... მინდია დაფიქრებული უყურებდა იმის ღრმა ნაფეხურებს ხვრიშ თოვლში და როცა მამობილი მუქ წერტილადღა იქცა შორეთში, ისიც შებრუნდა და შეუცნობელი მომავლის შესახვედრად გასწია.

* * *

ხან საზიდრით, ხანაც ურმით, ზოგჯერ კი მატარებლით რუსული სტეპი განვლო და ასტრახანს მიადგა - იქიდან ფიქრობდა შემობრუნებას და საქართველოში ჩასვლას, მაგრამ სამოქალაქო ომს მასზე უწინ ევლო და ვოლგისპირეთში გადმოცოცებულიყო... ახლა ჩრდილო კავკასიის მისადგომებსაც ანათებდა ომის არილი... მინდიამ გამყოლი იქირავა და დიდ მდინარეს დაუყვა, რათა კასპიის ზღვისთვის შემოევლო და ისე დაბრუნებულიყო სამშობლოში, მაგრამ დარწმუნებით როდი იცოდა, ეღირსებოდა თუ არა კვლავ ხევსურეთის ნახვა?!... ომი კვალდაკვალ მოსდევდა, ხან წინ გადაუსწრებდა, ხან გვერდზე დარჩებოდა და გარეული მხეცივით ერთობოდა მისი წვალებით, რაკილა იძულებული იყო ბრძოლის კერას გასცლოდა და დათოვლილ და უკაცრიელ ველებში ეძებნა ხსნა... ჩუვაში გამყოლი, ვინც ასტრახანში დაიქირავა, არც ჰოს ამბობდა და არც არას, გაუნძრევლად იჯდა მარხილის კოფოზე და ცხენს უვალი მარშრუტით ერეკებოდა. შავ მაჯლაჯუნასავით იძვროდა ცხენმარხილი ჰორიზონტამდე გაწოლილ თეთრ სივრცეში.

მგზავრობის მეხუთე დღეს ჩუვაშმა მარხილი შეაჩერა.

- პურგა იქნება, - თქვა ჩიქორთული რუსულით, - უნდა მოვემზადოთ.

ცხენი მარხილიდან გამოხსნა, მარხილი ააყირავა და ცხენი მის კავს გამოაბა სადავით. მერე ორივენი მარხილის საფარის უკან ჩასხდნენ. ცხენი მოახლოებულ ქარიშხალს გრძნობდა და ვერ ისვენებდა, ვრცელ სტეპს კი არაფრით ეტყობოდა, თუ მალე თოვლის კორიანტელი უნდა ამდგარიყო, მაგრამ ნახევარ საათსაც არ გაევლო, გრიგალმა რომ დაჰქროლა... ქარიშხალი თოვლს აბორიალებდა, ჰაერში აბნევდა, ფანტავდა და აქეთ-იქით დააქროლებდა, თითქოს ვინმე გოლიათი ხელით იღებს გობიდან ფქვილს და წალმა-უკუღმა ჰყრისო... მალე მარხილი თოვლით შეისუდრა და თეთრ ზვინს დაემსგავსა, ჩუვაში და მინდია კი ხელით ეჭიდებოდნენ კავებს, რათა პურგას მარხილი არ გადაეყირავებინა. ცხენი ჭიხვინებდა, თავს აქნევდა, გამუდმებით წრიალებდა... ბოლოს, სადავე გაწყვიტა და მოთეთრო ბურუსში დაოთხილი გაჭენდა...

ქარიშხალი ისევე მალე ჩადგა, როგორც ამოვარდა, ჩუვაში წამოდგა, ტყავის კალთები დაიბერტყა და ცხენის მოსაყვანად წავიდა. მინდია დიდხანს უცდიდა მეგზურს, მერე კი მიხვდა, აღარ დაბრუნდებოდა და ღრმა თოვლში გასწია წინ, უკომპასოდ, უორიენტაციოდ, რაკი ადგილზე დარჩენილი უთუოდ გაიყინებოდა.

* * *

მოლურჯო, ღრმა თოვლში მიაბიჯებდა. დროდადრო თოვლს დასწვდებოდა და პირს იმით იტენიდა, წყურვილი რომ მოეკლა. დასცხა, გაოფლიანდა... თავიდან მხნედ მიდიოდა, მერე ნაბიჯი დაუმძიმდა... თანდათან ჰკარგავდა თუ განგებ ყრიდა მარხილიდან წამოღებულ სამგზავრო ნივთებს, მსუბუქად რომ ევლო... ცა ღრუბლებს დაეფარა... უწყინარ, თეთრ ღრუბლებს და ამიტომ მზის მიხედვით გზას ველარ გაიგნებდა... არც იცოდა, საით მიათრევდა დასველებულ და დამბალ ფეხებს... უკვე ხშირად ისვენებდა, შუბლს იჩრდილებდა ხელისგულით, მიდამო რომ გაერჩია, თუმცა დასანახი ბევრი არაფერი იყო - ისევ ის რძისფერი თოვლიანი ტრამალი ერტყა გარშემო და ამ უსასრულო ველზე იძვროდა პაწაწინა გოჯილასავით... მუხლები ეკეცებოდა ერთი-ორჯერ ღრმად ჩაჯდა თოვლში და ხეების კორომი დაინახა... იქამდე თუ მიაღწევდა, შეეძლო ცეცხლი დაენთო (ასანთი გულის ჯიბეში ჰქონდა შენახული!), მწირი საჭმელი მოემზადებინა და დაესვენა... ფორთხვა-ფორთხვით გასწია ტყისკენ და ცდილობდა, თოვლში არ ჩაჩუმქრულიყო, თუმცა კი ნატანჯი სხეული უძრაობას სთხოვდა. ფუთა მოიხსნა, ზედ წვალებით წამოჯდა და ტყისკენ ზურგშექცეულმა სტეპს გახედა: სალამოსპირის რუხ სინათლეში მისკენ რამდენიმე მუქი წერტილი მოისწრაფვოდა... შორიდან პატარა მინდვრის ცხოველებს ჰგავდნენ და მართლა სინდიოფალებივით ანცად მოხტოდნენ და მორბოდნენ თოვლში, მაგრამ იმათ მოახლოებისას კი გულმა ავად შემოჰკვნესა მინდიას: მგლები იყვნენ, ხროვად დაწყობილნი ჩასდგომოდნენ კვალში... მინდიამ უბეში ჩაიყო ხელი, ნაგანი ამოიღო, მერე ფუთა ისევ მხარზე გადაიკიდა და ტყისკენ გაიქცა... იქ თუ შეასწრებდა, კიდევ იყო გადარჩენის იმედი. ან ხეზე ავიდოდა, ან ისეთ თავშესაფარს მოაწყობდა, მგლები ველარ მიუხტებოდნენ... ამ იმედით ატაცებული მირბოდა, მაგრამ ასე თავად ეჩვენებოდა მხოლოდ, რადგან კი არ მირბოდა, აცა-ბაცა მილასლასებდა გაუკვალავ თოვლში, ეცემოდა, დგებოდა, ისევ ეცემოდა და კვლავ მიფორთხავდა, თითქოს მინის ზედაპირზე მიცოცავს და კიდურები უცურდებაო... ფუთა უკვე აღარ ამძიმებდა, ქურქიც შემოიხსნა და თოვლს შავი ნაფლეთებივით ემჩნეოდა იმისგან დანატოვარი ნივთები... პირდაღებული, ხარბად სუნთქავდა, თითქოს წყალში სანახევროდ დაძირული ცდილობდა ტალღას ასცილებოდა და მაინც იძირებოდა თოვლის ხვავში, სულ უფრო ძნელად ამოდიოდა იქიდან და ხელ-ფეხი უკანკალებდა... შიში მიერეკებოდა გულგაყინულსა და მოცახცახეს, თუმცა გულსაც ველარ გრძნობდა - სადღაც დაბლა ჩავარდნოდა თითქოს, სხეულის გასწვრივ... იქნებ ფეხებშიც ედებოდა და ის იყო, საძრაობას რომ უშლიდა... ნაგანი უძალო თითებით ჩაებღუჯა, სახე განაცრებოდა და როცა კიდევ წაიფორხილა და ყირამალა გადაკოტრიალდა ღრმა თოვლში, იგრძნო მარჯვენა ხელი შემსუბუქებოდა...

ეს აღსასრული იყო... და სიმშვიდეც მაშინვე ეწვია... ნელა წამოჯდა თოვლის ბორცვაკზე და ხროვას გახედა: მგლები ისევ დაულალავად მორბოდნენ, არც აღელვება ემჩნეოდათ და არც დაღლა... სტეპის თეთრი, მელიისოდენა ნადირები იყვნენ, მაგრამ მინდიამ გამყოლისაგან იცოდა, რომ სისხლისმწყურვალეებით რუხ მგლებს არ ჩამოუვარდებოდნენ... ხალისიანად მოძუნძულებდნენ და კაცი უკვე მკაფიოდ არჩევდა მეწინავე ნადირის დრუნჩზე ჩამოლოპრილ დუჟის წვეთებს, ჩამავალ მზეს რომ ალმასივით აებრჭყვიალებინა... ხროვა თანაბარი სიჩქარით მოძრაობდა, დროდადრო რომელიმე მხეცი გაეცლებოდა დანარჩენებს, განზე გადაუხვევდა, მაგრამ მეთაურისთვის გასწრებას ვერცერთი ვერ ბედავდა. ის კი სულ ახლო იყო, უკვე ახლო მოჩანდა იმისი შავი დრუნჩი, კბილებს შორის გადმოკიდული სისხლივით წითელი ენა, ღრმად ჩამჯდარი თვალების ფოსფორული მზერა და წანწვეტებული ყურები...

მინდიამ ინსტინქტურად მოაფათურა ხელი თოვლზე, რაღაც მყარს მოუხვდა... ნაგანი იყო... მაშინვე ასწია და დაუმიზნებლად ესროლა ხროვას... მგლები უკვე მის წინ იდგნენ და სროლის ხმაზე მეწინავე ნადირი განზე გახტა, თუმცა უკან არ გაქცეულან, ნახევარწრედ შემორტყმოდნენ ოტებულ კაცს და რაღაცას ელოდნენ... ალბათ იმ წუთს, თუ როდის გამოეცლებოდა ძალა და მხნეობა და უომრად დანებდებოდა... მგლები კი თავდასხმას აგვიანებდნენ... მეწინავენი უძრავად იდგნენ თოვლში, მათ უკან ხროვაში ზოგი დაყუნცულიყო, რამდენიმე მხეცი კი თოვლზე გაწვა და ხოხვით ეპარებოდა კაცს... მინდიამ ახლა იმათ ესროლა... განაპირა მგელმა დაიწკმუტუნა და გაილურსა, თავი ტორებს ჩამოადო... მგლები თითქოს ნიშანს ელოდნენ, როცა რომელიმე მათგანი უნდა სძგერებოდა პირველი მსხვერპლს, თუმცა იმათი მშვიდი იერისა და კეთილმოსურნე მზერის შემხედვარე ვერავინ იფიქრებდა, თავდასხმისთვის ემზადებიანო... მინდიამ ისევ შემართა ნაგანი, ხროვის მეთაურს უსწორა შუბლში და ჩახმახს გამოჰკრა... ტყვია არ გავარდნილა, ჩახმახმა მარტო გაიტკაცუნა და ექო გადატეხილი წკირის ხმასავით გაისმა თოვლიან ველზე...

ხროვის მეთაურმა ოდნავ ჩახარა თავი, კუდი ნელა გააქნია... მინდიამ ბედს შერიგებულმა დაუშვა იარაღი - ნადირის ქვეშ-ქვეშა მზერაში ისეთი ნაპერწკალი გაკრთა, რამაც მიახვედრა, განწირული რომ იყო... ხროვაც თითქოს ამ წუთს ელოდა, თოვლზე გაწოლილი ნადირები წამოხტნენ და ადგილზე დაბზრიალდნენ, მეთაურს უკან ჩაყუნცულებმა კი ყმუილი გააბეს... მწუხარე, ნაღვლიანი ხმა გაისმა უკვე მწუხრით შესუდრულ თოვლიან სტეპზე, მიცვალებულისადმი მიძღვნილი რეკვიემის მსგავსი, რითაც მსხვერპლს აცილებდნენ თუ პატიებას სთხოვდნენ... მგლები შეუწყობლად ყმუოდნენ და თავები აეღირათ ღრუბლიანი დაბალი ცისკენ, თითქოს ღრუბლებს მიღმა მიმალულ არსთა გამრიგეს შესჩიოდნენ თავიანთ ხვედრს, მხეცები რომ იყვნენ, მხეცებად რომ გაეჩინა ღმერთს და იძულებულნი იყვნენ სულიერი მოეკლათ და შეეჭამათ...

* * *

მოგვიანებით, როცა განსაცდელმა გაიარა, მინდიამ ვერაფრით გაიხსენა, როდის დაინახა კორომიდან მომავალი კაცი... მაღალი იყო, ნადირის ბეწვეულში გამოხვეული, თავზეც მელიის ბეწვის ქუდი ეხურა, ფეხზე კი შინნაკერი ჩექმები ეცვა. დინჯად, უდარდელად მოაბიჯებდა, თითქოს ნადირთა ხროვას ვერ ამჩნევსო... მგლებს კი მის დანახვისას უცნაური მღელვარება დაეტყოთ: ყმუილი შეწყვიტეს, აცმუკდნენ, აწრიალდნენ და გაქცევა დააპირეს, მაგრამ რაღაც ძალა არ უშვებდათ - თითქოს უფსკრულის პირას ბზრიალებდნენ თავტანდაკარგულნი ან უხილავ ელექტრონის შიშველ მავთულს გადაეღობოს მათთვის გზა... კაცმა მსუბუქად გამოიარა კორომიდან ხროვამდე თოვლიანი სავალი და მხეცებთან მიახლოებისას მბრძანებლურად გაიშვირა მათკენ მარჯვენა ხელი... მგლებმა ყურები დალურსეს, თავები დაადირეს, ზოგი ძაღლივით აწკმუტუნდა, ჩახრილ თავებს აქნევდნენ და კუდს მორჩილად აქანებდნენ... ხროვის მეთაური დაიძრა და კაცს მიუახლოვდა, თან წინა თათით ფრთხილად სცემდა გატკეპნილ თოვლს... მოსულმა მგელს უშიშრად დაადო ხელი თავზე: ხროვის მეთაური მაშინვე ფეხქვეშ გაუგორდა და ჩექმაზე ლეკვივით გაეგლასუნა.

კაცი მინდიასგან მარცხნივ იდგა და არსაიდან გაჩენილს ჰგავდა, თითქოს სტეპის თოვლი ასვეტილიყოს თავისით და უცხო მენადირის ფიგურა შეექმნას, შავი და ბუნდოვანი, თავდაპირველ სისპეტაკეს მოშორვებული... ის დაიხარა და ხროვის მეთაურს რაღაც უთხრა... ნადირმა შეჰყეფა, წამოხტა და ხროვისაკენ მოჰკურცხლა... თითქოს ნიშანს ელოდნენო, მგლები მყისვე გაიფანტნენ ველზე...

უცხო კაცი მინდიას შემოუბრუნდა.

- თოვლზე წოლა გავნებს ძმობილო, - უთხრა ბოხი ხმით, ოდნავი აქცენტით, - თანაც, სადაცაა დაღამდება, ჩემი ქოხი კი ამ ტყის იქითაა...

* * *

ძელურში თბილოდა და ობისა და ნახშირის სუნი იყნოსებოდა. კუთხეში ციკლოპის წითელი თვალივით ანათებდა ღუმლის ჭრილი. ნარზე მიწოლილი მინდია მასპინძელს მდუმარედ უყურებდა, ტაფაზე კურდღლის ხორცს რომ ხრაკავდა.

მერე დაილაპარაკა.

- თქვენი მადლობელი ვარ, - თქვა მისუსტებული ხმით, - რომ არ მომშველებოდით, ალბათ დამგლეჯდნენ... ისე კი საოცრად გაგიწვრთნიათ მგლები...

კაცმა ტაფა აიტაცა და გამოჩორკნილ მაგიდაზე შემოდო.

- ნადირები იყვნენ, - თქვა დინჯად, - მათი ენა ვიცი...

სტუმარი ნარზე წამოიწია.

- საოცარია! - აღმოხდა მერე, - დაუჯერებელია...

- აქ უფრო მეტი საოცრებებიც ხდება, - მასპინძელმა მაგიდაზე ახლა კალის თეფშები და ტოლჩები დააწყო და მინდია სავახშმოდ მიიწვია.

როცა მაგიდას შემოუსხდნენ, კაცმა სქელი მინის ბოთლიდან ტოლჩებში არაყი ჩამოასხა. მინდიას საამოდ დაუარა ძარღვებში ცეცხლოვანმა სითხემ. კურდღლის ხორცს მსუყე ოხშივარი ასდიოდა. თითო-თითო კიდევ დალიეს და მასპინძელმა ახლაღა ჰკითხა, ამ მხარეს რამ მოგიყვანაო...

მინდიამაც მოუთხრო, როგორ დაკარგა ცხენი და მეგზური და როგორ უნდოდა უახლოეს დასახლებამდე მიეღწია...

- ორი კვირაში ბეწვეულით მოვაჭრეები ჩამოივლიან და იმათ გაგაყოლებთ... თქვენ, მგონი, სამხრეთით მიდიხართ, არა? შორი გზა კი გივლიათ...

- ვოლგისპირეთში ომია და იმიტომაც მიწია ასე გრძელი მარშრუტის შემოვლაო, მიუგო მინდიამ, მასპინძელმა კი თვალები მოწკურა, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და სტუმარს ძლივს შესამჩნევი ღიმილით შეაჩერდა... არაფერს არ გამოხატავდა ეს ღიმილი, გრიმასა იყო მხოლოდ, სახის კუნთის უნებლიე ტოკვა, ან იქნებ სტუმარს მოეჩვენა ასე, რადგან კაცს ოდნავ შეუთრთოლდა სქელი ტუჩები, თვალებში კი ფოსფორულმა ნაპერწკალმა გაურბინა... იქნებ შუქ-ჩრდილის თამაშის ბრალიც იყო ეს შთაბეჭდილება, სტუმარი რომ შეაკრთო, რაკიღა ღუმლის არილი ზურგიდან სცემდა კაცს და მისი განუჭვრეტი სახეც ბნელში ჩაძირულიყო, ბნელს შერთვოდა... მხოლოდღა ტუჩები მოუჩანდა გარკვევით და როცა ზედ გამოუცნობმა გრიმასამ გადაუარა, მინდიას მოეჩვენა მასპინძელი რაღაცის გაგებას ცდილობს, მაგრამ არ იმჩნევსო... მართლაც ეგ იყო: კაცი კარგა ხანს დუმდა, თეფშზე გადმოღებული ხორცისთვის ხელი თითქმის არ უხლია, მარტოკა კალის ტოლჩა ეჭირა ღონიერი, უხეში თითებით და სტუმარს უყურებდა, მაგ-

რამ როგორლაც უცნაურად შესცქეროდა, თითქოს ხორციელ არსებას როდი სჭვრეტს, ლანდს მისჩერებიაო...

ამის გამო იყო, სტუმარი რომ უხერხულად შეიშმუშნა და გაუბედავად დასწვდა ხორცის ნაჭერს. ამ დროს მასპინძლის ხმაც მოესმა - ეკითხებოდა, საიდან მოდიხარო...

- პეტერბურგიდან... იქ ახლა ომია... მეფე ჩამოაგდეს.

მასპინძელმა კიდევ უფრო მოწკურა თვალები. სხვა მხრივ არ შესტყობია, ნათქვამი გაიგო თუ არა... სტუმარი კი თეფშზე წაიხარა და კაცის დამცინავი კითხვაც ისევ გაიგონა:

- შეგეშინდათ და გამოიქეცით?

მინდიამ სწრაფად აილო თავი და მასპინძელს შეაჩერდა.

- შემეშინდა? - იკითხა მერე, - სამშობლოში მივდივარ... რისი უნდა შემშინებოდა.

მასპინძელმა ახლა კი გარკვევით გაიღიმა.

- აბა რა ვიცი... კაცისკვლის, ომის, არეულობის.

სტუმარმა ხორცი თეფშზე დადო და ქონიანი თითები პურის გულზე შეიწმინდა.

- იქნებ მართალი ხართ - თქვა მერე, - ოღონდ...

- ნარზე დაწექით, - მოულოდნელად გააწყვეტინა მასპინძელმა და წამოდგა, - მე გავალ, აქაურობას დავხედავ... ღამე ნადირი გვეტანება და არ მინდა ტყუილუბრალოდ შეწუხდეთ...

მაგიდას მოსცილდა, კუთხეში მიყუდებული თოფი აილო და კარი გამოაღო.

- ნუ დამელოდებით, გვიან დავბრუნდები, - დაუბარა და კარში გაალაჯა. სტუმარი კი მდუმარედ იჯდა მაგიდასთან და პურის გულს ასორსოლებდა, თან იმას ცდილობდა მოესაზრებინა, თუ როგორ დაეხსნა თავი ამ კაცისაგან, ვინც სიკვდილს გადაარჩინა...

* * *

ქოხის კუთხეში ჯერ კიდევ ანათებდა ციკლოპის მიმქრალი თვალი, როცა ძელურის ჩათბუნული მყუდროება რალაც გაურკვეველმა ფაჩუნმა შეატოკა... სითბოსა და სიბნელის წიაღ მოულოდნელად აღმოცენდა რალაც უცხო, შემაშფოთებელი, ძილ-ღვიძილში რომ შეაკრთო... ნარზე მიწოლილმა მინდიამ თვალი გაახილა, მაგრამ მაშინვე ისევ დახუჭა: თავს ლანდი ადგა - ახმახი, უშველებელი, ქოხის ჭერს რომ სწვდებოდა ლამის... ან იქნებ ასე ჩანდა, რადგან სიბნელისგან არ განირჩეოდა ლანდი, არც მოხაზულობა უჩანდა, თუმცა მინდია უტყუარად გრძნობდა, რომ ეს ხორციელი იყო, ადამიანის ლანდი წამოსდგომოდა ზედ და უთუოდ ზიზლით და სიძულვილით დასჩერებოდა... ეს უეჭველი იყო, მწოლარე თავისი შემკრთალი წიაღით გრძნობდა ამას, თითქოს ჩანასახივით მოკუნტული, ფარულ სარკეში უცქერდა კაცის დაღმეჭილ სახეს, სიძულვილით ანთებულ თვალებს... მარადიულ მტრობასა და ზიზლს გაეშეშებინა ლანდი, თუმცა რამდენიმე წამი თუ იყო, სტუმარს რომ დასცქეროდა... ქოხში ნელა ინავლებოდა წამები... მერე ღუმელში ნაცრად ქცეული შეშა ჩაიშალა და ლანდიც შეტოკდა, მის ხელში ხანჯალმა იელვა... მინდია მოკიჟული თვალით ხედავდა სატევრის პირზე აციმციმებულ მარჯნისფერ ბუნდ შუქს, თითქოს ლითონს თავისით გამოესხივებინოს იგი; თითქოს ოქროსავით ნიმბს გარემოეცვას ან ელექტრონს გაეკაშკაშებინოს... სატევრის წვერი ნელინელ იწევდა მაღლა, რათა იქიდან საშინელი სისწრაფით დაშვებულიყო და გაეგმირა სტუმარი, მაგრამ მინდიას საძრაობა წართმეოდა... სიცოცხლის წყურვილზე რალაც უფრო მეტმა შეგნებამ გააშეშა ზაფრადაცემული და მოწუსხული... მსხვერპლის უნიათობით ელოდა ხანჯლის დარტყმას, მაგრამ ღამეული ლანდი აყოვნებდა - ჯერაც შემართული ეჭირა ბასრი იარალი და რალაცას ელოდა...

გარედან შორეულ ექოსავით მოისმა მგლის ყმუილი. მერე იმას სხვა გამოეხმაურა და ქოხის მტრული სიბნელეც თითქოს გაცამტვერდა... მასპინძელმა იარალი დაუშვა, უხმოდ გაიარა ქოხი და კარში ისევე შეუმჩნევლად და უხმაუროდ გაძვრა, როგორც შემოვიდა...

მინდიამ ახლა კი გაბედა თვალის ახელა. ქოხში ისევ სიბნელე იყო, მაგრამ რალაც მქისე, ყროლი სუნი იყნოსებოდა... ის მაინც გადმობრუნებას ვერ ბედავდა რომ გაეგო, ლანდი ისევ იქ იყო თუ არა, და თუმცა გონება უეჭველად აჯერებდა, ქოხში არავინააო, აკანკალებული სხეული მაინც გრძნობდა ვილაც უკეთურის აქ ყოფნას...

* * *

ძელურის ახლოს თოვლი სისხლით იყო გაჟღენთილი. ადამიანისა და მხეცის ნაკვალევი არეულიყო ერთმანეთში, ცოტა მოშორებით კი ბრძოლის სავალალო ნამუსრევი - ნადირის მოგლეჯილი თათი ეგდო ობლად სპეტაკ თოვლზე...

სუსხიანი, კრიალა დღე იყო. მზე ნელი-ნელ მოიწევდა ჰორიზონტიდან - ისე ნელა, რომ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა ამას; თითქოს ტატნობზე კი არ მაღლდებოდა, ჰორიზონტის ხაზს მიჰყვებოდა გაუბედავად, რათა არასოდეს აღმოჰხდეს და ქვეყნიერებას არ გადმოხედოსო...

მინდია ქოხის წინ იდგა და თოვლის სითეთრე თვალს სჭრიდა. მერე გაუბედავად გაჰყვა კაცის ნაკვალევს... მასპინძელი წუხელ შინ აღარ დაბრუნებულა და ცნობისმოყვარეობით ატანილი, ისე მისდევდა იმის ნაფეხურს, თითქოს სადაცაა უფსკრულს გადააწყდებაო... ნაკვალევი კორომისკენ მიემართებოდა და მინდიამაც მალე დაინახა კაცი: კორომის წინ იდგა, მის ფეხებთან სამი მგელი იწვა თოვლზე... სტუმრის მიახლოებისას მასპინძელი არ შემობრუნებულა, არც მგლებს შეუმჩნევიათ რითიმე უცხო კაცის იქ ყოფნა, მშვიდად გართხმულიყვნენ ბეწვით მოსილი მონადირის ახლო და შორიდან ქანდაკებს ჰგავდნენ... მინდია გაუბედავად შეჩერდა ნადირებისაგან მოშორებით, კაცი კი დაიხარა, თოვლიდან ხორცის ნაჭერი აილო და მგლებს გადაუგდო... მხეცები მაშინვე წაესივნენ ნადავლს, კაცი კი მინდიას მოუტრიალდა:

- ეგ ხროვის წინამძღოლია, - მისალმების ნაცვლად ხელით მსხვილკისერა, ზორბა ნადირი უჩვენა, ხორცის ნაჭერი რომ დაითრია, გვერდზე გახოხდა და ძვლებს მაგარი კბილებით კვნეტდა, - სანამ ჭამას არ გაათავებს, სხვები ვერ მიეკარებიან...

მართლაც, დანარჩენი ორი მგელი შორიახლო დაყუნცულიყო და სევდიანი თვალებით უმზერდა, როგორ ნთქავდა წინამძღოლი ალისფერი ხორცის ნაჭერს...

- არ გინდათ შეიჩვიოთ? - მასპინძელი დაიხარა და ახლა სტუმარს გაუწოდა ხორცის ნაჭერი, - დამჯერები არიან, ადვილად დაგემორჩილებიან...

ის პირისპირ ედგა სტუმარს, თვალებში შესცქეროდა, მაგრამ არ იღიმოდა, თუმცა მინდია გრძნობდა, რომ კაცი სცდიდა, თითქოს გარს უვლიდა, რათა რალაც საიდუმლო

დაეტყუა მისთვის... თავიდანვე არ მოეწონა მინდიას ეს კაცი და თუმცა მისგან სიცოცხლით იყო დავალებული, ახლაც, წუხანდელივით, ფარული შფოთი იგრძნო... ეგ კია, მზის შუქზე უფრო მშვიდობისმოყვარე ჩანდა მისი მასპინძელი, სახეზეც მიამიტი იერი ედო და ქუთუთოების მოკიჟვით ცდილობდა მზერა დაემალა...

- გამომართვით, - გაუმეორა იმან და მინდიამ ახლაღა შენიშნა, რომ მის მასპინძელს ხელში მგლის კანჭი ეჭირა...

- ეგ რა არის? - ჰკითხა გაუბედავად.

კაცმა ხელში ისე შეატრიალა კანჭი, თითქოს პირველად ხედავსო...

- წუხელ მოვკალი, თქვენს გამო... ქოხის ახლო დაძრწოდა და ყმუოდა... არ მინდოდა, შეეწუხებინეთ, - მასპინძლის თვალში ახლა კი გაიელვა დამცინავმა ნაპერწკალმა, და მსხვილ ტუჩებზეც გაურბინა ოდნავ შესამჩნევმა თრთოლვამ, როგორც წყლის უძრავ ზედაპირს გადაუვლის ხოლმე მსუბუქი ფრთონა... მინდიამ გაშვერილი ხელი უკან გამოსწია...

- განა მგლები ერთმანეთს ჭამენ? - თითქოს შორიდან მოესმა მერე თავისივე ხმა.

კაცმა კანჭი დაყუნცული ნადირებისკენ ისროლა და ისინიც მყისვე წაესივნენ ალაფს.

- ნუ გიკვირთ, - თქვა მერე, - ესენი ადამიანისაგან დიდად არ განირჩევიან...

სტუმრისკენ გადაიხარა, თვალი ოდნავ ჩაუკრა, ჩურჩულით ამცნო:

- აკი გითხარით, აქ უფრო მეტ საკვირველებას ნახავთ-მეთქი...

- ვილაცას მაგონებთ, - მინდია შეეცადა მასპინძლის მზერა აერიდებინა და საუბარიც სხვა საგანზე გადაეტანა, - ადრე თუ შევხვედრივართ ერთმანეთს? მეორე დღეა აქ ვარ და სახელიც არ ვიცი თქვენი...

კაცი ისევ გასწორდა და მშვიდად მიუგო:

- ვოლკოვი დამიძახეთ... აქაურმა ბეწვეულის მოვაჭრეებმა შემარქვეს ასე... ნამდვილი ვინაობა კი არ დაგჭირდებათ...

- რატომ? არ გინდათ ვიცნობდეთ ერთმანეთს?

მასპინძელი უცებ მოიღუშა.

- უკვე ვიცნობთ, - თქვა მერე, - საკმარისზე მეტადაც.

- მეც ასე მგონია, - ნაძალადევი ხალისით ალაპარაკდა სტუმარი, რათა შიში დაეძლია, - ერთ ყმაწვილს ვიცნობდი პეტერბურგში... ის ბიჭი მკვლელობისთვის გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს.... ჰოდა, ვიფიქრე...

- ცდებით, - უკმეხად გააწყვეტინა კაცმა, - პეტერბურგში არასოდეს ვყოფილვარ...

- ის ყმაწვილი ტერორისტული დაჯგუფების წევრი იყო, - ჯიუტად განაგრძობდა სტუმარი, თითქოს მასპინძლის უტყვ გააფთრებას ვერ ამჩნევსო, - პეტერბურგელ დიდმოხელეს ხიდთან ჩაუსაფრდნენ და ყუმბარებით ააფეთქეს... ოთხი უდანაშაული ჩაფარიც დაიღუპა იმ ადგილას...

კაცს სახე დაეშარნა, ტუჩები კი ზიზლით მოებრიცა.

- მგლებს სისხლი უყვართ. - თქვა მერე ღვარძლით, მაგრამ გააფთრება აღარ დასტყობია, - წინამძღოლობისათვის ჩხუბობენ და ამ ბრძოლაში სუსტი იღუპება...

- იმ დღეს ოთხი უდანაშაული ადამიანი მოკვდა.

ვოლკოვს მსხვილ ტუჩებზე ნეტარების ღიმილი გადაეფინა.

- რა მგელი, რა ადამიანი. - თქვა მერე ტკეპნით, დაგემოვნებით, თან გამშრალი ენით ტუჩი მოილოკა, - ამათთან ცოტა ხანს მაინც თუ დაჰყოფ, მიხვდები, რომ ორივე ერთია.

მან რაღაც დაუყვირა მგლებს და იმათაც მაშინვე მიატოვეს ჭამა, უკან დაიხიეს და უნადინოდ წაძუნძულდნენ კორომისაკენ.

- ქოხში დავბრუნდეთ, - მინდიას უთხრა ვოლკოვმა, - ვიცი, მოგშივდებოდათ... მინდა ნანადირევის ხორცი გაგასინჯოთ.

* * *

ბეწვეულით მოვაჭრეებმა ათი დღის შემდეგ ჩამოიარეს და მინდია და ვოლკოვი იმათ გაჰყვნენ მარხილით სამხრეთისაკენ... მინდიას ეუცნაურა, ვოლკოვმა რომ ქოხი აფიცრა და მარხილში არხეინად ჩაჯდა - რაც ერთად ცხოვრობდნენ სტეპში, ერთი სიტყვითაც არ უთქვამს მასპინძელს, თუ აქაურობის მიტოვებას და სადმე გამგზავრებას აპირებდა... კითხვით კი ვერაფერი ჰკითხა, რადგან ეს კაცი აზრინებდა, რაღაც ყრუ, ფარულ შფოთს გრძნობდა იმის სიახლოვეს და სიტყვის თქმაც ეძნელებოდა... ისევ მასპინძელმა განუმარტა თავისი მიზანი: მინდიას გაკვირვება რომ შეამჩნია, ვოლკოვმა ჩაიცინა და ახლა ორფეხა მგლებთან მივდივარო, უთხრა...

უახლოეს დაბამდე მეტად აღარ დალაპარაკებიან ერთმანეთს; ბეწვეულით მოვაჭრემ ისინი ნაცნობ მეშჩანთან დააბინავა. თოვლი უკვე დნებოდა და ფურგონით უკვე შეიძლებოდა გზის განგრძობა, თუმცა სადილის შემდეგ დაბაში სახეტიალოდ წასულმა ვოლკოვმა ცუდი ამბავი მოიტანა: სამოქალაქო ომი აქაურობასაც მოსწვდენოდა...

- მახლობელი ქალაქები წითლების ხელშია, - ამცნო მან მინდიას და სკამზე ჩამომჯდარმა ფეხი ფეხზე გადაიდო, - მალე აქაც კომენდანტის საათს გამოაცხადებენ... ასე რომ, წასვლას არ გირჩევთ, სანამ არ გაარკვევთ, ვის მხარეს ხართ.

მინდიამ მხრები აიჩეჩა.

- ვის მხარეს უნდა ვიყო? - თქვა მერე უნადინოდ, - შინ მინდა წასვლა.

ვოლკოვმა გაიცინა.

- მიამიტი კაცი ყოფილხართ... გგონიათ, წყლიდან მშრალი ამოხვალთ? ომს თავისი კანონი აქვს.

- რომელი კანონი?

- ძლიერი იმარჯვებს, სუსტი იღუპება... გახსოვთ, რომ გითხარით, მგლები წინამძღოლობისათვის იბრძვიან და ამ დროს ვილაც კვდება-მეთქი?!.. თქვენ კი იუცხოეთ ეს ამბავი, ვითომ არ იცოდით, რომ მგლები ერთმანეთს ჭამენ...

- ისინი მგლები იყვნენ. ჩვენ ადამიანები ვართ.

ვოლკოვმა ისევ გაიცინა და ტუჩი მოილოკა,

- მგლები, ადამიანები... - თქვა მერე თვალებმილულულმა, - კანონი კი ყველასთვის ერთია... თუ არ გჯერათ, ნახავთ, რა მალე ირწმუნებთ ჩემს სიმართლეს.

- პეტერბურგში რევოლუციონერთა შორის ნაცნობები მყავდა, - ფიქრიანად თქვა მინდიამ, - იმათ უფროსთან მივალ და ვთხოვ, გამიშვას.

ვოლკოვი უცებ გამოფხიზლდა, სკამიდან წამოიწია და მოსაუბრეს მკაცრად შეხედა.

- ესეიგი მაინც მოგიხდენიათ არჩევანი? რატომღა მეუბნებოდით, ვითომ ნეიტრალური ვარო...


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

- რევოლუციას როდი თანავუგრძნობ, - განუმარტა მინდიამ, - ომი და კაცისკვლა მძულს. ის ხალხი ჩემი სტუდენტობისდროინდელი მეგობრები არიან... ალბათ გეცოდინებათ.

- მე რატომ უნდა ვიცნობდე? - სწრაფად გააწყვეტინა ვოლკოვმა, - ხომ გითხარით, პეტერბურგში არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი... თანაც, რად გგონიათ, რომ ნაცნობობის ხსენებით ამათ გულს მოულბობთ, თუკი მათნაირი არ ხართ?! როგორ თქვით, რა მძულსო?

- ომი, სისხლისღვრა...

- გეშინიათ?

- კი არ მეშინია, ადამიანისთვის შეუფერებელი მგონია.

- ესეიგი მარტო მგელია მხეცი და ნადირი! - ვოლკოვს ისევ დამცინავი მზერა გამოესახა თვალებში და ტუჩი დაებრიცა, - ვერ ბედავთ, თორემ თქვენც განა მათნაირი არ ხართ?! სისხლი კი არ გაშინებთ, გაუბედაობა გბორკავთ...

- მე არავინ მომიკლავს.

თითქოს ამას ელოდაო, ვოლკოვი გაიბადრა.

- ცოდვის შვილი ხართ და ვერ ხვდებით... თქვენი წინაპრები ხომ ჰკლავდნენ! ვერც თქვენ აიცდენთ ამ ხვედრს... თუ არა და დაიღუპებით.

- შინ მინდა წასვლა, - გაიმეორა მინდიამ, - სულ ესაა, რაც მსურს... ხვალ კომენდანტთან მივალ და ვთხოვ გამიშვას...

მან ვოლკოვს შეხედა და მის მზერაში ფოსფორული ნაპერწკალი შენიშნა... მაგრამ ვოლკოვმა სწრაფად დამალა მზერა, ადგა, მინდიას ზემოდან გადმოხედა და ცივად უთხრა:

- თქვენს ადგილას ევროპაში დავბრუნდებოდი... აქეთ არ უნდა წამოსულიყავით... თუმცა უკვე აქ ხართ და ამას ახლა აღარაფერი ეშველება... მიდით იმ თქვენს კომენდანტთან და ვნახოთ რას გეტყვით... იქნებ სასწაულიც მოხდეს და გაგიშვან კიდეც...

და მან საძაგლად ჩაუკრა მინდიას თვალი, თითქოს თანამზრახველად უხდებაო...

* * *

სამხედრო კომისარიატი იმ შენობაში მოეთავსებინათ, რომელშიც ადრე ერობის კრება იმართებოდა. შაშხანიანმა ჯარისკაცმა მინდიას ზანტად მიუთითა შესასვლელი.

- მეორე სართული... მარჯვნივ.

ეზოში წითელარმიელები ირეოდნენ. მინდიამ კიბე აიარა და კარზე დააკაკუნა.

- შემოდით! - მაშინვე მოისმა შიგნიდან ღრენის მსგავსი ბოხი ხმა.

მინდიამ კარი შეაღო და ზღურბლზევე გაშეშდა: კომისრის მაგიდას ვოლკოვი უჯდა, სამხედრო ფორმა ეცვა და წინ დაწყობილ ქაღალდებს ფურცლავდა...

- აა, მოხვედით! - მან ქაღალდები განზე გადასდო და მინდიას ხელით ანიშნა, მაგიდას მოსჯდომოდა... წამითაც არ შესტყობია შეცბუნება, საქმიანად და მბრძანებლურად ჰკითხა, რა გნებავთო.

მინდია გაუბედავად წავიდა სკამისაკენ, გამოსწია და დაჯდა.

- თქვენა ხართ კომისარი? - ჰკითხა მერე.

- გიკვირთ?

- არა, სრულიადაც არა, მაგრამ... ასე უცებ...

- მგონი, თქვენ მარტო მგლების მომთვინიერებელი გეგონეთ, - ვოლკოვმა ახლადგაპარსულ სახეზე ხელი მოისვა და მინდიასაკენ გადმოიხარა, - რევოლუციასაც სჭირდება მომთვინიერებლები...

- რად უარობდით, პეტერბურგში არ ვყოფილვარო? - მინდია შეეცადა, ვოლკოვისთვის თვალებში შეეხედა, მაგრამ ის გვერდულად შეტრიალდა და მისკენ არ იხედებოდა. მერე ადგა, ფანჯარასთან მივიდა და ძირს გადაიხედა.

- იმიტომ, რომ არ მინდოდა დროზე ადრე გცოდნოდათ ჩემი ვინაობა, - თქვა შემდეგ ხმადაბლა.

- გეგონათ, გაგამხელდით?

- მაგისი როდი მეშინოდა. არ მინდოდა რევოლუციაზე გული აგცრუებოდათ.

— ვითომ ასე უფრო შემაყვარებთ რევოლუციას? იმის შემდეგ, რაც თუნდაც პეტერბურგში ვნახე?

ვოლკოვი შემობრუნდა და მოსაუბრეს შეაჩერდა.

- ვერ გაიძულებთ, სისხლისღვრა შეიყვარეთ-მეთქი, მაგრამ მონის ბრძოლასაც აქვს აზრი. თავისუფლებისათვის, - თქვა მერე, - მარტო მონები არ იბრძვიან. ეს მინდა გაიგოთ.

- ესეიგი თავისუფლება კაცისკვლით მიიღწევა?

ვოლკოვს სქელ ტუჩებზე ჩვეული ღიმილი გადაეფინა.

- გეტყობათ, პეტერბურგში დიდხანს გიცხოვრიათ, რაკი პაციფიზმი სრულად შეგითვისებიათ... რევოლუციის შედეგი როდი მაინტერესებს... მარტო იმას მინდა მიხვდეთ, რომ მონური წარმოდგენისა და ჩვევების ტყვე ხართ, გამბედაობა გაკლიათ.

- თუ რევოლუციონერი არ ხართ, ამ კაბინეტში რაღას აკეთებთ? ვისაც კი ვიცნობდი რევოლუციონერებს, ყველა კაცობრიობის ნათელ მომავალზე ოცნებობდა... თქვენ კი... თქვენი ვერაფერი გამიგია.

ვოლკოვმა ჩაიცინა და მაგიდას მიუახლოვდა. ერთხანს ასე იდგა თავდახრილი, მერე თავი აილო და მინდიას ზემოთ გაიხედა. მოწყენილი სახე ჰქონდა.

- ხვალ დილით მაცნეს გამოგიგზავნით და ქალაქგარეთ წაგიყვანთ... რევოლუციის ნამდვილი სახის საჩვენებლად... მერწმუნეთ, სინამდვილე ისეთი როდია, როგორც ეს პეტერბურგელ თეორეტიკოსებს ჰგონიათ.

მან გაურკვევლად აუქნია ხელი მინდიას, რაც აუდიენციის დასრულებას თუ ნიშნავდა.

მინდია წამოდგა.

- იმის იმედი თუ მქონდეს, რომ აქედან გამიშვებთ? - იკითხა მერე.

ვოლკოვმა თავი დაუქნია.

... საშვს მოგცემ, მაგრამ ამაზე ხვალ ვილაპარაკოთ... შინ აღარ მოვალ, აქ ვრჩები.

* * *

დათქმულ დროს შაშხანიანმა წითელარმიელმა მოაკითხა მინდიას ბინაზე. დილაბნელი იყო, ციოდა, ღამე ისე იცრიტებოდა, თითქოს სულთა გაყრის ჟამია და სიბნელე სამუდამოდ უნდა მიიცვალოსო... ქუჩაში გაყინული თოვლჭყაპი ხრაშუნებდა ფეხქვეშ. წითელარმიელი წინ მიუძღოდა მინდიას. დაბას გასცდნენ და უშენ ალაგას გავიდნენ. ალიონის მღვრიე ნისლეულში მინდიამ ჯარისკაცთა ოცეული დაინახა - თხრილის წინ იდგნენ სამხედრო ყაიდაზე და ეტყობა, ბრძანებას უცდიდნენ.

თხრილთან ახლო ვოლკოვი მიმოდიოდა წინ და უკან. მინდიას დანახვისას იგი შებრუნდა და რაზმს გასძახა:

- ფიოლეტოვ, აქ მო!

ოცეულის უფროსმა სირბილით მოაშურა კომისარს, თან მარჯვენა ხელით მხარზე გადაკიდულ შაშხანას იმაგრებდა. თხრილს რომ მოაღწია, შედგა და ხელი ქიმიანი ვარსკვლავით დამშვენებულ ქუდთან მიიტანა.

- ტუსაღები სად არიან?

- მოჰყავთ, ამხანაგო კომისარო!

- კარგი, წადი, დაბრუნდი ოცეულში.

ფიოლეტოვი ისევ უკან გაიქცა.

- მარჯვე ბიჭია, ცოცხალი, - ვოლკოვი მინდიას თითქოს მხიარულად შესცქეროდა, მაგრამ თვალებში ყინვიანი დღის სუსხი ეტყობოდა, - ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებს... სანიმუშო ჯარისკაცია... აჰა, ისინიც.

დაბის მხრივ დაბორკილ ადამიანთა მწკრივი გამოჩნდა. ფეხშიშველა ტუსაღებს ხამი ტილოს საცვლები ეცვათ და გაყინულ თოვლზე კანკალით მოაბიჯებდნენ.

- ესენი კონტრრევოლუციონერები არიან, - განმარტა ვოლკოვმა, - ჯარს სურსათს უმალავენ... პეტროგრადიდან ინსტრუქცია მომივიდა სხვათა დასაშინებლად სანიმუშოდ დავსაჯო... ფიოლეტოვ! — დაიყვირა მერე ისევ. - მზად ხარ?

- მზად ვარ, ამხანაგო კომისარო!

ტყვეები თხრილის წინ დააყენეს, ვოლკოვმა ნაგანი ამოიღო და მინდიას გაუწოდა.

- ამ ბრიყვებს არ ესმით, რომ რევოლუცია მათ სასიკეთოდ ხდება, - თქვა მერე იქედნურად, - მონები იყვნენ და მონურად კვდებიან. თქვენ კი არ გინდათ, თავისუფლება იგრძნოთ?

- არამზადა ხართ, ვოლკოვ! ვნანობ მაშინ იქ, პეტერბურგში რომ გადაგარჩინეთ.

ვოლკოვმა პირქუშად გაიღიმა და ნაგანი ბრტყელი ტარით ხელისგულზე დაირტყა.

- მადლიერებაც მონის თვისებაა... თუმცა ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, - მან ფიოლეტოვს ანიშნა და ოცმეთაურმაც მყისვე წამოიყვირა, ოცეულო, სწორდიო...

- სმენა! თოფები წინ!

ჯარისკაცებმა შაშხანები მხრებიდან ჩამოიღეს და ტიტველ ტუსაღებს მიუშვირეს ლულებით.

- ცეცხლი!

გაისმა ზალპი და რამდენიმე ტუსაღი თხრილში ჩაყირავდა. სხვები იქვე ჩაიკეცნენ, სადაც დახვრეტამდე იდგნენ.

მინდია მიბრუნდა და თოვლში გაალაჯა.

- კომისარიატში შემომიარეთ, საშვს მოგცემთ, - დაადევნა ვოლკოვმა და მინდიას მისი სიცილი მოესმა... ხმადაბლა იცინოდა, ჩაკუჭკუჭებით და სიცილის ექოც იქვე ტრიალებდა, თხრილის ახლო, სადაც დახოცილი ტუსაღები ეყარნენ და თოვლი იმათ სისხლს გაეწითლებინა.

* * *

თათრეთისა და უდმურტეთის ველებზე გაზაფხული მოვიდა. თოვლი ჩაშრა, ჩაილია, შავად ამოჩენილ მიწაზე კი სიმწვანე ამოლაღანდა. სარსარაკები ბუდეებს იკეთებდნენ სტეპში, ნაზამთრალი ხის რტოებზე კი, ტყეში, მსუქანი როჭოები თვლემდნენ.

როგორც კი ვოლკოვი მოიცლიდა, ის და მინდია სანადიროდ მიდიოდნენ. ვოლკოვი სარსარაკებსა და როჭოებს ესროდა, თუმცა მჟავე იერზე ეტყობოდა, ნადირობა დიდად არ აინტერესებდა, უფრო მინდიას გვერდით ყოფნა უნდოდა... მინდიას კი ისევ ვერ დაეღწია თავი ამ საშინელი კაცისაგან... ვოლკოვი საშვის მიცემას კი შეჰპირდა, მაგრამ გზები გაუვალი იყო... ვოლკოვი აიმედებდა, ჯარისკაცთა ათასეულს გაგაყოლებო, თუმცა ჯარის გადაადგილებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა - იქ, სამხრეთით, მტერი იყო და ვოლკოვი რუსეთის შუაგულიდან დახმარებას ელოდა... დაბაში უკვე გამოილია სურსათი, მოქალაქეები აიყარნენ და სხვაგან გადასახლდნენ, ზოგი სტეპში გაიქცა და ვოლკოვიც უძლურად აღრჭიალებდა კბილებს, რაკი გასაძარცვი და წასაგლეჯი აღარავინ იყო...

ტუსაღების დახვრეტის შემდეგ ის თითქოს შეიცვალა, უფრო თავაზიანი გახდა, თუმცა მინდია ხვდებოდა, ვოლკოვი თავისი მარცხის დამალვას ცდილობდა. - კომისარიატში ათენებდა და აღამებდა და მინდიაც მარტო ცხოვრობდა ნაცნობი მეშჩანის ცარიელ ბინაში (ბინის პატრონი დაბაში წითლების შემოსვლისთანავე გაქცეულიყო!), თუმცა ისე ეჩვენებოდა, ვოლკოვი ჩემს სიზმრებშიც მყოფობს და ყველა ჩემი სურვილი იცისო... ძილშიც ყოველ წუთს ელოდა, ან ახლა წამომადგება თავს ან ახლა, როგორც მაშინ, ქოხში, სატევარი რომ მოუღერა და აღარ ჩაარტყა... რად დაინდო? ან რად უნდოდა, რომ მოეკლა? ვოლკოვი ისეთივე განუჭვრეტი იყო, როგორც უმთვარო ღამის ნიაღი, თუმცა რაღაც იზიდავდა მისკენ, რაღაც ენეოდა; ამიტომაც იყო, მოსალოდნელ ხიფათს არ ერიდებოდა და თანამგზავრს უვალ ადგილებში დაჰყვებოდა...

შორს მაინც ვერ მიდიოდნენ, რადგან სტეპი საშიში იყო: ომმა კაციც და ნადირიც ველად გამორეკა და თუმცა ვოლკოვი მხეცებზე მბრძანებლობას იქადნიდა, მაინც ფრთხილობდა, მინდიას გვერდიდან არ შორდებოდა და უკანაც შებინდებისთანავე ბრუნდებოდნენ... ჩვეულებრივ, გაკვალული ბილიკებით ვიდოდნენ, მაგრამ ერთხელ გზა აებნათ ტყეში და უდმურტთა პატარა დასახლებას წააწყდნენ... შორიდან უცქერდნენ ტყავის კარვებს შორის მოფუსფუსე უცხო ადამიანებს, მერე ვოლკოვი თამამად გაემართა წინ და შემხვედრ დედაკაცებს რაღაც ჰკითხა იმათებურ ენაზე...

დედაკაცებმა დიდ იურტაში მიიყვანეს მონადირეები, სადაც წრიულად ისხდნენ ჭარმაგი უდმურტები. კარავში შუაცეცხლი ენთო და ქვაბით რაღაც იხარშებოდა. მინდია და ვოლკოვი მითითებულ ალაგას დასხდნენ. მალე იურტაში ტანმაღალი, მწყაზარი ქალიშვილი შემოვიდა და ხის თეფშები შემოიტანა... ქალიშვილმა ქვაბს თავი ახადა, ჩამჩით ამოურია და თეფშებზე ხორცის ნაჭრები ამოიღო.

- გველის ხორცია, - ნასჩურჩულა ვოლკოვმა თანამგზავრს, - აქაურ დელიკატესად ითვლება...

გოგო მინდიას წინ შეჩერდა და თეფში გამოუწოდა.

-შამანის ქალიშვილია... უარი არ უთხრა, თორემ უპატივცემულობად ჩაგითვლიან. - მხარი გაჰკრა ვოლკოვმა და თავად მყისვე დასწვდა ხორცის ნაჭერს, პირისკენ გააქანა.

მინდიამ ხორცი მოციცქნა და ზიზღით შეჭამა.

ქალიშვილმა რაღაც უთხრა.

- მოსასვენებლად გვეპატიჟება... ამაღამ აქ დავრჩეთ, შინისკენ მაინც ვერ გავიგნებთ გზას, - წამოდგა ვოლკოვი

და მინდიაც აჰყვა. გოგომ ისინი ალაჩუხებს შორის ატარა და განაპირა კარავში მიიყვანა. კარავში ნადირის ტყავები ეგო და ბნელოდა. მინდია და ვოლკოვი ტყავებზე დაწვნენ, მაგრამ არც ერთს არ ეძინებოდა... უბრად იწვნენ და ბანაკის ხმაურს უსმენდნენ. მერე მინდიას ჩაეძინა. ძილში იგრძნო, როგორ წამოდგა ვოლკოვი და მიუახლოვდა, მაგრამ აღარ შეშინებია, რადგან ვოლკოვი უიარაღო იყო... აღარც ზიზღი და გააფთრება ემჩნეოდა, წუთით დახედა მძინარს, შემდეგ მიბრუნდა და კარვიდან გავიდა...

გარედან მაშინვე მოისმა ძაღლების ღავლავი, რასაც საბრალო წკმუტუნი შეენაცვლა... მინდიამ თვალი გაახილა და ახლა სხვა ლანდი დაინახა... სიბნელეში თითქოს იცნო კიდეც, მაგრამ ლანდი სწრაფად შემოუძვრა ლოგინში და მინდიამ ქალის ცხელი, რბილი სხეული იგრძნო...

გამთენიისას გოგო შეუმჩნევლად გაძვრა კარვიდან. მინდიამ ჩაიცვა და ბანაკში გამოვიდა. ვოლკოვი არსად ჩანდა. მის საძებრად მინდიამ თითქმის მთელი ბანაკი მოიარა, თუმცა ვერსად ნახა... კარგა ხანს უცადა თანამგზავრს და მერე შინისკენ გასწია... ბანაკს რომ გასცდა, ბილიკზე დაგდებული, ყელგამოღადრული ქოფაკი შენიშნა... მკვდარ ძაღლს დუჟი შეხმობოდა დაკრეჭილ კბილებზე, თვალები გაყინვოდა, იარაზე ბუზები ეხვეოდნენ... ვოლკოვს აქეთ გაუვლიაო, გაიფიქრა მინდიამ და ნაბიჯს აუჩქარა...

* * *

სამხრეთისკენ ჯარის გაგზავნა ისევ გვიანდებოდა, რადგან სტეპში თეთრგვარდიელები ბატონობდნენ და რევოლუციის წინსვლაც შეყოვნებულიყო... ვოლკოვი მალიმალ გზავნიდა შუაგული რუსეთისაკენ ხან დეპეშას, ხანაც მაცნეს დახმარების სათხოვნელად, მაგრამ იქაც ომი იყო და ჯარისკაცები არ კმაროდნენ... ვოლკოვი იგინებოდა, დეზერტირებს და დაუმორჩილებლებს ხვრეტდა, უფროსებს პატაკს სწერდა და... სანადიროდ მიდიოდა... მინდიაც ისევ თან დაჰყვებოდა... ომს და გარემოებას განუყრელად ექცია ისინი, ტყუპ ძმებად, ერთმანეთს რომ ვერ დაშორებოდნენ... უწინდებურად სტეპში დაეხეტებოდნენ და ერთიორჯერ უდმურტთა ნაცნობ დასახლებასაც მიატანეს, მაგრამ რაღაც უთქმელი შეთანხმებით, იქ აღარ მისულან... მინდიას ბარემ კი უნდოდა გოგოს ნახვა და ვოლკოვი რომ არ ჰყოლოდა გვერდით, იქნებ მოეძებნა კიდეც, მაგრამ თანამგზავრის დამცინავი შემოხედვა განზრახულს გადაათქმევინებდა ხოლმე... შამანის ქალიშვილი არასოდეს უხსენებიათ, ოღონდ მინდია ხვდებოდა, ვოლკოვმა ყოველივე კარგად იცის და ეგ კი არა, იქნებ ამანაც შემომიგორა ლოგინშიო... ამიტომაც ერიდებოდა ნაცნობ ადგილებს, რათა ვილკოვის დასაცინი არ გამხდარიყო...

სტეპი კი ყვაოდა. ათასნაირი ყვავილი და ბალახი ხასხასებდა აქ ფერად ნაყშად, ველი რომ მოექსოვათ. ჰაერსა და მიწაზე ხან ჩუმი, ხანაც ხმამაღალი ზრუნი და ჭვრინვა ისმოდა... მიწა უჩინარი ძალმოსილებით იშმუშნებოდა, თითქოს სიცოცხლის თრთოლვა უვლისო... მინდია და ვოლკოვი ნორჩი არყნარით მოფენილ ტაფობში ისხდნენ და ველს გაჰყურებდნენ. გვერდით ბუჩქნარს მუმლი დასტრიალებდა და ბუზები დაბზუოდნენ. ვოლკოვი ჩუმად იჯდა, თოფი ლაჯებში ჩაეყუდებინა, კბილები დაეკრიჭა და დაძაბული იყურებოდა. სახე განურჩეველი ჰქონდა, თითქოს სტეპსა და ცას ვერ ამჩნევს, თავის თავში ჩაყურსული, თავისივე ეული წიაღიდან ამოზრდილიო... უცნაური ფერი დაჰკრავდა, მიცვალებულს რომ ამსგავსებდა: სახმარად უვარგისი, ყავლგასული ნივთისა, სამყაროს შექმნის ჟამს რომ აღმოცენებულიყო ელემენტთა შემთხვევითი თხზვით, ჟანგმოდებული და მოძველებული, მიწასავით ბებერი მატერიისაგან წარმოქმნილი... ვოლკოვი უცხოდ გამოიყურებოდა კრიალა ცის ფონზე, მცირე, მცირეზე უმცირეს დანამატად, მიწის კოჟრს რომ ჰგავდა... მინდია უყურებდა და შიშს აღარ გრძნობდა, თითქოს ჩახვდა კიდეც იმის საიდუმლოს - მარტოობისა და განკერძოების ვარამს, რაღაი ვოლკოვი ეული იყო, არსთაგან განცალკევებული და ბოროტებაღა ჰქონდა ფარად, რათა თავისი სიმარტოვე დაეცვა... იქნებ გრძნობდა კიდეც თავის წარმავლობას, მაგრამ, თითქოს ხვედრს შეჰგუებიაო, მორჩილად იჯდა, სამარადისო წყევლით დადაღული...

ბუჩქნარი შეინძრა და იქიდან ერთმანეთის მიყოლებით ექვსი რუხი მგელი გამოძვრა. მინდიას არც ახლა შეშინებია, უგრძნობელად უყურებდა, როგორ მივიდნენ ნადირები ვოლკოვთან და იმის ფეხებთან გაწვნენ... ახლა კი აღარ იყო მარტო ვოლკოვი, მგლებს შუა მჯდარი, წარმართული კერპივით ამოსულიყო თითქოს მიწის უხანო წიაღიდან... მგლები მშვიდად იწვნენ, თავები წინა თათებზე ჩამოედოთ და ისე თვინიერად იყურებოდნენ, თითქოს ამათაც თავიანთი მგლური ბუნება სტანჯავდათ, თითქოს ერიდებოდათ, მხეცები რომ იყვნენ და მიწისა და ცის ჰარმონიას ამღვრევდნენ გამოჩენით... ვოლკოვი არ განძრეულა, ოღონდ წარბი აუთამაშდა და მზერაში ფოსფორული ნაპერწკალი გაუკრთა... მინდიამ თვალი გააყოლა იმის მზერას და არყნარში შამანის გოგო დაინახა... დობილებთან ერთად მოდიოდა, ხელში ლაფნის კალათები ეჭირათ და ეტყობოდათ, მხლის საკრეფად ყოფილიყვნენ აქეთ...

მგლებმა დაიღრინეს, მაგრამ ვოლკოვმა მაშინვე ჩააჩუმა ისინი ხელის აქნევით... მერე წამოხტა და ქალიშვილისკენ გაემართა. მსუბუქად მიდიოდა, ნადირის ნაბიჯით, მიპარვით და დანდობილად, რათა მსხვერპლს არაფერი ეგუმანა...

მგლების დანახვაზე გოგონებმა მაშინვე მოჰკურცხლეს, მარტო შამანის ქალიშვილი იდგა ტყის პირას და შიშნეულად იღიმოდა... ვოლკოვი ჯიქურ მიადგა, მხრის გაკვრით ხეს მიაგდო, მერე ქამრიდან ნაგანი იძრო და გოგოს კისერში ატაკა ლულით...

მინდია წამოხტა, მაგრამ მხეცებიც მყისვე წამოიქოჩრნენ და გარს შემოადგნენ... მინდია ხედავდა იმათ დაღრენილ ლაშებს, ანაპერწკლებულ თვალებს და უცებ მოდუნდა, მოიშალა...

ვოლკოვმა გულისპირი ჩამოახია გოგოს, კისერზე დაეკონა, დალოშნა... ცალი ხელით პერანგს უფხრეწდა, თითქოს ნანადირევ ფრინველს ბრტყვნისო, ცალით კი ნაგანის ლულას ულიტინებდა ფერდში... შამანის ქალიშვილს კალათი გაუვარდა, ნაწნავი ჩამოეშალა, ვოლკოვმა კი მარჯვედ ამოუყარა პერანგის უბიდან ქათქათა ძუძუები და დვრილზე უკბინა...

გოგომ შეჰყვირა... თითქოს ამ ნიშანს ელოდნენო, მგლები შეინძრნენ და ხროვის მეთაურმა, - იმან, მინდიას სიახლოვეს რომ იდგა, დაიყმუვლა... კვლავ საბრალო და ბეჩავი კილო მოისმა ნადირის ხმაში, სევდიანი რამ ჰანგი, თითქოს ახლაც მსხვერპლს ებოდიშებიანო, მაგრამ მინდი-

ას ეს აღარ ეყურებოდა,—კონდახით მირეკ-მორეკა მგლები და ვოლკოვთან მიირბინა, ასწია თოფი, დაუმიზნა:

- ხელი გაუშვი! - უბრძანა მერე.

გოგოს ჩაფრენილი ვოლკოვი ნელა შემობრუნდა... მსხვილ ტუჩებზე ბოროტი ღიმილი გადაეფინა, ნიკაპი მოექცა. თვალებმა ფოსფორული ელვით გაუბრწყინეს და მან ნელა შემართა ნაგანი.

- მოდი და წაიყვანე!

შემდეგ ნადირივით დაკრიჭა კბილები, ნერწყვი გადმოაფურთხა და გადმოაყოლა:

- ლაჩარო!

მინდიამ შუბლი მოიწმინდა მაჯით... ვოლკოვის სახება გაქრა და მის ალაგას თორმეტი წლის მსხვილტუჩება ბიჭი აილანდა.

- მგელიკა!

ვოლკოვმა ტუჩი მოილოკა.

- ცდები! — თქვა მერე ღრენით, - მე მგელიკა არა ვარ... მე შენი წინაპრების ცოდვა ვარ...

შემდეგ ნაგანი ასწია და მინდიას დაუმიზნა.

- მესროლე, თორემ დაგასწრებ!

მინდიას შემართული ეჭირა თოფი, მაინც აყოვნებდა. ვოლკოვმა ისევ გაიღიმა.

- ვერ ბედავ, არა?! ვითომ წმინდანად მოგაქვს თავი... არ გინდა მე მემსგავსო, - მოულოდნელად ჩახმარს ფეხი გამოუშალა და ტყვიამაც ბექს გასწივლა... ხროვის მეთაური შეხტა, დაიყმუვლა და დაეცა...

მინდიამაც უნებურად გამოჰკრა სასხლეტს თითი... ჩახმახმა გაიჩხაკუნა და ტყვია არ გავარდა.

ვოლკოვს სახე სარკასტულმა ღმეჭამ მოუქცია.

- ვერ მომკლავ, ხოგაის ძევ! - მან ზურგსუკან დამალული ხელი წამოიღო და მომუჭული მუშტი გაშალა: ხელისგულზე ბერდანის ტყვია ედო...

- გეგონა, ჭკუით მაჯობებდი! - ღვარძლიანად თქვა და ტყვია მინდიას გადმოუგდო. მინდიამ უნებურად გადადგა ბიჯი. ვოლკოვმა გადაიხარხარა.

- მიდი, აილე! - შეჰყვირა რაღაცნაირი გაშმაგებით და ნაგანი შეათამაშა... პირველყოფილმა მძვინვარებამ შეუცვალა სახე, აცეკვდა, ათამაშდა, ნაგანი მინდიას უსწორა და ამ დროს უკნიდან შამანის ქალიშვილი დაეჯაჯგურა, მკლავს ჩამოეკიდა... ვოლკოვმა მხარი აიქნია და ტყვია მეორედ გავარდა... მინდიამ ტკივილი იგრძნო მკერდში, იქვე ჩაიხვენა, ტანი თბილმა სითხემ დაუსველა და ქვეყნიერებაც ნელ-ნელა გაფერმკრთალდა, თითქოს ბურუსში იძირებაო...

* * *

თვალი რომ გაახილა, ვილანდი დაინახა - მისკენ გადმოხრილი ჭრილობას უხვევდა.

- ბევრი სისხლი დაგიკარგავს, ჩემო ბიჭო, - უთხრა ისე მშვიდად, თითქოს გუშინ დაშორებოდნენ ერთმანეთს - აი, ეს დალიე.

მან თავი წამოუწია და უფერული სითხით სავსე შუშა პირთან მიუტანა. მინდია დაიმანჭა. სითხეს მყრალი გემო ჰქონდა, უწმინდური არსების ნახარშს ჰგავდა. მიწურს, სადაც ის იწვა, მარტო ჭრაქის შუქი ანათებდა.

- იწექი, არ ადგე, - უბრძანა ვილანდმა, რაკი შეამჩნია, დაჭრილი წამოწევას ლამობსო... მერე საწოლზე ჩამოუჯდა და მოუთხრო, როგორ ეპოვნათ უდმურტებს ველზე თითქმის სისხლისგან დაცლილი და აქ მოეყვანათ, მიწისქვეშეთში...

- ის... ის სად არის? - ვოლკოვზე ჰკითხა მინდიამ.

ვილანდი მიუხვდა.

- იქ დატოვეს... დაცემისას თავი ხის კორძისთვის დაუკრავს და უგონოდ იყო თურმე...

მერე ვილანდი იმასაც მოუყვა, თუ როგორ შეხვედრიან ვოლკოვისა და მგლების ნახვით შეშინებული და ტყეში გაქცეული გოგოები მონადირეებს და ამათაც თოფის სროლითა და ყვირილით დაუფრთხიათ მგლები, მინდია კი აქ მოუყვანიათ და მარცვლეულის შესანახ მიწისქვეშეთში დაუმალავთ, რაკი შიშობდნენ, ვოლკოვი მოვა და აქაურობას ააწიოკებსო...

მინდია ხმაგაკმენდილი უსმენდა.

- აქ საიდან გაჩნდი? - ჰკითხა მერე.

- გავლით ვარ, ჩემო ბიჭო, შემთხვევით შემოვიარე...

არც ახლა და არც მაშინ, ალმოდებული შენობიდან რომ გამოიყვანა ცოცხალი და უვნებელი, ვილანდს მინიშნებითაც არ დასცდენია, რა ჯადო-ძალის მეოხებით ჩნდებოდა იმ წუთსა და იმ ადგილას, სადაც და როდესაც მის შვილობილს განსაცდელი ელოდა... აღარც მინდიას უკითხავს მეტი, რადგან ლაპარაკის ნიათი არ ჰქონდა და ნატყვიარი მკერდიც ეწვოდა...

- აქ ნუღარ დარჩები, - მკაცრად თქვა ვილანდმა, - თორემ ის კაცი მოვა და მოგკლავს... ფულს მოგცემ და მალე გაეცალე ამ ადგილს... თუ გინდა ევროპაში წავიდეთ.

- შინ მინდა დავბრუნდე, - ამოიხავლა ავადმყოფმა.

- როგორც გენებოს! გამყოლს გიშოვნი და ის გაგაცილებს სამხრეთისაკენ... იჩქარე, ჩემო ბიჭო, თორემ ომი გადაგყლაპავს...

ვილანდი ერთი კვირა უვლიდა ავადმყოფს, იმ თავის უფერულ წამალს ასმევდა და მინდიაც მომჯობინდა. ტანზე სასწაულებრივად გაუქრა ნატყვიარი... სიარულიც შეეძლო, მაგრამ ვილანდი არ აჩქარებდა.

— ის კაცი სტეპში გეძებს და აზრადაც არ მოუვა, აქ რომ ხარ, - უთხრა მერე, - თუმცა აქ უფრო საკვირველი ამბებიც ხდება... წამყე, გაჩვენებ.

ჩირალი აილო და ტალანს გაჰყვა, რომელიც მალე მოთავდა და არცთუ ვრცელ დარბაზში შევიდნენ. ვილანდმა ჩირალი წინ გაიშვირა: დარბაზის შუა ხის კიდობანივით მოჩანდა ფიცრული ამაღლება და ზედ სავარძელი იდგა.

სავარძელში უძრავად იჯდა ჩია, თეთრწვერა კაცი.

- უდმურტების შამანია, - თქვა ვილანდმა, - მკვდარი არ არის, მაგრამ არც ცოცხლობს - რამდენიმე ათეული წელია ეგრე ზის, უდმურტები მოდიან და ამოწმებენ, გაიღვიძა თუ არაო...

- როგორ, მკვდარი გაცოცხლდება?

ვილანდმა ჩირალი ახლა მინდიასაკენ შემოაბრუნა და ამანაც მამობილის სახეზე დაძაბული, თითქმის ზეიმური ყურადღება დაინახა.

- მთავარი ეგ როდია, შამანი გაიღვიძებს თუ არა: - თქვა მერე ყრუდ, - ჩვენ ვიღვიძებთ თუ არა, ეს უნდა იკითხო...

მერე ჩირალი ისევ თავზემოთ ასწია და თეთრწვერა ბერიკაცს მიაშუქა.

- გეყოფა სანტიმენტები, ჩემო ბიჭო, — ჩაიბუზღუნა მან, - სიკვდილს ხომ არ ვაპირებთ... შენც უნდა იცოცხლო...

**დასასრული შემდეგ ნომერში**



**თამაზ ხარაიშვილი**

* * *

კარის ჩამოკეტვის,
დაძინების დროა.
ღრუბლის პროცესიას
მკვდარი მთვარე მოაქვს.
დაასვენებს სადმე
შენი სარკმლის ახლოს.
მთვარის სასაფლაოა
შენი სამოსახლო
აპასიონატა —
სიოს ქროლა მშვიდი.
გარეთ თეთრად კვნესის
მთვარის პანაშვიდი.

* * *

უკვე პირველის ნახევარია
და ვეთხოვები ღამეს მთვარიანს.
გადავდე წიგნი, ჩავაქრე ლამფა,
რითმა ამაღამც დამრჩება ცალფა.
არადა, მსურდა ისე მეკინძა,
რომ არ შეხსნოდათ სტროფებს საკინძე
ლამაზი ქალის გულისპირივით,
მაგრამ გამომდის ისევ პირიქით —
სულის დამალვას რარიგ ვეცადე,
მაინც კვამლივით ადის ზეცამდე.

## ვირჯინია ვულფი

დიდხანს კვდებოდა, სული და ხორცი
ვერ გაიყარა მშვიდობიანად.
ზოგჯერ სიცოცხლე ადრე წავიდა,
ზოგჯერ სიკვდილმა დააგვიანა.

იგი ხელჯოხით მიდის ნაპირთან
და ფეხაკრეფით ერთვის მდინარეს.
კვდება ნელ-ნელა, კვდება თანდათან
თუ საუკუნოდ თავს იმძინარებს?!

წუთისოფლიდან ისე გავიდა,
როგორც ხომალდი გადის პორტიდან.
რომ არ შებმოდა სიკვდილს სიკვდილით,
გულს ჭილყვავივით დაუკორტნიდა.

* * *

გელოდი, დიდხანს გელოდი
და თამაშივით მართობდა —
წვიმა, რომელიც არ წვიმდა,
თოვლი, რომელიც არ თოვდა.

მოშარიშურე ნიავი
სურვილით ხანძარს აქრობდა.
ამოძრავებას ველოდი
ქარის, რომელიც არ ქროდა.

დრო ჩერდებოდა, ოხრავდა,
ხანაც ყიჟინით გარბოდა.
სულ ჭრიალებდა წინკარი
სახლის, რომელიც არ მქონდა.

ვერ ჩამოვუგდე ვერავის
სიტყვა ცხოვრების ავ-კარგზე.
ამაოდ ვიყავ მძებნელი
დარდის, რომელიც დავკარგე.

სულ აღმა-დაღმა ვიარე
ამ წუთისოფლის შარაზე.
თურმე „რა ვქნისა“ ყოფილა,
ციხე, რომელშიც ჩამრაზეს.

## ვედრება

კედელზე სურათი:
მონასტრის გუმბათი,
გარს ნაძვთა სიმწვანე,
მდუმარე სიწყნარე.
მოელის ნიავქარს,
თოვლს, ფიფქთა მინანქარს.
სიმშვიდე მორჩილთა
მომწყურდა, მომშივდა.
მართალს და უბრალოს,
მარტივად, უბრალოდ,
მოხედენ, უფალო!

## მამის ხსოვნას

ვატან ქარებს დანაბარებს —
ტყემლის ყვავილების ბწკარებს.
წყაროს — ჩუმად მონანწკარეს,
დილის სილბოს — ცვარ-ნამნარევს.
სხვა რა გითხრა? გაზაფხულდა,
მზეა შინ და მზეა გარეთ.

სამშვიდობოს გაღწეული,
ცხადლივ ვხედავ, რასაც ცდილობ.
მე ვერაფრით შემეწევი,
ცოდვილი ვარ და ვცოდვილობ.

...ეს ჩვენება არ მცილდება,
სითბოს აფრქვევს, არ ცივდება:
ხელთ გიპყრია მთვარის შუქი,
ვინაც გიყვარს, ყველას ჩუქნი.

### მტკვართან

ამღვრეული ამინდი...
ამღვრეული სული...
ამღვრეული მტკვარი...
ამ რვეულის კიდეს
მივაწერე ლექსი —
დარდის სახსოვარი.
ღამე მტკვარში ჩაჰფენს
ლამპიონთა წყების
მოციაგე ფარდაგს.
აღარავინ მწყევლის,
სიხარული ოდნავ
წელში გაიმართა.
ამ ამღვრეულ ამინდს
ამღვრეული სული
ეთხოვება მტკვართან.

* * *

სახეს დარდი დაუხატავს —
ლურჯი ზოლი გასდევს უპეს.
გული ლექსის მარანია,
ჩაწურე და ჩააგუბე.

ამა სოფლის სანახელი
უნდა ავსო მტევან-მტევან.
ვილაც უნდა შედგეს ფეხით
ყურძნის სისხლის დასალევად.

არც ლექსზე და არც ღვინოზე
არასოდეს მითქვამს ძვირი.
ერთ სხეულში ორი სახლობს —
მელექსე და ქაშნაგირი.

* * *

ხმა ჩამესმის გამუდმებით,
ზეციერი მამშვიდებს.
თუმცა ებრძვის გამეტებით
ხორციელი სამშვინველს.

ბედი სადღაც დაწანწალებს
ღობე-ყორეს ედება.
შავი თეთრად ეჩვენება,
ჯოჯოხეთი — ედემად.

მყუდროს ვეძებ, რომ გადვურჩე
ხორშაკსა და თაღარას.
ჩემი ყოფნა-არყოფნისგან
აღარ დარჩა არღარა.

* * *

აღარ მწყალობს ძველი,
არც ახალი აღთქმა,
მიმატოვა ჯვარმა,
მიმატოვა ხატმა.
ამ ცხოვრების რა ვთქვი!!
იმ ცხოვრების რა ვთქვა?!

### სულის საოხი

დრო ყველაფრის წამალია,
ბოლოს ყველას გვიშველის.
ქარს ღრუბლები წაუღია,
ცა დამყურებს შიშველი.

მინდა სადმე დავემალო,
ჩემს ჩრდილს ამოვეფარო.
შენ დამბურე, შენ შემმოსე,
სულის თეთრო ზეწარო.

თუ ყოველი სიზმარია,
ამიხდინე პირიქით.
გამიგრძელე წუთისოფლის
მობარბაცე ბილიკი.

### სამი ლექსი ერთ ლექსად

მიჰყევი მთვარის ნაკვალევს,
მისდიე დასალიერთან.
ცათა სავსება იხილე,
თუ სული დაცარიელდა.

თავზე დაგნათის სიბნელე
ცივი სხივებით გამთბარი,
თავდება, აღარც თავდება
სოფლის წყალ-წყალა ზღაპარი.

ჩამოიმღერა დოლაბმა,
გაჰფანტა ფქვილი და ქატო,
რა დარჩა დასახატავი,
შენ რომ სცადო და დახატო.

ვინ გადასწია ნიშნული
ცხოვრების საზღვარ-სამანის.
დრო მიდის, უფრო ცივდება
მინის ნოტიო საბანი.

### ძველ მეგობრებს

აღარ ხარობთ, მართალიც ხართ
დარდი უფრო შეგფერით.
თქვენ ის საქართველო გახსოვთ —
ლამაზი და ბებერი.

კაცი — გმირი, ხოლო ქალი —
შეფაკლული ღაწვებით,
„მისალმება — ქუდის მოხდით,
ალავერდი — ყანწებით“.

კაცი გახსოვთ მეომარი,
ქალი — აკვნის დამრწევი.
საქართველოს გულის ფეთქვა,
ტანძიაში, ძარღვში.

ახლა სხვა ვართ, წარსულისა,
აბა, რა შეგვრჩენია.
ქალი პუდელს ასეირნებს,
კაცი შოუმენია.

გული ტირის, როცა გხედავთ
მწუხარეს და მოსევდილს,
თქვენ ის საქართველო გახსოვთ
აფხაზეთით, ოსეთით.

დაილია, აღარ არის,
ფრთები შემოაკვეცეს,
თეთრი დათვი მოერია —
ატირებს და აკვნესებს.

შინაურიც გაყოყოჩდა,
დღეს გვითენებს უმზეოს.
წელიწადში ორჯერ გვეუკავს,
როგორც ბალღებს უზნეოს.

ნეტავ, რაღა გაგვიფანტავს
დარდის ღრუბელს ნამშლილს,
რომ ისევ ვთქვათ სადღეგრძელო
ჩვენი დაშლა-არმოშლის.

* * *

დროება დადგა გასაგიჟარი
ჟამი სიძვის და ჟამი სიყალბის.
თავისუფლება დაჭერის ქარიით,
აღარ სჭირდება სირცხვილს ნიღაბი.

ნაცარქექია ჩოხას ისწორებს,
უნდა მოაჯდეს მფრინავ ხალიჩას.
მისთვის ქვეყანა ქერის ორმოა,
ველარ ელევა, რაკი გასინჯა.

არვინ გამოჩნდა ჩვენი შემხიდე,
არც პატრონი გვყავს, არც მყვარებელი.
გვირაბის ბოლოს მოსჩანს ბნელეთი,
იქ მიქრის ჩვენი მატარებელი.

# ოძისის მუზეუმი: სინამდვილე და მოლოდინი

**(გვესაუბრება გიორგი და დავით ერისთავების მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორი დიმიტრი რუსია)**

— **ბატონო დიმიტრი, რა ხდება ოძისის მუზეუმში?**

— პირდაპირ უნდა გითხრათ, მუზეუმი სავალალო მდგომარეობაშია. დარბაზებში წყალი ჩამოდის, აივნის იატაკი დალპა და იმტვრევა, რიკულები თითქმის მთლიანად დასცვივდა, ორი სვეტი გამოეცალა და ჰაერშია გამოკიდებული, კიბეც შესაკეთებელია. მუზეუმის ძალებით მოვახერხეთ ბაზალტის კიბის დაწყობა, მაგრამ ეს დროებითია.

— **ასეთ ვითარებაში ექსპოზიციის მოწყობას აქვს თუ არა აზრი?**

— აქვს. ნამდვილად აქვს. მუზეუმი სწორედ იმისთვის არსებობს, რომ ექსპოზიცია მოაწყოს და დამთვალიერებელი მოიზიდოს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილებასთან ერთად, სამ დარბაზში გამოვფინეთ ექსპონატები. ორი დარბაზი ეთმობა გიორგი ერისთავს, ერთი — მის ვაჟს, დავითს. მეოთხე დარბაზში, სადაც მიკროსცენაა, ერისთავების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა მოვაწყვეთ.

სულ 826 ექსპონატია.

— **როცა მუზეუმში მოხვედით, მაშინ რა ვითარება იყო?**

— დირექტორად 1989 წლის 22 სექტემბერს დავინიშნე კულტურის სამინისტროს ბრძანებით. მაშინ ახალი დაწყებული იყო სარესტავრაციო სამუშაოები, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი მარჯანიშვილი და სამეურნეო სამმართველოს უფროსი თეიმურაზ ფირცხალაიშვილი.

პირველი, რაც გავაკეთე, იყო ის, რომ კატეგორიულად მოვითხოვე სამუშაოების შეჩერება.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ყველაფერი ძალიან ცუდად კეთდებოდა. ჭერზე აკრავდნენ უხარისხო თაბაშირის ორნამენტებს, მარანში მუხის კოჭები მოეხსნათ და იატაკი ჩავარდნაზე იყო, ძველი რიკულების ნაცვლად უსახურ იმიტაციებს აყენებდნენ, „შავ“ და „თეთრ“ იატაკებს შორის ტოლს აფენდნენ და მიწით ავსებდნენ, რაც უთუოდ ლპობას გამოიწვევდა.

— **კი, მაგრამ, თუ ასეთი უხარისხო პროექტი იყო, მუზეუმის ხელმძღვანელობა რატომ დათანხმდა?**

— გიორგი ბასილაშვილი გახლდათ ჩემი წინამორბედი. როგორც გავარკვიე, არც მას მოსწონდა შესრულებუ-

ლი სამუშაოების ხარისხი, მაგრამ რაღას იზამდა. მუზეუმი ნახევრად დაკეტილი იყო. თანამშრომლები ლამის საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდნენ, განახევრებულ ხელფასებს იღებდნენ. ექსპონატები ერთ ოთახში იყო შეყრილი და არავის აინტერესებდა.

ერთი სიტყვით, შევაჩერეთ რესტავრაცია. მას შემდეგ, სამწუხაროდ, აღარაფერი გაკეთებულა.

**— არ გიცდიათ რესტავრაციის განახლება სხვა პროექტით, სხვა გზით, სხვა საშუალებებით?**

— როგორ არ გვიცდია, დღე ერთი იყო და ასჯერ ვაწუხებდით ზემდგომ ინსტანციებს, მაგრამ საქმე ვერ დავძარით.

**— მაინც ვის მიმართავდით დახმარებისთვის?**

— ყველაზე ხშირად დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობას. ადრე დუშეთის რაიონს ვექვემდებარებოდით.

მართალი გითხრათ, დახმარებაზე უარს არ ამბობდნენ, მაგრამ მწირი შესაძლებლობები ჰქონდათ. წლიურად იძლეოდნენ გარკვეულ თანხას, რაც მხოლოდ საექსპოზიციო ნივთების შეძენას თუ ეყოფოდა.

**— ამ დროს პირადი ინიციატივა წყვეტს ბევრ რამეს.**

— სწორედ პირადი ინიციატივით იყო, რომ 1991 წელს დავიწყე ხის ექსპონატების რესტავრაციაზე ზრუნვა. თბილისში, სარესტავრაციო სახელოსნოში ჩამოვიტანე ერისთავების ნაქონი მაგიდები, სავარძლები, სკამები, კარადები. იყო ერთი ბრწყინვალე რესტავრატორი — ფარსადან ერისთავი, ხელოვნების მუზეუმში მუშაობდა. ყველაფერი მას ჩავაბარე. დაიწყო კიდეც მუშაობა, მაგრამ იძულებული გახდა გაჩერებულიყო, რადგან ფულის გადარიცხვას არ დაადგა საშველი. სულ 35 ათასი მანეთი ჯდებოდა, მაგრამ რაიონმა ვერ შეძლო ამ თანხის გაღება და ეს საქმეც ჩაიშალა. რაც ჩამოვიტანე, ყველაფერი უკან წავიღე. გზაში ბევრი ნივთი მოირყა და დაზიანდა. ყველაფერი თანდათან იშლება. თუ ახლავე არ ვუშველეთ, მერე გვიან იქნება.

**— თუ არ ვცდები, 2008 წლიდან მუზეუმი კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. ამით რა შეიცვალა?**

— შეიცვალა ის, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესის სფეროში მოვექეცით. ეს გვაიმედებს.

არის კიდევ ერთი სიახლე. შეიქმნა სამეცნიერო საბჭო, რომლის კომპეტენციაში, სამეცნიერო კონსულტაციების გარდა, ზემდგომ ინსტანციებთან კავშირები და შუამდგომლობაც შედის.

**— რამდენი წევრია სამეცნიერო საბჭოში?**

— ექვსი. ესენი არიან: კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **გიორგი კალანდია,** საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების მთავარი კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ელდარ ნადირაძე,** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი,** ჟურნალ „ვაზი და ღვინოს" რედაქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **თეიმურაზ ღლონტი,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **კოტე ჩოლოყაშვილი,** ქუთაისის მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი **გიორგი ზანგური.** მეშვიდე გახლდათ საქართველოს სახალხო არტისტი **ზურაბ ქაფიანიძე.** ღმერთმა ულხინოს მის ნათელ სულს.



*დიმიტრი რუსია*

**— ახლახან იუბილე აღნიშნეთ. მუზეუმს დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა.**

— ზეიმი ზეიმია, მას თავისი წესი აქვს და ჩვენ ეს წესი არ დაგვირღვევია. იუბილე აღვნიშნეთ ისე, რამდენადაც შეგვეძლო და რამდენადაც შეგვეფერებოდა. ზარზეიმისთვის დღეს არც ერთ მუზეუმს არ სცალია.

სხვათა შორის, მუზეუმი შეიქმნა 1961 წლის 24 სექტემბერს დავით ერისთავის შვილიშვილის ელისაბედის ინიციატივით. მანამდე ამ საქმისთვის შალვა დადიანსაც გაუწევია ღვაწლი.

**— შენობა როდის არის აშენებული?**

— მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტის დასაწყისში. ამას თედო სახოკიას მიერ მოპოვებული ცნობაც ადასტურებს. სასახლეს გალავანი არ ჰქონია, რადგან როცა აშენდა, მაშინ საქართველო უკვე რუსეთს იყო შეერთებული. მუზეუმის გახსნამდე ჯერ სოფლის საბჭო იყო შესახლებული, შემდეგ კოლმეურნეობისა და მეურნეობის კანტორა.

2008 წელს მუზეუმმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიიღო.

**— როგორ გესახებათ მუზეუმის მომავალი?**

— დღესვე თუ არ ვუშველეთ, ამაო იქნება მუზეუმის მომავალზე ფიქრი. დაგეგმილია პრაქტიკული ნაბიჯები და, ვფიქრობ, ამჯერად გაგვიმართლებს. კულტურის სამინისტრო და ძეგლთა დაცვის სამმართველო გაისად სარემონტო სამუშაოების დაწყებას გვპირდებიან.

ერთი სიტყვით, იმედიანად ვართ.

**ესაუბრა**
**ვაჟა ბეთანელი**



თეკლა არშბა

## თარა

იარამ გახლიჩა კეტგუტის ძაფები...
ქრილობა არ მტკივა და ეგეც მაშინებს,
სამყაროს დასასრულს ვერაფრით გავედი,
და ჩემი გრძნობები ვერ გადავარჩინე,
ამაო, გოდების სმენად ვარ ქცეული.
ფიქრები ეხლება, ნერვების კარიბჭეს,
არა მაქვს იმედი, და ფრთებდამსხვრეული
სული სხეულზე გადამაბიჯებს.
...
იარას ვერ უძლებს, კეტგუტის ძაფები,
ქრილობა მეხსნება და აღარ მაშინებს,
სამყარო დავტოვე, დასასრულს გავედი,
გრძნობები დაღუპვას ვერ გადავარჩინე.

## ნუხელის

ღამემ, თვალები დამღალა...
ვერ ვგრძნობ, ვერ გხედავ, გნატრულობ,
ნუხელის, მთვარე დამთვრალა,
ვერ გაძლო უსიყვარულოდ...

ყოფნისთვის, ყოფნა არ კმარა,
ფიქრები ლეწენ საკეტებს,
ამ მარტოობამ დამღალა
და კვლავ ქუჩებში დაგეძებ.

ნუხელის მთვარე დამთვრალა,
ფიქრი კვლავ გაშლის სარეცელს,
თბილი მზის სხივი ჩამქრალა,
და უკუნეთში დაგეძებ.

არ დაბრუნდები... აღარააა...
იმედის სხივი ჩავლეწე,
ღამემ სხეული დამღალა,
ვერ გგრძნობ, ვერ გხედავ, დაგეძებ.

## ფიქრი

ფიქრი მეწვეთება სულში,
ფიქრი უსაშველოდ მტკივა,
და ის რაც ხდებოდა გუშინ,
მინდა შეგვინახო ფრთხილად.

გზებზე, ულიმლამო გზებზე,
მებორიალება ყოფნა...
თითქოს მე ამ ხალხში გეძებ,
რომ ნახვის წყურვილი მოვკლა.

ფიქრით შეშლილია სული,
ფიქრში ამაოა ყოფნა,
მინდა, ამ ქუჩაში გნახო,
და ყოველი გრძნობა მოვკლა.

## რატომ?!

რატომ დავიკარგე ესე?
რატომ ამერია გზები?
ვდგები უკანასკნელ ჯერზე
და შენი თვალებით ვეტკბები,
აღარაფერია ირგვლივ
მდორე მოგონების გარდა,
რატომ ამირიე გზები?..
შენი უსაშველოდ მწამდა,
წამებს ვეჭიდები თითქოს,
მეძვირფასებოდეს ყოფნა,
იცი? მინდა, რომ წერტილი
დავსვა, ან უსასრულობა მოვკლა.
რატომ დავიკარგე ესე?
რატომ ამერია გზები?
ვდგები უკანასკნელ ჯერზე
და უკანასკნელად ვკვდები.

## სიცოცხლის ქურდები

დღეები, სიცოცხლის უმანკო ქურდები,
ვუცქერი მომავალს და ირგვლივ ბინდია,
მივდივარ და ვხვდები...
რომ უკან ვბრუნდები,
მაგრამ, ვაი რომ, რა შემიძლია?
ნეტავ, რა მიხსნის ამ სიბნელისაგან
და ამ კითხვისაგან ყოფნა არ ყოფნის?
ხელი გამიშვით!.. ამდენ ბოროტთან
მე ქიდილისთვის ძალა არ მყოფნის,
დღეები სიცოცხლის ლამაზი ქურდები,
მივყავართ იქითკენ, საითაც ნისლია...
მივყვები და უკან ვერაფრით ვბრუნდები,
მაგრამ, ვაი რომ არ შემიძლია.

**კ. ს. ლუისის (1898-1963) ინტელექტუალურმა წიგნებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ევროპელ და ამერიკელ მკითხველებზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ლუისის, როგორც კონსერვატორის, თხზულებანი უფრო მეტად ზნეობრივ ნესრიგს ეხება, ვიდრე სოციალურს.**

*კ. ს. ლუისი*

# სუბიექტივიზმის შხამი

ერთი მიზეზი ტანჯვისა და ცოდვისა მუდამ თან გვახლავს ადამიანურ სიხარბესა და ამპარტავნებაში, მაგრამ ისტორიის გარკვეულ ჟამს მეტად იზრდება ყალბი ფილოსოფიის დროებითი გაბატონებისას. სწორი აზროვნება ცუდ კაცებს კარგებად ვერ აქცევს; მაგრამ პირწმინდად თეორიულმა შეცდომამ შესაძლოა მოშალოს ბოროტების შემაკავებელი ჯებირები და კეთილ განზრახვებს ბუნებრივი შემწეობის უნარი მოაკლოს. დღესდღეობით სწორედ ასეთი შეცდომაა გავრცელებული. არ ვგულისხმობ ტოტალიტარულ სახელმწიფოთა ძალაუფლების ფილოსოფიას, არამედ იმას, რაც უფრო ღრმად ჩააღწევს, ფართოდ ვრცელდება და მართლაც აძლევს ამ ძალაუფლების ფილოსოფიებს ოქრომრავალ შესაძლებლობებს; ვგულიხმობ სუბიექტივიზმს.



გარემოს შესწავლის შემდეგ ადამიანი საკუთარი თავის შესწავლას იწყებს. აქამდე გონების საშუალებით ალიქვამდა ყველა სხვა საგანს. ახლა კი მისივე გონება გადაიქცა ობიექტად; ეს იგივეა, ჩვენივე თვალები გამოვილოთ ბუდეებიდან დასათვალიერებლად. ამგვარად შესწავლილი საკუთარი გონება ადამიანს ეჩვენება ეპიფენომენად, რაც თანმხლებია კანში მოქცეული ქიმიური თუ ელექტრონული მოვლენებისა, კანში, რაც თვითონვეა ნაყოფი ბრმა ევოლუციური პროცესისა. და მისი საკუთარი ლოგიკა, აქამდე რომ მეფობდა და ყველა მოვლენა, ყოველ შესაძლო მსოფლიოში, ემორჩილებოდა, სუბიექტური ხდება და არ არსებობს არანაირი მიზეზი, რომ ვივარაუდოთ, სიმართლეს ამბობსო.

რამდენადაც მეფის ტახტიდან ჩამოგდება მხოლოდ თეორიულ მსჯელობას ეხება, გულწრფელი ვერ იქნება. მეცნიერმა უნდა შეაფასოს თავისი ლოგიკის ღირებულება (პლატონისა და სპინოზას ძველებური მყარი წესით) თუნდაც იმისათვის, რომ დაამტკიცოს, ოდნავ სუბიექტური ვარ და ამიტომ მხოლოდ ვეფლირტავები სუბიექტივიზმსო. ისიც მართალია, რომ ამგვარი ფლირტი ხანდახან საკმაოდ შორსაც მიდის. მეუბნებიან, ზოგმა თანამედროვე მეცნიერმა სულ ამოაგდო სიტყვები „სიმართლე" და „რეალობა" თავისი ლექსიკონიდან, და მიაჩნიათ, რომ მათი ნაშრომის მიზანია — არა ჩანვდნენ და გაიგონ, არამედ მხოლოდ პრაქტიკულ შედეგებს მიაღწიონო. ეს უეჭველად ცუდს მიგვანიშნებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სუბიექტივიზმი იმდენად ახირებული და პრანჭია ყმანვილია, რომ მისი შესწავლისას ახლომახლო მუდამ საფრთხეა ჩასაფრებული.

მაგრამ როდესაც პრაქტიკულ მსჯელობას მივუბრუნდებით, დამანგრეველი ეფექტები მთელი ძალით ამოქმედდება. პრაქტიკულ მსჯელობაში კეთილისა და ბოროტის განსჯას ვგულისხმობ. თუ გაგიკვირდებათ, ყველაფერი მსჯელობის სათაურქვეშ რატომ მოაქციაო, ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ თქვენი გაკვირვება თავისთავად ერთ-ერთი შედეგია სუბიექტივიზმისა, რასაც განვიხილავ. ჩვენს დრომდე პირველხარისხოვან მოაზროვნეთაგან არავინ დაეჭვებულა, რომ ჩვენი განსჯა ღირებულებათა გამო რაციონალური განსჯაა, და რასაც მივაკვლიეთ — ობიექტური იყო. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ცთუნებისას ვნება უპირისპირდებოდა არა რაიმეს განცდას, არამედ გონებას. ასე ფიქრობდნენ პლატონი, არისტოტელე, ჰუკერი, ბატლერი და დოქტორი ჯონსონი. თანამედროვე შეხედულება ძალზე განსხვავებულია. აღარ სჯერათ, რომ მსჯელობა ღირებულებათა გამო საერთოდ შეიძლება ჩაითვალოს მსჯელობად. განცდანი, კომპლექსები თუ დამოკიდებულებანი საზოგადოებაში წარმოიშობა გარემოს, ტრადიციის ზეგავლენით ან ჩვენი საზოგადოების განსხვავებულობით სხვათაგან. იმის თქმა, რომ ეს საგანი კარგია, მხოლოდ ჩვენს გრძნობას გამოხატავს მისადმი და გრძნობა გვიჩნდება სოციალური პირობების შედეგად.

მაგრამ თუ ასეა, შესაძლებელი ყოფილა პირობების შექმნა, რათა სხვაგვარი შეგრძნება გაჩნდეს. „ალბათ სჯობს სხვაგვარი გრძნობები გვქონდეს", ფიქრობს რეფორმატორი ან ექსპერტ-განმანათლებელი, „მაშ მოდი გავიუმჯობესოთ ზნეობა". ამ აშკარად უმანკო იდეიდან ჩნდება სნეულება, რომელიც უსათუოდ ბოლოს მოუღებს ჩვენს მოდგმას (და, ჩემი აზრით, დაღუპავს ჩვენს სულებს), თუ არ ვუმკურნალებთ; დაღუპავს საბედისწერო ცრურწმენა, რომ ადამიანს ძალუძს შექმნას ღირებულებანი, რომ საზოგადოებას შეუძლია აირჩიოს თავისი იდე-

ოლოგია ისე, თითქოს კაცი ირჩევს ტანისამოსს. ყველა გაოგნებულია, როცა ეცნობიან გერმანულ სამართალს, რაც მესამე რაიხის ინტერესებმა განაპირობა, მაგრამ იმას ვერ მივმხვდარვართ, რომ გაოგნებას საფუძველი არ გააჩნია, რაკი ჩვენ თვითონ ზნეობას სუბიექტურ შეხედულებად მივიჩნევთ, რისი შეცვლაც ნებისმიერ დროს შეიძლება. მანამდე, სანამ არ არსებობს ობიექტური სტანდარტი სიკეთისა, რაც გერმანელთა, იაპონელთა და ჩვენს შეხედულებებზე მაღლა დგას და თვითეული ჩვენგანი ან ვემორჩილებით და ან არა, რა თქმა უნდა, გერმანელებს შეუძლიათ შეჰქმნან თავისი იდეოლოგია, ისევე როგორც ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ჩვენი. თუკი „კარგისა" და „უკეთესის" ცალკეული მნიშვნელობანი თვითეული ხალხის იდეოლოგიაში უნდა ვეძიოთ, მაშინ, რა თქმა უნდა, თვით იდეოლოგიები მხოლოდ ერთიმეორეზე უკეთესი ან უარესი შეიძლება იყოს. თუკი საზომი თასმა დამოუკიდებელი არ იქნება გასაზომი საგნისაგან, გაზომვას ვერ შევძლებთ. ამავე მიზეზის გამო უსარგებლოა ერთმანეთს შევადაროთ ორი სხვადასხვა ეპოქის ზნეობრივი იდეები: პროგრესი და დეკადანსი ერთნაირად უაზრო სიტყვებია.

ყოველივე იმდენად ნათელია, რომ ერთგვაროვან მოსაზრებამდე ვაღწევთ. მაგრამ თუ რაოდენ ცოტას მივხვდებით, შეიძლება გავზომოთ მორალისტი რეფორმატორის პოზიციით, ვინც ჯერ ამბობს, რომ „კარგი" ნიშნავს „იმას, რაც განპირობებულობის გამო მოგვწონს", და მერე კი განსჯის, „უკეთესი" იქნება თუ არა ის, პირობებმა სხვა რამ რომ მოგვაწონოს. ღმერთო ჩემო, რას უნდა ნიშნავდეს „უკეთესი"?

გონების სიღრმეში რეფორმატორს ყოველთვის აქვს განცდა, რომ თუკი უკუაგდებს ღირებულების ტრადიციულ შეფასებას, იპოვის რაღაც სხვას, რაღაც უფრო „ნამდვილს", „მყარს", რაზეც დააფუძნებს ღირებულებათა ახალ სქემას. მაგალითისათვის, იგი იტყვის, „უნდა მივატოვოთ ირაციონალური ტაბუები და ჩვენი ღირებულებანი დავაფუძნოთ საზოგადოების სასიკეთოდ" — თითქოსდა მაქსიმა „ხელი შეუწყვე საზოგადოების კეთილდღეობას" მხოლოდ და მხოლოდ პოლისილაბური ვარიაცია არ იყოს შეგონებისა, „ისე მოექეცით, როგორც გინდათ მოგექცნენ", საფუძვლად უძევს უძველესი უნივერსალური ღირებულება, რისი უარყოფაც გადაუწყვეტია. ან შეეცდება თავისი ღირებულებანი ბიოლოგიაზე დააფუძნოს და გვითხრას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენი სახეობის გადასარჩენად. ცხადია, იგი არ მოელის შეკითხვას, „რატომ უნდა გადავარჩინოთ სახეობანი?" მიიჩნევს, რომ უნდა გადავარჩინოთ, რადგანაც ასეა საჭირო, რაკილა სინამდვილეში ტრადიციული განსჯის ღირებულებებს ეფუძნება. ახლა რომ იწყებდეს, როგორც თავს გვაჩვენებს, სუფთა დაფიდან, ამ პრინციპს ვერასოდეს მიაღწევდა. ხანდახან ცდილობს ასე მოიქცეს და „ინსტინქტს" მოიშველიებს, იტყვის „ინსტინქტურად ვესწრაფვით სახეობათა გადარჩენასო"; მაგრამ ასეა განა? და თუ ასეა, სახეობის გადასარჩენად რატომ უნდა დავემორჩილოთ მაინცა და მაინც ამ ინსტინქტს, სხვა მრავალს რომ დაპირისპირებია? რეფორმატორმა იცის, რომ ზოგიერთ ინსტინქტს მეტად უნდა დავემორჩილოთ, ვიდრე სხვებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ინსტინქტებს იგი გარკვეული სტანდარტით ზომავს და ეს სტანდარტი, კვლავ და კვლავ ტრადიციული ზნეობა გახლავთ, რომლის გამოცვლასაც მოუწოდებდა. აშკარაა, რომ თვითონ ინსტინქტები ვერ უზრუნველგვყოფენ ინსტინქტთა იერარქიის ასაგები საფუძვლით. და თუკი მათი შედარებითი უმჯობესობის შესახებ ცოდნას არ მოიშველიებ, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ.

მცდარია მთელი ეს მცდელობა ტრადიციულ ღირებულებათა — როგორც რაღაც სუბიექტურის — გვერდზე მიწევისა და მისი შეცვლისა ახალ ღირებულებათა სქემით. ეს იგივეა, ქურთუკის საყელოში ხელი რომ ჩაივლო და საკუთარი სხეულის აწევა სცადო. მოდი ამოუშლელი მელნით ჩვენს გონებაში ჩაწერილი ორი წინადადება წავიკითხოთ.

1. ადამიანის გონებას ისევე არ ძალუძს გამოიგონოს ახალი ღირებულება, როგორც ახალი მზის ამოყვანა ცაზე ან ახალი წამყვანი ფერის ჩასმა სპექტრში.

2. ყოველი ამგვარი მცდელობა თვითნებური ამოგლეჯაა რომელიმე მაქსიმისა ტრადიციული ზნეობიდან, განცალკევება და წინ წამოწევა როგორც **unum necessarium**-ისა[1].

მეორე წინადადებას მცირე ილუსტრაცია დასჭირდება. ჩვეულებრივი ზნეობა გვეუბნება, პატივი ეცით მშობლებს და იზრუნეთ შვილებზეო. თუ მხოლოდ მეორე შეგონებას ჩავუკვირდებით, ააგებთ ფუტურისტულ ეთიკას, რის მიხედვითაც „შთამომავლობა" გახდება ერთადერთი საზომი. ჩვეულებრივი ზნეობა გვეუბნება, რომ უნდა შევასრულოთ დაპირება და დავაპუროთ მშიერი. თუ მხოლოდ ამ შეგონებას მივყვებით, მივადგებით კომუნისტურ ეთიკას, რის მიხედვითაც, ერთადერთი საზომია „პროდუქცია" და პროდუქტთა დანაწილება ხალხისათვის. ჩვეულებრივი ზნეობა გვეუბნება, **ceteris paribus**[2], გვიყვარდეს ნათესავნი და თანამოქალაქენი მეტად, ვიდრე უცხოელნი. თუ მხოლოდ ამ შეგონებას გამოვაცალკევებთ ან არისტოკრატიული ეთიკა შეგვრჩება ხელთ, როცა მხოლოდ თქვენი კლასია ერთადერთი საზომი ან რასისტული ეთიკა, რის მიხედვითაც, მხოლოდ სისხლით ახლობელთ აღიარებთ. ეს მონომანიაკური სისტემები გამოიყენება საფუძვლად ტრადიციულ ზნეობაზე თავდასხმისას; მაგრამ რაოდენ აბსურდულია, რომ მხოლოდ ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით შენდება ღირებულება, რასაც თითქოსდა ეუფლებიან. თუ ზედაპირიდან დავიწყებთ და არ გავითვალისწინებთ ტრადიციულ ღირებულებებს, ვერაფერს მივაღწევთ. თუკი პატივისცემა მშობლისადმი ან დაპირებანი მხოლოდ სუბიექტური გვერდითი შედეგია ფიზიკური ბუნებისა, ასევეა რასისა თუ შთამომავლობისადმი პატივისცემა. ხე რომლის ფესვებსაც რეფორმატორი ცულს ულერებს ერთადერთი საყრდენია იმ ტოტისა, რომლის შენარჩუნებაც სურს. ამიტომაც ყოველი იდეა „ახალი", „სამეცნიერო" ან „მოდერნული" ზნეობისა, უნდა უკუვაგდოთ როგორც აზროვნების დამაბნეველი. ორად ორი ალტერნატივა გვაქვს — ან ტრადიციული ზნეობის მაქსიმები უნდა მივიღოთ, როგორც აქსიომები პრაქტიკული გონებისათვის, რაც არც დართავს ნებას და არც მოითხოვს არგუმენტს მათ დასახმარებლად და არც „დაინახავს" თუ რომელმა უნდა დაკარგოს ადამიანური სტატუსი; ან კი საერთოდ არ უნდა არსებობდეს ღირებულებანი და, რაც ღირებულებები გვეგონა, ირაციონალური ემოციის „პროდუქტები" ყოფილა. მას შემდეგ, რაც ტრადიციულ

ზნეობას გავაუქმებთ შეკითხვით — „რატომ უნდა დავემორჩილოთ?" სრულიად ამაოა შევეცადოთ და ჩვენი ფილოსოფიის რომელიღაც გვიანდელ ეტაპზე ახალი ღირებულება შევქმნათ. ზუსტად ამნაირადვე შეიძლება მოვიგერიოთ ხელახლა შემოტანილი, რომელი ღირებულებაც უნდა იყოს. მის დასახმარებლად მოხმობილი ნებისმიერი არგუმენტი იქნება მცდელობა, თხრობითი კილოდან იმპერატიული დასკვნის სფეროში გადაგვიყვანოს. ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ თანამედროვე გონებას დაცვის ორი ხაზი აქვს მომზადებული. პირველი აცხადებს, ტრადიციული ზნეობა განსხვავებულია სხვადასხვა დროსა თუ სივრცეში და არსებითად ზნეობა ერთი კი არ არის, არამედ ათასიო. მეორე კი ბრძანებს, თუკი უცვლელი ზნეობრივი კოდით შევიბორკავთ თავს, პროგრესისაკენ მოვიჭრით გზას და „სტაგნაციას" დავმორჩილდებითო. ორივე აზრი უგუნურებაა.

მოდი ჯერ მეორე განვიხილოთ. მოდი მოვაცილოთ ის არალეგიტიმური ემოციური ძალა, რასაც სიტყვა „სტაგნაციისაგან" იღებს და, ამავე დროს, გუბურებსა და საცურაო აუზებსაც გვახსენებს. თუ წყალს მალე არ გამოცვლი, აშმორდება. აქედან რომ დავასკვნათ, რაც დიდხანს დგას, უნდა დაირღვეს და გადაგვარდესო, მეტაფორის მსხვერპლად ვიქცევით. სამყარო არ აყროლებულა, მიუხედავად იმისა, რომ იმ თავიდან მოყოლებული, სამი განზომილება შეინარჩუნა. ჰიპოტენუზის კვადრატი არ დაობებულა, თუმცა კვლავ კათეტების კვადრატთა ჯამს უდრის. სიყვარული ღირსებას არ კარგავს ერთგულების გამო და, როდესაც ხელებს ვიბანთ, ვეძიებთ სტაგნაციას და „უკან ვწევთ საათს", ხელოვნურად ვაბრუნებთ ისრებს სტატუს კვო-საკენ, საიდანაც დღე დაიწყო და ვუძალიანდებით ბუნებრივ დინებას მოვლენებისა, რაც დაჟინებით ზრდის მათ დაბინძურებას ჩვენი დაბადებიდან სიკვდილამდე. მოდი ემოციური ტერმინი „სტაგნაცია" შევცვალოთ აღწერილობითი ტერმინით „მუდმივი". ნუთუ ზნეობრივი სტანდარტის შენარჩუნება უკუაგდებს პროგრესს? პირიქით, უცვლელი სტანდარტის გარეშე პროგრესი შეუძლებელია. თუკი სიკეთე ერთ ადგილას დგას, იმას მაინც შევძლებთ, რომ სულ უფრო და უფრო მივუახლოვდეთ; მაგრამ თუ სადგური ისევე მოძრაობს, როგორც მატარებელი, როგორ უნდა მიაღწიოს მატარებელმა მასთან? ჩვენი იდეები სიკეთის შესახებ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ვერც გაუმჯობესდება და ვერც გაუარესდება, თუკი არ არსებობს აბსოლუტური და უცვლელი სიკეთე, რასაც ან უნდა მიუახლოვდეს, ან დაშორდეს. თანდათან მხოლოდ მაშინ მივუახლოვდებით სიმართლეს, თუკი ერთადერთი, სრულყოფილი, ჭეშმარიტი პასუხი „სტაგნაციაშია".

და მაინც, უნდა ითქვას, როგორც წელან აღვნიშნე, რომ ჩვენი იდეები სიკეთის გავლენით შეიძლება გაუმჯობესდეს. როგორ უნდა მოვარიგოთ ეს მოსაზრება იმ შეხედულებასთან, რომ „ტრადიციული ზნეობა" depositum fidei-ა[3], რასაც ვერ დავცილდებით? პასუხი იოლი მოსაძებნი იქნება, თუკი ნამდვილ ზნეობას უბრალო ინოვაციას შევადარებთ. სტოიკოსები და კონფუციანელები ამბობდნენ, „ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც შენ არ გსურს მოგექცნენ;" ქრისტიანული „რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმითვე მოგეწყვით", რეალური წინსვლაა. ნიცშეს ზნეობა კი უბრალო ინოვაციაა. ქრისტიანობა წინსვლაა, რადგან ვერავინ, ვინც ვერ შეითვისებს, ძველი მაქსიმის ფასეულობას, ვერ დაინახავს მიზეზს ახლის მიღებისა, და ის, ვინც მიიღო ძველი, მაშინვე იცნობს ახალს, როგორც გავრცობას იმავე პრინციპისა. და თუ კაცი უარჰყოფს, უნდა უარჰყოს როგორც ზედაპირულობა, რაღაც გადაჭარბებულობა და განსხვავებულობა მის ღირებულებათაგან. მაგრამ ნიცშეანური ეთიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიზიაროთ, როცა მზად ვართ გადავყაროთ ტრადიციული ზნეობანი, როგორც უბრალო შეცდომები, და შემდეგ ისეთ მდგომარეობაში ჩავიყენოთ თავი, სადაც ადგილი აღარ დარჩება ღირებულებებზე სამსჯელოდ. ეს არის განსხვავება იმ კაცს, ვინც გვეუბნება: „რაკი ქორფა ბოსტნეული გიყვართ, რატომ არ უნდა გამოზარდოთ ბოსტნეული თქვენ თვითონ, რათა სრულიად ქორფა ინებოთ?" — და იმ კაცს შორის, ვინც გეტყვით, „გადააგდე ეგ პურის ყუა და შეეცადე აგურები და მატლები მიირთვა". რეალური ზნეობრივი წინსვლა, ბოლოს და ბოლოს, ხდება არსებული ზნეობრივი ტრადიციის **შიგნიდან**, ტრადიციისავე სულში, და მხოლოდ ტრადიციის შუქზე აღიქმება. გარეშე კაცი, ვინც უკუაგდებს ტრადიციას, ვერ იმსჯელებს მასზე; არისტოტელესი არ იყოს, მას საამისო ადგილი არ გააჩნია და ვერც ტკივილს განიცდის. რა შეიძლება ითქვას დღეისათვის გავრცელებულ მეორე უარყოფაზე — რომ სხვადასხვა კულტურების ეთიკური სტანდარტები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ვერ იარსებებს საერთო ტრადიცია? — სიცრუეა, ითქმის პასუხად, — ტყუილია, კაი მამალი, მძლერი ტყუილი. თუ კაცი ბიბლიოთეკაში წავა და რამდენიმე დღეს გაატარებს ეთიკისა და რელიგიის ენციკლოპედიის კითხვაში, ძალიან მალე აღმოაჩენს ადამიანის პრაქტიკული აზროვნების ერთგვაროვნებას. უძველესი ბაბილონური „ჰიმნი სამოსისადმი"-დან მოყოლებული, მანუს კანონები იქნება, „მკვდართა წიგნი", ანალექტები, სტოიკოსები, პლატონისტები, ავსტრალიელი აბორიგენები თუ წითელკანიანები, ყველგან შეხვდება საზეიმო და მომაბეზრებელ მხილებას ჩაგვრისა, მკვლელობისა, ღალატისა და სიცრუისა, ვალდებულებას მოხუცებისადმი, სიყვარულს ყმაწვილთადმი, შებრალებას სუსტებისა, მოწყალებას, თანალმობასა და პატიოსნებას. შესაძლოა განცვიფრებულიც კი დარჩეს (მე მართლაც ასე დამემართა), როდესაც ნახავს, რომ შეგონება შეწყალების გამო უფრო ხშირია, ვიდრე შეგონება სამართლიანობის გამო; მაგრამ ყოველგვარ ეჭვს გაუქრობს, ბუნებითი კანონის არსებობა; რა თქმა უნდა არის განსხვავებანიც; არის სიბნელეც გარკვეულ კულტურებში, არიან ველურები, ვინც ოცამდეც ვერ ითვლიან, მაგრამ დაჟინება, გარშემო მხოლოდ ქაოსიაო — თუმც არცერთი საყოველთაოდ აღიარებული ღირებულება ამას არ გვიჩვენებს — მხოლოდ და მხოლოდ სიყალბეა და შეიძლება დავუპირისპირდეთ ყველა დროში, სადაც უნდა შევხვდეთ. ქაოსის ნაცვლად ვხვდებით სწორედ იმას, რასაც ველოდით, თუკი სიკეთე მართლაც ობიექტურია და გონება ორგანოა, რითაც მას აღვიქვამთ; ასეთია არსებითი შეთანხმება, რასაც ახლავს მნიშვნელოვანი ადგილობრივი განსხვავებანი და გამოხატულებანი და, ალბათ, ვერცერთი ვერ მოიცავს ყოველივეს. ამ შეთანხმებას

აბუნდოვანებს ორი მეთოდი: პირველი ის, რომ შესაძლებელია ყურადღება გამახვილდეს სქესობრივ ზნეობაში არსებულ განსხვავებაზე, რასაც სერიოზული მორალისტები უფრო პოზიტიურ კანონს მიაკუთვნებენ, ვიდრე ბუნებით კანონს, მაგრამ ეს განსხვავებანი მძლავრ განცდებს წარმოქმნის. თავში გვიტრიალებს განსხვავებული განსაზღვრებანი ინცესტისა, პოლიგამიისა და მონოგამიის გამო (არ არის მართალი, თითქოს ბერძნები სქესობრივ გარყვნილებას უმანკოებად მიიჩნევდნენ. პლატონის გამუდმებული ქირქილი მართლაც უფრო ცხადად მიგვანიშნებს, ვიდრე მტკიცე აკრძალვა არისტოტელესაგან. ადამიანები ამგვარად ქირქილებენ მხოლოდ იმაზე, რაც მხოლოდ პეცცადილლო-დ მიაჩნიათ; სიმთვრალის დაცინვა „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებში“ სრულებითაც არ ამტკიცებს, რომ XIX საუკუნის ინგლისში ლოთობა უცოდველობად მიაჩნდათ, სწორედ რომ პირიქით. **ხარისხობრივად** უზარმაზარი განსხვავებაა გარყვნილების გამო ბერძნულსა და ქრისტიანულ თვალსაზრისებს შორის, მაგრამ წინააღმდეგობა არ შეიმჩნევა). მეორე მეთოდი არის განმარტება ღირებულებათა შეფასებისას არსებული განსხვავებისა, რაც სინამდვილეში ფაქტის შესახებ არსებულ რწმენათა შორის განსხვავებაა. აქ ადამიანთა მსხვერპლთშეწირვა ან კუდიანთა დევნა მიჩნეულია ნიმუშად რადიკალურად განსხვავებული ზნეობისა. მაგრამ რეალური განსხვავება სხვაგან ძევს. ჩვენ არ ვდევნით კუდიანებს, რადგანაც არ გვჯერა მათი არსებობა. ადამიანებს არ ვკლავთ, რათა თავიდან ავიცილოთ სნეულების გავრცელება, რადგანაც არა გვგონია, რომ ამით სნეულებას ავიცილებდეთ. აი, ომში კი „ვწირავთ” ადამიანებს, ვდევნით ჯაშუშებსა და მოღალატეებს.

აქამდე განვიხილავდი ურწმუნოთა მიერ გამოთქმულ აზრებს, მიმართულს ობიექტური ღირებულების დოქტრინის ან ბუნებითი კანონის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ჩვენს დროში, თვით ქრისტიანთაგან წამოსული უარყოფის დასახვედრადაც კი უნდა მოვემზადოთ. „ჰუმანიზმი” და „ლიბერალიზმი” უკვე უბრალო ტერმინებად გამოიყენება და ორივე ჩემი პოზიციისკენაა მომართული. მათ უკან იმალება რეალური თეოლოგიური პრობლემა. თუ ვაღიარებთ პრაქტიკული გონების პირველად ბანალობებს, განა ამით ჩვენს გონებას იქით არ ვუბიძგებთ, რომ უარვჰყოთ **დაცემა,** და ჩვენს ერთგულებს პიროვნულობიდან აბსტრაქციულობისაკენ არ შევაბრუნებთ?

რაც შეეხება დაცემას, მჯერა, რომ წმინდა წერილის ძირითადი მიმართულება ხელს არ გვიწყობს დავიჯეროთ, კანონის ჩვენეული ცოდნა იმდენადვეა გადაგვარებული, რამდენადაც ჩვენი ძალები მის მისაღწევადო. მამაცი კაცი იქნებოდა, ვინც განაცხადებდა დაცემული ადამიანის მდგომარეობას უფრო ნათლად ვხედავ, ვიდრე წმინდა პავლეო. იმ თავში (რომაელთადმი 7), სადაც იგი ურყევად ამტკიცებს ჩვენს უუნარობას, დავემორჩილოთ ზნეობრივ კანონს, იმასაც ასაბუთებს ძალზე დამაჯერებლად, რომ ვნვდებით კანონის სიკეთეს და ვტკბებით მისით, როგორც შინაგანი სამყაროს მქონე ადამიანი. ჩვენი სიმართლე შესაძლოა ჭუჭყიანი და ჩამოძონძილი იყოს, მაგრამ ქრისტიანობა არ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ჩვენი წვდომა ჭეშმარიტებისა იმავე მდგომარეობაშია. ეგებ წვდომაც შეგვისუსტდეს, მაგრამ არსებობს განსხვავება არასრულ მხედველობასა და სიბრმავეს შორის. თეოლოგია რომელიც ჩვენს პრაქტიკულ გონებას აღწერს, როგორც რადიკალურად უგუნურს, განწირულია დასაღუპავად. თუკი ერთხელ მაინც დავიჯერებთ, რომ რასაც ღმერთი „სიკეთეში” გულისხმობს, სავსებით დაცილებულია იმისაგან, რაც ჩვენ კარგი გვგონია, აღარავითარი განსხვავება აღარ ყოფილა წმინდა რელიგიასა და ეშმაკის თაყვანისცემას შორის.

მეორე უარყოფა უფრო რთულია. თუკი ერთხელ ვაღიარებთ, რომ ჩვენი პრაქტიკული აზროვნება ნამდვილი აზროვნებაა და მისი ფუნდამენტური იმპერატივები ისეთივე აბსოლუტური და კატეგორიულია, როგორც გაცხადებულია, მაშინ მათდამი უპირობო მორჩილება ადამიანის მოვალეობაა. ასეთივე მოვალეობაა ღვთისადმი მორჩილებაც. და ეს ორი მორჩილება რაღაცნაირად ერთი და იგივე უნდა იყოს. მაგრამ როგორ უნდა გამოიხატოს ურთიერთობა ღმერთსა და ზნეობრივ კანონს შორის? იმის თქმა, რომ ზნეობრივი კანონი ღვთის კანონია, საკითხს არ წყვეტს. ზნეობრივი კანონები იმიტომაა სწორი, რომ ღმერთი გვიბრძანებს მათ შესრულებას? თუ ღმერთი იმიტომ გვიბრძანებს, რომ ისინი სწორია? თუ პირველს დავუჯერებთ, ანუ — თუ სიკეთე **ისაა,** რასაც ღმერთი გვიბრძანებს, მაშინ **თვით ღვთის** სიკეთე კარგავს მნიშვნელობას და ბრძანებანი ყოვლისშემძლე მხეცისა იმავე ძალისა ხდება ჩვენთვის, როგორიც „ჭეშმარიტი ღმერთის" ბრძანებანია. თუ მეორეს გავიზიარებთ, გამოდის, რომ ვაღიარებთ კოსმიურ ორხელისუფლებიანობას ან თუნდაც იმას, რომ ღმერთს გადავაქცევთ უბრალო აღმასრულებლად კანონისა, რაც როგორღაც მის გარეთ არსებობს და წინ უსწრებს მის საკუთარ არსს. ორივე თვალსაზრისი მიუღებელია.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ქრისტიანულ თეოლოგიას არ სწამს ერთსახოვანი ღმერთი. ქრისტიანულ თეოლოგიას სწამს ღმერთი, რომელშიც სამსახოვნება შეთავსებულია ღვთაებრივ ერთიანობასთან. ამრიგად, ქრისტიანულ თეოლოგიას სწამს, რომ ღმერთი უსაზღვროდ განსხვავდება პიროვნებისაგან, ისევე როგორც კუბი, რომელშიც ექვსი ოთხკუთხედია, განსხვავდება ოთხკუთხედისაგან (დედამიწის

სამშაბათს, 15 ნოემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

**მიხეილ ანთაძის**
ახალი რომანისა

**„სტრატეგია“**

მომხსენებელი
**ნანა კუცია**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ბრტყელობის მომხრენი კუბზე საუბრისას ექვს შესაბამის ოთხკუთხედს წარმოიდგენენ ურთიერთმიყოლებით და ამით არღვევენ ერთიანობას. ჩვენი სირთულეები სამებასთან მიმართებისას სწორედ ამასა ჰგავს). ამიტომაც შესაძლებელია, რომ თავსმოხვეული დუალობა ჯერ ზეციურ მამასა და მერე თავისთავად ცხად, ზნეობრივი კანონის იმპერატივებზე ფიქრისას, უბრალო შეცდომა კი არ არის, არამედ რეალური (თუმცა ხელოვნური და შეუსაბამო) წვდომა მოვლენებში, რაც აუცილებლად ორი უნდა ყოფილიყო ჩვენს გამოცდილებაში შემოსულ ყველანაირ არსებაში, მაგრამ რაც ზეპიროვნული ღმერთის აბსოლუტურ არსში გაყოფილი არ გახლავთ. როცა ვცდილობთ ვიფიქროთ პიროვნებასა და კანონზე, იძულებულნი ვართ ვიფიქროთ პიროვნებაზე, რომელიც ან ემორჩილება კანონს ან ჰქმნის მას. და როცა ვფიქრობთ ღმერთზე, კანონებს რომ ჰქმნის, იძულებულნი ვართ ვიფიქროთ, რომ ღმერთი კანონებს ჰქმნის ან რაღაც უფრო მაღალი სიკეთის ნიშნად (ამ შემთხვევაში ღმერთი აღარ არის უზენაესი) ან თვითნებურად ჰქმნის კანონებს **sic volo, sic jubeo**[4] (ამ შემთხვევაში ღმერთი აღარც კეთილია და აღარც ბრძენი). მაგრამ სწორედ აქ გვღალატობს ჩვენს მიერ მომარჯვებული კატეგორიები. ამაო იქნებოდა მათი დადებითად შესწორება ჩვენი მოკვდავი საშუალებებით გვეცადა. — **ambulavi in mirabilubus supra me.**[5] მაგრამ ალბათ უფლება გვაქვს გავითვალისწინოთ ორი უარყოფა: რომ ღმერთი არც **მორჩილებს** და არც **ჰქმნის** ზნეობრივ კანონებს. სიკეთე შექმნილი არ არის; მასში ასეთი შესაძლებლობა არც კი ილანდება; სხვაგვარად შეუძლებელია; პლატონისა არ იყოს, ის არსებობის მეორე ნაპირზე ძევს. ის არის ჰინდუს **რიტა**, რომლითაც თვით ღმერთები არიან ღვთაებრივნი, ჩინელების **ტაო**, საიდანაც ყველა რეალობა მოედინება. მაგრამ ჩვენ, ვინც უბრძენეს წარმართებზე უფრო შორს ვიხედებით, ვიცით, თუ რა ძევს არსებობის მიღმა, რაც ნებას არ მისცემს შემთხვევითობას, რაც ღვთაებრიობას ანიჭებს ყველა დანარჩენს, და რაც საფუძველია ყველანაირი არსებობისა; ვიცით, რომ ეს უბრალოდ კანონი კი არ არის, არამედ წარმომშობი სიყვარული, წარმოშობილი სიყვარული და სიყვარული ამ ორს შორის, რომელიც აღიძვრება ყველაში, ვინც მოწოდებულია გაიზიაროს თვითწარმოქმნილი სიცოცხლის ერთიანობა. ღმერთი არ არის უბრალოდ კეთილი, არამედ სიკეთეა; სიკეთე არ არის უბრალოდ ღვთაებრივი, არამედ ღმერთია.

ეს რწმენანი შეიძლება კარგად ნაქსოვ სპეკულაციებად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მაინც მწამს, რომ უიმათოდ არაფერი გვეშველება. ქრისტიანობა, თუკი ვერ დაინახავს ზნეობრივი და რელიგიური გამოცდილების დაახლოებას, რათა ერთმანეთს უსაზღვროებაში შეხვდნენ, არა უარყოფით, არამედ დადებით უსაზღვროებაში, ცოცხალი და მაინც ზეპიროვნული ღვთისა, უზოგადესი გაგებით, არაფრით განირჩევა ეშმაკის თაყვანისცემისაგან; ხოლო ფილოსოფია, რომელიც მიუკერძოებლად და მარადიულად არ გაიაზრებს, დაღუპვისაკენ მიგვიძღვის. არც უბრალოდ სპეკულატიურ განაზრებაშია საქმე. დემოკრატიულ პლატფორმაზე მდგომი მრავალი პოპულისტი დამგეგმავი, დემოკრატიულ ლაბორატორიაში მოფუსფუსე მრავალი მშვიდთვალება მეცნიერი, ბოლოს და ბოლოს, იმავეს გულისხმობს, რასაც ფაშისტი. მას სჯერა, რომ „კარგი" ნიშნავს იმას, რის შესათვისებლადაც ადამიანთა შემზადება შეიძლება; სჯერა, რომ მისი და მისნაირთა დანიშნულებაა ადამიანთა შემზადება; საზოგადოებრივი სინდისის შექმნა ევგენიკის, ბავშვებზე ჩატარებული ფსიქოლოგიური მანიპულაციების, სახელმწიფო განათლებისა და მასობრივი პროპაგანდის საშუალებით. დაბნეულობის გამო ბოლომდე ვერ გაუცნობიერებია, რომ ის, ვინც ჰქმნის სინდისს, თვითონ ვერ იქნება სინდისის მატარებელი. მაგრამ, ადრე თუ გვიან, თვალი უნდა გაახილოს და დაინახოს საკუთარი ლოგიკა; და როცა ეს მოხდება, რასების საბოლოო დაყოფისას, რაღა დაბრკოლება დარჩებათ ჩვენს, იმ მცირერიცხოვან შემმზადებელთ, ვინც ზნეობის მიღმა აყენებენ საკუთარ თავს, და იმ მრავალრიცხოვან შემმზადებულთა შორის, რომელთაც ექსპერტთა შერჩევითა და მოწონებით მიენოდებათ ასეთი ზნეობა? თუკი „კარგი" მხოლოდ ადგილობრივ იდეოლოგიაზე მიანიშნებს, მაშინ რომელი იდეა მიუძღვის მათ, ვინც ადგილობრივ იდეოლოგიებს ჰქმნიან? თავისუფლების იდეა წინასწარ გულისხმობს რაღაც ობიექტურ ზნეობრივ კანონს, რაც ერთგვარად აღემატება მმართველთაც და მართულთაც. სუბიექტივიზმი ღირებულებებთან მიმართებისას მარად შეუთავსებელია დემოკრატიასთან. ჩვენ და ჩვენი მმართველები ერთნაირები ვართ მხოლოდ მაშინ, როცა ერთ კანონს ვემორჩილებით. მაგრამ თუ არსებობს ბუნების კანონი, მაშინ ნებისმიერი საზოგადოების **ეთოსი** მმართველების, განმანათლებელთა და შემმზადებლების მიერაა შექმნილი და ყოველი შემქმნელი საკუთარ შექმნილზე მაღლა და გარეთ დგას.

და თუ არ მივუბრუნდებით ნორჩსა და ბავშვივით უმანკო რწმენას ობიექტური ღირებულებებისა, დავიღუპებით. თუ მივუბრუნდებით, ვიცოცხლებთ და ამგვარ მიბრუნებას ერთი მცირე უპირატესობა აქვს. ელემენტარულ ზნეობრივ ბანალობათა აბსოლუტური რეალურობა რომ გვჯეროდეს, უნდა დავაფასოთ ისინი, ვინც იმისაგან განსხვავებულ სტანდარტებს გვთავაზობენ, რაც ამჟამად მოდაშია. ვიდრე გვჯერა, რომ კარგის გამოგონება შეიძლება, ჩვენი მმართველებისაგან მოვითხოვთ ისეთ თვისებებს, როგორიცაა: „ხედვა", „დინამიზმი", შემოქმედებითობა და ასე შემდეგ. თუ ობიექტურ თვალსაზრისს დავუბრუნდებით, უნდა მოვითხოვოთ უფრო იშვიათი და უფრო კეთილის მომტანი თვისებანი — სიქველე, ცოდნა, სიბეჯითე და ნიჭი. „ხედვა" ყველგან გასაყიდადაა გამოტანილი ან დაიჟინებს, ვიყიდებიო. მაგრამ მაჩვენეთ კაცი, ვინც დღიურად შრომობს დღიური ჯამაგირისათვის, ვინც უარჰყოფს ქრთამს, ვინც თვითონ აკეთებს თავის საქმეს და ვისაც შესწავლილი აქვს საკუთარი ხელობა.

ინგლისურიდან თარგმნეს
**პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა**

1. ერთადერთი აუცილებელი რამ.
2. სხვა ყველა თანასწორია.
3. რწმენის დეპოზიტი.
4. ასე მწამს, ასე ვბრძანებ.
5. მე შევუდექი ჩემთვის მეტისმეტად აღმატებულ საქმეს.

თეიმურაზ დოიაშვილი

# „და მელანდება... მოხუცი მამა“

*

## ციკლიდან „გალაკტიონი და ილია“

**მამული**

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული?!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.

გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიალში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება!
ისევ ამწვანდა მდელო და კორდი!..
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

*1915 წ.*

გალაკტიონის სიმბოლისტური პერიოდის ლექსი „მამული“, თავისუფალი რთული, აბსტრაჰირებული ტროპულობისაგან, თავისი მოჩვენებითი სისადავით ტექსტის იოლად წვდომის ილუზიას ქმნის, მაგრამ თუ იმის გარკვევას მოვიწადინებთ, რა ლოგიკით უკავშირდება მამულის შეცნობას ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლა, ვინაა წინაპართა ჩამნაცვლებელი „სხვა ხალხი“, ვინ იგულისხმება „მოხუცი მამის“ იმაგინაციურ ხატში, ან, დასასრულ, რაა მიზეზი პოეტის წუხილისა და სინანულისა, არცთუ მარტივი ამოცანის პირისპირ აღმოვჩნდებით.

გალაკტიონოლოგიაში, სხვადასხვა კონტექსტუალურ განასერში ანალიზის გამო, „მამულის“ რამდენიმე ინტერპრეტაცია არსებობს. გამოთქმულია აზრი ლექსის სავარაუდო პოლიტიკური ქვეტექსტის შესახებ, აგრეთვე — ისტორიული მომენტისათვის დამახასიათებელი ეროვნული ნიჰილიზმის არეკვლის თაობაზე. ცალკეა აღსანიშნი ტექსტის რელიგიურ-ზნეობრივი ასპექტით გააზრების წადილი.

ეს წერილი „მამულის“ ინტერპრეტირების კიდევ ერთი ცდაა, ოღონდ — კულტურულ-ლიტერატურული კონტექსტის აქცენტირებით.

* * *

„მამულის“ ორპლანიან სტრუქტურაზე უკვე სათაური მიგვანიშნებს: **მამული** მემკვიდრეობით მიღებულ კერძომფლობელობასაც აღნიშნავს და სამშობლოს ზოგად ცნებასაც. რომელი შინაარსითაა გამოყენებული იგი გალაკტიონთან?

ლექსი აშკარად ბიოგრაფიული ხასიათისაა. კარგა ხნის შემდეგ მამისეულ ეზო-კარში მიბრუნებულ ლირიკულ სუბიექტს მოგონებები მისძალებია, წუხს, რომ წინაპრები „წასულან“, აღარ არიან, არემარეს „სხვა ხალხის“ ჟრიამული ავსებს, უპატრონოდ მიტოვებული საცხოვრისი კი გაპარტახებულა. დრო მუსრავს ყველაფერს, ქრება რაღაც მოუხელთებელი და ძვირფასიც, რაც პოეტის გულს წუხილითა და სინანულით მსჭვალავს.

პირველი შთაბეჭდილებით, „მამულში“ გალაქტიონი თითქოს მხოლოდ პიროვნულ-ინტიმურ, კერძოობით განცდებს გადმოგვცემს, რომ არა ერთი გარემოება — პირდაპირი ალუზიები ილია ჭავჭავაძის „გაზაფხულისა“ („ტყემ მოისხა ფოთოლი“). ამ ალუზიებს ლექსი **მამულის** სივრციდან **სამშობლოს** სივრცისკენ გაჰყავს. ქართველთა ცნობიერებაში ხომ საკუთრების აღნიშვნამდე დაკნინებულ სიტყვა „მამულს“ უზენაესი შინაარსი ილიამ დაუბრუნა, შეახსენა რა ერს, „რომ ქვეყნად ცასა / ღვთად მოუცია მარტო მამული“!

გალაკტიონის ლექსი „მამული“ სულიერი მემკვიდრის, **შვილის** ტკივილიანი პასუხია **მამის** მიერ სიჭაბუკეშივე დასმულ კითხვაზე:

**მამულო საყვარელო,**
**შენ როსლა აყვავდები?!**

### I. „ცვრიან ბალახზე...“

არსებობს შეხედულება, რომ „მამულის“ აზრობრივი შინაარსი ლექსის საწყის ორ ტაეპს, თავისთავადი ღირებულების მქონე პოპულარულ სახეს კი არ უკავშირდება: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა /არ გავიარე — რაა მამული?!“, არამედ პირველი სტროფის ჩამკეტ ორ სტრიქონს: „წინაპართაგან წავიდა ყველა, / სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

ჯერ იმის გარკვევა ვცადოთ, რა გენეზისი და სემანტიკური სიღრმე აქვს არაორდინარულ, შთამბეჭდავ სახეს, რომელმაც არაერთი ცნობილი მწერლის (გრიგოლ რობაქიძე, ალექსანდრე აბაშელი, ტიციან ტაბიძე...) ტექსტებში პოვა გამოძახილი.

გალაკტიონი ხშირად თვითონ იყო სხვათა შთაგონების წყარო, მაგრამ, არცთუ იშვიათად, სხვებისგანაც იღებდა შემოქმედებით იმპულსს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა აკაკის „ჩემი თავგადასავალის“ ერთი პასაჟი, სადაც ნათქვამია: „დილდილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველა უნდა გვერბინაო“ (ნოდარ ტაბიძე).

გამოვლენილია სავარაუდო უცხოური წყაროებიც: არტურ რემბოს ლექსი „შეგრძნება“ (თეიმურაზ დოიაშვილი) და მორის მეტერლინკის პიესა „ლურჯი ფრინველი“ (ვახტანგ ჯავახაძე).

თავისთავად, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გავლა ბუნებასთან, მიწასთან ფიზიკურ-ინტიმური კონტაქტის ორიგინალური, ესთეტიკური მანიფესტირებაა: პოეტი, როგორც სრულიად გასაგებ რამეს, ისე გვთავაზობს საკმაოდ უცნაურ აზრს, რომ მამული — ეს ცვრიან ბალახზე ფეხშიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლადო გაგუა

პეიზაჟი

ველა გავლის შეგრძნებაა! ეს ისეთი უშუალობით, ისეთი ინტონაციური სიწრფელით არის ნათქვამი, თითქოს „მამულის“ ცნება ამგვარი შეგრძნების გარეშე არც არასოდეს არსებულა, თითქოს გალაკტიონს არ ახსოვდეს წინაპართა ანდერძი, რომ მამული შობის ადგილი და ბავშვობის ემბაზია, უფლის მიერ ნაბოძები სივრცეა – უფალივით ერთი! – რომლისთვის თავგანწირვაც ადამიანის უწმინდესი ვალია.

მამულის კონცეპტი XIX საუკუნის ქართულმა პოეზიამ გონების აქტიური მონაწილეობით შეიმუშავა და განსჯითდიდაქტიკური ფორმით გამოთქვა. ამის საპირისპიროდ, გალაკტიონი, როგორც ახალი პოეზიის ადეპტი, განსჯით მიღებულ დასკვნას კი არ გვაწვდის, ესთეტიკური გამოსახვის ობიექტად გრძნობად იმპულსს, შეგრძნებას აქცევს. მამული მისთვის, უპირველესად, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის პირველყოფილი, დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა, რომელსაც სამუდამოდ ინახავს ჩვენი ქვეცნობიერი.

თუ ამ დაკვირვებას განვაზოგადებთ, შეუმჩნეველი ვერ დარჩება პოეტურ სახეში რეალიზებული ახალი თვალსაზრისი, რომ პოეზიამ აზრის სინამდვილე კი არ უნდა გამოთქვას, არამედ გრძნობაში უშუალოდ მოცემული რეალობა — შეგრძნების რეალობა!

ამგვარი გააზრებიდან გამომდინარე, „მამულის“ ერთ-ერთ სავარაუდო ინტერტექსტად არტურ რემბოს საპროგრამო ლექსი „შეგრძნება“ შეიძლება მივიჩნიოთ.



*გალაკტიონ ტაბიძე*

რემბოს „შეგრძნება“ — (გივი გეგეჭკორისეულ პოეტურ თარგმანში ლექსის სათაურია „განცდა“) — ასე იწყება:

**მხოლოდ ცისფერი შელამება შელებავს ივნისს**
**და ბილიკებზე თავთავებით დავიჩხვლიტები,**
**მე — მეოცნებე ატირებულ ბალახში ვივლი**
**და შუბლს ბურუსში გამიგრილებს ღამის თითები.**

აქვე მომაქვს სტროფის ზუსტი პწკარედული თარგმანი: „ზაფხულის ლურჯი საღამოებით ბილიკს გავყვები, / ხორბლით ნაჩხვლეტი, დაბალ ბალახებს გავთელავ, / მეოცნებე, მე ვიგრძნობ მის სიგრილეს ფერხთით. / ჩემს შიშველ თავს ქარს დავაბანინებ.“

რემბოსთან, როგორც ვხედავთ, საუბარია ბალახიან ბილიკზე სიარულსა და ფეხით სიგრილის შეგრძნებაზე.

გენიალური ფრანგი პოეტის ლექსი დაწერიდან 19 წლის შემდეგ, 1889 წელს გამოქვეყნდა და უმალვე ითარგმნა ევროპულ ენებზე. პირველი რუსული თარგმანი, რომელიც ინოკენტი ანენსკის ეკუთვნოდა, გასული საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა, რასაც „გარდმოენების“ მთელი წყება მოჰყვა. აი, ჩვენთვის საინტერესო ადგილი ბენედიქტ ლივშიცის თარგმანიდან:

**В сапфире сумерек пойду я вдоль межи,**
**Ступая по траве подошвою босою.**

ბალახზე შიშველი ფეხით სიარული, ღიად თუ მინიშნებით, გადატანილია სხვა რუსულ თარგმანებშიც, რომელთაც, ეჭვგარეშეა, იცნობდა გალაკტიონი.

რემბოს ლექსი, სათაურით „Sensation“, რაც „შეგრძნებას“, „შთაბეჭდილებას“ ნიშნავს, თანამედროვეთა მიერ ახალი, იმპრესიონისტული ესთეტიკის დეკლარაციად იქნა აღქმული. გალაკტიონის პოეტურ ცნობიერებაშიც ეს ლექსი, რუსული სიმბოლიზმის შუამავლობით, სწორედ ამგვარი რეცეფციით შევიდა.

რემბოს ლექსში მიწასთან, სამყაროსთან ფიზიკური კავშირი (ბალახიან ბილიკზე ფეხშიშველა გავლა) შედარებულია საყვარელ ქალთან შერწყმის მძაფრ შეგრძნებასთან. გალაკტიონთან გრძნობადი განცდა განწმენდილია ეროტიზმისაგან და ბუნებასთან კონტაქტი „დავიწროებულია“ მშობლიური მიწის უშუალო შეგრძნებამდე. შეგრძნების გამოსახვით დაიბადა იმგვარი მხატვრული სახე, რომლის არსებობა ქართულ პოეზიაში მანამდე წარმოუდგენელი იყო. პოეტური ხელოვნების კუთხით, ეს ნიშნავდა რაციონალური ნარმომავლობის სახე-კლიშეებზე უარის თქმას, მანამდე გამოუთქმელის სფეროში თამამ შეჭრას.

ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის მოტივი „არტისტულ ყვავილებში“ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, კერძოდ, ლექსში „გზაში“:

**მინდვრები, მთები და ზღვა ყანები**
**მზეზე ელვარებს ნამებით სველი,**
**კვლავ უზრუნველად მივექანები**
**უჩვეავად კარგი და ფეხშიშველი.**

ეს მრავალმხრივ საყურადღებო სტროფი ამჟერად იმითაა საინტერესო, რომ ძალიან ახლოსაა რემბოს „შეგრძნების“ ტექსტთან, რაც განამტკიცებს ვარაუდს მასთან „მამულის“ ინტერტექსტუალურ კავშირზე.

მამულის უშუალო შეგრძნების გამომხატველი ტროპი გალაკტიონთან არა თვითკმარი, არამედ კონცეპტუალური სახე რომ არის, ამაზე მიუთითებს განმეორებადი ავტოციტირებანიც („ბავშვი გზად ვლიდა. ბალახი. ცვარი“ და სხვ.) და ფეხშიშველა სიარულის ორი თვისებრივად განსხვავებული ასპექტის — **ბალახზე და ქვაფენილზე სიარულის** კონტრასტული დაპირისპირებაც პოეტის ლირიკაში (ლექსი „ქალაქისაკენ“).

ამრიგად, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გავლა სახე-კონცეპტია, ჰიპოთეტურად, ერთდროულად მომდინარე ეროვნული წიაღიდან (აკაკი) და დასავლური „ახალი პოე-

ზიიდან“ (რემბო). თუ გადაჭარბებულად არ გამოჩნდება, „მამულის“ დასაწყისი ესთეტიკური მანიფესტია ერთ ფრაზაში, ახალი პოეტური გნოსეოლოგიისა და მხატვრული ფორმის დაბადების მაუწყებელი ქართულ პოეზიაში.

„მამულის“ დაწერიდან ოცი წლის შემდეგ ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის მოტივი გალაკტიონმა კიდევ ერთხელ გაიხსენა და ვარიაციულად გაიმეორა ლექსში „გაზაფხულია“:

**გაზაფხულია. ხე ფოთოლს ისხამს.**
**ვაზის ცრემლებით აივსო ზვარი.**
**ამ მშვენიერ დღეს, ამ დილას სისხამს**
**ფეხებს გისუსხავს ეს უხვი ცვარი.**

ლექსის სათაური და პირველი ორი სტრიქონი ღია ალუზიაა ილიას „გაზაფხულისა“, ერთ-ერთი ავტოგრაფი კი მცირე საიდუმლოს გვიმხელს: გალაკტიონის ეს ლექსი ფრანგული შთაბეჭდილებითაა შექმნილი („შორით ვერსალი მოსჩანს ცისფერი, /როსმე ის ჩემი იყო ზმანება“). ამის გამო რემინისცენცია რემბოდან („ფეხებს გისუსხავს ეს უხვი ცვარი“) პოეტისათვის შინაგანად მოტივირებულია. ამ გვიანდელ ტექსტში საკმაოდ შეუნილბავადაა გამჟღავნებული „მამულის“ ორი მთავარი ინტერტექსტი — ილიას „გაზაფხული“ და რემბოს „შეგრძნება“.

დგება საკითხი: როგორ უკავშირდება „მამულის“ პირველი ორი სტრიქონი — ცვრიანი ბალახის მოტივი მთლიან ტექსტს — წინაპრებს, „სხვა ხალხს“, ვენახში მოსიარულე „მოხუც მამას“ ანუ ყოველივე იმას, რაზეც ლექსშია საუბარი.

სანამ ამ გზაზე წინ წავიწევდეთ, ორიოდე სიტყვა ვთქვათ „მამულის“ საწყისი ორტაეპედის რელიგიური ინტერპრეტაციის ცდაზე. პოეტის ღვთაებრივი წარმომავლობის იდეის საფუძველზე ტექსტში ამოკითხული და დანახულია პოეტიანგელოზის ზეციდან ანუ მარადიული სამშობლოდან მიწაზე — ამქვეყნიურ სამშობლოში დაბრუნების აქტი: სანამ ზეცის ბინადარი შიშველი ტერფებით არ შეეხება ცითკურთხეულ „ცვრიან ბალახს“, ის ვერ გაიგებს, „რაა მამული“!

მხატვრული ტექსტის რეცეფცია თავისი ბუნებით სუბიექტურია, ამიტომ ყოველ ინტერპრეტაციას არსებობის უფლება აქვს, მაგრამ თუ მას მეცნიერულობის პრეტენზიაც ახლავს, აუცილებელია ობიექტური არგუმენტირება, ამ შემთხვევაში, თუნდაც, გალაკტიონის რელიგიური მრწამსის წინასწარი კვლევა. ამის გარეშე ხელთ რელიგიური ცნობიერების მქონე რეციპიენტის მიერ ლექსის ქრისტიანული სახისმეტყველების მიხედვით გააზრების სურვილი შეგვრჩება.

გალაკტიონის წინაპრები სასულიერო წრეს ეკუთვნოდნენ, განათლებით და ალმსარებლობითაც პოეტი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო. იგი ზედმიწევნით იცნობდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, ჩინებულად იყენებდა რელიგიური გენეზისის სიუჟეტებს, მოტივებს თუ სახეებს თავის პოეზიაში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ შემოქმედებით პროცესში ორთოდოქსი მორწმუნესავით მიწყივ ქრისტიანული სახისმეტყველების სიმბოლოებით აზროვნებდა. როდესაც ამ ასპექტით განიხილავენ გალაკტიონის ლექსებს, — განსაკუთრებით სიმბოლისტური პერიოდისას, — დასავიწყებელი არაა, რომ პოეტი იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც პირისპირ აღმოჩნდა „ღმერთის სიკვდილის“ თავზარდამცემ, კრიზისულ იდეასთან. ამ იდეამ „მთლიანი მსოფლალქმის რღვევა“ (ტომას ელიოტი) გამოიწვია. რღვევის ნაზარები „მამულშიც“ მოჩანს, თუმცა ამაზე — ქვემოთ...

## II. „სხვა ხალხი“

„მამულის“ ინტერპრეტატორთა შორის აზრთა დაპირისპირება პირველი სტროფის ბოლო ორმა ტაეპმა გამოიწვია:

**წინაპართაგან წავიდა ყველა,**
**სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.**

ვის გულისხმობს ლექსში ნახსენები „სხვა ხალხი“, ვინც წასული წინაპრების ადგილი დაიკავა? — აი საკითხი, რომელიც დავის საგანი გახდა.

ტრადიციულად, წინაპართა წასვლა და „სხვა ხალხის“ გამოჩენა თაობათა ბუნებრივ მონაცვლეობად გაიაზრებოდა („იგი წავა და სხვა მოვა“). კომუნისტურ ცენზურას ლექსში „იდეოლოგიური დივერსია“ არ აღმოუჩენია, ამიტომ „მამული“ დაუბრკოლებლად, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, ქვეყნდებოდა პოეტის სიცოცხლეში: იგი შევიდა 1927 წლის „ზარნიშიან“ წიგნში, დაიბეჭდა სისხლიან 1937 წელს (თხზულებანი, ტ. I), შემდეგ კი — 1944, 1954 და 1959 წლების „რჩეულებში“.

„მამულის“ ტრადიციულისგან განსხვავებული, ახლებური გააზრება ოთარ ჩხეიძის სახელს უკავშირდება. მწერალს სპეციალური ლიტმცოდნეობითი ნარკვევი არც დაუწერია მისთვის გამორჩეულად საყვარელ ლექსზე, მან მხოლოდ „მამულის“ პირველი სტროფი წაუმძღვარა ეპიგრაფად თავის რომანს „აღმართ-დაღმართი“ (1960). ეპიგრაფს და რომანს, ავტორის ჩანაფიქრით, კონცეპტუალურად **„სხვა ხალხის“, როგორც უცხო ტომის** მოძალების, ეთნიკური ექსპანსიის მოტივი აერთიანებს. ამით ოთარ ჩხეიძემ „მამულს“ პოლიტიკური ქვეტექსტი შეუქმნა.

რომანის გამოქვეყნების შემდეგ (1967), ახლო ხანებში, მწერალს დღიურში ჩაუნიშნავს: „დავწერე შევიწროვება ქართველისა საქართველოში... თვით ეპიგრაფისაც შეეშინდათ, ეპიგრაფისა, გალაკტიონის ლექსისა, — წინაპართაგან წასულა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

შიში იმაში გამოიხატა, რომ ჟურნალ „ცისკარში“ „აღმართ-დაღმართის“ პირველი პუბლიკაციისას გალაკტიონის სტრიქონები რეპრესიაში მოჰყვა — ეპიგრაფი ცენზურამ ამოიღო.

ოთარ ჩხეიძის მიერ ორიგინალური ხერხით მინიშნებული თვალსაზრისის ლიტერატურათმცოდნეობითი დასაბუთება მოგვიანებით როსტომ ჩხეიძემ სცადა. მკვლევარის აზრით, წინაპართა მიწაზე მოჟრიამულე „სხვა ხალხი“, რომლისთვისაც უცხოა ინტიმური მიმართება ქართულ მიწასთან, პოეტში სევდიან და სკეპტიკურ განწყობილებას იწვევს, ამიტომ „სხვა ხალხი“ — „არ არის და არც შეიძლება იყოს ახალი თაობა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, „სხვა ხალხი“ მართლა სხვა ხალხია, ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილი და გათამამებული უცხო თესლი, ეროვნულობის დაკარგვას და გადაგვარებას რომ გვიქადის“.

მთავარი არგუმენტი, რომელიც როსტომ ჩხეიძეს ახალი თვალსაზრისის სასარგებლოდ მოჰყავს, ლექსის ფინალში ინტონაციურად ხაზგასმული მწუხარების განცდაა

— მწუხარებისა და სინანულის მიზეზი არ შეიძლება იყოს თაობათა ბუნებრივი მონაცვლეობა, მიზეზი მხოლოდ უცხო ტომის („სხვა ხალხის“) მოძალების საფრთხეაო.

„სხვა ხალხი“ კიდევ ერთი ახლებური — „წინაპართა“ („თერგდალეულთა“) ეროვნულ იდეოლოგიასთან დაპირისპირების ასპექტითაც იქნა გააზრებული. ამ თვალსაზრისის თანახმად, „სხვა ხალხში“ იგულისხმება ახალი თაობა — ქართველი სოციალ-დემოკრატები თავისი კლასობრიობის თეორიით და ეროვნული ნიჰილიზმით, მოახლოებული რევოლუციის მოლოდინში რომ ჟრიამულობს (გურამ ბარნოვი).

ლექსში უშუალოდ პოლიტიკური თუ სოციალური ქვეტექსტების ამოკითხვა, ჩემი აზრით, ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. „მამული“ არ არის სამოქალაქო, პოლიტიკური ლირიკის ნიმუში — იგი ინტიმური, ელეგიური ჟანრის ლექსია, რომელიც გალაკტიონმა სიმბოლისტურ კრებულში — „არტისტულ ყვავილებში“ შეიტანა. შემოქმედების ამ ეტაპზე პოეტის ლირიკაში ეროვნული თუ სოციალური პრობლემატიკა უკანა პლანზეა გადაწეული, მის თვალსაწიერში კი უფრო სულის მეტაფიზიკური ლტოლვანი, ახალი პოეტურ-ესთეტიკური ტენდენციების მხატვრული ხორცშესხმის ამოცანებია მოქცეული. ამის გათვალისწინებით, თუ „მამულის“ ტექსტში ტრანსფორმირებული სინამდვილის აღდგენა გვსურს, უფრო ლოგიკური ჩანს ლიტერატურულ-ესთეტიკურ კონტექსტზე ორიენტირება.

* * *

„სხვა ხალხის“ შინაარსის დასადგენად, ვფიქრობ, არსებითია იმის გარკვევა, თუ ვინ ჰყავს ნაგულისხმევი გალაკტიონს „წინაპრებში“. მანამდე ცხადი მხოლოდ ისაა, რომ „წინაპრები“ და „სხვა ხალხი“ ერთმანეთთან შეუთავსებადი სახე-ცნებებია.

წინაპრები წავიდნენ, მაგრამ რას ნიშნავს „წინაპართაგან წავიდა **ყველა**“ — სარითმო პოზიციაში გატანილი, რიტმულ-ევფონიურად საგანგებოდ აქცენტირებული ეს განმაზოგადებელი სიტყვა?

ლექსემა „ყველა“ შინაარსობრივად უგამონაკლისობას აღნიშნავს, მაგრამ „მამულში“ იგი, რასაკვირველია, საყოველთაო გადაშენებას არ გვაუწყებს. ჩემი აზრით, ამ სიტყვით ოდენ ისაა ნათქვამი, რომ ყველა, ვისაც პოეტი წინაპრად მიიჩნევს, წასულია, ცოცხალი აღარაა. აქედან გამომდინარე, „წინაპართაგან წავიდა ყველა“, სავარაუდოდ, სულიერ წინამორბედთ — ლიტერატურულ წინაპრებს უნდა გულისხმობდეს, რომელთაგან უკანასკნელი — ვაჟა-ფშაველა სწორედ 1915 წელს ანუ „მამულის“ დაწერის წელს გარდაიცვალა.

წინაპართა წასვლაზეა შეფარული საუბარი „არტისტული ყვავილების“ კიდევ ერთ ლექსში — „სიზმრები“, რომელიც იმავე 1915 წლით თარიღდება:

**წავიდენ ლანდები, მეორე, მესამე...**
**და ღამე დაჭრილი ფრთებივით დაქანდა.**
**შენ იცი? შენ იცი — მე როგორ ვეწამე?**
**როდესაც მე მოველ — არავინ არ სჩანდა!**

ლანდები, ვისზეც აქაა საუბარი, გარდაცვლილი წინაპრების ლანდებია, — (გავიხსენოთ „აკაკის ლანდი“), — მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „მეორე, მესამე“...

1915 წლის ზამთარში ჯერ აკაკი გარდაიცვალა, შემდეგ, ზაფხულში — ვაჟა, პირველ ლანდად კი, ცხადია, ილიაა ნაგულისხმევი, უფრო ადრე მოკლული წინამურთან. გალაკტიონი ნიუანსების ენით, მინიშნებით გვამცნობს, რომ დიდი „ლანდების“ — ილიას, აკაკის და ვაჟას გარდაცვალების გამო ქართულ პარნასზე ღამე ჩამოწვა („და ღამე დაჭრილი ფრთებივით დაქანდა“), რომ მის გამოჩენას და დამკვიდრებას პოეზიაში წინ ტრაგიკული გამოთხოვება უძღოდა (აკაკი ხინთიბიძე).

„ლანდები“ სიმბოლისტური ვუალირების გარეშეა დასახელებული ერთ-ერთ ავტოგრაფში ლექსისა „დრო“ (1915), სადაც ვკითხულობთ:

**მგოსნებო, შეღამდა და ძვირფას საფლავებს,**
**პანთეონს მივეცით ძვირფასი სამება:**
**ილიას ცრემლები, აკაკის ხანჯალი**
**და ვაჟას გარდასულ დღეებზე წამება.**

„ძვირფასი სამების“ თემას ამავე ავტოგრაფში საინტერესო გაგრძელება აქვს:

**მთაწმინდას დადაფნავს ძვირფასი სამება,**
**მოოქრულ ვარდებით ის სიკვდილს აზღაპრებს,**
**ჩვენ თვალწინ დასრულდა იმათი წამება**
**და მიტომ ვიგონებ წუხილით წინაპრებს.**

ამ სტროფში საუბარია არა მხოლოდ პოეტური სამების მიერ ზღაპრად გარდაქმნილ სიკვდილზე (გავიხსენოთ; „რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“), არამედ ილია, აკაკი და ვაჟა პირდაპირ მოიხსენიებიან სიტყვით **„წინაპრები“**. წინაპრები, რომელთაც გალაკტიონი ცოცხლებს შეესწრო, წავიდნენ, ანუ „დასრულდა იმათი წამება“, მათ შემდეგ კი, უდროობის ჟამს, როდესაც „არავინ არ სჩანდა“, მათი ასპარეზი „სხვა ხალხმა“ დაიკავა.

თუ მართებულია ჩემი ვარაუდი, რომ გალაკტიონი „წინაპრებში“ ლიტერატურულ წინამორბედთ — „ძვირფას სამებას“ გულისხმობს, არალოგიკური ხდება იმის დაშვება, რომ „სხვა ხალხი“ უცხო ტომს აღნიშნავს, ხოლო ლექსს პოლიტიკური ქვეტექსტი აქვს. უფრო მართებული ჩანს, რომ ლექსში საუბარია ლიტერატურულ თაობათა მონაცვლეობასა და ტრადიციის წყვეტაზე, რადგან შთამომავალნი („სხვა ხალხი“) არ აგრძელებენ „წინაპრების“ („ძვირფასი სამების“) გზას. „სხვა“ ამ კონტექსტში ეთნიკურად **„უცხოს“** კი არ აღნიშნავს, არამედ **„განსხვავებულს“** — განსხვავებულ ადამიანებს, სხვანაირ ხალხს.

ახლა ვნახოთ, რა სურათს იძლევა იმდროინდელი რეალურ-ისტორიული სიტუაცია ასეთი ინტერპრეტაციისათვის.

ილიას და, განსაკუთრებით, აკაკის გარდაცვალების შემდეგ ქართულ საზოგადოებაში ბუნებრივად დაისვა მათი მემკვიდრის საკითხი. ეს თემა აქტუალიზებულია „აკაკის ლანდის“ ერთ-ერთ ვარიანტშიც. ელიზიუმიდან მშობლიურ სივრცეში მობრუნებული აკაკის ლანდი თავად დაეძებს მემკვიდრეს, რათა სიმბოლურად გადასცეს თავისი სამგოსნო ქნარი. „ვინ არის ჩემი დიდი მემკვიდრე, /ვინ არის ღირსი წაილოს ქნარი?“ — კითხულობს დანაღვლიანებული აკაკი, რომელსაც სასურველი პრეტენდენტი ვერ უპოვია. ტექსტს საინტერესო გაგრძელება აქვს:

**თითქო მოხუცის უეცარ ფიქრზე**
**ექვსი მგოსანი წინ წადგა ნელა,**
**მათ, როგორც მთების მძლავრი არკანი,**
**წინ მიუძღოდა ვაჟა-ფშაველა.**

ვაჟას კვალზე გალაკტიონი კიდევ ხუთ პოეტს — „რჩეულ პარნასელებს“ — ჩამოთვლის: აბაშელს, შანშიაშვილს, გრიშაშვილს, ხუროძესა და ქუჩიშვილს. აკაკის პოეტური ქნარის გადაბარება, გალაკტიონის აზრით, მათ ცალ-ცალკე კი არა, მხოლოდ ერთობლივად თუ ძალუძთ: „რომ ყველა ერთად ღირსია ერთი — / დაუმონებელ აკაკის ქნარის“.

ეს ფრაგმენტი ორი მხრით არის საინტერესო: ვაჟას გამორჩეულობა მისი წინამძღოლობითაა ხაზგასმული, ხოლო საკუთარ თავზე გალაკტიონი არაფერს ამბობს — დუმს. დუმილი მალე დაირღვევა, როცა, „სხვა ხალხის“ საპირისპიროდ, წინაპრების ტრადიციის მემკვიდრედ ოდენ საკუთარ თავს დასახავს.

პოსტკლასიკური სიტუაცია („არავინ არ სჩანდა“) გალაკტიონთან რამდენადმე ჰიპერბოლიზებულია, რაზეც თუნდაც მის მიერვე ჩამოთვლილი „რჩეული პარნასელები“ მეტყველებს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ სიცარიელე, დროებით მაინც, ეროვნულ-ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელთა მიერ კი არ შეივსო, არამედ იმათგან, ვისაც გალაკტიონი „სხვა ხალხად“ თვლიდა.

კლასიკოსთა სამეულის წასვლას თან სდევდა, ერთი მხრით, მათი ულიმლამო ეპიგონების აქტიური მოძალება, მეორე მხრით კი — უცხო, ნეორომანტიზმისა და ადრეული სიმბოლიზმის, კლიშეების გადმომღებთა ფსევდონოვატორული პრეტენზიები, გამომწვევი დაპირისპირება თერგდალეულთა რეალისტურ ესთეტიკასთან და ეროვნულ მრწამსთან. აჰა, ეგერა, „წინაპართაგან“ გამდგარი, მშობლიური ნიადაგის — „ცვრიანი ბალახის“ შეგრძნებას მოკლებული შთამომავლობა — „სხვა ხალხი“!

წინაპრებისადმი მოწიწების, მეტიც – თაყვანისცემის გრძნობა მუდამ თან სდევდა გალაკტიონს. ჭაბუკს, თითქმის ყრმას ჩაუწერია: „ჩვენ ახალგაზრდობას ამათგან გავლილი გზა მუდამ სალოცავად გვექნება“. ეპოქათა გზასაყარზე, ძველისა და ახლის მიჯნაზე, პოეტს კვლავაც არ ტოვებდა სახელოვან წინამორბედთა ხსოვნა („რა მძლავრად ქუხდა მათი სახელი, /რა დიდი იყო მათი დიდება“), პოეტების მეფის რანგშიც ეამაყებოდა, რომ „ჩვენ კეთილშობილურად მივიღეთ წინაპართა მხურვალე ოცნებები“. გალაკტიონს მუდმივად ესმოდა „მამათა“ ხმა („და მეძახიან მშვიდ სამეფოში / მთები, სიზმრები და წინაპრები“) და იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ სიცოცხლის ბოლოს „კარს გაუღებდნენ მას წინაპრები“.

საგანგაშო ის იყო, რომ ახალგაზრდა გალაკტიონი „ძვირფასი სამების“ სიცოცხლეშივე ამჩნევდა, როგორ უპირისპირდებოდა მათ ნათელ იდეალებს ახალი იდეოლოგიით მოწამლულთა უპატივცემულობა, შური და ბრბოს ფსიქოლოგია. „აკაკის ლანდის“ ერთ-ერთ ვარიანტში დამაფიქრებელი სტრიქონები იკითხება:

**აქ მწარე გზა აქვს წინასწარმეტყველს,**
**შეჩერდი! შური ილვიძებს ბრბოში,**
**არ არის წმინდა, უმწიკვლო გრძნობა**
**და საქართველო საქართველოში.**

**არ არის გრძნობა პატივისცემის,**
**არ არის კაცი და მეგობარი,**
**რომ ოდნავ მაინც შეუმსუბუქდეს**
**დაღლილ მაცხოვარს წამების ჯვარი.**

გათიშვის, „წინაპართა“ და „სხვა ხალხის“ უკონტაქტობის უფრო მძაფრი სურათის დახატვა ძნელია. ამიტომაა, რომ სულეთიდან სამშობლოს სანუგეშებლად დაბრუნებული აკაკის ლანდი, გზასაცდენილ, გადაგვარებულ შთამომავალთა „ურცხვობა-უგრძნობლობით“ შეძრული, ტოვებს ქვეყანას. ასეთ სიტუაციაში მიიღო გალაკტიონმა წინაპართა ქნარი და მიუხედავად იმისა, რომ „აყეფდნენ მტრები, ტიროდა ზარი“, ღირსეულად შეუდგა მათს მოწამებრივ გზას.

* * *

ვფიქრობ, დადგა დრო გავარკვიოთ, რა ფარული ძაფებით ებმის ერთმანეთს ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლა, სევდა გარდასულ წინაპართა გამო და „სხვა ხალხის“ გამოჩენა.

კითხვას „რაა მამული?!“ გალაკტიონმა პოეტური დეფინიციით უპასუხა, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, მშობელი მიწის უშუალო შეგრძნებაა, მაგრამ ნუთუ ამ ფუნდამენტური ცნების შინაარსს მხოლოდ ფიზიოლოგიური იმპულსი ქმნის?! მიწას მიწადი მიაქვს, მამულის უკვდავებას კი თანამდევ სულებთან უწყვეტი კავშირი ინახავს — სამშობლო მიწის შეგრძნების გაქრობასთან ერთად სწორედ წინაპრებთან სულიერი კონტაქტის დაკარგვა გვაუწყებს, რომ ახლოა საბედისწერო ჟამი, როცა ჭეშმარიტ მემკვიდრეს გენეტიკურად იგივე, მაგრამ მენტალურად გადასხვაფერებული „სხვა ხალხი“ ჩაენაცვლება.

ახლა გავიხსენოთ მეტერლინკის პიესა „ლურჯი ფრინველი“, კერძოდ, პერსონაჟი-სიმბოლო — „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სირბილის ნეტარება“, რომლითაც ისარგებლა გალაკტიონმა, და გავერკვეთ, რა ფუნქცია აკისრია ამ სახეს წყარო-ტექსტში.

ლურჯი ფრინველის ანუ იდეალის მაძიებელი ბავშვები „ნეტარებათა ბაღიდან“ ანუ მიწიერ-მატერიალურ სიამეთა სივრციდან გადაინაცვლებენ „აუმღვრეველი სიმშვიდის ბაღში“ — სულიერი ნეტარების წიაღში, სადაც ისინი „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სირბილის ნეტარებას“ ხვდებიან. ეს ერთ-ერთი **საწყისი სულიერი ნეტარებაა**, რომელიც ბავშვებს „ზევით, სიღრმეში, ციურ კარიბჭესთან“ მცხოვრებ „დიად სიხარულებთან“ აკავშირებს. „დიადი სიხარულები“ სიკეთეს, სამართლიანობას, აზროვნებას, სიყვარულს და სხვა სულიერ ფასეულობებს განასახიერებენ.

მეტერლინკის პიესის ფონზე ძნელი აღარ ჩანს გალაკტიონის ერთი შეხედვით უცნაური სახის — „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის“ კონტექსტუალური შინაარსის ამოცნობა.

ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა სიარული ფიზიკურ და სულიერ შეგრძნებათა ზღვარზე მდგომი ნეტარებაა: იგი იმპულსს ფიზიკური შეგრძნებიდან იღებს და, სასწაულებრივად, შინაგან, სულიერ მდგომარეობად გარდაიქმნება. ეს მატერიალურის განსულიერების ის იდეაა, რომლის განხორციელებაც ეოცნებებოდა ვლადიმირ სოლოვიოვის ფილოსოფიით გატაცებულ გალაკტიონს. მიწასთან უშუალო შეხების გრძნობადი განცდიდან იბადება სულიერი განცდა — სამშობლოს გრძნობის ნეტარება! სწორედ ეს საწყისი ნეტარება მიუძღვის პი-

როვნებას „დიადი სიხარულებისაკენ“ — წინაპართა ზეციური საუფლოსაკენ, სადაც თავმოყრილია მათ მიერ დაგროვილი უმაღლესი სულიერი ფასეულობანი — „სიხარულები“, რომლებთან ზიარების გარეშე ადამიანი ვერ იქცევა თავისი ერის შვილად. პიროვნებამ უნდა გაიაროს გზა მშობლიური მიწის პირველყოფილი შეგრძნებიდან ერის წიაღში დაგროვილი სულიერი საუნჯის ათვისებამდე, რის გარეშეც იდენტიფიკაციის აქტი („ვინა ვარ“) ვერ ხორციელდება. ვინც ამ გზას არ გაივლის, ან უარყოფს, მშობელი მიწის შეგრძნებასაც დაკარგავს და, შესაბამისად, ეროვნულ სულიერებასთან კონტაქტსაც – მათი სიმრავლე უკვე „სხვა ხალხია“...

## III. „მოხუცი მამა“

„მამულის“ მეორე სტროფი მთლიანად წარმოსახვით-იმაგინაციურია:

**გაშალა ველი ნელმა ნიავმა**<br>
**და მელანდება მე მის წიაღში**<br>
**მოხუცი მამა, მოხუცი მამა**<br>
**სასხლავით ხელში დადის ვენახში.**

ხილვის, წარმოსახული სურათის ცენტრში დგას „მოხუცი მამა“, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა ლექსში ორმაგად არის ხაზგასმული — გამეორების ხერხით („მოხუცი მამა, მოხუცი მამა“) და ანჟამბემანის ფიგურით. ვის გულისხმობს გალაქტიონი „მოხუც მამაში“ — ბუნებით მამას, რომელიც ვაჟიშვილის დაბადებამდე გარდაიცვალა, თუ ეს, ლექსის ფართო კონტექსტიდან გამომდინარე, ოდენ „წინაპრის“ განზოგადებული სახეა?

მეორე სტროფში წინაპრების თემას ისეთი დეტალები ახლავს, რომ წარმოსახულის კონკრეტიზაციისაკენ გვიბიძგებს. თითქოს ყველა პირობაა საიმისოდ, რომ „მოხუცი მამის“ სახე აკაკის დავუკავშიროთ: „მამული“ დაწერილია აკაკის გარდაცვალების წელს, სხვა ტექსტებშიც გალაქტიონი აკაკის „მოხუცის“ ეპითეტით მოიხსენიებს („აქ, ჩემს ახლოს **მოხუცის ლანდს** სძინავს მეფურ ძილით“), ხოლო „აკაკის ლანდის“ ერთ ავტოგრაფში მგოსანი ასეთი შტრიხებით არის დახატული საგაზაფხულო განწყობის ფონზე:

**გამოჩნდა მოხუც აკაკის ლანდი.**<br>
**თეთრი ჭაღარით მოსილი თმები**<br>
**ელავდა ვერცხლის ელვა-ციმციმით**<br>
**და სახე მისი იყო გზნებული**<br>
**საგაზაფხულო ღვთაებრივ ღიმით.**

„აკაკის ლანდში“ გალაქტიონი იმასაც ამბობს, რომ დიდი პოეტი მარად იცოცხლებს „ჩვენი **სიზმრების** სიდიადეში“ – „მამულის“ მოხუცი მამაც ხომ წარმოსახვაში, **ლანდად** ევლინება გალაქტიონს („და მელანდება მე მის წიაღში“)?! აქვე ისიც ვთქვათ, რომ სულიერი წინამორბედის „მამის“ მეტაფორით წარმოდგენა უცხო არ იყო გალაქტიონისათვის („ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დალუპულ მამას“).

და მაინც... თუ წინაპრის სახის დაკონკრეტებას შევეცდებით, „მოხუცი მამის“ სიმბოლოში, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს ნაგულისხმევი!

დასაწყისშივე ითქვა, რომ „მამული“ გაჯერებულია ილიას „გაზაფხულზე“ ალუზიებით. თუ „მამულში“ აკაკის სახეა დაქარაგმებული, გალაქტიონი ილიას პოეტურ სამყაროს რატომ მიმართავდა?! კავშირი გალაქტიონის „მამულსა“ და ილიას „გაზაფხულს“ შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ საგანგებო დასაბუთებას არც საჭიროებს: მამული, მდელო (ველი), ვენახი (ვაზი) საგაზაფხულო გამოღვიძება და კონტრასტული პარალელიზმის ხერხი ლექსის ბოლოში — ყოველივე ეს ილიასეულია.

„მამულის“ მეორე სტროფში, ჩემი დაკვირვებით, არის ერთი მინიშნება, რომელიც კვლავაც ილიასთან გვაგზავნის. „მოხუცი მამა“ ლექსში იხილვის „ველის“ წიაღში — წარმოსახვა გადაშლის „ველს“ („გაშალა ველი ნელმა ნიავმა“) და შიდა სივრცეში ვხედავთ ვენახში ვაზთან მოფუსფუსე, მზრუნველ მოხუცს.

სიტყვა „ველი“ გალაქტიონის ლექსში, უბრალოდ, ლოკუსის აღმნიშვნელი სიტყვა არაა. იგი, ჩემი აზრით, ილიას „აჩრდილიდან“ მომდინარე სიმბოლური ტოპოსია. მთის მწვერვალიდან მომზირალი აჩრდილის — მოხუცის თვალს არაფერი იზიდავს, გარდა შორს გაშლილი **ველისა**, რომელზედაც „სრულ-საქართველო“ მოჩანს. პოემის ისტორიულ ნაწილში ილია ორ სიტყვას — „ველს“ და „სამშობლოს“ სინონიმებად იყენებს და თავისუფლადაც უნაცვლებს ერთიმეორეს. მაგალითად, „ველი“ ქვეყნის, სამშობლოს მნიშვნელობითაა მიმართვებში: „**ველო,** შენს თავზე იყო მრავალი / ქუხილი, ტეხა, ბედისა გმობა“; „**ველო,** გქონია შენც დრო კეთილი“; „**ველო,** ბერძენთა რაწამს გიხილეს“; „მაგრამ, ჰე, **ველო!** სად არის გმირი“ და სხვ. ალაგ ამ მიმართვას — „ველო“ — ბუნებრივად ენაცვლება „ტკბილო ქვეყანავ“.

მაშასადამე, ილიას „აჩრდილში“ **ველი** გეოგრაფიული ლანდშაფტის აღმნიშვნელი ცნება კი არაა, არამედ — საქართველოს ისტორიული ყოფიერების სიმბოლო. ამავე მნიშვნელობით უნდა იყოს გადასული იგი გალაქტიონის „მამულში“, რასაც მხარს უჭერს ფრაგმენტი პოეტის ერთი დაუმთავრებელი პოემისა, სადაც ილიასეულ კონტექსტში „ველი“ და „საქართველო“ ასევე სინონიმებია:

**ო, საბრალო საქართველო,**<br>
**ბევრი ვერ გრძნობს, რომ ეს ველი**<br>
**არის უცნობ, უსახელო**<br>
**მეომართა ფერფლი ძველი.**<br>
**სისხლი რისთვის ილვრებოდა?**<br>
**წარღვნის დღიდან რა ხდებოდა?**<br>
**ვნახოთ, რომ არ ვნებდებოდით,**<br>
**რა ვაკეთეთ,**<br>
**რას ვშვრებოდით?**

„მამულში“ პოეტური წარმოსახვა „გაშლის“ ველს, შედის მის წიაღში — ისტორიის სიღრმეში და იქ ჭვრეტს, აღმოაჩენს იმას, ვინც ქმნიდა ამ ისტორიას — წინაპარს, „მოხუც მამას“, საქართველოს თანამდევ უკვდავ სულს! განგმირული, მაგრამ პოეტის ხილვაში გაცოცხლებული, მკვდრეთით აღმდგარი ილიას სახება თითქოს საკუთარსავე პერსონაჟს — მოხუც აჩრდილს შერწყმია, მარადიულად მამულზე მზრუნველი „მოხუცი მამის“ სიმბოლოდ გარდასახულა.

მაშასადამე, „მოხუცი მამა“ პოეტური კონტამინაციით მიღებული სიმბოლო ჩანს, რომელსაც ერთდროულად

კონკრეტული და ზოგადი შინაარსი აქვს: მასში „აჩრდილის“ მოხუცი — საქართველოს თანამდევი უკვდავი სულიც მოიაზრება და ილიაც, როგორც ამ სულის მიწიერი ხატი, უკვე თავადაც სიმბოლოს სიმაღლემდე აზიდული.

ილიას გაიდეალება სრულიად კანონზომიერი იყო გალაკტიონისაგან: ამას კარნახობდა არა მარტო ოჯახური ტრადიცია („სული ჩვენი ოჯახის იყო დიდი ილია“), არამედ შეგნება მისი ღვაწლის ეპოქალურობისა („წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, / მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“). ილიას გზის გაგრძელება, მიუხედავად იმისა, რომ ეს „მეწამული გზა“ იყო, გალაკტიონს ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნდა, რადგან სჯეროდა, რომ „არ ამაოდ მიუშვირა ტყვიას / ჭავჭავაძემ განიერი მკერდი“.

ლექსში „მოხუცი მამა“ სასხლავით ხელშია წარმოდგენილი, ვენახს დასტრიალებს და ვაზის — ეროვნული ხის გადარჩენაზე ზრუნავს, უსარგებლო ლერწებს აშორებს. ამიტომაა, რომ ზრუნვისა და სელექციის ამ განზოგადებულ სურათში ილიასთან ერთად აკაკიც შეიძლება მოგვაგონდეს, თანამდევ სულთა უკვდავი თანავარსკვლავედიც და თვით გალაკტიონის ბუნებითი მამაც, თავისი მოკრძალებული და სპეტაკი ცხოვრებით. ეს წინაპართა ზნეობრივი იმპერატივით ანაგები სამყაროს წარმოსახვაა, რომელსაც პოეტის ხსოვნა ინახავს.

არსებობს ცდა, „მოხუცი მამა“ რელიგიურად იქნას ინტერპრეტირებული და ცალსახად დაუკავშირდეს ზეციურ მამას – ქრისტეს (ლუარა სორდია). მოხმობილია პარალელებიც: „ღვთაებრივი კომედიის“ წმინდა მამა, აგრეთვე, გოეთეს ლექსის „ღრმა მოხუცი წმინდა მამა“, რომელიც გალაკტიონის „მოხუცი მამის“ უშუალო წყაროდაა მიჩნეული.

როგორც დანტესთან, ისე გოეთესთან მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც „მამის“ ღვთაებრივ ბუნებაზე მიუთითებს, არის „წმინდა“ და არა „მოხუცი“ — ცალკე აღებული „მოხუცი“, „წმინდას“ გარეშე, როგორც ეს გალაკტიონთანაა, ღვთაებრიობას არ გულისხმობს. გოეთესთან ვკითხულობთ: „Der uralte heilige Vater“ (სიტყვასიტყვით: „უხნესი წმინდა მამა“). „ჰაილიგეს“ (წმინდა) გარეშე, მხოლოდ „ურალტე“ (უხნესი) რომ იყოს, აქაც „მამა“ ღმერთად ვერაფრით მოიაზრებოდა.

არ გამოვრიცხავ, რომ „მამულის“ მეორე სტროფს რაღაც კავშირი ჰქონდეს იოანეს სახარების პასაჟთან: „მე ვაზი ვარ, თქვენ კი — ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს გამოიღებს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ. ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ გადაიგდება, როგორც ლერწი, და დაჭკნება და მოაგროვებენ მათ, ცეცხლში ჩაყრიან და დაიწვებიან“ (15: 5-6). სრულიად შესაძლებელია, რომ მეორე სტროფში გალაკტიონმა სახარების სახისმეტყველება გამოიყენა: „მოხუცი მამა“, — აჩრდილი, წინაპარი, ილია — პოეტისაგან გაიდეალებული და ღმერთთან გატოლებული, შთამომავალთ აფრთხილებს, რომ ეროვნული ტრადიციის ერთგულება, „შიგნით ყოფნა“ კეთილ ნაყოფს გამოიღებს, ხოლო მისგან განდგომა — მოკვეთას და დაღუპვას. ამდენად, სასხლავი ვენახზე მზრუნველი „მოხუცი მამის“ ხელში ერთდროულად სიცოცხლის მიმნიჭებელიცაა და სასჯელის იარაღიც!*

## IV. „დავდივარ... ვწუხვარ და მენანება“

„მამულის“ ბოლო, მესამე სტროფი წარმოსახული სივრციდან რეალობაში გვაბრუნებს — მამისეულ ეზო-კარში, ვენახში, რომლის თითოეული ლერწი და ყლორტი თითქოს სიცოცხლის გადარჩენას გვამცნობს და მზრუნველ მამაზე ოცნებასაც იტევს. სინამდვილეში, ბუნების ამწვანება მამულის მოუვლელობას და მიტოვებულობას წარმოაჩენს. გაქრა „ველი“, როგორც ისტორიულ-კულტურული სივრცე, ხოლო ეზო-კარი, როგორც ამ სივრცის ნაწილი, გაველანებულია — ირგვლივ ხელუხლებელი კორდი და მოლი, ხასხასა დავიწყების ბალახი ზეიმობს. ცოტა მოგვიანებით ამას გალაკტიონი ღიად და მძაფრად იტყვის:

**ისევ აფშვენენ სურნელებას ბალახნი ველად,**
**მაგრამ არავინ მათ არ აგროვებს შესალოცველად.**
**პარტახი. გზებზე იფინება შქერი, რა გინდა?**
**ვაზებში ფშატი გადაბიბინდა და წყალი წმინდა**
**ათას შხამიან ბალახებით გადაიხატა...**

სიმწვანეს, ბალახს, რომელიც „მამულში“ თითქოს აღორძინების, განახლების მაცნეა, საგაზაფხულო შვება კი არა, რაღაც ძვირფასის გაქრობის განცდა ახლავს — ამ განცდას გალაკტიონმა სხვაგან ბალახებში მწოლარე მწუხარება უწოდა („იყო ის მწუხარება ბალახებში მწოლარე“).

მდელოს ამწვანება „მამულში“ — „**ისევ** ამწვანდა მდელო და კორდი“ ვარიაციაა ილიას სტრიქონისა „აყვავებულა მდელო“. სიტყვა „**ისევ**“ აქ იმდენად ბუნების მოვლენის განმეორება-მრავალჯერადობას არ აღნიშნავს, რამდენადაც მიმართებას ილიას ლექსთან: გაზაფხული გაზაფხულს ცვლის, მამულის ბედი კი **ისევ** უცვლელია!

ილიას „გაზაფხულს“, მიუხედავად მინორული ფინალისა, იმედიც ახლავს, იმედი და მოლოდინი მამულის აღორძინება-აყვავებისა. გალაკტიონის „მამული“ სასოწარკვეთილების ზღვართან მისული ელეგიაა, რადგან აბიბინებული მდელო და კორდი არა აყვავების, არამედ გაველურების სიმწვანეა, მერცხლის ჭყივილს „სხვა ხალხის“ ჟრიამული ფარავს, ვაზის ლხენით ტირილს კი თითქოს პოეტის ცრემლი ჩანაცვლებია — მწუხარების და სინანულის ცრემლი.

„მამულში“ ღრმა მწუხარების მიზეზი მხოლოდ თაობათა მონაცვლეობა, „წინაპართა“ წასვლა და „სხვა ხალხის“ ჟრიამული არაა. საწუთროს წარმავალობის სევდა დიახაც გაისმის ხოლმე გალაკტიონის ლირიკაში და იგი სულიერ ფასეულობათა განქარვების მოტივსაც ხშირად იერთებს, მაგრამ „მამულში“ გალაკტიონის უიმედობის მიზეზი, ჩემი აზრით, უფრო ღრმაა.

ლექსში ძალიან მნიშვნელოვანია მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა **სვლა** (სიარული): „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ **გავიარე**“, „მოხუცი მამა სასხლავით ხელ-

---

*** სასხლავიანი კაცის სახე მოგვიანებითაც გაიელვებს გალაკტიონის ერთი დაუმთავრებელი პოემის ხელნაწერში:**

***ათასფერად მოქარგული***
***გადაშლილა თვალწინ ველი***
***და სასხლავით ხელში დადის***
***იქ მგზნებარე კოლხიდელი.***

**„მგზნებარე კოლხიდელის“ ვინაობა საეჭვო არაა — ილიას საბჭოთა იმპერიის ბელადი ჩანაცვლებია. გალაკტიონისეულ ირონიას ნუ გამოვრიცხავთ, მაგრამ, ეტყობა, ისტორია, მართლაც, ფარსის სახით მეორდება: რა სხვლაც ჩაატარა ამ „ახალმა მამამ“ მშობლიურ ბაღ-ვენახში, კომენტარს არ საჭიროებს.**

ში **დადის** ვენახში“, „დავდივარ... ვწუხვარ და მენანება“. სვლას, სიარულს, მოქმედებას უკავშირდება ლექსში სამშობლოს შეგრძნებაც, წინაპართა ცხოვრების საზრისიც (ზრუნვა) და პოეტის, როგორც მჭვრეტელის, ყოფნაც მამულში. პოეტს არ დაუკარგავს მამულის გრძნობა, რადგან ახსოვს ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლის მადლი, იგი პატივს მიაგებს წინაპრებს და „სხვა ხალხსაც“ გამიჯვნია, მაგრამ მისი ინერტული „დავდივარ“ მოკლებულია წინაპართათვის ნიშანდობლივ ენერგეტიკას, ქმედით მზრუნველობას, „გაუქმებული ტაძრის“ აღდგენის სწრაფვას — გაუცხოების აჩრდილი ჩამდგარა მამულსა და ამ მიწის შვილს შორის. აი, უმთავრესი მიზეზი წუხილისა და სინანულისა.

„მამული“ ახალ ისტორიულ ეპოქაში, ილიას მკვლელობის შემდეგ დაიწერა, როდესაც „მოხუცი მამის“ საპროგრამო ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ორიენტირშეცვლილი ახალი თაობის — „სხვა ხალხის“ მიერ უარყოფილ იქნა. გამჟღავნდა თაობათა შორის სულიერი კავშირის საბედისწერო წყვეტა, გაჩნდა აშკარა ნიშნები ეროვნული კოშკის ჩამოშლისა გაუცხოებისა და ნიჰილიზმის გამო:

**ინგრევა კოშკი საუკუნით აშენებული!**
**წინაპართაგან მოტანილი ძვირფას ბროლებით...**
**ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი.**

ილიას მიერ ნალოლიავები, უზარმაზარი ძალისხმევით ნაკონწიწები „საყოველთაო საქართველოს“ იდეა, იდეა ერთობისა გალაკტიონის თვალწინ ირღვეოდა. თავი იჩინა უკურნებელმა ქართულმა სენმა: „მე თუ შენ, შენ თუ მე, ორივენი ერთად კი არაო“. „სადაა მამული?“ — იკითხა თავის დროზე ილიამ და თითქოს აღადგინა კიდეც გათითოკაცებული ერი და დაკნინებული ცნება მამულისა, მაგრამ გალაკტიონის წინაშე დრომ თავად ეს ცნება დააყენა ეჭვქვეშ („რაა მამული?!“).

ამ კონტექსტში გალაკტიონის ლექსი „მამული“ მშობლიურ მიწასთან, წინაპრებსა და ტრადიციასთან კავშირის ლირიკული გამჟღავნებაა, რასაც თან სდევს მძიმე წუხილის და სინანულის განცდა. წუხილის მიზეზი თაობათა გათიშვაა, ხოლო სინანული საკუთარ უმოქმედობას, პასიურობა-უმწეობას უკავშირდება.

* * *

ერთ ლექსში გალაკტიონი აღწერს გამოცხადებას „ძველი წინაპრისა“, რომელიც მთიდან სევდიანად გასცქერის მისგან რუდუნებით შექმნილის იავარყოფას:

**გადამხმარა ჩვენი ბაღი,**
**ჩვენი ბაღი ძველის-ძველი**
**და ცრემლები მოსდის მოხუცს,**
**დაუპყრია გულზე ხელი.**

მოხუცის გამოცხადება და მთის ტოპოსი ილიას ხატსა და მის „აჩრდილს“ აცოცხლებს, ოღონდ „მოხუცი მამა“ ვენახში აღარ ფუსფუსებს, ახლა ის თვალცრემლიანი უმზერს ნაამაგარი ბაღის — იმავე მამულის გახმობა-განქარვებას.

რა ვიზიონებს ჭვრეტდა მამულზე წუხილითა და სინანულით შეპყრობილი გალაკტიონი კრიზისულ ეპოქაში, სულაც არაა გასაიდუმლოებული. რაღაც ილიასეულიც („მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“) არის პოეტის ამგვარ ჭვრეტაში:

**წარსულს ჩვენ აღარ დავედევნებით**
**და არც ცრემლები დაგვედინება.**

მაგრამ აწმყო? მომავალი?

პოეტის ირგვლივ ყოველივე ავდრის მოლოდინითაა გაჟღენთილი, ავისმომასწავებელი გრიგალის მოლოდინით:

**ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი,**
**თუ მწიფობისთვემ შესცვალა დარი —**
**მებაღემ მოსვლა თუ არ ინება!**

ეს სტრიქონები უნებლიეთ ბაღში (ვენახში) მოფუსფუსე „მოხუცი მამის“ მოგონებას იწვევს: წინაპართა ზრუნვით გადარჩენილი ბაღი — მამული, თუ მას გულშემატკივარი პატრონი — ახალი მებაღე არ გამოუჩნდა მოსალოდნელ ქარტეხილებში გაუდაბურდება. სწორედ ეს არის გალაკტიონის დიდი და ტკივილიანი საფიქრალი. პოეტს არც ილიასეული „ძველი გაზაფხულის“ ხსოვნა ტოვებს და უჩინარი ქარის მოახლოებასაც გრძნობს:

**ძველ გაზაფხულის მღელვარე სუნი**
**მიჰყვება ფიქრებს ნისლში და ქარში!**

ხუთშაბათს, 17 ნოემბერს
ივანე ჯავახიშვილის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
„გალაკტიონის კვლევის ცენტრი“

და

გალაკტიონ ტაბიძის სახელობის
თბილისის 51-ე საჯარო სკოლა

გამართავენ ერთობლივ ღონისძიებას

**„საუბრები გალაკტიონზე“**

დასაწყისი 12:30 საათზე
მელიქიშვილის 2
*(მეოთხე სართული, სააქტო დარბაზი)*

ანა ბერძენიშვილი

# ნაბიჯი მომავლის პოეტიკაში

✸

## რაჭის ერისთავი როსტომ — როგორც პოეტი

„როსტომ ერისთავი — რეპრესირებული პოეტი" — ასეთია სათაური მრავალმხრივ საინტერესო, თავისებურად სენსაციური მოხსენებისა, რომელიც ბატონმა ლევან ბრეგაძემ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" სალონში წაიკითხა.

როსტომ ჩხეიძის თქმით, ლევან ბრეგაძის გამოსვლები თუ საჯარო ლექციები ყოველთვის ძალზე საინტერესო და ორიგინალურია, რადგან ის მაძიებელი კაცია. მან თავისი მოღვაწეობით ბევრწილად გაამდიდრა ქართული სალიტერატურო ცხოვრებაც და ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერებაც — წამოსწია ისეთი დეტალები, გარემოებები თუ ეპიზოდები, რომლებიც გარკვეულ ვითარებათა გამო მიჩქმალული იყო.

— ყურადღებას იპყრობს ამ მოხსენების სათაურიც, — თქვა ბატონმა როსტომმა, — ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ ადამიანი რეპრესირებული მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ რეპრესირებულნი იყვნენ ადრეც, მე-18 საუკუნეშიც. სწორედ ამ ეპოქის შვილია როსტომ ერისთავი, რომლის წარმოჩენაც, როგორც პოეტისა, მთლიანად ბატონი ლევანის დამსახურებაა.

როსტომ ერისთავის სახელი ცნობილია „ქართლის ცხოვრებიდან", განსაკუთრებით კი აკაკი წერეთლის მოთხრობით: „რაჭის ერისთავი როსტომ", რომელიც ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა (ბატონ ლევანს ამ თხზულების შესახებ აქვს წერილი, რომელშიც იგი ზნეობრივი კუთხიდან განიხილავს საკითხებს) და საინტერესოდ წარმოაჩენს ამ კოლორიტული ფიგურის ბედისწერას. აკაკი წერეთლის მონდომებით და თაოსნობით მის კრებულში გამოქვეყნდა ვრცელი, მემუარული ხასიათის ნარკვევიც სოლომონ I-ზე. ამ ნარკვევში იგი ეყრდნობა ამბავს, რომელიც სიკო კანდელაკმა თავისი პაპისგან ჩაიწერა. პაპამისი ძალზე ახლოს იყო სამეფო კართან. ისე ღრმად იცოდა იმერეთის სამეფო კარის კულუარული ამბები, როგორც ალექსანდრე ორბელიანმა ერეკლე მეფის კარისა. აკაკი წერეთელს ამ ნარკვევში ისეთი ეპიზოდები აქვს შემოტანილი, ისტორიულ წყაროებში რომ ვერ იპოვით და, შეიძლება ითქვას, თვითონ ეს ნარკვევიც ისტორიული წყაროა მთელი იმ ეპოქის და როსტომ ერისთავის კოლორიტული ფიგურის აღსადგენად. აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ ერისთავი ზედწოდებაა. იგი ჩხეიძეთა საგვარეულო სახლიდან იყო — იტრიელი ჩხეიძეების განაყარი გახლდათ... სწორედ როსტომთან ერთად დამთავრდა ჩვენი ერისთავობაც...

ბატონი ლევანი თავის მოხსენებაში ამ კოლორიტული ფიგურის მოღვაწეობის ერთ მხარეზე გაამახვილებს ყურადღებას და წარმოაჩენს მას როგორც პოეტს.

ლევან ბრეგაძე:

„ერთხელ ბატონმა თამაზ ჩხენკელმა ბრძანა, რა უცნაურია, მე-18 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში პოეტი არ გვყოლიაო (ცხადია, ბესიკი არ ითვლება, ვინაიდან ერეკლე II-ს გამოექცა თბილისიდან და ასე აღმოჩნდა სოლომონ I-ის კარზე). გვყავდა, ოღონდ რეპრესირებული-მეთქი, ვუთხარი და როსტომ რაჭის ერისთავის ორტაეპედი გავიხსენე, სამმაგი ზმის შემცველი:

**შენ**სა მოველ და შევამკობ **შენ**სა ტანადობასა,
**შენი უდასტურობა** კი არღვევს ბატონ-ყმობასა.

ეს ლექსი შემოგვინახა აკაკი წერეთლის მიერ მიგნებულმა და მის მიერვე 1895 წელს გამოქვეყნებულმა საისტორიო თხზულებამ „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე (ზეპირ-გადმოცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო სიკო კანდელაკის პაპა და ჩაწერილი მისი შვილიშვილის სიკო კანდელაკისაგან)", რომელიც აკაკის თხუთმეტტომეულის მე-8 ტომშია შეტანილი. მასში დიდი ადგილი უჭირავს თხრობას სოლომონ მეფისა და მისი ურჩი ვასალის როსტომ რაჭის ერისთავის ურთიერთობის შესახებ.

ამ ორტაეპედის ადრესატი სოლომონ პირველია. ის ერთი აზნაურის ხელით გაუგზავნა როსტომმა მეფეს მას შემდეგ, რაც ხელმწიფესთან სტუმრად მყოფი, მოტყუებით დაუძვრა მასპინძელს ხელიდან, რაკი შეატყო, რომ რაღაცას ცუდს უპირებდნენ. ორტაეპედი ერთი პირისადმი (ხელმწიფისადმი) მიმართულ სამმაგ ზმას შეიცავს, რაც ავტორის მაღალ ვერსიფიკაციულ ოსტატობაზე მეტყველებს (ზმურად იკითხება: „შენ სამოველ", „შენ სატანა", „შენ იუდა").

ორტაეპედის ქვეტექსტის ამოცნობა მეფის სასახლის კარზე არ გასჭირვებიათ: ზმების შექმნა-ამოკითხვა პოპულარული გასართობი იყო საქართველოში, მეტადრე მე-18 საუკუნეში.

შინ დაბრუნებულმა როსტომ ერისთავმა მეფეს მეორე გალექსილი ეპისტოლეც აახლა, რომელიც 16-მარცვლიანი შაირით შესრულებული 16 სტრიქონისაგან შედგება. ეს ეპისტოლე მეფის მეციხოვნეებისადმი, ბასილა და კვირიკა იამანიძეებისადმი, მიმართვით იწყება, მაგრამ მისი ადრესატიც სოლომონია. ბასილა და კვირიკა იამანიძეები ციხე-კოშკების ჩასაბარებლად გააყოლა მეფემ რაჭაში ერისთავს (მთელ ჩემს სამკვიდროს დაგითმობთ, მე კი სადმე აქვე სამაგიერო მიბოძეთ, რათა ახლოს ვიყო და უკეთ გემსახუროთო — ამ ცრუ დაპირებით მოახერხა ერისთავმა დასხლტომოდა ხელმწიფეს):

**ესე ასრე არ იქნების, ბასილა და კვირიკაო!**
**ციხეს მართმევს, მინდორს მაძლევს, დავჯდე**
**უნდა ვირიკაო?!**
**წადით უთხართ თქვენსა მეფეს: მე გახლავარ**
**დიდი როსტომ!**
**მე ერთგულად გეახელი, მიპირობდი ღალატს რატომ?**
**სიტყვით გითვლი, წიგნსაცა გწერ, ხელი აიღე რაჭაზედ!**
**მიხვდი, რომ აღარ გმორჩილობ, სწორი გიდგები**
**ძალაზედ!**
**რაჭის ბეგარას ავიღებ, არ გერიდები ამაზედ.**
**უბაწროდ ვირი დამაბით დამტვრეულ ჩელტის**
**ბაგაზედ?**
**თუ მიპირებ ამოწყვეტას, აწ მობრძანდი, რაღას ყოვნი?**
**ციხე მიდგას მაღალ კლდეზე და ზედ მოკვრით**
**ბარაკონი,**
**ხიდისკარში მცველები მყავს და კოშკები სამაგრონი.**
**ჩემი იყო, ქვეც წაგართვი კუდარო და რაჭა-ონი.**
**ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი,**
**თამარ მეფის მამობილსა ყმანი ჰყავდა ორი ბევრი.**
**მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მღერი,**
**გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია, შენი გერი!**

მწარე ტექსტია, მაგრამ უდავოდ პოეტური ნიჭით დაჯილდოებული, ლექსის წერაში განაფული ადამიანის შეთხზულია. ამაზე მეტყველებს ონომასტიკონის გამოყენებით შედგენილი იშვიათი, ე. წ. ეგზოტიკური და ამავდროულად თემატური რითმები — იდენტურიც (**კვირიკაო : ვირიკაო**) და არაიდენტურიც — კონსონანსური (**როსტომ : რატომ**) და ასონანსური (**რალას ყოვნი : ბარაკონი : სამაგრონი : რაჭა-ონი**).

კარგი პოეტური გემოვნების დასტურია ისიც, რომ უპირატესად მეტყველების სხვადასხვა ნაწილია ერთმანეთთან გარითმული — არსებითი სახელი და ზმნა: **კვირიკაო : ვირიკაო** (ვირიკაო, ანუ რიკი [რიკ-ტაფელა] ვითამაშო); **რალას ყოვნი : ბარაკონი; მღერი : გერი**; არსებითი სახელი და კითხვითი ზმნისართი: **როსტომ : რატომ**; არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი: **კახაბერი : ორი ბევრი** (ორი ბევრი ანუ 20 000).



ლევან ბრეგაძე

ლექსში გვხვდება ჩინებული გროტესკული მხატვრული სახე — „უბაწროდ ვირი დამაბით დამტვრეულ ჩელტის ბაგაზედ?“

ძველ ქართულ მწერლობაში ძნელად თუ მოიძებნება სასაუბრო მეტყველებასთან ასე მიახლოებული ენით შესრულებული სხვა პოეტური ტექსტი.

ჟანრობრივადაც მეტად საინტერესოა ეს ლექსები — ორი ჟანრია აქ შერწყმული: ერთი მხრივ, ეს არის რეალურად არსებული, ავტორის თანამედროვე ადრესატისადმი გაგზავნილი რითმიანი ლექსით შესრულებული ეპისტოლე, ერთობ კოლორიტული ჟანრი, რომელიც პოპულარული იყო მე-18 საუკუნის საქართველოში, და, მეორე მხრივ, საქმე გვაქვს ინვექტივასთან ანუ პამფლეტთან — მწვავე ურთიერთდაპირისპირების გამომხატველ ტექსტთან.

ამ შესაძლებლობის პოეტს უთუოდ სხვა თხზულებებიც ექნებოდა. ისინი ალბათ მაშინ განადგურდა, როცა სოლომონ პირველმა მიწასთან გაასწორა როსტომის სასახლეები რაჭაში, მას შემდეგ, რაც მაინც შეძლო მისი ჩამოტყუება გეგუთში, თვალები დასთხარა და მოდინახეს ციხეში გამოამწყვდია სამშობლოს ღალატის ბრალდებით (თუმცა, როგორც აკაკი წერეთლის მიერ გამოქვეყნებული ზემოთ ნახსენები საისტორიო თხზულებიდან ირკვევა, როსტომი ბოლოს უკვე გულწრფელად ცდილობდა მეფესთან შერიგებას). სამეფო კარის პროპაგანდამ ჩინებულად იმუშავა — როსტომ ერისთავს მოღალატის სახელი შერჩა. „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ვკითხულობთ:

„[როსტომ რაჭის ერისთავი] ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ცენტრალისტურ პოლიტიკას. იმერეთის ზოგიერთ რენეგატ ფეოდალთან ერთად მეგზურობას უწევდა ოსმალ დამპყრობლებს და ხშირად გამოდიოდა მათ მოკავშირედ სოლომონ I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

იმას კი არავინ გვეუბნება, სოლომონ I-ის „ცენტრალისტური პოლიტიკა“ მხოლოდ იმერეთის ტერიტორიაზე რომ ვრცელდებოდა, იმერეთის დამოუკიდებელ და ერეკლე II-ის მიერ გაერთიანებულ ქართლ-კახეთთან დაპირისპირებულ სამეფოდ არსებობას რომ გულისხმობდა. თვითონ სოლომონიც ხომ მფარველობდა ერეკლე II-ის მტრებს იმის გამო, რომ პატარა კახის გეგმაში ამერ-იმერის გაერთიანებაც შედიოდა, ანუ სოლომონიც ხომ ეწინააღმდეგებოდა ერეკლე მეორის ცენტრალისტურ პოლიტიკას, საქართველოს გაერთიანებისკენ მიმართულს! ასეთი რამ ფეოდალიზმის ხანაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ამგვარი განდგომები თვით ფეოდალიზმის არსიდან გამომდინარეობს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, შესაძლებელია როსტომ ერისთავის რეაბილიტაცია, თუნდაც იმ ზომით, რომ ზმების შესახებ დაწერილ ნაშრომებში მისი უნიკალური სამმაგი ზმის შემცველი ლექსი მაინც დავიმოწმოთ (რაფიელ ერისთავიდან მოყოლებული დღემდე ზმების შესახებ დაწერილ ნაშრომთა არცერთი ავტორი როსტომ ერისთავის ამ ვირტუოზულ ზმას არ ახსენებს! არადა ერთი ასეთი ლექსის ავტორობაც საკმარისია, რომ ლიტერატურის ისტორიას შემორჩეს).

ანალოგიისთვის: ბესიკიც ხომ ებრძოდა ერეკლე II-ს, პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეს, ქართლ-კახეთის გამაერთიანებელს, ხალხის საყვარელ „პატარა კახს“. ალექსანდრე ბარამიძე წერს:

„[ერეკლეს მიერ] ქართლიდან გაძევებულმა ბესიკმა (...) თავშესაფარი იპოვა იმერეთში. სოლომონ მეფემ ბესიკს უწყალობა „მდივანთუხუცესობა“ და მამულები. იმერეთში გადასვლის უმალვე პოეტი აქტიურად ჩაება ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულებაში(...). პოეტს სიკვდილამდე შერჩა ერეკლესადმი სიძულვილის გრძნობა“.

მაგრამ ამის გამო ბესიკის ნიჭიერება მეფე ერეკლეს „ფანებსაც“ კი არ უარუყვიათ.

და ბოლოს: როსტომ რაჭის ერისთავის პიროვნება რომ ობიექტურად შევაფასოთ, მისდამი აკაკი წერეთლის დამოკიდებულებაც უნდა გავითვალისწინოთ, იმ აკაკისა, რომლის წინაპარი პაპუნა წერეთელი, სოლომონ I-ის ჯარის სარდალი, როსტომ ერისთავის დაუძინებელი მტერი გახლდათ. ამის მიუხედავად, ნოველაში, რომლის სათაურია „რაჭის ერისთავი როსტომ“, აკაკი წერეთელი ცალმხრივად როდი წარმოგვიდგენს ამ რთულ, წინააღმდეგობრივ, ტრაგიკული ბედის მქონე პიროვნებას — თვალებდათხრილი, ცოდვებმონანიებული როსტომ ერისთავი აკაკის ნოველაში ისეა დახატული, რომ შეუძლებელია მკითხველის თანალმობა არ დაიმსახუროს“.

**როსტომ ჩხეიძე:**

— ის, რაზეც ბატონმა ლევანმა ისაუბრა, მნიშვნელოვანი აღმოჩენაა, რომელსაც ცალკე გამოტანით მან თავისი მოქალაქეობა მოუპოვა. ამის შემდეგ, როცა გამოვა პოეზიის ანთოლოგია, მასში ეს ლექსებიც იქნება ჩართული, როგორც როსტომ ერისთავის პოეტური ქმნილებანი.

რაც შეეხება მოხსენებას, ვფიქრობ, ავტორისეული მსჯელობა და ანალიზი სანიმუშოა და ამ ყველაფერზე დაყრდნობით, როსტომ ერისთავის ლექსებს ასეთი სათაურით გავაერთიანებდი: „ნაბიჯი მომავლის პოეტიკაში“.

ბიოგრაფია კი ამ ადამიანისა ერთ-ერთი უმძიმესი ისტორიაა, შექსპირულ ტრაგედიას რომ მოგაგონებთ. ერთ მომენტს მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება:

აკაკი წერეთელი ჩამომავალია პაპუნა წერეთლისა, ვინც პირადი დაპირისპირების გამო მეფე სოლომონიც გადაჰკიდა როსტომს და იქადნიდა: ხომ მივაღწიე რაც მინდოდა და შენი ხოდაბუნები ახლა მე დამრჩაო.

საგვარეულო აკაკი წერეთელს ალბათ ჩააგონებდა, რომ მართლები ამ დაპირისპირებაში წერეთლები იყვნენ, მაგრამ აკაკი ის პიროვნება იყო, რომელიც ადვილად არავის ეყრდნობოდა, თუ თავად არ გაარკვევდა ყველაფერს. იგი ძალზე დიდი პატივისცემით წერს როსტომზე:

— როგორც მაღლა მდგომმა კაცმა, ბევრი მოშურნე გაიჩინა და სწორედ მათ დაღუპეს იგიო, — ამბობს და მას ბიბლიურ სამსონსაც ადარებს... და მე მიხარია, რომ აკაკი ასე აფასებს არა თავის, არამედ ჩემს წინაპარს — როსტომ ერისთავს.

**ლევან ბრეგაძე:**

— სხვათა შორის, მე არ ვიცოდი და სულ შემთხვევით გავიგე, რომ ბატონ როსტომს ეს სახელი სწორედ ამ ისტორიული ფიგურის პატივსაცემად ჰქვია...

**როსტომ ჩხეიძე:**

— მინდა ორიოდე სიტყვა აკაკი წერეთლის ამ ნოველის ფინალზეც გითხრათ... როსტომ ერისთავი თავის ერთგულ ყმას ჯაფარ ჯაფარიძეს თვალებს დათხრის. შემდეგ, მეფე სოლომონის ბრძანებით, ამ ფორმით დასჯიან როსტომსაც... და აი, თხზულების ბოლოს ერთმანეთს ხვდებიან უსინათლო ჯაფარ ჯაფარიძე და როსტომ ერისთავი. აღდგომა დღეა. ჯაფარი ხმაზე იცნობს მას და ეტყვის: შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღდგა, გიხაროდენო... აი, ასეთი ფინალი აქვს ამ ნოველას, რომელიც ჩემი აზრით, მსოფლიო შედევრია თავისი დახვეწილობით.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ სოლომონს დაფიცებული ჰქონდა ძმასთან, იოსებთან (ის იმ დროს კათალიკოსი იყო): როსტომს არაფერს დავუშავებო და როცა იოსებმა, აღშფოთებულმა სოლომონის საქციელით, პასუხი მოსთხოვა მას, მეფემ უპასუხა: შეგპირდი, რომ სიკვდილით არ დავსჯიდი და არც დამისჯია; ვთქვი, რომ საარაკო შეხვედრას მოვუწყობდი და აკი საარაკოდაც დარჩება ეს მილებაო. იასემ კი უთხრა: მე რასაც გინდა მეტყვი, მაგრამ ღმერთთან სიტყვის ჭახრაკობა არ გამოგადგებაო... რის შემდეგაც მან დაგმო ძმის საქციელი და მეორე დღესვე გადადგა კათალიკოსობიდან — რაკი მონაწილე აღმოჩნდა ამ საზარელი ამბისა, ჩათვალა, რომ უფლება აღარ ჰქონდა კათალიკოსად დარჩენისა.

**მანანა გაბაშვილი:**

— ძალზე საინტერესო იყო ბატონი ლევანის მოხსენება. თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი რამ ჩვენს ისტორიაში სხვა თვალით შესასწავლია და უამრავი უცნობი დეტალია წამოსაწევი.

როსტომ ერისთავის შესახებ მასალების გაცნობისას ერთ საინტერესო ინფორმაციას მივაგენი... აქ, საქართველოში თვალების დათხრის პროცესს თურმე რამდენიმე ეტაპი ჰქონია. პირველ ჯერზე მხოლოდ უქვეითებდნენ მხედველობას და ეს ყველაფერი მკურნალობას ექვემდებარებოდაო...

**გიორგი გოგოლაშვილი:**

— ამ 10-15 წლის წინათ, რუსთაველის ზმების შესახებ მოხსენება წაიკითხა ქალბატონმა ეთერ ბასილაშვილმა. ძალზე ბევრი დაეძებნა ასეთი ზმები „ვეფხისტყაოსანში“, იმდენი, რომ გაკვირვებულიც ვიყავი — მართლა ასეა ეს ყველაფერი თუ მომხსენებელი იმას ხედავს, რაზეც რუსთაველს არც უფიქრია-მეთქი. როგორც მახსოვს, ეს მოხსენება არ დაბეჭდილა და შესაძლოა ის თქვენთვის საინტერესო აღმოჩნდეს.

**ვახტანგ ბახტაძე:**

— ბატონო ლევან, თქვენ აღნიშნეთ: აკაკი ხინთიბიძე ერთგან ამბობს: ესა და ეს ზმა ნამდვილი არ არისო. კრიტიკაში თუ არსებობს მაგალითები ფსევდოზმისა და ნამდვილი ზმის გასასხვავებლად?

**ლევან ბრეგაძე:**

— საერთოდ ზმა არ არის მხოლოდ სალექსო მოვლენა, ის შეიძლება პროზაშიც შეგვხვდეს. აკაკი ხინთიბიძე თავის განმარტებაში ამის შესახებაც წერს. ის არ თვლის ნამდვილ ზმებად „თორნიკე ერისთავიდან“ მოყვანილ ნიმუშებს („მასხა რაო“ და „სულ ელიო“), პოემის ავტორის კვალობაზე იგი მათ „ცალფეხ ზმებს“ უწოდებს.

რა მნიშვნელობით იყენებდა ამ ტერმინს აკაკი წერეთელი, ამის ახსნას დაფიქრება სჭირდება.

აკაკი ხინთიბიძე ნამდვილ ზმად მიიჩნევს აკაკი წერეთლის **„ოი, ამას** გაუმარჯოს...“ (იგულისხმება „ოიამა“ — იაპონელი მთავარსარდალი, რომელმაც რუსეთის ჯარი დაამარცხა). ის შედგება ორი დამოუკიდებელი სიტყვისგან, რომლებიც წარმოთქმისას ერთმანეთს ერწყმიან და სხვა სიტყვას გვაძლევენ.

**ლევან ქურციკაშვილი:**

— ჩემი პროფესიის გამო მედიცინის ისტორია თავიდან ბოლომდე მაქვს გადაკითხული. დღეს პირველად გაცხადდა ჩემთვის, რომ თვალების დათხრის პროცესს ქართველები ეტაპობრივად ასრულებდნენ და თურმე ნელ-ნელა აბრმავებდნენ ადამიანებს. თვითონ მხედველობის ნერვი ისეთი ფაქიზია... თეორიულადაც ვერ წარმომიდგენია ასეთი რამ როგორ იყო შესაძლებელი...

**თეიმურაზ ნადარეიშვილი:**

არ ვიცი, ბატონო ლევან, ჩაიწერება თუ არა ამ ზმათა კრიალოსანში ეს ნიმუში, მაგრამ მინდა შეგახსენოთ იოსებ გრიშაშვილის მიერ „ლიტერატურულ ბოჰემაში“ მოყვანილი სტრიქონი: „მაღლა ღმერთი შეგეწიოთ, ძირს ხელმწიფე, მისი ტახტი!“

**ლევან ბრეგაძე:**

— ეგ ლექსი აღარც მახსოვდა...

ქვეტექსტის თაობაზე ვწერ მოხსენებას სიმპოზიუმისთვის და ამ სტრიქონს აუცილებლად ჩავრთავ. დიდი მადლობა, რომ შემახსენეთ!

გივი ალხაზიშვილი

# შთაბეჭდილებათა ნაკვალევი

***

ნებისმიერი სიახლე პოეზიაში, ისევე, როგორც სიძველე, არ არის აუცილებლად კარგის ან ცუდის სინონიმი, ნიშანი იყოს. თავგადაკლული ტრადიციონალისტივით პოეზიას ვერც ღვინის სიძველე-სიახლესთან გავაიგივებ და ვერც შევადარებ სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიებისა და დარგობრივი, უდიდესი სხვაობის გამო.



კულტუროლოგებისთვის საინტერესო სიახლეს პოეზიაში, არცთუ იშვიათად, არანაირი კავშირი არ აქვს პოეზიასთან, ამ სიტყვის "წმინდა" გაგებით და მათთვის პოეზია უმთავრესად საინტერესოა მხოლოდ ინტერპრეტაციისათვის, კულტუროლოგიული ძიებისთვის ან როგორც სულიერი კრიზისის ან სხვა რამის ილუსტრაცია. უკეთეს შემთხვევაში ისინი ხედავენ ისეთ სიახლეს, რომელიც უფრო ფილოსოფიური ასპექტით არის საინტერესო და არა ლიტმცოდნეობრივად. ზოგიერთისთვის ანტიპოეზიის ცალკეული ნიმუშები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგადად პოეზიის ახალი გზა და განვითრების შესაძლებლობანი. ზოგმა, თუ არ ვცდები, პოეზიაში განვითარების გზები საერთოდ გამორიცხა და მის სიკვდილზე ალაპარაკდა.

გვინდა თუ არა, ლიბერალური ეკონომიკისგან დაწუნებული პოეზია წასაკითხადაც და შესაქმნელადაც უდიდეს მოცალეობას მოითხოვს. მოცალეობა კი თითქმის გააუქმა ლიბერალურმა პოლიტიკამ და საბაზრო ეკონომიკამ და ამიტომაც არ დარჩა ადგილი პოეზიისთვის თანამედროვე ცხოვრებაში. დრო აღარ არის, პოეზიისთვის დრო არ რჩება და არც სურვილი არ არის მისი კითხვისა. პოეზია იმ დროის შვილია, როცა დრო თავზესაყრელი იყო და წიგნიერ საზრდოს მხოლოდ წიგნებში ეძებდნენ.

მიუხედავად ამისა, ჩვენში ათასები მაინც წერენ და მოცალეობის ნაკლებობას არ უჩივიან. კომპიუტერებით იპარავენ დროს სამსახურებში და იქმნება პოეზიის ელექტრონული ნიმუშები სამინისტროებში, კერძო სტრუქტურებში და ა. შ. მოკლედ პოეზიამ ადგილი გამოცვალა, /ხომ გახსოვთ სიმონა დოლიძეზე სიმღერა — "გამევიცვალოთ ადგილი"/, ჰოდა გამოიცვალა, როგორც არაერთხელ გამოუცვლია. სულ არ არის გასაკვირი, ასეთ დროს რომ დაავიწყდეთ პოეზიის მთავარი ფუნქცია და იწყონ საუბარი საკუთარ ინტერესებზე, სადაც პოეზიიდან აციტირებენ ცალკეულ საილუსტრაციო მასალას მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის და მახვილებიც ისეა დასმული, როგორც წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისს გამოადგება, დასჭირდება. ყველა საკუთარი პროფესიული ინტერესით კმაყოფილდება, რაც სულაც არ არის გასაკვირი და სრულიად ბუნებრივია. თუმცა ერთი რამ მაინც უნდა გავითვალისწინოთ — კულტუროლოგები პოეზიის ხარისხზე თითქმის არ საუბრობენ, რადგან მათთვის პოეზია/ლიტერატურა/ მხოლოდ მასალაა დისკურსისთვის ან ზოგჯერ საკუთარი წინასწარგამზადებული, კონცეპტუალური მოდელის შესავსებად ესაჭიროებათ. სიმართლე გითხრათ, ჭკუაში დამიჯდა სუზენ სონტაგის ერთი მოსაზრება და სალიტერატურო კრიტიკის ისეთი ნიმუშები მომენატრა, როცა კრიტიკოსი საგანზე, თემაზე, კონკრეტულ ტექსტზე მეტს ფიქრობს, წერს და ინტერპრეტაციით თავს ნაკლებად იქცევს. ინტერპრეტაცია აუცილებელია და საჭიროა, მაგრამ მხოლოდ ინტერპრეტაციით შემოფარგვლა უფრო ეგოისტური ზრახვების დაკმაყოფილებაა, ვიდრე ნაწარმოების ანალიზი. ისიც უნდა ითქვს, რომ საინტერესო ინტერპრეტაცია მწერლურ ნიჭს მოითხოვს და, ცხადია, ყველას ვერ გამოუვა, მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო დაკვირვებანი შესაძლოა გაჩნდეს აქა-იქ, წერილობისას.

«ხელოვნების რა სახის კრიტიკა ან კომენტარია დღეს სასურველი? იცით, მე როდი ვამბობ, თითქოს ხელოვნების ნიმუშები ენით აუწერელია, რომ მათი განმარტება ან პერეფრაზირება შეუძლებელია, მაგრამ, ვსვამ მარტივ კითხვას – როგორ? როგორი უნდა იყოს კრიტიკა, რომ მხოლოდ ხელოვნების ნიმუშს ემსახუროს და მისი ადგილის უზურპაცია არ მოიწადინოს. »/სუზენ სონტაგი – «ინტერპრეტაციის წინაალმდეგ» თარგმნა გიორგი კეკელიძემ/.

### ინტერნეტი

თანდათან ვივიწყებ ყველაფერს, რისი გახსენებაც მზარავს. ახლა კომპიუტერში „გადავსახლდი" და რეალობაში უფრო ნაკლებად ვცხოვრობ, ვიდრე ვირტუალურ სივრცეში. თითქმის ყველას ჩამოვშორდი, გარდა თითოოროლა მეგობრისა და მათაც ან ეკლესიაში, ანდა ჟურნალის რედაქციაში ვხვდები. რაღაც ძირეულად შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში და ჩაკეტილ არსებობას შევეჩვიე. ამი-

ტომაც გადავწყვიტე, ამ ახალი წიგნისთვის დამერთო ჩემი ინტერნეტული ჩანაწერების, ანუ იმ ილუზიის შედეგი, რითაც მგონია, რომ კავშირს ვამყარებ გარე სამყაროსთან და ხმას ვაწვდენ ვირტუალურ მკითხველს. ესეც თამაშის ნაირსახეობაა და ვცდილობ ერთიანად არ ჩავიკარგო წარმოსახვით ამ უცხო სამყაროში.

ინტერნეტმა მომცა უზარმაზარი ბიბლიოთეკები და გამიჩინა შიში იმისა, რომ ბევრი რამის წაკითხვას ვერასოდეს მოვასწრებ, სათადარიგო სიცოცხლეებიც რომ გამაჩნდეს. რაც მთავარია, ინტერნეტმა აღადგინა მივიწყებული ეპისტოლური ჟანრი და გააფანტასტიკურა კომუნიკაცია — პირადული და ზოგადინფორმაციული და ბევრი სხვა რამ მომცა ალტერნატიულმა დრომ.

ამ სიცხადე-გაუგებრობაში ჩემი გასაგები ცნობისწადილით მოვხვდი.

მაინტერესებს, რას და როგორ წერენ ახალგაზრდები. ვიცოდი. ახლა უკეთ ვიცი.

ვირტუალური სამყარო მართმევს ჩემს ბიბლიოთეკას, საწერ კალამს და ფურცელს და, რაც მთავარია, ღვთაებრივ დროს, ასევე, ცოცხალ კონტაქტებს.

უკვე მსაყვედურობენ, რომ ვერავისთვის ვიცლი. ერთი უცნაური შეგრძნებაც: მეშინია, განმარტოებით ფიქრის დროც არ დამეკარგოს. ბოლო ხანს დავიწყე კომპიუტერიდან დისტანცირება. ეს საქმე ხან გამომდის, ხან არა.

აი, ახლა გასეირნებას ვაპირებდი, ერთი წუთით შემოვიჭყიტე და...

### ჰერმეტიზმი და სწორად წაკითხვის ალბათობა

*გიორგი კეკელიძეს*

მეორედ გადავხედე შენს ლექსს და მომეჩვენა, რომ ჩემი შეფასება არ იყო ზუსტი, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ლექსის საგრძნობ ჰერმეტულობას, რაიმე კონკრეტულზე დაბეჯითებით საუბარი თითქოს ძნელია, მაგრამ წვიმაში მდგომი თუ მოსიარულე აჩრდილები რატომღაც მივამგვანე მომიტინგეთა დამახასიათებელ დგომასა თუ მსვლელობას. ეს ჯიუტი სურვილი იგივე "წყლულიანი გზის" გავლისა და"ნასუფრალით გასუქებული ჩრდილები" მკარნახობს, მიმანიშნებს დღევანდელ განწყობაზე.

შესაძლოა ლექსი საერთოდ არ გულისხმობდეს იმას, რაც მე დავინახე, მაგრამ დაჟინებული მსვლელობა იმავე "წყლულიან გზაზე" და "ღმერთი ზის და წყალს ნაყავს ანუ წვიმს", ისეთ განწყობას აჩენს, რომელიც თავისთავად არის ლექსი და არც კი საჭიროებს ასეთ /მიტინგურ/ დაკონკრეტებას.

ყოველივე ეს, რაც შენს ლექსშია ჩამუქებული, დამახასიათებელია ჰერმეტული პოეზიისთვის. ზოგჯერ ჰერმეტული ლექსი ემგვანება ორ თუ სამუცნობიან განტოლებას, რომელიც ამოხსნის გარეშე ლექსია, ხოლო ამოხსნის მერე კარგავს იმ იდუმალებას, რაც მას ლექსად აქცევს.

ჰერმეტული პოეზია დამკვიდრდა იტალიაში ორმოციან წლებში. ასე წერდა ეუჯენიო მონტალე ფაშისტების ბატონობისას და მისი თანამოძმენიც იგავურად ცდილობდნენ ეთქვათ ის, რაც შეუძლებელი იყო არსებული რეჟიმის პირობებში. ზოგიერთი ტექსტის გაშიფრვა მოხერხდა მომავალში, რეჟიმის შეცვლის შემდეგ, ავტორთა დახმარებით.

მსგავსი იგავურობა, ჰერმეტიზმი აუცილებლად იჩენდა თავს ტოტალიტალური რეჟიმის ქვეყნებში და ასე იყო საბჭოეთშიც.

დახშულობის პოეტიკა, გაუმხელელზე სიმბოლური მინიშნებები — თავისთავში ატარებს რაღაც საიდუმლოს, თუნდაც მცირედს, რომლის პირდაპირ თქმასაც ერიდება ავტორი ეთიკური ან პოლიტიკური ცენზურის ან იქნებ თვითცენზურის გამო.

ზოგჯერ საინტერესოა ერთ ლექსზე ასეთი განსჯა, მეტადრე მაშინ, ავტორს თუ საერთოდ არ უფიქრია იმაზე, რაზეც მიმომხილველი საუბრობს. ასეთი რამ მეც მომსვლია, როგორც ავტორს, და შესაძლოა ისევე ვცდები, როგორც ჩემი კრიტიკოსები ცდებოდნენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ლიტერატურა გამუდმებული ინტერპრეტაციაა და ადვილი მოსალოდნელია, რომ ავტორს სრული წარმოდგენა არც კი ჰქონდეს, თვითონ რა დაწერა, რისი დაწერა სურდა, ან რა გამოუვიდა.

### ლექსიკონი

ა/ მან მშვენივრად იცის ენა, მისი ლექსიკური მარაგი გაოგნებას იწვევს, მაგრამ ამდენი სიტყვის მცოდნე საინტერესოს ვერაფერს ამბობს, არა იმიტომ, რომ სათქმელი არ აქვს, არამედ — არ იცის, სიტყვას რა უყოს, გარდა ერთისა, რომ სიტყვა სამკაულად უნდა აქციოს ან გაპრანჭვის არაჩვეულებრივ აქსესუარად გამოიყენოს. ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით ესმის. მისთვის უცხოა კონოტაცია, ინტონაციური ნიუანსები, იგავური მინიშნებები, ქვეტექსტური "სამალავები", დახშულობასა და ნაგულისხმევ ტექსტზე რომ არაფერი ვთქვათ. მიკვირს, რატომ ცდილობს მხატვრული ტექსტი წეროს?! ნუთუ მხოლოდ იმიტომ, სიტყვები რომ შეურაცხჰყოს, როცა თავს იწონებს მათი წარმოთქმისას. დიახ, წარმოთქმისას, რადგან ისე წერს, როგორც ამბობს ხოლმე. მისი ყალბი ტემბრიც ჩამესმის და ზუსტად ვიცი, როგორ შეიძლება სიტყვის მოკვლა სიყალბით და რაც მთავარია სიტყვის მგრძნობელობისა და სემანტიკის დაკნინებით.

ამ კაცის განსწავლას ნამდვილად მირჩევნია თუნდაც განმარტებითი ლექსიკონი, რომლის გაშლა და დახურვა ძალიან ხშირად მიწევს და იქ ჩაბეჭდილ საჭირო სიტყვებს რომ ვეძებ და ზოგჯერ ვპოულობ კიდეც, ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს სრულიად ახალი სამყარო აღმოვაჩინე, ჩემამდე რომ არსებობდა და ჩემი სტუმრობა გაეხარდა.

უცებ თვალი მოვკარი "ენის კარგ მცოდნეს" და მის ირონიულ ღიმილს, ამ ჩანაწერის კითხვისას რომ გადაურბენს სახეზე, როცა ამოიკითხავს, რომ მივიწყებული სიტყვა ახალი სამყაროა ჩემთვის, რომელსაც ჩემი სტუმრობა გაუხარდა.

ამიტომაც განვსხვავდებით ერთმანეთისგან, რაც სრულიად ბუნებრივია, და ჩვენი ლიტერატურული თანაარსებობა ისევე წარმოუდგენელია, როგორც წყლისა და ზეთის "შერევნა".

ბ/ სახელმწიფო, რომელიც თავის პრიორიტეტად არ თვლის საცნობარო ლიტერატურის შედგენა-გამოცემის

წახალისებას და ხელშეწყობას, არად დაგიდევს სხვადასხვა დარგებში ტერმინოლოგიის შექმნასა და ქართული ვერსიების დამკვიდრებას, იგი ფაქტობრივად უარს ამბობს სახელმწიფო ენის სრულ შენარჩუნებაზე უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო ინსტიტუტებში და გვაჩვევს მშობლიური ენის მეორეხარისხოვან როლს, და რაც მთავარია შეგნებულად ან იქნებ შეუგნებლად გვაჩვევს დააკნინებული ენის შეკვეცილ ფუნქციას, როცა უახლოეს მომავალში თუ უკვე ამჟამად არა, შეუძლებელი იქნება უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლის მაღალ კლასებშიც არაერთი საგნის შესწავლა, შესაბამისი ტერმინოლოგიის უქონლობის გამო.

## ნაცნობი უცნობობა

ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ და თუ ვიცნობთ — ზერელედ, ზედაპირულად, ყოველგვარი ტექსტის წაკითხვის, ანალიზის გარეშე. დღესაც ვხელმძღვანელობთ სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში საეჭვო გარემოში ჩამოყალიბებული კლასიფიკაციითა და სტერეოტიპებით და თუთიყუშებივით, მექანიკურად ვიმეორებთ იმავეს, რაც ერთხელ გვასწავლეს. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, პოლიტიკური ფორმაციაც კი, არათუ ლიტერატურული ტენდენციები და დინებები.

ხმაურიანი დებიუტების შემდეგ ავტორების მნიშვნელოვანი ნაწილი იმავე სახელის ინერციით განაგრძობს ლიტერატურულ ცხოვრებას, რომელიც ისე გაცვდა, ლანდიც კი გასდის. მათი დამსახურება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო თავის დროს, მაგრამ დღეს იმავე ლიტერატურული ინერციის „ტყვეები", სამწუხაროდ, ისევ ნოვატორებად და ლიტერატურაში ამინდის შემქმნელებად ასაღებენ თავს. ჩემი შეხედულება, ცხადია, ყველა მწერალს არ ეხება, განსაკუთრებით კი მათ, ვინც საკუთარ თავს არ ტკეპნის და წარსული დიდებით არ სპეკულირებს.

დროთა განმავლობაში გაქრება აკვიატებული სიები და იქიდან თითოოროლა თუ შემორჩება ლიტერატურის ისტორიას.

არაერთი შემთხვევა მახსენდება ლიტერატურის ისტორიიდან, როცა კრიტიკოსი საუკეთესო შუამავალია მწერალსა და მკითხველს შორის და მისი შეფასების მერე აქცევენ ყურადღებას ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებას. არსებობს საპირისპირო შემთხვევებიც. სენტ-ბევმა ბოდლერი და ბალზაკი ვერ დაინახა, რის გამოც პრუსტმა სასტიკი ოპუსი დაუწერა მას; გერონტი ქიქოძემ ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონი არ აღიარა. ასეთი მაგალითები შორს წამიყვანს და აღარ გავაგრძელებ.

საბოლოოდ მინდა ვთქვა ბანალური ჭეშმარიტება, რომ კვალიფიციური კრიტიკა ჰაერივით სჭირდება ჩვენს დახშულ ლიტერატურულ პროცესს, არა იმიტომ, რომ საბჭოური ტრადიციის მსგავსად, ან დაცხავებულის ნაცვლად, მწერალთა ახალი სიები შეიქმნას და „თხა და გიგოსავით" ვიმეოროთ ან ცალკეულმა შეპყრობილებმა მეგალომანიის მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ, არამედ იმიტომ, რომ არსებობდეს ცოცხალი ლიტერატურული პროცესი, განვითარებისთვის ესოდენ საჭირო რომ არის. არადა, ჩვენ გვყავს საუკეთესო კრიტიკოსები, ბევრი არა, მაგრამ საკმარისად გვყავს. სასურველია, ისინი უფრო აქტიურად ეხმაურებოდნენ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს. თუმცა მეეჭვება, ვინმემ ყურად იღოს ეს სურვილი, მაგრამ ვინ იცის?!

* * *

ჩემთვის სხვა წყაროებიდანაც იყო ცნობილი, რომ შტატებში, მულტიკულტურის ქვეყანაში, შეუძლებელია თუნდაც 10 საუკეთესო პოეტის ჩამოთვლა. ახლახან ეს მოსაზრება ვაშინგტონის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ვერჯილ ნემოიანუმაც დაადასტურა, როცა ჟურნალ „ჩვენ მწერლობას" სტუმრობდა. იქ უამრავი ლიტერატურული მიმდინარეობა და დაჯგუფებაა და საკუთარ ოაზისებში „უბერავენ".

ჩვენებური ვითარება სხვაგვარია. ერთი რეიტინგლისტისთვის შეიძლება ჩაქოლონ ჟურნალის რედაქტორი შეპყრობილმა ავტორებმა. შესაძლოა უარესი მოხდეს, თუ დოგმასავით დაზუთხული პოეტების „სპისოკს" ვინმე გამოაკელი ან მიუმატე. პროვინციული ჭაობი საკუთარ ამბიციებშია ჩაძირული და განვითარების გზები ნაკლებად ჩანს. ლიტერატურულმა სკოლებმა დაკარგეს ფუნქცია და ფუნქცია დაკარგა ზოგადად ლიტერატურამ.

სწორად წერს შათირიშვილი — ახლა შესაძლოა, რაც გინდა და როგორც გინდა ისე წერო. ასეთი ფრაგმენტაცია დამახასიათებელია საერთოდ მთელ მსოფლიოში და შესაბამისად ჩვენშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენში არსებობს პოეტების „სპისოკი" და მისი შეცვლა ან რაიმეს გადაფასება სამშობლოს ღალატს უტოლდება. პანთეონური დამოკიდებულება ზოგიერთი ცოცხალი მწერლის მიმართ, სამწუხაროდ, ჩვენს პროვინციალიზმზე მეტყველებს და ერთგვარი მუხრუჭის როლს ასრულებს, თუმცა სნობების გავლენა ჯერ კიდევ საგრძნობია და მათი კომფორტული თვითკმაყოფილების გამოწვევას მხოლოდ ერთეულები ბედავენ. რადგან თავის ტექსტებს ავტორი სიკვდილის მერე ველარ პატრონობს, გასაგებ მიზეზთა გამო, ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ დრო გაარკვევს ყველაფერს. სამწუხაროდ, აწმყოში, დროის, როგორც ობიექტური შემფასებლის, იმედი, შესაძლოა თანაბრად ჰქონდეს ნებისმიერი დონის მწერალს, მაგრამ ესეც დროის საქმეა. დრო კი მკაცრად გვახსენებს, რომ პოეტი აღარ არის მედიუმი, შუაკაცი, ღმერთთან მოსაუბრე და ა.შ. იგი წვრილთემიანობის და ფრაგმენტაციის ამსახველია და, რაც მთავარია, ფსიქო-თერაპიული თვითმომსახურების როლით კმაყოფილდება.

მოყვარულთა დრო დადგა და პროფესიონალიზმი ლიტერატურაში უმრავლესობისთვის სრულებით არ არის სავალდებულო, რადგან შეუძლებელიცაა. დაკარგული მკითხველის ძიებაშია პოეტი, რომელმაც ათწლეულთა განმავლობაში გარკვეულწილად თვითონ თქვა უარი მკითხველის დაკვეთის შესრულებაზე. აქედან იწყება დიდი თემა, მაგრამ არ მაქვს სურვილი, ეს საკითხი განვავრცო. ერთს კი ვიტყვი: როგორც ჩანს, პოეზიით თვითმომსახურება უფრო მისაღები გამოდგა პოეტებისთვის, ვიდრე პოეზიის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, თუ გნებავთ მოქალაქეობრივი ტონალობა, არაფერს ვამბობ რწმენის არა პლაკატურ, არამედ არსობრივ ხარისხზე, სიღრმისეულ შრეებზე.

მერაბ გეგია

# ქვეყნად გამიგებს მხოლოდ პოეტი...

უაღრესად მრავალფეროვანია სერგი კაკალაშვილის პოეტური ოპუსები. სამშობლოს ტრფობა და იმედგაცრუება, ყოფიერების მიზიდულობა და მისივე მუხთლობა, სიყვარული და ღალატი, სიხარული და სევდა, ჰედონიზმი და ასკეტიზმი – ერთმანეთში ჩაწნულან და ქმნიან სულის იმ პანორამას, სადაც პოეტის მსოფლგანცდა და ფიქრებია გამოკვეთილი.




**მახსოვს გაზაფხული, ტყემლების**
**აპრილი**
**და ის დაზაფრული მზიანი ნაპირი...**
*(„მახსოვს გაზაფხული")*

პირველი და უმთავრესი, რითაც გვიპყრობს ეს პოეზია, განცდის გულწრფელობაა. ყოველი ლექსი აღსარებასავით ჟღერს და ნდობის სითბოთი გვავსებს. მაგრამ თვით აღსარებაც კი, უთუოდ პოეტური სახეებით არის გაჯერებული:

**მზეს, ცის კეკლუც ასულს, არ ელირსა ციდან –**
**შუბის ტარზე ასულს – ღიმი ერთი ციდა.**
*(„ცად აზიდულ ხეებს...")*

ყველა დამეთანხმება, შესანიშნავი, დრამატული მეტაფორაა.

ეს დრამატიზმი (ვიტყოდი – თეატრალობა) საერთოდაც ნიშნეულია სერგი კაკალაშვილის პოეზიისთვის. სურათი იხატება ერთი მონასმით, მაგრამ ლირიკული გზნებით:

**გეკითხებოდი: - გცივა? შენ კი მეკვროდი ტრთოლვით,**
**თმებს გვისველებდა წვიმა, თმებს გვითეთრებდა**
**თოვლი.**
*(„გახსოვს?!")*

ამ უაღრესად ლირიკული სურათის გვერდით, გაისმის პოეტის ომახიც და იხატება ვაჟკაცური შემართებაც. აკი ვთქვი, ამ ლექსებში განსაკუთრებით მომხიბლავი ეს მრავალწახნაგოვნებაა:

**ყველა სამრეკლოს დარეკეთ ზარი,**
**რომ ზეცას წამით არ ჩაეძინოს,**
**ტაძართა ყველა გამიღეთ კარი –**
**ყველა სამსხვერპლოს, მსურს, შევეწირო!**
*(„ჩემი პორტრეტი იქ დახატულა")*

მისი ფილოსოფიური ლირიკა ყურადღებას იპყრობს სათქმელისა და გამოხატვის იდენტურობით. აქ სათქმელიც და, რაც მთავარია, რითმებიც შენიღბულია:

**გახსოვს, წარსული უჩვენობის ნეტარებისა,**
**მარადისობის მეუფებასთან შერწყმული სული,**
**ნუთუ ვერა გრძნობთ, დროს უშორესს რა ზმა სდიოდა,**
**როცა სამყაროს ჩვენ ვავსებდით თბილი სიოთი?!**
*(„გარდაცვალება არ გეგონოთ*
*სულის წვალება"...)*

თითქოსდა როგორ უნდა გაირითმოს „სდიოდა – სიოთი"? არადა, ირითმება! შენიღბული რითმა ორგანულობის საწინდარია. ამას ხელს უწყობს ლექსის გრაფიკული გამოსახულებაც.

თვით პატრიოტული ლირიკაც კი ამ ლექსებში მეტაფორულ-მრავალწახნაგოვანია, თუმც გრძნობა – აშკარად ცალსახაა:

**მე ვარ მეხოტბე შენი ენისა,**
**ჰანგი უტკბესი ლექსს სად ენახა?**
**თვით წყაროც ჩემი აღმაფრენისა,**
**სამშობლოვ ჩემო, მხოლოდ შენა ხარ!**

და ამავე ლექსშია ასეთი სტრიქონები:

**მორჩა ის ლახტი და სხვაც მრავალი,**
**რა კოლორიტიც შემორჩათ ბიჭებს,**
**და შემოდგომა – მკერდსავსე ქალი**
**კდემამოსილი შემოაბიჯებს...**
*(„დიდი და მცირე სამშობლო ჩემი")*

სერგის პოეზიას ახასიათებს არა მხოლოდ შენიღბული რითმები, არამედ შენიღბული ალიტერაციაც. ამასთანავე, ხაზს ვუსვამ, ლექსში მისთვის ორგანულობაა მთავარი. ამიტომაა, რომ ფორმის არცერთი ელემენტი თვალში არ გვეჩხირება:

**უსასოობის ედგათ წამი მოსულებს ზეცად,**
**ნანით განწმენდის მადლსა სთხოვდნენ შვილნი**
**ნამისას...**
**...ეჰ, სიყვარული მშვენიერი სისულელეა,**
**ყველა ჩვენგანი რომ შენატრის ჩადენას მისას!**
*(„უკანასკნელი შავი ორშაბათი")*

წამი — ნანით — ნამისას — მოსულებს — სისულელეა. მაგრამ ეს ყოველივე ჰაერში გამოეკიდებოდა, რომ არა ბოლო, უაღრესად ენერგიული, დამაგვირგვინებელი სტრიქონი.

ან კიდევ:

**წუთისოფელი, წამს ტკბილ და ამო,**
**წამს მესმებოდა სიმწრისა თასად,**
**მე თუ მოვკვდები – სიმართლის გამო,**
**მე თუ ვიცოცხლებ – სიმართლის ფასად.**
*(„აქა ამბავი")*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგის პოეზია საყურადღებოა რიტმის თვალსაზრისითაც. ძალიან ხშირად, სწორედ რიტმი ქმნის ძირითად ინტონაციურ ჟღერადობას და თავად განსაზღვრავს ლექსის პათოსს:

**მე რომ ბრმა ვიყო, ვიტირებდი სიბრმავის გამო,**
**დღეს კი მატირებს თვალხილულსა შენი ყურება...**
**მე რომ ყრუ ვიყო, ვიტირებდი სიყრუის გამო,**
**დღეს კი მატირებს ყოველივე, რაც მეყურება.**

*(წერილი ქართველებს ციმბირიდან")*

ეს ლექსი დაწერილია 90-იანი წლების ავადმოსაგონარ ხანაში და სამოქალაქო ლირიკის მკაფიო ნიმუშია. მაგრამ დააკვირდით, თვით კიცხვა რა ტკივილს შეიცავს.

კიდევ უფრო ღრმა ტოლერანტობა მჟღავნდება ლექსში „ყველას, ყველას, ყველას!!", თუმცა კი შეუძლებელია მასში ფარული ირონია ვერ ამოვიკითხოთ. ეს ირონია გადმოცემულია უფრო რიტმიკით და რითმებით, ვიდრე სიტყვიერად. ხოლო ფინალი კი გვამცნობს პოეტის შემართებას და თავგანწირულობას:

**ვისაც ეძინება – იმან დაიძინოს,**
**ვისაც ეცინება – იმან გაიცინოს,**
**...**
**ხელიც მან მოითბოს – ვისაც ეთბობოდა,**
**სიტყვაც იმან დათმოს – ვისაც ეთმობოდა,**
**...**
**მე სხვა გოლგოთა მაქვს, სხვა ჯვრის ასატანი,**
**მე სხვა დამბაჩა მაქვს, ჩემი გასატენი.**

და თითქოს თავისსავე თავს პასუხობსო, პოეტი სხვა ლექსში განსაზღვრავს საკუთარ მისიას:

**ვარ მეამბოხე სულის საზრდო და სამყოფელი,**
**საქართველო კი მშვიდი ტანჯვის პოეზიაა...**

*(„გულგრილობას დამგ ზავრებული,*
*პოეზიის ქვეყნად წოდებული საქართველო")*

ზოგჯერ ირონია მთლიანად დაუფარავია, თუმცა კი შესანიშნავ პოეტურ გარსშია გახვეული:

**ახლა გვიანია,**
**როცა უპირონი**
**ჯაბან უსახოთა ვიხმე უცხო ჯარად,**
**როცა ანცი მზერით გონჯი კუპიდონი**
**წმინდა სასთუმალთან მძიმედ ჩამომჯდარა.**

*(1997 წლის „თბილისობა")*

სამოქალაქო და ფილოსოფიური ლირიკის მომხიბლავი ნაზავია ლექსი „წყალმა დატოვა მძევლად ქვიშები". სერგი კაკალაშვილის პოეზიისათვის საერთოდაც ნიშნეულია საყოფაცხოვრებო და სამოქალაქო მოვლენების ფილოსოფიური ხედვა. ზემოაღნიშნული ლექსი შენილბულად ეყრდნობა გამოთქმას; „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო", მაგრამ ეს არ არის სენტენციის პოეტური პერიფრაზი, ეს ვრცელი დრამატული სურათია:

**...ხელში დაეფშვნა ალაზანს ლავრი,**
**წყალმა დატოვა მძევლად ქვიშები,**
**მოიგერია ნაპირმა მძლავრი,**
**თავგანწირული იერიშები.**
**...**
**და დაიოკებს ჟინს არამისიც,**
**მონად დარჩება ბევრიც ლაშინე...**
**დრო კი არასდროს არც არავისი**
**არა ყოფილა ბრმა მოკავშირე.**

ასეთსავე ტკივილს (და არა სამდურავს) შეიცავს სატრფიალო ლირიკაც. პოეტის ცხოვრების ყოველი მოვლენა თუ ეპიზოდი ტკბილ-მწარე მოგონებებითაა გაჯერებული:

**...როცა უშენოდ სულში ბნელოდა**
**და შემოდგომის აწვიმდა თქეში,**
**გული სიყვარულს შენგან ელოდა,**
**გული სიყვარულს ეძებდა შენში.**
**...**
**სამაგიერო რისთვის მომეზღა?!**
**ან საზღაურის დევნას რად ვიწყებ?!**
**თუ დაივიწყებ სიზმარს საზიზღარს,**
**ჩემს ლექსს და ალერსს რა დაგავიწყებს?!**

*(„არაფერია დღეთა ნუხილი")*

და აი, კვლავაც სატრფიალო ლირიკა, მაგრამ ამჯერად გადმოცემული ალიტერაციულ-რიტმული პასაჟებით:

**წითელი ვარდები, წითელი ვარდები,**
**წამების, დარდების იდუმალ მოწმენი,**
**წამები ლანდების, ლოდინის ფარდები**
**სარკმელში მომზერნი თრთოლით და ოცნებით...**

*(„წითელი ვარდები ცარიელ ოთახში")*

ეს ლექსი გასული საუკუნის 20-იანი წლების მოდერნისტული პოეზიის მკაფიო ნიმუში გვეგონებოდა, რომ არა მასში ასახული მრავლისმთქმელი განწყობილება და მოვლენათა სრულიად რეალური შინაარსი. შესანიშნავი მეტაფორებია „წამები ლანდების", „ლოდინის ფარდები". ასე რომ, აქ თვითმიზნური არაფერია.

პოეტს აქვს სავსებით გამჭვირვალე ლექსებიც, სადაც სათქმელი მხოლოდ მუსიკალობაზეა აგებული:

**კმარა, ძვირფასო, კმარა, ცრემლებს დაედოს ბოლო,**
**არ შემოგწყრები, არა, შენ მეყვარები მხოლოდ.**
**შენ მეყვარები მარად, შენი მე მახსოვს ფიცი,**
**სხვა მაგ ბაგეთა დარად, ვერ გამიღიმებს, ვიცი.**

*(„კმარა")*

ექსპრესიონისტული აღქმა და გრძნობათა სინაზე გამოსჭვივის პოეტის სატრფიალო ლირიკაში. იგი იჭერს იმ წამს, სადაც ლირიკული გზნებაა განთავსებული:

**ახლად გაღვიძებულ ქალის ნეტარება**
**ვნებით ალტაცებულ წამებს ედარება.**

**დარი ალერსისა გულს თუ ედარება –**
**რასაც ატარებდა, ისევ ეტარება.**
**ატმის სურნელება მკერდს თუ დამეფრქვევა,**
**მაშინ სულ ერთია, თუ რა დაერქმევა**
**ამ ჩემს მოქმედებას, მორალს შეფერებით,**
**ახლად გაღვიძებულ ქალს თუ ვეფერები.**

მედიტაციურ გარინდებასა და თავისებურ ლირიკულ ალტაცებას იწვევს პოეტის მიერ შექმნილი ოთხტაეპიანი მინიატურები. მათი სიმრავლე სტილურ პოზიციასაც ამჟღავნებს და ერთგვარ თაყვანისცემასაც ესკიზური პოეზიის მიმართ. აი, რამდენიმე ნიმუში:

**აისს გავუსწორებ თვალებს**
**ცისკარს მოვლენილი ზეო:**
**— ღამე მშვიდობისა, მთვარევ!**
**— დილა მშვიდობისა, მზეო!**

ან კიდევ ასეთი:

**წმინდა ტაძრის გზას, იმ გზას ეკლიანს,**
**კაცი უმიზნო არ დაადგება;**
**ქმედება კაცის ეკლესიაა,**
**აზრები – კაცის წმინდა ხატება.**

ასეთიც:

**მე ოქროყანა მიყვარს სამკალი,**
**მზე მიყვარს, ხედს რომ დაყოფს სერებად...**
**და მძულს გულგრილი ჩემდამი ქალი,**
**ვით დღე, როდესაც არ მეწერება.**

და ასეთიც:

**მთლად შემოდგომის ფოთოლცვენაა**
**ჩემი ცხოვრების ეს გზა უვალი,**
**სადაც სიკვდილი ბედისწერაა**
**სიცოცხლე – ტანჯვა გარდაუვალი.**

შეუძლებელია ალტაცებული გულაჩვილება არ გამოიწვიოს ასეთმა ოთხმა ტაეპმა:

**რა მცირე ვარ, უშნო, მდარე,**
**ბედს უჩივის გუბე ბრაზით,**
**თუმცა მასში მოჩანს მთვარეც,**
**ცაც და მთებიც ბუმბერაზი.**

მრავლისმთქმელი ალეგორიაა.

ფილოსოფიურ და პოეტურ ალტაცებას ერთდროულად იწვევს ლექსი „ლი ბო". საოცარია, რომ თვით ავტორისეული ტრანსკრიფციაც კი, რომ: „ლი ბო – ძველი ჩინეთის დიდი მოაზროვნე, პოეტი, ფილოსოფოსი. მთვრალი დაიხრჩო ტბაში, როდესაც ცდილობდა, ნავიდან მთვარის ანარეკლისთვის ეკოცნა." – ლექსს არაჩვეულებრივ პოეტურ ფონს უქმნის. ნაწვეტები ამ სტრიქონებიდან:

**ღამის ტბის ნიაღს დაეწაფა, მთვარის ანარეკლს**
**ლი ბო – მწყურვალე უსპეტაკეს განცვიფრებისა...**
**...**
**აღარ ახსოვდა ღვინო, ქალიც მას არ ახსოვდა,**
**და გაქრა... გაქრა ყოველივე, იმ კოცნის გარდა,**
**რომელ კოცნაშიც სიყვარულს და სითბოს აქსოვდა,**
**რომელ კოცნისთვის სიბრძნის ტბაშიც ის გადავარდა.**

პოეტური მედიტაციის ასეთივე ბრწინვალე ნიმუშად გვევლინება ლექსი „ალაზნის ღამე". მოვიხმოთ სულ რამდენიმე სტრიქონი:

**მთვარეს ვერხვი ათამაშებს – ნიავს ებრძვის ვერხვი,**
**მდინარე კი ცეცხლის პირას იმ ძველ ზღაპარს მეტყვის,**
**იდუმალი შთაგონებით ცივ სულს რომ გაათბობს...**
**ღამე ისე ლამაზია, რომ მაგონებს სატრფოს.**

ბუნებისა და მის შვილთა ჰარმონიაში წვდომა, თავისთავად ხდება პოეტური განწყობის საბაბი:

**თავბრუდამხვევ დაისის სიო დაჰქრის საამო,**
**სურნელების მაისის ვარდებს ეტრფის სალამო.**
*(„1988 წლის მაისის ბიჭვინთის სალამო")*

მაგრამ ბუნება შესაძლოა მოქმედ გმირადაც იქცეს. სწორედ ამაშია სერგი კაკალაშვილის პოეზიის თეატრალობა:

**არასოდეს გამწვნევ ტკივილს, არასოდეს,**
**გილალატებ მხოლოდ მე სიკვდილით ოდეს,**
**მეყვარები მარად," — ჩურჩულებდა ქალი,**
**never say never, — მაფრთხილებდა ქარი.**
*(„never say never")*

ან კიდევ:

**სად უფერო ნოემბერი მტვრადაც არ გამოდგება,**
**სად აკურთხა ნოემ ბერი, სად აპრილი მოდგება,**
**სად იებში მჯდარ ვარდებად გათენდება აისი,**
**მოვა დრო და მოვარდება მოვარდისფრო მაისი.**
*(„ნაცრისფერი ნოემბერი")*

„ნოემბერი – ნოემ ბერი, მოვარდება – მოვარდისფრო", ეს შინაგანი რითმებია, შავთელური წყობილსიტყვაობის კიდევ ერთი ნაირსახეობა.

ზოგჯერ შემოთავაზებულია ასეთიც:

**გათენდა დილა. შუქმა ღამის სევდა ჩაახშო...**
**მზე, ცის მიჯნური, ჩამოსული ჩემთან სადილად,**
**ნამწუხრევს მთვარეს ესტუმრება, ალბათ, სავახშმოდ...**
**ასეა ქალიც, სულს რომელიც იპყრობს ცოდვიანს...**
*(„დასანანი პარალელი")*

ერთადერთი შემთხვევა, როცა არ ვეთანხმები სერგის – ეს პარალელი სულაც არ არის დასანანი. თუმცა კი, ამ შედარებაში იუმორიცაა შერეული.

ვფიქრობ, ქართული კოსმოგონიის შესანიშნავი ნიმუშია ლექსი „აისი". აი ისიც:

**ჟამთა მეუფის სარწმუნო ვნებად ცამ აიბრწყინა**
**გვირგვინი შორი –**
**მზე – უდიდესი სარწმუნოება ყველა უდიდეს**
**რწმენათა შორის.**
**გათენდა მადლით შემოქმედისა – ერთ სიცოცხლედ**
**ღირს დილის ბუნება,**
**როგორ შეშვენის ჩვენს ბურთს ბედისას ერთი**
**პატარა შემობრუნება.**

სერგი საკვირველი ბუნებრიობით ამეტყველებს ბუნების მოვლენებს. აქ ერთმანეთში ჩაწნულია პოეტური სახე, პარალელი და მეტაფორა:

**ზაფხულის წვიმა მიყვარს შხაპუნა**
**და ცისარტყელის მიყვარს ოცნება,**
**კავკასიონს რომ მამაპაპურად**
**შვიდფერ გვირგვინად გადეტყორცნება.**
*(„რა სიყვარულით")*

პოეტური ვედრების და გრძნობადი აალების ბრწყინვალე ნიმუშია „ნუ მიმატოვებ, სიყვარულო... ანუ სველი პუდელი ღამით". პოეტი აქ თითქოსდა უარს ეუბნება საკუთარი ხედვის მრავალწახნაგოვნებას, მაგრამ აქვე გვანცვიფრებს პოეტური ქვეტექსტების სიუხვით:

**ჟამთასვლის წადილს ვერ ჩასწვდება ვერც ერთი მახვში,**
**დუმილის წამით თავს იმშვიდებს ჩვენი თაობა,**
**ამომწურავი პასუხების პოეზიაში**
**მიმზიდველ სტროფსაც ვერ იპოვის შთამომავლობა.**
**როცა გულგრილად გადავიტან უმძიმეს ტრიუმფს,**
**განუჭვრეტელს და მიტოვებულს ფიასკოს ვპოვებ,**
**ცხოვრებას – ბედის უსასტიკეს კრემატორიუმს,**
**მე ზურგს შევაქცევ საბოლოოდ და მივატოვებ.**

მხოლოდ ფინალში ამხელს პოეტი გულის ხვაშიადს:

**თუმც არაერთხელ მიღალატეს, მომკლეს, მაწამეს...**
**ნუ მიმატოვებ, სიყვარულო, ნუ მიმატოვებ!**

სულ მარტივად შეგვიძლია თავად სერგი კაკალაშვილს მივუსადაგოთ სიტყვები, რომელიც მან ტერენტი გრანელს უძღვნა:

**სადაც მოსწყინდათ ზეიმი იებს,**
**პოეზია კი სპექტაკლს მართავდა,**
**და საიდუმლო ალეგორიებს**
**ნაღდი ქართული რითმებით რთავდა.**

მაგრამ სერგი კაკალაშვილი არცთუ იშვიათად, თვითონაც ბევრს ამბობს თავის თავზე:

**ან ქვეყანაა გადარეული,**
**ან მე – წყეული, ნაკურთხი ლოთად,**
**სხვას ვის გაუმხელს ქარი ეული**
**ზღაპრულ სამყაროს საიდუმლოთა?**

მის პოეზიაში არის ისეთი ბრენდებიც, რომელთა გახალხურება უთუოდ გაამდიდრებდა ქართული სიბრძნის სკოლას. აი, ერთი მათგანი სახელწოდებით „მამის დარიგება":

**კაცს სიკეთეს ნუ დაუთვლი, უფალს – სანთელს,**
**ოქროს – ძმასა,**
**ბრბოში იყავ ბერი უტყვი, აჰყე-დაჰყე შორით**
**მწყრალსა.**
**მიწას ჯაფას ნუ მოაკლებ, მშობელს – ლუკმას,**
**ალერსს – ქალსა,**
**სხვის ნაოფლარს ფეხს ნუ წაჰკრავ,**
**ცეცხლს ნუ მისცემ სხვისა ძნასა...**
**დანარჩენსა, თუ ივარგე, ღმერთი მოგცემს ერთიასად.**

თვითონ პოეტი არაერთხელ შეგვახსენებს თავის კრედოს პოეზიაში, მაგრამ აქაც მეტაფორების და პარალელების შემოვლითს გზას ირჩევს:

**ეს საღამო, ნეტავ, ვისღა დაბრალდეს,**
**ვის დაბრალდეს ფერთა ბინდის ფარდა?!**
**ყველაფერი შეიძლება გაყალბდეს,**
**სიკვდილის და პოეზიის გარდა.**

და რა გზით უნდა გაექცეს პოეტი სიყალბეს? პასუხი ცალსახად მოცემულია ლექსში „რაა პოეტი?!":

**გოლგოთის გზაზე თუ არ უვლია, რაა პოეტი,**
**რაა მწერალი?!**
**ყველა მწვერვალის წინ უფსკრულია,**
**ყველა უფსკრულის წინ კი მწვერვალი!**

და ბოლოს, პოეტისვე სიტყვებით მსურს დავასრულო ეს წერილი:

**ათასწლეულებს მე გადავყურებ კლდიდან არწივი**
**და კვლავაც მჯერა,**
**რომ, რაც მე გზანი მაქვს გასავლელი, თვით**
**შუა გზაშიც არა ვარ ჯერაც.**
**...**
**მზე-ვარსკვლავს ჩემსას კვლავ ალვაბრწყინებ,**
**და სადღეგრძელოს წარმოვთქვამ წყნარად –**
**მე საქართველო მიწოდა შვილმა**
**და საქართველოდ დავრჩები მარად!**
**კურთხეულ და შესმენილ ყოფილიყოს პოეტის ლოცვა.**



პაბლო პიკასო
ახალგაზრდობა

# კვდება ხევსურეთი

## ანუ
## დაგვიანებული ბარათი
## ქ-ნ ეთერ ბერიაშვილს,
## ბ-ნ კობა მონჯობილს (და სხვებსაც)

კვდება ხევსურეთი!..

ლაფავს განამებულ სულს.

ერთ დროს ქალთამზენი ამომავალი მზის შუქს ემუშპრებოდნენ, ხოლო მუხლმოუღლელი ვაჟები გაფრენილი ყორნის აჩრდილს გასდევდნენ...

ერთ დროს აქ ბალახებიდან ამოფრენილ როჭოს ხმლის ერთი მოქნევით სხეპდნენ.

ერთ დროს აქ სალუდე ქვაბივით დუღდა ცხოვრება, მტერს მტრისას მიაგებდნენ, მოყვარეს — მოყვრისას.

ერთ დროს აქედან, არაგვის ჩასწვრივ, აბჯრის რაჯგუნით მიჯირითობდნენ მტერთა შესამუსრად ალესილი ვაჟკაცები.

ერთ დროს...

მერმედ იყო და ახალ რელიგიას მახვილიც „მცირედ“ მიაშველა ერისთავმა და ლტოლვილმა წარმართმა ფხოველებმა თუშეთს შეაფარეს თავი.

ახლა კიდევ თამარის ამირსპასალარმა შეუსია თავისი უძლეველი მხედრობა სხვადასხვა მხრიდან ფხოვს („ან უწოდებენ ფშავ-ხევსურეთსა“) და ერთი მუჭა მთიელების მორჯულებას მთელი ზაფხული მოანდომა (!).

მეფე ერეკლეს მახვილი არ გაუშიშვლებია, დიპლომატიური მანევრებით ახერხებდა შეთხელებული ლაშქროს „უფროსად“ და უანგაროდ მბრძოლი ხევსურებით შევსებას.

მისჭირდა ალექსანდრე ბატონიშვილს და შატილს შეაფარა თავი ერთი ზამთრით. მაშინ იყო რომ განმეორდა ივანე მხარგრძელის სამხედრო-სადამსჯელო ოპერაცია და ოთხი (!) მხრიდან შეუსია რუსის ჯარი სიმონოვიჩის, ტიხონოვსკის, ორბელიანისა და ყაზბეგის მეთაურობით. ცეცხლის ალში გაახვიეს ხევსურეთი...

ისევ გაჭირდა და ახლა ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაძახილზე და სტუმრობისას აისხეს იარალი ხევსურებმა, ამის შედეგი იყო, რომ ახლა უკვე კომუნისტებმა დააწიოკეს, დაარბიეს და გადაბუგეს ეს ერთი ბეწო კუთხე.

წვრილ-წვრილზე აღარას ვიტყვი...

აღარც სამსახურ-ნამსახურობაზე...

ბოლოს კი გასული საუკუნის 50-იან წლებში დედაწულიანად აჰყარეს და ქარისა და მზისაგან გამომწვარ ტრამალებზე დაჰყარეს ზვიადი მთების გულუბრყვილო შვილები.

არ ვარგა უმადურობა, კარგიც ხდებოდა ხანდახან, მაგრამ...

„ხევსურეთი ჰო ყველას ყელზე ადგაო, ყველა ეპოტინებოდა, ყველა პირში ჩალაგამოვლებული რჩებოდა ხოლმე, ჰო, ხევსურეთი ყველას ყელზე ადგაო, ყველა იქით მიიწევდაო“ — ბრძანებდა სულნათელი ოთარ ჩხეიძე.

გარბოდნენ და მიიწევდნენ და მერმედ ხევსურები მარტონი, მიტოვებულნი და მოტყუებულნი რჩებოდნენ ავი ბედისწერის წინაშე.

არაფერს ითხოვდნენ, არც მიწა-წყალს, არც მდგომარეობას, არც სახსარს, მხოლოდ... მარილს. გაღებით კი ყველაფერი გაჰქონდათ და „ბარში რჩებოდნენ ზღაპრად და ლეგენდად“.

კვდება ხევსურეთი...

აღარსად ღაბუშობენ ქადაგნი, აქა-იქ შემორჩენილან ხუცესნი, აღარ იწრთობა პოეტური შედევრები და ორლესული მახვილები, ნელ-ნელა მიიკრიფებიან რჯულის კაცებიც სულეთს, დავიწყებას ეძლევა ქარგვა-კერვის საოცარი ხელოვნება და მეურნეობის ტრადიციული წესი.

ნადით, ქალბატონო ეთერ, ბატონო კობა, ხევსურეთში, სანამ აბუდელაურის ტბაში ჩავარდნილი მზისთვის ცის სილაჟვარდეს იახსარივით შეუკრავს მხრები, სანამ შატილის კუშტი კოშკები ნაიბ ახვერდი მაჰმადის ნატყვიარებს ჟანგისფერი ხავსით იმუშებენ, სანამ მიწასთან არ გასწორებულა მიცუს საოცარი, ცისთვის შენატყორცი ციხე-ქალაქი, სანამ არდოტის ყელმაღალ ციხესავით „თავი არ მოუკლავთ“ ახიელის, ლებაისკარისა და გუროს შუბისწვრად შემართულ ციხეებს, სანამ მწყურვალთა დარწყულება ჯერ კიდევ შეიძლება ხალხში განფენილნი, ღრმააზროვანი მითებითა და ლეგენდებით, სანამ უტყვი მუდარით შემოგვყურებენ კისტნის სიმაგრეთა კედლებში დამწყვდეული პიქტოგრამები, სანამ ჰაერში ისევ გაისმის მამუკა ქალუნდაურის მოქნეული მახვილის სისინი, სანამ ექსტაზისაგან ცხროება ატანილი გაგა ჭინჭარაული ჯერ კიდევ სწირავს ჟამს გუდანის ჯვარში და სანამ კიდევ დაიარებიან იმ გმირთა შთამომავლები, ლორეს, კრწანისის, გორის, ასპინძის, ბახტრიონისა და სხვათა მიწას რომ დააკვდნენ, მათგან ახლა რამდენიმე ათეული ოჯახიღა შემორჩენილა და ახლა მათი ავ-კარგი აღარავის აინტერესებს.

თუ რამ აშენდა ხევსურეთში — კომუნისტების დროს (!). მას მერმედ აღარაფერი. იქ, დღეს დღეობით, ფული არ კეთდება (იმიტომ, რომ არ იხარჯება!..) და სადაც ფული არ კეთდება, ის მხარე აღარავის აგონდება. სადაც ფული კეთდება, ამა სოფლის უფალნი იქით მიილტვიან.

გაგეცინებათ ახლა, მწარედ გაგეცინებათ ვასილ წერეთლის გულუბრყვილო სიტყვებზე: „ხევსური ბავშვია, მაგრამ ნიჭიერი ბავშვი, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი მოელის... სხვაგან სადღა ნახავ ახლა ასეთ ხალხს“.

ეს „ბრწყინვალე მომავალი“ აღმოჩნდა ის, რომ ერთი საუკუნის წინანდელი 3500 სულიდან 500-ც აღარ შემორჩა.

ნადით ქალბატონო ეთერ, ბატონო კობა, თორემ კვდება ხევსურეთი და ეგებ მიუსწროთ: ისედაც საკმაოდ დაგვიანებიათ.

რომ გეჩქარათ, ეგებ სწორფერის ცხელი და აჩქარებული სუნთქვის ალმურში გახვეული ღამეც გაგეთიათ თეთრად ან სულაც ოჩოპინტრეს გამიჯნურებოდით...

რომ გეჩქარათ, უკან ნოყიერი ანდრეზებით დახუნძლულიც დაბრუნდებოდით...

ქაფიანი ლუდი ძარღვებში აგიჟღურტულდებოდათ და ფანდურიდან გადმოღვრილ მელოდიას უნებურად შეეზრდებოდით.

წინწარაქარში ჩათლილ ვერცხლს შესვამდით და სისხლის მაძიებელ ძმადნაფიცს მხარდამხარ გაჰყვებოდით.

ნახავდით თუ როგორ გამოიცდებოდა ვაჟკაცი ჭრილობისა და ჭირთა თმენისას, ხოლო დიაცი — შვილის შობის ჟამს...

თუმცა ახლაც ბევრ რამეს საინტერესოს ნახავს „მოდარაჯე კაცის თვალი“, ოღონდ ერდოდან ნუ შეიხედავთ, არამედ შედით ხევსურეთში და, რომ შეხვალთ, ბევრი არაფერი — მცირედი რამ, „თეთრეული“ შესწირეთ უძველეს ღვთაებათა საგანძურს — მადლმოსილთა წინაშე საიდუმლოებათა ბჭენი ხალისით იხსნებიან...

და რომ დაბრუნდებით, უთხარით თანამოძმეთ, რომ იყო დრო, როცა „ბარი ლოცავდა მთას“, დიდი თურქობის, თემურლენგობის, შაჰაბაზობის, რუსობის და ა.შ. დროს და ნუ გავწირავთო, ნუ მოვკლავთო, ვიხსნათო „მთა სახიზნარი ჩვენია“.

რა ვიცით, როდის და როგორ და რამდენად დაგვჭირდეს...

დღეს კი კვდება ხევსურეთი, და იჩქარეთ, მიუსწარით სულთმობრძავს.

სხვა არავინ ჩქარობს, რა ეჩქარებათ, თქვენნაირმა ხალხმა კი უნდა იჩქაროს, თქვენნაირმა, ისეთი სიო ჰქრის თქვენი წერილებიდან.

**ნოშრევან არაბული**

ნინო ვახანია

# ამიტომ ელოლიავები წარსულს

პიტერ ვიერეკი — ქართველი საზოგადოებისათვის თითქმის სრულიად უცნობი ავტორი. წინათქმიდან ვიგებთ: ამერიკელ პოეტსა და ისტორიკოსს ორჯერ მიუღია პულიცერის პრემია.

კიდევ რამდენიმე უაღრესად საყურადღებო ცნობა ისევ წინასიტყვაობიდან: ახალგაზრდობიდანვე იკვლევდა ვაგნერის, ნიცშეს, შტეფან გეორგეს შემოქმედებას; ეძებდა ნაციზმის საწყისებს. როგორც პოლიტიკოსი, თურმე არცერთ „იზმს“ არ მიაკუთვნებდა თავს, თუმცა ოცდასამი წლის ასაკში გამოქვეყნებული ესეი — „მაგრამ მე კონსერვატორი ვარ“ — საუკეთესოდ ამჟღავნებს კრედოს, რომელსაც მთელი ცხოვრება ერთგულებდა.




ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის კლაეს რინის შეფასებით, „კონსერვატიზმი: ჯონ ადამსიდან უინსტონ ჩერჩილამდე“ ვიერეკის ყველაზე შთამბეჭდავი წიგნია, რომელიც ძირითადად კოლეჯის სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ მათ მასწავლებლებსაც დიდად შეეწევა. წიგნის გაცნობის შემდეგ შეუძლებელია მკითხველი არ დაეთანხმოს ამერიკელ პროფესორს და არ ინატროს: ნეტა ჩვენშიც ყველა საუნივერსიტეტო საგანში(კურსში) მოგვცა ასეთი წიგნები, სადაც მოკლედ, მოწესრიგებულად, მარტივად, ნათლად და გასაგებად იქნება მოწოდებული მთავარი დებულებანიო.

სიკვდილის წინ ვაჟიშვილისთვის უთქვამს, მშვიდად ვარო. მის სიმშვიდეს, ალბათ, იმის ღრმა რწმენა განაპირობებდა, რომელსაც ქართველი ავტორები ასე გამოთქვამენ: „კონსერვატიზმი ისევე არ ჩარჩება წარსულში, როგორც ეროვნული იდეალიც ყოველთვის დაიხსნის თავს გაქრობა-გადაგვარების საფრთხისგან... იმიტომ, რომ ბუნებრიობაზეა ამოზრდილი“.

და ვინც და როგორც უნდა ამტკიცოს ლიბერალური დემოკრატიზმის უპირატესობა კონსერვატიზმთან შედარებით, ერთი ცხადია — კონსერვატიზმი აღარასოდეს იქნება მოძველებულისა და დრომოჭმულის სინონიმი.

როსტომ და პაატა ჩხეიძეებმა, სავსებით სამართლიანად, თავი ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის მიმდევრებად გამოაცხადეს. აქ არ შემიძლია ეფრემ მცირეს არ დავესესხო და თანამედროვე ქართველ ავტორთა მიმართაც არ გავიმეორო: „მადლითა სულისა წმიდისაითა ხელეწიფებოდა(ხელეწიფებათ) შემატებაიცა და კლებაიცა“.

არ ვიცი, რა არის ამ წიგნში (ქრთულ ვერსიაში) ამოკლებული ორიგინალიდან, შემატებით კი ბევრი რამაა შემატებული. ცალკე, დამოუკიდებლადაა დაწერილი ქართული კონსერვატიზმის ისტორია, ისიც ვიერეკის თარგზე, ოღონდ თარგი ამ შემთხვევაში მხოლოდ გარეგნულ ფორმას გულისხმობს — არსებითის, ძირითადის გადმოცემა მოკლე, კონსპექტური ჩახაწერებით. ამ „შემატების“, კერძოდ, ქართულ სინამდვილესთან დაკავშირების გარეშე, ვიერეკის ნაშრომს, რა თქმა უნდა, სიღრმე, ძალა და მნიშვნელობა არ მოაკლდებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ქართველი მკითხველის ინტერესს სრულად მაინც ვერ დააკმაყოფილებდა და მხოლოდ სპეციალისტთა, პოლიტიკოსთა ვიწრო წრისათვის იქნებოდა საინტერესო და საგულისხმო. ახლა კი წიგნი მიმზიდველია მკითხველთა ფართო წრისათვის, იმათთვისაც კი, ვისაც იქნებ ადამსი და ბერკი თავისთავად, ქართული სინამდვილის გარეშე არც აინტერესებდეს. ერთი სიტყვით, თუ შეიძლება ასე ითქვას, პაატა და როსტომ ჩხეიძეები ვიერეკს მისდევენ და მიჰყვებიან „ცოტაოდენი განდაგანათი“.

ვინ არიან კონსერვატორები? ისინი ტრადიციული წესრიგისა და ღირებულებათა შენახვის მომხრენი არიან და ყველა სხვა წყობასთან შედარებით მონარქისტული ხელისუფლების უპირატესობას აღიარებენ. აი ასე მოკლედ და ყველასათვის გასაგებად არის გახსნილი კონსერვატიზმის არსი. და ისინი ვიღა არიან, ვისაც ამ ყველაფრის შენახვა არ სურთ? მათ ლიბერალები ან რადიკალები ეწოდათ XIX საუკუნის დასაწყისში. ასეთი, არა მარტო ნათელი, არამედ ერთგვარად ხალისიანი და იოლად დასამახსოვრებელი განმარტებაა მოწოდებული უაღრესად რთულ და ჩახლართულ საკითხებზე. ის, რაც ლიბერალებს ადამიანისთვის ბორკილად მიაჩნიათ (ტრადიცია, წარსული...), კონსერვატორთათვის ნამდვილი თავისუფლების საყრდენი და საფუძველია. ერთი შეხედვით ძალზე მომხიბვლელია ლიბერალთა შეხედულება ადამიანზე — ადამიანი ბუნებით კეთილია და თავისუფალი! მაგრამ თუ რეალობას(სიმართლეს) გავუსწორებთ თვალს, ადამიანი გაჩენისთანავე ცოდვილია და მხოლოდ ტრადიციას შეუძლია მისი გაკეთილშობილება. თუ ქრისტიანულ დოქტრინას არ მოვიხმობთ პირველცოდვის შესახებ (რასაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ყველა კონსერვატორი მიმართავს და ვიერეკი შეგვახსენებს), ისე, იქნებ შეურაცხმყოფელიც კი იყოს უნდობლობა კაცობრიობისადმი და ემოციურად ლიბერალთა შეფასება უფრო საამაყო და კმაყოფილების მომგვრელი ჩანდეს... მაგრამ ჭეშმარიტება ხომ ყოველგვარ გარეგნულ ეფექტურობასა თუ მიმზიდველობაზე მნიშვნელოვანია. უნდა შევინახოთ კერძო საკუთრება, არისტოკრატია, მონარქია, ეკლესია... (ამ ჩამონათვალის შევსება კიდევ შეიძლება), რათა ადამიანურ ბუნებას შევუნარჩუნოთ ზნეობა და თავისუფლებაო, — მიიჩნევენ კონსერვატორები. აქვე ვიგებთ, რას ნიშნავს არაპოლიტიკური კონსერვატიზმი, ვეცნობით კონსერვატიზმის კულტურულ

ასპექტებს. შეიძლება ისიც აღმოვაჩინოთ, რომ გაუცნობიერებლად ჩვენც კონსერვატორები ვყოფილვართ. წიგნში საგანგებოდაა ახსნილი ტერმინები, რაც ამ ტიპის სახელმძღვანელოსთვის სრულიად აუცილებელია იმიტომ, რომ საქმის არსში ჩაუხედავი მკითხველისთვის შეიძლება გაუგებარი დარჩეს არა განსხვავება თავისუფლებასა და თანასწორობას შორის, არამედ მათი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა. ხოლო ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე აღზრდილი ქართველისთვის სასაცილო თუ არა, ზედმეტი მაინცაა გამოწვლილვით, დაწვრილებით მსჯელობა ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ, მათი მსგავსი და განსხვავებული ბუნების კვლევა, ჩვენთვის ანბანურ ჭეშმარიტებად ქცეულ დებულებათა მტკიცება.

ცალ-ცალკე თავები ეძღვნება ბრიტანულ, ლათინური ევროპის, რაინის აღმოსავლეთის, გერმანულ, რუსულ და ამერიკულ კონსერვატიზმს.

წიგნის ამერიკელი ავტორის და ქართველ მთარგმნელთა მიზანი, როგორც ჩანს, ისიცაა, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, საკუთარი გუნება-განწყობა დამალონ, მკითხველს შესთავაზონ აკადემიური მსჯელობა, განსჯა, მიაწოდონ მეცნიერულად შესწავლილი და დასაბუთებული დასკვნები მშრალად და უემოციოდ, რათა ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, თვითონ აირჩიოს — მოიწონოს ან დაიწუნოს, მიჰყვეს ან უარყოს ესა თუ ის აზრი. მაგრამ, ვფიქრობ, შეუძლებელია ვინმე გულგრილი დარჩეს არისტოკრატიის ბერკისეული განმარტების მიმართ. მიუხედავად იმისა, ვართ თუ არა შთამომავლობითი არისტოკრატიის მმართველობის მომხრე, აბა, როგორ არ მოგვეწონოს კაცი, რომელიც „აღზრდილი უნდა იყოს ღირსეულ წრეში, ყრმობიდანვე დაცული იყოს სიმდაბლისა და სიბინძურისაგან; იცოდეს საკუთარი თავის ფასი; შეჩვეული იყოს საზოგადოებრივი თვალისაგან ზედამხედველობას; ადრეული წლებიდანვე ანგარიშს უწევდეს საზოგადოებრივ აზრს; იდგეს ამაღლებულ ადგილზე, რათა ხედავდეს ფართოდ გაშლილსა და უსაზღვროდ მრავალფეროვან სივრცეს, ადამიანთა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომბინაციებს; ჰქონდეს თავისუფალი დრო საკითხავად, საფიქრელად და სასაუბროდ; შეეძლოს მიიპყროს ყურადღება ბრძენთა და სწავლულთა, სადაც უნდა შეხვდეს; ჩვეულებად ჰქონდეს ღირსების დაცვა და მოვალეობის შესრულებისაკენ სწრაფვა...“

სწორედ ასე იზრდებოდნენ ყრმები ქართველ თავადთა ოჯახებში. ალექსანდრე ორბელიანის, აკაკი წერეთლის, სხვათა მოგონებანი ამას ადასტურებს.

ბერკივით მემკვიდრეობით, ტიტულოვან არისტოკრატიაზე ვისაუბრებთ თუ ადამსივით — „ბუნებრივ“, უტიტულო არისტოკრატიაზე, ორივე შემთხვევაში ვგულისხმობთ, რომ მათ თავიანთი, ერთნაირი იდეალები აქვთ — ღირსება, ტრადიცია, თვითდისციპლინა და სხვ.

აქვს თუ არა არისტოკრატიას პრივილეგია სხვა ფენებთან შედარებით? რა თქმა უნდა აქვს, — გვიპასუხებენ კონსერვატორები და იგულისხმებენ მეტ პასუხისმგებლობას, მეტ მოვალეობას ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

როდესაც რუსეთმა დაიპყრო საქართველო და ადგილობრივი მოსახლეობის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, დამპყრობელი შეეცადა გაეთიშა ერთმანეთისაგან არისტოკრატია და სხვა ფენები და დაეპირისპირებინა ისინი ერთმანეთისათვის, ხალხი დაეტოვებინა თავადების (თავის) გარეშე. სწორედ ამ მიზნით ალაპარაკდა რუსეთის ხელისუფლება ქართველი არისტოკრატიის მიერ დაკარგულ პრივილეგიებზე და მათი დაბრუნების სურვილსა და მცდელობებზე, თუმცა აქამდეც სავსებით ნათელი იყო და ახლა ვიერეკი და სხვა უცხოელი კონსერვატორებიც ადასტურებენ, რომ უფლისწულთა და სხვა არისტოკრატთა ერთადერთი პრივილეგია მშობელი ქვეყნის სამსახური, მისთვის სიცოცხლე და მისთვის სიკვდილია.

რა არის და რა ურთიერთობაა პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის? თითქოს ვაჟას ცნობილი წერილით უსარგებლიათო, თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ევროპელ და ამერიკელ კონსერვატორთა მსჯელობა გენიოსი ქართველის ნაფიქრ-ნააზრევს.

უაღრესად საინტერესოა რუსეთის ისტორიული უნიკალურობისა და რუს მოაზროვნეთა ვიერეკისეული დახასიათება. პობედონოსცევის, დოსტოევსკის, ტოლსტოის რელიგიური, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი შეხედულებანი ძალიან ფხიზელი, ყოვლისგანმჭვრეტი თვალით არის დანახული და გაზომილი. არ ვიცი, ამერიკელი ავტორისაა თუ ქართველი მთარგმნელების ეს დაკვირვება ტოლსტოის შესახებ, კარგი კია: „...ველარ წაიკითხავდა აუღელვებლად ბიბლიური წინასწარმეტყველის სიტყვებს: ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკისო. უთუოდ ამ განცდამ, მტანჯველ თვითგვემაში გადაზრდილმა, აუფორიაქა ისე სული, რომ ბერიკაცი გარეთ გამოიყვანა და სადღაც გააქცია უგზოუკვლოდ, როგორც საზოგადოებას ეგონა, თორემ თვითონ უთუოდ უფალთან შესახვედრად მიისწრაფოდა საალსარებოდ და მოსანანიებლად, ქრისტიანულ მოძღვრებას მისი სექტანტური განშტოება რომ დაუპირისპირა.

და ლევ ტოლსტოის ეს საქციელი მხოლოდ ასე შეიძლება გავიაზროთ და შევაფასოთ, როგორც ფრიდრიხ ნიცშეს ფსიქოლოგიურ პორტრეტზე დაკვირვება მიგვახვედრებს მისი სულის დაფარულ შრეს, ივლიანე განდგომილის სიკვდილისწინა წამოძახილის თავისებურ განმეორებად რომ ჩაგვესმის: — შენ გაიმარჯვე, გალილეველო!..“

აკი საბოლოოდ ზურგი აქცია ტოლსტოველობას არჩილ ჯორჯაძემაც და ილიას გზაზე მტკიცედ შემდგარმა „საერთო ნიადაგის“ თეორია ჩამოაყალიბა, ერის გადარჩენა დასახა კაცობრიობის ხსნის, ჭეშმარიტების შეცნობის, უფლის ნების აღსრულების ერთადერთ გზად.

საერთოდ, ამ ჭკვიანი წიგნიდან ცალკე შეიძლება ბრძნული გამონათქვამების, აფორიზმების ამოწერა. მაგალითად, ლორდ ექტონი: „ყველანაირი ძალაუფლება რყვნის“; ჯონ ჯეის „ფედერალისტმა“ იხსნა კანონის მთავრობა ბრბოს მთავრობისაგან; „ბრბოს“ დღევანდელივით თავისუფლების მცველად კი არა, „დიდ მხეცად“(ჰამილტონი) მიიჩნევდნენ ; ადამსი: „მასა ისეთივე ტირანია, როგორიც მეფე“. ამიტომ „ვინც უნდა დააფუძნოს სახელმწიფო, წინასწარ უნდა იცოდეს, რომ ადამიანები უკეთურნი არიან ბუნებით“; „თავისუფლება და სიტყვის უფლება არისტოკრატიის დროს უკეთაა შესაძლებელი, ვიდრე დემოკრატიის ჟამს“; ინტელექტუალური თავისუფლება უფრო ადრე და იოლად მოდის, ვიდრე სრულყოფილი სულიერი თავისუფლება და სხვა.

წიგნის მეორე ნაწილია „ქართული კოსერვატიზმი“ — ორიგინალური, ფრიად საინტერესო და საყურადღებო მეცნიერული ნაშრომი. ეს, თუ არ ვცდები, პირველი ცდაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში კონსერვატიზმის ისტორიის შესწავლისა და თანმიმდევრულად გადმოცემისა. მოკლე, მოცულობით მცირე თავები შესაფერისადაა დასათაურებული, რომლებსაც თავისი, განუმეორებელი დანიშნულება აქვს. თითოეული სათაური გზაა, კარიბჭეა დიდ სამყაროში შესასვლელად. ასეთი აგებულება წიგნისა მკითხველს უადვილებს რთული საკითხების გაგებას.

პირველი თავია — „ქართული კონსერვატიზმის საწყისები ალექსანდრე ორბელიანისაგან (1802-1869) მოდის". ეს თავი საძირკველია, ლიბოა, სათავეა მთელი შემდგომი კვლევისა.

უნდა ვაღიარო, რომ წლების წინათ ალექსანდრე ორბელიანს ლიბერალი მოღვაწე ვუწოდე. გამოგიტყდებით, მაშინ ხეირიანად არც მესმოდა განსხვავება ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს შორის. ამ ტერმინს — „კონსერვატორი" — როგორც წესი, ალექსანდრე ორბელიანის განსაქიქებლად იყენებდნენ ხოლმე. საწინააღმდეგო ცნების მოშველიება ამ მოღვაწის დასახასიათებლად ჩემი მხრიდან იყო გულწრფელი სურვილი მისი „დაცვისა" ვიეთთაგან. ლიბერალიზმში კი, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობდი პოლიტიკურ მიმდინარეობას, არამედ ამით ხაზს ვუსვამდი ალექსანდრე ორბელიანის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განსხვავებული აზრის მიმართ, მის დინჯ, აუჩქარებელ ბუნებას, ნებისმიერ საკითხზე განრისხების გარეშე მსჯელობის უნარსა და სხვ.

როსტომ და პაატა ჩხეიძეების მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულმა წერილებმა, თარგმნილმა თუ ორიგინალურმა კონსერვატიზმის არსის სრულად წარმოჩენამ მთლიანად ჩამოაშორეს „კონსერვატორს" ჩამორჩენილის, უგუნურის, გაუნათლებლის, გონებაჩლუნგისა და ყოველგვარი სიახლის მოწინააღმდეგის მნიშვნელობა. წინამდებარე გამოკვლევის ავტორთა მიზანმიმართული მცდელობის შედეგად სავსებით მოეფინა ნათელი კონსერვატიზმის ნამდვილ ხასიათს და, ბუნებრივია, ჩამოცილდა შეურაცხმყოფელი ელფერი. დიახ, როგორც ბატონმა პაატამ „ჩვენს მწერლობაში" გამოქვეყნებულ ერთ წერილში თქვა, ალექსანდრე ორბელიანი კონსერვატორი იყო, სულაც კონსერვატიზმის ფუძემდებელი საქართველოში. მისი კონსერვატიზმი კი, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ერთგულებდა ყველაფერს ქართულს — წესს, ჩვეულებას, ტრადიციას, ოჯახს, სოციალურ წყობასა თუ სხვ. მიაჩნდა, რომ ძველისგან, ჩვენი ფესვებისგან უნდა მივიღოთ და შევიწოვოთ ყველაფერი, რაც ქართველისთვისაა დამახასიათებელი, ნიშნეული, რაც ჩვენს ქართველობას განაპირობებს. მომავალი სახელმწიფოს აშენება სხვანაირად ვერ წარმოედგინა. ამიტომ ელოლიავებოდა წარსულს, ნაჩვევს, საუკუნოებით განმტკიცებულს. მისი ეს დაჟინებული ხედვა წინაპრებისკენ და იქ მოძიება მომავალი დამოუკიდებლობის საფუძვლებისა ბევრს ახირებად ეჩვენებოდა. ძველი ყოფის დახატვისას ოდნავი რომანტიკული გადაჭარბება მის ნაწერებში მართლაც შეინიშნება. ამავე დროს აშკარად ჩანს სინანული იმის გამო, რომ რაღაც მშობლიური, სისხლხორცეული ქრება, კვდება, იკარგება, სხვა რამით, უცხოთი იცვლება. საუკეთესოდ დაახასიათა მისი მემუარული ჩანაწერები იონა მეუნარგიამ. წიგნის ავტორები, ბუნებრივია, საგანგებოდ იმოწმებენ ქართველი ბიოგრაფოსის შეფასებას: მხატვარს ცოტა მეტი ფერი დაუდვია სურათისთვის, მეტი სხივი დაუკრავს... მაგრამ ვინ იტყვის, რომ დედააზრი მისი სიტყვისა ტყუილი იყოსო?

ალექსანდრე ორბელიანის მხატვრულ-დოკუმენტური ჩანაწერები თავისი სიზუსტითა და შთამბეჭდაობით ახალი ხანის „ქართლის ცხოვრებად" მოიხსენიეს ავტორებმა და ამით ზუსტად შეაფასეს ქართული კონსერვატიზმის მამის გულწრფელობა, ნიჭი, გემოვნება, მიზანი და დანიშნულება.

როგორც ოპიზელი ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ძვირფასი მასალისგან თვალშეუდგამ სილამაზეს, გაუხუნარ შედევრებს ქმნიდნენ, ისე ბატონები როსტომი და პაატა მდიდარი, ღრმაშინაარსიანი მასალის წიაღს წვდებიან, იქიდან ამოაქვთ მარგალიტები და ყველასათვის საცნაურად და ხელმისაწვდომად ხდიან მას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო მათი სტილის ერთი დამახასიათებელი შტრიხი. ცალ-ცალკე თუ ერთად მუშაობის დროს მათ შეუძლიათ ახალი აზრი, სხვა ჭრილში დანახული, სხვანაირად გააზრებული ნაცნობი თემა თუ ნანარმოები, მეცნიერული აღმოჩენა, ხანგრძლივი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა ძალიან „უბრალოდ" და „მარტივად" მიაწოდონ მკითხველს.

ხშირად ჩვენ გულუბრყვილოდ ისიც კი გვგონია, ეს ხომ ისედაც ცხადია, ამას რად უნდა მისანიო. თითქოს რა დიდი მიხვედრა უნდა, ილია ჭავჭავაძე „კაცია-ადამიანის?!" ერთ ეპიზოდში შეფარვით ალექსანდრე ორბელიანს რომ ეკამათება და მის „მამაშვილობის" თეორიას განაქიქებს? ნათელი და საკამათო არაა, რომ ირონია, რომლითაც განმსჭვალულია მოურავისა და მისი ბატონის დიალოგი („-დიაღ, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შვილები ვართ, თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, ნაგვართმევთ, — ეგ რა? სულ ჩვენი სიკეთისთვის არის ხოლმე" და ა. შ.) ირიბად მიმართულია „მამაშვილობის" თეორიის ყველა მომხრისა და დამცველის გასაბიაბრუებლად. მაგრამ ეს ახლაა უტყუარი და გამჭვირვალე, როცა მკვლევარებმა დასაბუთებულად გამოთქვეს ეს აზრი, თორემ მანამდე...

ან თუნდაც ეს. „მგზავრის წერილებიდან" ყველას ახსოვს ილიას შეხედულება გოეთესა და ბაირონზე, მაგრამ ვიცით გვიანდელი ილიას შეხედულება იმავე მწერლებზე? ცალკე არაფერი დაუწერია არც ერთისა და არც მეორის შესახებ. მკვლევარების მიერ ილიას მთელი შემოქმედების ღრმად წვდომა და ანალიზი ხელისგულზე გადაგვიშლის, რომ მოგვიანოდ ილია „იდეალად დასახავდა სწორედაც მყინვარსა და გოეთეს, და სინანულით გაიხსენებდა „მგზავრის წერილების" იმ პასაჟსაც და გაბროს, კაკოსა და ზაქროს სახეების შექმნასაც..." იმის შესაცნობად, რა გზა გაიარა ერის მამად აღიარებულმა ილია ჭავჭავაძემ ლიბერალიზმიდან კონსერვატიზმამდე, საუკეთესო მეგზურობას გვიწევენ ამ წიგნის ავტორები. მათი ნაშრომი სწორედაც რომ მაშველი რგოლია, ძაფის წვეროა, რომელსაც სწორ გზაზე გავყავართ.

ვინ არ აღვფრთოვანებულვართ ორი ქართველი მანდილოსნის — კრავაი ჯაყელისა და ხვაშაქ ცოქალის დიპლომატიური ნიჭითა და უნარით. მაგრამ სწორედ ყუთლუ არსლანის კარავი მოჩანს პარლამენტური მონარქიის სათავეში. არადა, მოვლენათა როგორი ზედმიწევნითი ცოდნა, სწორი ანალიზის უნარი და ერთგვარი გაბედულებაცაა საჭირო იმისთვის, ყუთლუ არსლანი, რომელსაც მემატიანე დამამცირებელი ეპითეტებით იხსენიებს(„ჯორის სახედ ორ ბუნე-

ბისა მყოფელი", „მზაკვარი" და სხვა) სოლომონ დოდაშვილის, ქართველთა ეროვნული გმირის სულიერ წინამორბედად რომ გამოაცხადო. მაგრამ თუკი ერთიცა და მეორეც პარლამენტური მონარქიზმის მომხრე იყო, მაშინ დასკვნა სავსებით ლოგიკური და კანონზომიერია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — იმ ორი მშვენიერი მანდილოსნის ნიჭს, უნარს, მოხერხებას საუკუნეობით შეუფერხებია ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო პოლიტიკური წყობის დამკვიდრება.

ზნეობის მოშლის, სხვისი მოკვლით აღფრთოვანების გამოხატვის გამო წუხდა გაბრიელ ქიქოძე. ზნეობრივი საფუძვლების გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს. „ზნეამაღლებით" სურდა, სხვანაირად ვერ წარმოედგინა ქართველი ერის მიერ მომავალი სახელმწიფოს მშენებლობა გრიგოლ ორბელიანსაც. ალექსანდრე II-ის მოკვლამ თუ აკაკი წერეთლის აღფრთოვანება გამოიწვია, გაბრიელ ქიქოძემ მხოლოდ გულისტკივილით შეხედა ამ ამბავს...

ვეცნობით რა ქართული კონსერვატიზმის ისტორიას, მწყობრად, სისტემად ჩამოყალიბებულს, თითქოს თვალნათლივ ვხედავთ, ვკითხულობთ დამოუკიდებელი ქვეყნის კონსტიტუციას — „სიბრძნით განსაზღვრებულსა და მეცნიერებით გაბრწყინვებულს". დაწერილი, შედგენილია ეს კონსტიტუცია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მოღვაწის მიერ და ერთმანეთს ავსებს, უნისონში ჟღერს ყველა ქართველი კონსერვატორის ნააზრევი.

ზემოჩამოთვლილთა გარდა, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, არჩილ ჯორჯაძე, ზურაბ ავალიშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, პავლე ინგოროყვა, ვასილ ბარნოვი, ერეკლე ტატიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ოთარ ჩხეიძე, ზვიად გამსახურდია — აი, ძირითადად ის მოღვაწენი, რომელთა კონსერვატული ნააზრევია განხილული წიგნში. საინტერესოა, რომ ავტორები ყურადღებას აქცევენ არაკონსერვატორთა კონსერვატულ შეხედულებებსაც. მაგალითად, საგანგებოდაა აღნიშნული ანარქისტ ვარლამ ჩერქეზიშვილის ეროვნული კონცეფცია და ამ თვალსაზრისით პრაქტიკული საქმიანობა და სხვ.

თანამედროვე სამყაროში უამრავ თავშისაცემ კითხვათაგან ერთ-ერთი ურთულესია განსხვავებულ ერთა, ენათა, კულტურათა, ტრადიციათა და ა. შ. თანაარსებობის პრობლემა. როგორც ჩანს, მსოფლიოს უკეთესნი მეცნიერნი თანდათან მიდიან იმ დასკვნამდე, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძემ ჩამოაყალიბა „საერთო ნიადაგის" თეორიად. უფრო ადრინდელი მოღვაწეების — ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ორბელიანის ნააზრევზე დაყრდნობით შემუშავებული ეს კონცეფცია კიდევ უფრო ადრე, მეთორმეტე საუკუნეში პოეტურად ასე გამოთქვა ჩვენმა გენიოსმა მწერალმა: „შიგან მათსა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს".

* * *

როგორც ავტორები ვარაუდობენ, ეს წიგნი უთუოდ მისცემს კვლევის სტიმულს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, ალბათ, ქართველ კონსერვატორთა სიაც შეივსება. მანამდე კი წავიკითხოთ, შევისწავლოთ, გავითვალისწინოთ, უბრალოდ, ვისიამოვნოთ პაატა და როსტომ ჩხეიძეების „კონსერვატიზმის ისტორიით".



მიხეილ ჭონქაძე

# მისი საუკუნე, მზითა და სევდით...

მარიკა ბარათაშვილი ყველაზე მხცოვანი გახლდათ ქართველ პოეტთა შორის, თუმცა საუკუნოვანი ცხოვრება მის შემთხვევაში ბედისაგან განებივრებად ნაკლებად უნდა მივიჩნიოთ. იგი ბედისაგან გამორჩეული უფრო იყო, გამორჩეული ტკივილითა და სიხარულით, რომელიც საუკუნოვანი სიცოცხლის დასასრულსაც არ მოჰკლებია. ძნელად თუ მოიძებნება მეორე შემოქმედი, ვისაც ისეთი ტრაგიკული პირადი, ხოლო წარმატებული შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ცხოვრებით ეცხოვროს, მარიკა ბარათაშვილმა რომ იცხოვრა. რადგანაც ქალი, რომელსაც ორივე შვილის სიკვდილი არგუნა ბედმა, საქვეყნოდ აღიარებული და ყველასათვის საყვარელი პოეტი გახლდათ, რედაქტორობდა იმდროისთვის ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალს — „საქართველოს ქალს". მის მშვენიერ ლექსებსა და პიესებზე ქმნიდნენ სიმღერებს, იღებდნენ ფილმებს... მკითხველს ამის დასტურად საყოველთაოდ ცნობილი „ჭრიჭინა" და „საპოვნელაც" ეყოფა. აკი დააჩივლებინა კიდეც სიცოცხლის მიმწუხრს ასეთმა ცხოვრებამ: მუდამ გზაჯვარედინზე ვიდექ, პირადი და შემოქმედებითი გზები კვეთდნენ ერთმანეთსო.

საქართველომ მარიკა ბარათაშვილი ამ ორი წლის წინათ, 2008-ის დამლევს გააცილა უკანასკნელ გზაზე. კარგა ხანია, მინდა გიამბოთ იმ დღეზე, როცა ქალბატონ მარიკას შინ ვეწვიეთ და ხანგრძლივი საწუთროს სიავკარგეზე ვესაუბრეთ. მახსოვს, საირმის გორაზე ადრეული გაზაფხული იკრებდა ძალას, ირგვლივ უკვე ცვიოდა ნუშის ფურცელი. ჩვენი საუბარი კი როგორღაც მაინც სევდიანი შემოდგომის ამინდს ჰგავდა, კარსმომდგარი ფოთოლცვენის ჟამს... „შემოვრჩენილვარ იმ გაზაფხულებს..."

სასიამოვნოდ გაგაოცებდათ: თქვენს წინ იჯდა საუკუნეს მიტანებული ქალბატონი, რომელიც წარმოუდგენელი სიზუსტით იხსენებდა განვლილს და განცდილს. ისევ რაღაცნაირი შემართება ჰქონდა, მომავალს მიენდობოდა და აწმყოს განსჯიდა. სიარული, რასაკვირველია, უჭირდა, ისევ ლექსით ეხმაურებოდა დარაბებს მიღმა მიმავალ ცხოვრებას. საინტერესო მოგონებები გაცოცხლდებოდნენ იმ წუთას, შავი ქალაქის ერთი უბრალო, ბინდისფერი დღიდან საყოველთაო აღიარებამდე, რედაქტორის საპატიო მოვალეობამდე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობამდე, ქალთა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სხვა, მაღალ ტრიბუნებამდე. ჰო, ჭიათურის პატარა სოფელ ნავარძეთში იწყებოდა მზიანი ბავშვობა, რომელიც ლამის მოწამებრივ გზად იქცეოდა მოგვიანებით. ამიტომაც შემორჩებოდა შორეული წლების ძალუმი ნოსტალგია:

**ახლა იმ შორეულს ნისლის ბადე ჰხურავს,**
**ბინდში ჩაძირულან შავი მთაგორები...**
**სადღაც კონტურები ძველი ჭიათურის**
**სადღაც, ბავშვობაში ბორგავს მოგონება:**
**ქალაქის სიცოცხლე ბჟუტავს ნათურებით,**
**ბექობს შეფენილი ფიცრული სახლებით,**
**სადღაც მიჭრიალებს პატარა ურემი,**
**მარაოდ მიჰყვება მტვრის კორიანტელი...**

**მთები დაწერილი დამრეც ბილიკებით,**
**სადღაც გვირილებიც ძაძით შემოსილან...**
**ღამეა, ბარბაცით აღმართს მიიკვლევენ**
**მაღაროელები — შავი ნიღბოსნები.**
**ზემოთ „საშევარდნო“ კიაფობს ნუგეშად,**
**მისკენ აფრენილა ოცნება — რამდენი!**
**წევს შავი ქალაქი მთების მარწუხებში**
**და დასიზმრებია ფრთები შევარდენის...**

*(„ჭიათურა”)*

შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზა კი მაინც იმედიანად დაიწყო: ერთხელაც, როცა მძიმედ ავადმყოფი მეუღლისა და მამამთილისათვის წამლების შესაძენად გზად მწერალთა კავშირთან გაივლიდა, შემთხვევით ირაკლი აბაშიძე შეხვდებოდა, ის მოიკითხავდა და სთხოვდა, შემომიარე მწერალთა კავშირში, შენი მიღების საკითხი უნდა გადავწყვიტოო. გადაწყვეტდა კიდეც და იმ დღიდან უფრო ცნობილი გახდებოდა. არა, სიყვარული და აღიარება კი არ გააკვირვებდა, ეს ჯერ კიდევ ომისდროინდელ „საპოვნელასა” და სხვა არაერთ ლექსს მოეტანა მისთვის. 1943 წელს რომ პოეზიის საღამო გაუმართეს, პირველი სტრიქონების წაკითხვისთანავე იოსებ გრიშაშვილმა შესძახა, მარიკავ, მე თქვენი ტრუბადური ვარო... მაგრამ მაინც... სხვა დრო იყო, იმ დროის შვილ შემოქმედს მაინც სჭირდებოდა იმ ორგანიზაციის წევრობა, მწერალთა კავშირი რომ ერქვა... მერე ასეც მოხდა... პოპულარული გახდა, წიგნები გამოსცა, 1965 წელს კი სულაც რედაქტორობა მიანდეს „საქართველოს ქალისა”, რომლის ტირაჟი 170 000-ს აჭარბებდა და ყველა ოჯახის გულის კარს აღებდა.



*მარიკა ბარათაშვილი*

ამასთან დაკავშირებით ქალბატონი მარიკა იხსენებდა: „მახსოვს, მესიზმრა: ვდგავარ თბილისის ერთ-ერთ ქუჩაში და ერთად შეყრილ ადამიანებს ვხედავ, რომლებიც მაღლა იყურებიან. დავინტერესდი, მივედი მეც. ავიხედე და ცაში ჩემი თავი დავინახე, ძველი ქართველი ქალის თავსაბურავი მეხურა... გავილვიძე და ვფიქრობ, ღმერთო, რა უცნაური სიზმარი იყო, რას უნდა ნიშნავდეს? ფიქრი დიდხანს არ გამიგრძელებია, დამიძახეს ხელისუფლებაში და მითხრეს: ჩვენ გადავწყვიტეთ, დაგნიშნოთ ქალთა ჟურნალის რედაქტორადო...”

სხვათა შორის, ამ მხრივაც გამოირჩა მარიკა ბარათაშვილი, იგი ყველაზე „ხანგრძლივი რედაქტორი” აღმოჩნდა (26 წელზე მეტი ხანი). რედაქტორობასთან ერთად, არც სხვა საპატიო თანამდებობებს მოიკლებდა: უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახდებოდა და მაშინ ბავშვობისდროინდელ ოცნებასაც აისრულებდა: მშობლიურ სოფელში წყალს გააყვანინებდა მთავრობას. ეს ერთადერთი ოცნება კი არ ყოფილა, რომელიც აიხდინა, უპირველესად ქართველი ქალისა და დედის ცხოვრებასა და ხვედრზე იზრუნებდა. მისი ჟურნალის მშვენიერი მოღვაწეობით მრავალი ქალი ინუგეშებდა თავს, მრავალი ოჯახი გადაურჩებოდა გარდაუვალ დანგრევას და, წარმოიდგინეთ, ბევრიც დაშლილი ოჯახი შეკავშირდებოდა ხელახლა.

მწერალთა გარემოში ყოფნა რომ მოუნია, უფლის წყალობად მიიჩნევდა. გასული საუკუნის თითქმის ყველა მოღვაწესა და კორიფეს იცნობდა. შიო მღვიმელთან, გალაკტიონთან, იოსებ გრიშაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან ხომ თითქმის ახლობლობა და მეგობრობა აკავშირებდა.

მისი პიესა „ჭრიჭინა” იღბლიანი გამოდგა, საბჭოთა და საზღვარგარეთის 170-ზე მეტმა თეატრმა დადგა. „არნახული პოპულარობა მომიტანა, — იხსენებდა იგი — მთელ ქვეყანაში იმეორებდნენ „ჭრიჭინას” ფრაზებს. რუსეთში კი ზოგს თავად ვეგონე მთავარი გმირი და სადაც კი დამინახავდნენ, გაოცებულები მეკითხებოდნენ: „ვი ჩრიჩინა, მარიკა გერვასევნა?”

ინდოეთში რომ იმოგზაურა, იმხელა სიყვარული და სითბო იგრძნო ამ ქვეყნისაგან, ლექსების ციკლი უძღვნა შემდეგ. გვიამბობდა: „ინდოეთში ჩასულები სასტუმროში მოგვათავსეს. მეორე დილით ნომრიდან ლიფტით ჩამოვდივარ დარბაზში. იხსნება კარი და რას ვხედავ, ჩემს წინ რაჯ კაპურია დაჩოქილი და სიმღერას მიძღვნის. გავოცდი, არ მეგონა ასეთი სიყვარულით თუ მიმიღებდნენ ინდოელები...”

პოეტსა და დრამატურგს პუბლიცისტური მოღვაწეობაც მშვენიერი გამოუდიოდა. უკანასკნელ დღემდე აქტიურად ადევნებდა თვალყურს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. საქართველოს ცხოვრების სიავკარგე წერილებსა და ლექსებში პოვებდა ანარეკლს. ისევ დედებს მიმართავდა უპირველესად, შვილებს მოეფერეთ, იზრუნეთ და დალოცეთო. მერე უფრო გაუმძაფრდა ეს გრძნობა, როცა ორივე შვილის სიკვდილს შეესწრო. ჩქარობდა, წიგნად გამოეცა თავისი ქალიშვილის, ცნობილი ჟურნალისტის — ნანული ბარათაშვილის პუბლიცისტური წერილები, რომელსაც მოგვიანებით ასე დაარქვა: „მაცოცხლე შენს გულში, დედა...” უკანასკნელ წლებს მისჯილ სიცოცხლეს უწოდებდა და იმქვეყნად შვილებთან ხელახალი შეხვედრის იმედით ატარებდა მილეულ დღეებს... მაინც კი მადლიერი იყო ღვთისა იმ მზიანი წლებისთვის „იმ

გაზაფხულებისთვის", შინაარსიანად და ნაყოფიერად რომ გაატარა... ბოლოდროინდელ ლექსში წერდა:

**როცა აყვავდა ბაღში ნუშები**
**და იცინიან თეთრად ტყემლები,**
**ნუ გაიკვირვებ, თუ ვილუშები,**
**ნუ გაიკვირვებ, თუ ვიცრემლები.**
**იყო საოცარ დღეთა ასხმული,**
**შემოვიდოდა შინ გაზაფხული**
**და სიყვარულით ვითანგებოდი**
**ახლაც მოვიდა კვლავ თაიგულით,**
**მოდის მოიწევს, კარს ურახუნებს,**
**მე კი, ქარებით გამოფიტული,**
**შემოვრჩენილვარ იმ გაზაფხულებს.**

საუკუნოვანი სიცოცხლის მიმწუხრს პატრიარქს ენვია. ლექსი მოგიძღვენითო, ბავშვივით უხაროდა. უწმინდესმაც სიყვარულით დალოცა, გულში ჩამწვდომი სიტყვები უთხრა:

**„...თქვენისთანა ადამიანები არ კვდებიან, სიკვდილი უსახელოდ გაქრობაა. რწმენამ მხნეობა უნდა შეგძინოთ, თქვენი წამებული სიცოცხლე ნიშანია თქვენი ღვთის რჩეულობისა"**

როგორი იმედიანი სიტყვებია, მარადიულ საგზლად რომ გამოადგება ადამიანს, როგორ ნუგეშს იღებს სული ამ დროს...

„შემოვრჩენილვარ იმ გაზაფხულებსო" – იტყოდა და, თითქოს, უკან მიიხედავდა სინდისდამშვიდებული, კიდევ ერთხელ გაუსწორებდა სივრცეს თვალს, რომელზედაც ერთი საუკუნე იდგა — მზითა და სევდით...



თათია ჯგუშია

# თეთრი ძაფით ნაქსოვი ჩიტები

*

## ნინო სადღობელაშვილის ლექსები

აქ, სადაც საკუთარი თავიდან, როგორ? სახლიდან, გარბიხარ, და თუ სხვამ თავისთან შეგიშვა, სულში წყალივით გაგივლებს და უკან გზაზე აღარც შენი თავი დაგხვდება მშობლიური; სადაც მეტაფორიდან ბრონეულის სიმწიფის ნაცვლად კეფიდან ამომსკდარი სისხლი ლუის; სადაც თითიდან გამოწოვილი აპათია ბუენდიებს დალივით აზის თაობას; სადაც მეძავების და ლოთების წილი ღამეა პოეზია და მეიერის ბესტსელერის ფასად ზამთარს გაიტან, ფოლკნერი ორ ლარად კი ჭუჭყიან გადასასვლელებზე ქარში გდია, - სწორედ აქ და ამიტომ ზამთრიდან ზამთარში გადავდივართ და თებერვლის ხეში ისევ დეკემბრის წყალი დგება.

ზამთარში კი ორი სიკეთე იცის, ყოველ შემთხვევაში მე მხოლოდ მათი მწამს: თოვლზე ბავშვების ნაფეხურები და... ჩიტები.

სველი, შემცივნული ჩიტებია მისი ლექსები, შალში რომ გინდა გამოახვიო, ისინი კი გამუდმებით გისხლტებიან, შიშით, რომ მიატოვებ. წითელი ფეხებით საიდუმლო წერილებს რომ ებღაუჭებიან და თვალი ყინვისგან გახევებული ელსადენებისკენ გაურბით. "მესმოდა ჩიტის ხმაც, ან იქნებ სულაც ბავშვი იყო, ჩემსავით ღია სარკმელში გადმომდგარი და ყვავილივით ფაქიზი შიშისგან, მარტო რომ იყო და მღეროდა."

ეს არის ქალაქი, რომელიც ფანჯრებს თვითონ ხატავს და თვითონვე შლის მკვდარი დიასახლისის ეზოდან დახსნილი ზეწრებით, სადაც ქარი თმაში კი არ გიყოფს ხელებს, როგორც ავადმყოფი დედა დაუსვამს თავზე ცივ თითებს მძინარე შვილს, აქ ქარი მუხლებთან გცელავს და გაშეშებული ტერფები დახვრეტილთა ფეხსაცმელებივით ყრია ქუჩაში. მაგრამ იმედი რის იმედია, თუ ყველა არ გამოიტირა და ბოლოს არ მოკვდა. "მე კი დავრჩები, როგორც რჩებიან ხოლმე მუსიკალური სკოლის ეზოში დედები, შვილებს რომ ელოდებიან."

მისი ნათითურებიდან თითქოს თავიდან ვსწავლობ დედის სიყვარულს. დედა ხომ ერთადერთია, ვისაც ყველა ხვეულსა თუ ტალანში თამამად დახუჭული თვალებით შეჰყვები და ყოველ ნაფორხილებაზე ნუგეშად აენთები: "მეც მაჩვენე შენი სამკაული, საყვარელმა რომ გაჩუქა დღეს, რა ულონოდ გიფართხალებს გული, ხომ კარგად ხარ, დე!" და "თვალებს ლელვის რძით ამოვიწვავ და არ დაგინახავ, როგორ გეყვარება."

ხანდახან შვილები განძით სავსე სკივრივით დაატარებენ დედის წარსულს, - მის ყველა ღამეს და წყალდიდობებს, ახალგაზრდობის ფოტოებთან მსგავსებას იჩემებენ და ეს სხვა არაფერია, თუ არა უსაზღვრო სურვილი, მას შეერიო, მისგან იყო გადმოღვრილი და ჰგავდე, როგორც წვეთს წვეთი, მისი სიკამკამის ზიარი იყო. "სიარულშიც შენ დაგემსგავსე, დედი, ნისლივით გამომდის ბარბაცი".

როცა ერთი ხელით ვარსკვლავებს ეთამაშები, მეორეთი კი დედის კალთა გაქვს ჩაბღუჯული, ცაც შენია და მიწაც, დედა კი ორივეზე ერთად მეტი. მერე იმ მესაკუთრე ბავშვის ჟინით იმწყვდევ გულში იმას, ვინც შენ ხარ დედისთვის, - შვილს. "შენ დაგბრალდება ჩემი უდროოდ დაცლილი დროც, წუთები, წამები, რომლებიც სხვებს ხანდახან არც მოეკითხებათ მე კი სულ მისხალ-მისხალ, წამიწამ უნდა ჩავაბარო, ვისგანაც მერგო და ვაი რამდენი სიცარიელე და ვაი რამდენი ვზლოთ."

ყოველთვის, როცა მის ლექსებს ვკითხულობ, ოთახში ხმელი ტოტების ტკაცუნი ისმის, სინათლის წვრილ ღერებზე კი უფაქიზესი, თეთრი ძაფით ნაქსოვი ჩიტები კიდია.

და ოდესმე მივწერ წერილს, მისსავე სიტყვებს, მხოლოდ შებრუნებულს და მისკენ მიმართულს: "რატომ მოხვედი ადამიანად, თუკი შეგეძლო გყვარებოდა ასე ძალიან?!"

ჯეკ ლონდონი

# მაწანწალა და ფერია

მდინარის ნაპირას, თვალუწვდენელ ველზე გაშენებული ვენახიდან, სადაც რთველი გაჩაღებულიყო, ხიდის გავლით, მდინარის მეორე ნაპირზე მდებარე ღვინის ქარხნისაკენ უწყვეტ ნაკადად ყურძნით დატვირთული ოთხთვალები მიედინებოდა. ქარხნის სიახლოვეს, შიშველ ველზე, ღობის გადაღმა, კერძო სამფლობელოს ტერიტორიაზე, მცხუნვარე მზის ქვეშ თივაზე მაწანწალა გაშხლართულიყო და ისე ღრმად ეძინა, ვერ აღვიძებდა ვერც სიცხე, ვერც ოთხთვალებში შებმული ცხენების ფლოქვთა თქარათქური, ვერც ოთხთვალების გამყოლთა ხმამაღალი შეძახილები, ყურძნის გადმოტვირთვისას რომ გაისმოდა.

საშინელი შესახედავი იყო მაწანწალა: ჩაძინებულს პირი ღია დარჩენოდა; სასთუმლად ამოდებული გაზეთების დასტიდან თავი თივაზე გადმოჰგორებოდა და ჭუჭყიანი, დაუვარცხნელი თმა თივის ღეროებსა და ჭანგას გამხმარ ეკლებს გადახლართოდა; რამდენიმე კბილი აკლდა (ჩხუბში თუ ჩაუმტვრიეს); ღრმა ხვრინვას ზოგჯერ ღრენა, ზოგჯერ კი კვნესა ენაცვლებოდა; დროდადრო ხელები ეკრუნჩხებოდა, კისერი ეღრიცებოდა, შფოთავდა, იტანჯებოდა. ტანჯვის პირველი და მთავარი მიზეზი, ეჭვგარეშეა, სიზმრით გამოწვეული სულიერი განცდები გახლდათ; მეორე კი — მზის სხივი, ასე რომ უწვავდა სახეს და ბუზები, სახის შიშველ ნაწილზე — ცხვირზე, ყვრიმალებსა და ქუთუთოებზე რომ დაცოცავდნენ (სახის დანარჩენი ნაწილი გაბანჯგვლულ, ჭაღარაშერეულსა და ჭუჭყისგან ფერდაკარგულ წვერს დაეკავებინა).

ყვრიმალები შემხმარი სისხლის წვეთებით დალაქავებოდა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ დაძინებამდე გვარიანად გამოთვრა, მერე კი იჩხუბა და სახე დაიზიანა. ამას ისიც ადასტურებდა, რომ ბუზები ყველაზე მეტად პირის ირგვლივ, ტუჩებზე შეჯგუფულიყვნენ, საიდანაც ღვინის ოხშივარი ამოდიოდა. მაწანწალა ათლეტური აღნაგობის, მხარბეჭიანი, კუნთმაგარი კაცი გახლდათ; მრავალწლიანი მძიმე შრომის შედეგად ხელის მტევნები ოდნავ გამრუდებოდა, ხელისგულები კი ჭუჭყიან კორძებს დაეფარა. მარჯვენა ნები, რომელიც მძინარე მაწანწალას გაშლილი დარჩენოდა, დროდადრო იკრუნჩხებოდა და მძლავრ მუშტად იკვროდა, თითქოს ვილაცას ემუქრებაო.

ადგილი, სადაც მძინარე მაწანწალა იწვა, ორი მხრიდან იყო ღობით შემოსაზღვრული: ერთ მხარეს გაშენებული ღობე, ხეებს, ველურად ამოზრდილ მაყვლის, მარწყვისა და ჯუჯა მუხის ბუჩქებს რომ დაეფარათ, კერძო სამფლობელოს საზღვარს წარმოადგენდა; მეორე მხარეს კი მაწანწალა გამიჯნული იყო ღობით, ესპანურ-კალიფორნიულ სტილში ნაგებ ერთსართულიან აივნიან აგარაკს რომ ერტყა გარს; აგარაკის ნატიფი გემოვნებით შესრულებული დიზაინი ორგანულად ერწყმოდა გარემოს.



აგარაკის ჭიშკრიდან მინდორში არაჩვეულებრივად ლამაზი გოგონა გამოვიდა; რვა წლისა იქნებოდა; ისეთი ლამაზი იყო, მსგავსს მხოლოდ დიდ მხატვართა მიერ შესრულებულ ფერწერულ ტილოებზე თუ ნახავდით. სხეულის სინატიფე, წვრილი წელი, ობობას ქსელივით ნაზი ოქროსფერი ხუჭუჭი თმა, წამწამებით ოდნავ დაფარული ცისფერი თვალები, სახის უნატიფესი ნაკვთები არაჩვეულებრივ ხიბლს ანიჭებდა გოგონას; მუხლებამდე ამოცმული შავი წინდები მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა თოვლივით თეთრ კანთან და გამოკვეთდა მის სილამაზეს. ბავშვის მეტისმეტი სინაზე თავდაპირველად ეჭვს შეგატანინებდათ მის ჯანმრთელობაში, მაგრამ ლაღი კისკისი, ხტუნვა, სიცელქე, ხალისიანი გამოხედვა, კეთილი ღიმილი გაგიქარწყლებდათ ამ ეჭვს. გოგონას სილამაზე მხოლოდ ხორციელი არ იყო, ის გხიბლავდათ კიდევ რაღაც იდუმალით, აუხსნელით, რაც კეთილ ფერიას ამსგავსებდა.

გოგონამ ყაყაჩოების კრეფა დაიწყო, აგარაკის გარეთ ღობის მთელ სიგრძეზე რომ ამოზრდილიყვნენ. მომცრო ქოლგას, ხელთ რომ ეპყრა, კრეფისას ფრთხილად არიდებდა ყაყაჩოების გვერდით ამოზრდილ ეკალ-ბარდებს.

გოგონა ყაყაჩოების შეგროვებისას თანდათანობით ღობის მეორე ბოლოსაკენ ინაცვლებდა. შუა ნაწილს რომ მიაღწია, მძინარე მაწანწალას გადაეყარა. მაწანწალის დანახვამ შეაკრთო, მაგრამ არ შეშინებულა. მაწანწალა შეიშმუშნა, თივაში ჩაფლული ხელი აამოძრავა. გოგონა, რომელმაც ის-ის იყო უკან გაბრუნება დააპირა, გაჩერდა, დააკვირდა. საზიზღარი შესახედაობისა იყო მაწანწალა, სახეზე მზე ადგა, ბუზები ეხვია. მაგრამ ზიზღი არ უგრძვნია; ახლოს მივიდა, სახეზე ქოლგა მიაფარა, ბუზები გაურეკა და მასთან ახლოს ქვაზე ჩამოჯდა.

ქოლგა ძალიან პატარა იყო. მაწანწალას სახეზე მზე რომ არ მისდგომოდა, გოგონას ის მუდმივად ხელში უნდა სჭეროდა და მზის მდებარეობისათვის შეეხამებინა; როცა ერთი ხელი დაეღლებოდა, ქოლგას მეორეში გადაიტანდა ხოლმე. ჩრდილმა მაწანწალა ცოტათი მოასვენა, აღარ შფოთავდა. გოგონა მშვიდად იჯდა და ბავშვური კეთილშობილებითა და გულმოდგინებით იცავდა მაწანწალას მზისგან. მაგრამ მის ნორჩ გულს დიდი გამოცდა ელოდა.

მოულოდნელად მაწანწალას ძილში წამოაბოდა:

— ო, ღმერთო ჩემო! რა ღრმაა! რა ღრმა!

გოგონა შეშინდა, ქოლგა კინაღამ ხელიდან გაუვარდა, მაგრამ შიშს მოერია და მაწანწალას მიჩრდილვა არ მიუტოვებია.

ცოტა ხნის შემდეგ მანანწალას კბილების კრაჭუნი დაეწყო; ისე ძლიერად აკრაჭუნებდა, გეგონებოდათ, სადაცაა დაემსხვრევაო. სხეული დაეჭიმა, სახე მოეღრიცა, ქუთუთოები აუთრთოლდა, ხელები მუშტად მოკუმა; ეტყობოდა, მძიმე, ტრაგიკულ სიზმარს ხედავდა და რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო. მერე განაგრძო ბოდვა:

— არა, არა! არავითარ შემთხვევაში! დამსმენი არ გახლავართ! უმალ იმას ეღირსებით, რომ ჩამომახრჩოთ ან ნაჭრებად ამკუწოთ, ვიდრე რამე მათქმევინოთ! ვერაფერს გამომძალავთ, მხოლოდ სისხლი შეგიძლიათ გამომწოვოთ! თქვენ ხომ სისხლის ზღვა გაქვთ დალეული ამ ჯურღმულში!

მანანწალამ შეწყვიტა ბოდვა; ერთხანს მშვიდად ეძინა. გოგონა, რომელმაც შიში დათრგუნა, განაგრძობდა ნებაყოფლობით ნაკისრ მზრუნველობას: ქოლგით იცავდა თაკარა მზის ქვეშ მძინარე მანანწალას, თავისი სხეული კი დაუცველი რჩებოდა. ყურადღებით აკვირდებოდა ამ საცოდავ, გატიალებულ არსებას და ფიქრობდა; იმ ახალი მოვლენის გაგებას ლამობდა, რაც მის წინ ხდებოდა. ყურძნით დატვირთული ოთხთვალები, მათში შებმული ცხენების ჩლიქების ბაკუნი, ბორბლების ჭრიალი, გამყოლთა შეძახილები მისთვის ნაცნობი იყო; ყოველივე ეს ადრეც ენახა და მოესმინა; მანანწალას მსგავსი კი — არასდროს. მისი ნაბოდვარი სიტყვები: "დასმენა", "ჩამოხრჩობა", "სისხლის დალევა" გოგონასთვის მთლად გაუგებარი იყო, მათ შინაარსზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

ადრეული შემოდგომა იდგა. კარგი ამინდი იყო, თუმცა მზეზე ცხელოდა. კალიფორნიის თვალუწვდენელი ველებიდან ტოროლას გალობა, ბარდებიდან კი მწყერის ქვითქვითი ისმოდა აი, თავს ზემოთ ჩაუფრინა ფუტკრის გუნდმა, სკისკენ რომ მიფრინავდა. ცის ლაჟვარდზე ღრუბლის ნაფლეთები მოძრაობდა, შორს დასავლეთით კი ცა იქუფრებოდა, რაც მოასწავებდა, რომ გაწვიმდებოდა.

მანანწალა საშიში დამნაშავე, ყოფილი კატორღელი 4379 — როს შენკლინი გახლდათ, ცნობილი თავისი უტეხი ხასიათით; კაცი, რომელსაც ციხეში მრავალგვარი ტანჯვაწამება გადაეტანა თანამზრახველთა გაუცემლობისათვის.

ტეხასში დაბადებული როს შენკლინი ამერიკის პირველ კოლონიზატორთა შთამომავალი იყო; ბავშვობიდანვე სიმტკიცითა და შეუპოვრობით გამოირჩეოდა. ჭაბუკობიდანვე ბედმა ზურგი აქცია: ჩვიდმეტი წლისა ცხენების ქურდობისთვის დააპატიმრეს, უსამართლო ბრალდება წაუყენეს, თითქოს ერთხელ კი არა, შვიდჯერ მოეპარა ცხენები. თოთხმეტი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ეს მეტისმეტად სასტიკი განაჩენი იყო, მითუმეტეს, ადრე ნასამართლევი არა ყოფილა. სასამართლოზე დამსწრეთა შორის ისიც კი, ვისაც მისი დანაშაულისა სჯეროდა, მიიჩნევდა, რომ ორი წლის პატიმრობაზე მეტს ჭაბუკი არ იმსახურებდა. მაგრამ საოლქო პროკურორს დანაშაულის წარდგენისას სულ სხვა ლოგიკა ამოძრავებდა: ყოველ დანაშაულზე გარკვეულ ჰონორარს ღებულობდა და თუ შენკლინს ცხენების შვიდგზის ქურდობაში დაადანაშაულებდა, შვიდჯერ მეტ ჰონორარს მიიღებდა. ამის გამო არად დაგიდევდათ, ახალგაზრდა კაცს თორმეტი წლით რომ უხანგრძლივებდა პატიმრობის ვადას.

როს შენკლინს საპატიმროში ჯოჯოხეთურ შრომას აიძულებდნენ. არაერთხელ გაიქცა, მაგრამ ყოველთვის იჭერდნენ და სხვა ციხეში ათავსებდნენ; ბევრი ციხე გამოიცვალა. გაქცეულს რომ მოაბრუნებდნენ, ბოძზე აბამდნენ და გრძნობის დაკარგვამდე ურტყამდნენ მათრახს; გონზე მოსულს ხელახლა ამათრახებდნენ და სამი თვით ჯურღმულში აგდებდნენ; ხშირად ისეთი არაადამიანური მეთოდით აწამებდნენ, რომ წამების შემდეგაც ყურში გამუდმებული ბზუილი ჩაესმოდა; საწამებლად რკინის ჟილეტიც კი ჩაუცმევიათ; ბევრჯერ მონადაც "გაუქირავებიათ". როცა გაწამები შენკლინი ციხიდან გარბოდა, საგანგებოდ გაწვრთნილ ძაღლებს უსევდნენ; მათგან თავის დაღწევისას ბევრჯერ ჩაფლულა ჭაობში; ორჯერ მძიმედ დაჭრეს. ბოლო ექვსი წელი ხე-ტყის დამამზადებელ სასჯელაღსრულების ბანაკში გაატარა, სადაც ზედამხედველი, მარილწყლით დასველებული განასკვული შოლტით ხელში, თავს ადგა და დღეში ერთნახევარი კორდი* ხის მოჭრას აიძულებდა.

ასეთმა მოპყრობამ შენკლინი არა თუ გააკეთილშობილა, არამედ უფრო მეტადაც გააბოროტა. ციხის ზედამხედველებს არ ეპუებოდა, გამომწვევად პასუხობდა, არ ეშინოდა გამათრახებისა, მძვინვარებდა. მას ბევრჯერ უნახავს, როგორ მიათრევდნენ პოლიციელები პატიმრებს, რომლებიც ისე იყვნენ ნაწამები, მთელი სიცოცხლე ხეიბრად დარჩენა ან ნორმალური მეტყველებისა და აზროვნების უნარის დაკარგვა ელოდათ. ზოგი წამებას თავის ჩამოხრჩობას არჩევდა და ჩამოხრჩობის წინ მამაზეციერს წყევლა-კრულვას უთვლიდა. შენკლინი მონაწილეობდა პატიმართა ყველა ჯანყსა თუ გაქცევის ცდაში: ერთხელ ათ სხვა პატიმართან ერთად გაქცევის მცდელობისას პოლიციამ მძიმედ დაჭრა; ხოლო როცა ბანაკში სამასი პატიმარი აჯანყდა, რომლებიც პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღით გაფანტა, ისიც მათ შორის იყო; მაშინ სიკვდილს გადარჩენილი პატიმრები, მათ შორის შენკლინი, პოლიციელებმა ხელკეტებით დაბეგვეს.

არაადამიანურმა სისასტიკემ, წამებამ, დამცირებამ ვერ გატეხა და ვერ დააჩოქა შენკლინი; პატიმრობის ბოლომდე მედგარ წინააღმდეგობას უწევდა პოლიციელებს. მაგრამ საპატიმროს არაადამიანურმა პირობებმა თვითონაც გააბოროტა და დააკარგვინა ყოველივე ადამიანური, შეაძულა შრომა, წესიერი ცხოვრება. როცა სასჯელის მოხდის ვადა ამოეწურა, გამოუშვეს და პატიმრობისას გაწეული არაადამიანური შრომის საზღაურად მხოლოდ ხუთი დოლარი გადაუხადეს. ციხიდან გამოსული შენკლინი ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში დაეხეტებოდა; ქურდობდა, ყაჩაღობდა, თაღლითობდა, მათხოვრობდა და, რა თქმა უნდა, ლოთობდა.

გოგონა აგრძელებდა მაწანწალაზე მეთვალყურეობას. აი, როგორც იქნა, გაილვიძა. მსგავსად ნადირისა, ვიდრე ამოძრავდებოდა, ყველა კუნთი დაეჭიმა; თვალი გაახილა. პირველი, რაც თვალში ეცა, იყო ქოლგა, რომელიც მზისაგან იცავდა. თვალი ჩააყოლა მის სახელურს და მზერა შეაჩერა პაწაწკინტელა, ნორჩ თითებზე, ქოლგა

*** დაჭრილი ხე-ტყის რაოდენობის საზომი ერთეული. ერთი კორდი 128 კუბური ფუტის ტოლია.**

რომ ეკავათ; მერე თვალი ააყოლა წვრილ, ნატიფ მკლავებს და დაინახა ბავშვის გულუბრყვილო, ულამაზესი სახე, ცნობისმოყვარეობით რომ აკვირდებოდა მას. მაწანწალამ სასტიკი, გამჭოლი მზერა მიაპყრო ბავშვს. გოგონა შიშისაგან აკანკალდა და თვალი აარიდა; მას ხომ არასდროს ენახა ასეთი ცივი, სასტიკი დასისხლიანებული თვალები, ადამიანური სითბოს ნატამალსაც რომ არ შეიცავდა; ვერც ნახავდა, რადგან ისინი ბოროტმოქმედად ქცეული ყოფილი პატიმრის თვალები იყო; თვალები ადამიანისა, რომელსაც ადამიანური საუბარიც კი გადავიწყებოდა.

— ჰელოუ, — მიესალმა ბავშვს უხეშად, ისე, რომ პოზა არ შეუცვლია, — რა თამაშს გაუტაცნიხარ?

შენკლინი შეეცადა ტონი, მისალმებისას ერთობ უხეში, შეერბილებინა, მაგრამ, ადამიანებთან ნორმალურ საუბარს გადაჩვეულმა, ვერ მოახერხა ეს და თავაზიანის ნაცვლად სასაცილოდ ხრინწიანი ხმა ამოუშვა.

— გაგიმარჯოს, — მიუგო გოგონამ, — მე არ ვთამაშობ. დავინახე, რომ სახეზე მზე გადგა, დედას ნათქვამი გამახსენდა, მზეზე ძილი საზიანოაო და...

ბავშვის მზრუნველობითა და სიკეთით აღსავსე სიტყვებმა ცრემლი მოჰგვარა მაწანწალას; მას ხომ აქამდე ადამიანთაგან მხოლოდ სასტიკი მოპყრობა ახსოვდა. ნუთუ ასეთი კეთილია ყველა ბავშვი? თუკი ასეა, რატომ აქამდე არ შეუმჩნევია? ბავშვთან საუბარი მოუნდა; წამოჯდა, დააპირა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბოლოს ისევ ბავშვი წამოეშველა:

— ო, რა ღრმად გეძინათ.

— მართლაც გვარიანად გამოვიძინე. — თქვა შენკლინმა, ისე, რომ გოგონასათვის თვალი არ მოუშორებია, — დიდხანს მიფარავდი მზისგან მაგ ქოლგით?

— ძალიან, ძალიან დიდხანს. — მიუგო გოგონამ ისეთი ტონით, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, — მეგონა, არასდროს გაიღვიძებდით.

— როგორც კი თვალი გავახილე, გავიფიქრე, თავს კეთილი ფერია მადგას-მეთქი. — უთხრა შენკლინმა და სიამაყე იგრძნო, რომ შეძლო ღირსეული ქათინაური ეძლვნა გოგონასათვის.

— მე ფერია არა ვარ, — გაიღიმა გოგონამ.

შენკლინი აღფრთოვანებით მისჩერებოდა ბავშვის ანგელოზის სადარ სახეს, მის ლარივით ჩამწკრივებულ თეთრ ქათქათა კბილებს.

— მე კეთილი სამარიელი ვარ მხოლოდ. — დაუმატა გოგონამ ცოტა ხნის შემდეგ.



მხატვარი ბერდია არაბული

— არაფერი მსმენია მაგ პიროვნების შესახებ.

შენკლინს უჭირდა გოგონასთან საუბარი; მოზრდილ ასაკში ის ხომ იშვიათად ხვდებოდა ბავშვებს.

— როგორ არ გსმენიათ! ამ კაცის ამბავი ხომ ბიბლიაშია მოთხრობილი: ერთხელ ეს კაცი იერიქონში გაემგზავრა და...

— მგონი, ნამყოფი ვარ იერიქონში. — შეაწყვეტინა შენკლინმა.

— ო, რა კარგია! მოგზაური ყოფილხართ. თუ ასეა, გემახსოვრებათ ის ადგილი, სადაც...

— რომელი ადგილი?

— სადაც მას ყაჩაღები დაესხნენ თავს, გაძარცვეს, საშინლად სცემეს, დაჭრეს და ცოცხალმკვდარი გზაზე მიატოვეს. მერე მასთან კეთილი სამარიელი მივიდა, გახეთქილ თავზე ზეთი და ღვინო აპკურა და ჭრილობა შეუხვია. მან ამისათვის საუკეთესო ზეთისხილის ზეთი გაიმეტა. როგორ ფიქრობთ, განა ასე არ იყო?

შენკლინმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— მგონი რაღაც გეშლება. ზეთისხილის ზეთით დაგოები* საჭმელს ამზადებენ. არასდროს მსმენია, ვისმეს იგი მალამოდ გამოეყენებინოს. — თქვა მან.

გოგონა დაფიქრდა; მერე შენკლინს განუცხადა:

— ზეთისხილის ზეთს ჩვენც ვიყენებთ საჭმლის დასამზადებლად. განა ჩვენ დაგოები ვართ?! ვინ არიან დაგოები? ეს მე ცუდი სიტყვა მგონია.

— თუმცა, მგონი მართალი უნდა იყო; — მიუგო შენკლინმა, — ახლა გამახსენდა ჩვენი მღვდლის სიტყვები, როცა ის სახარებას მასწავლიდა: "და სამარიელმა აპკურა მას თავზე ზეთისხილის ზეთი..." მე მთელი ჩემი ცხოვრება დავეძებდი სამარიელებს, მაგრამ ვერსად ვიპოვე; ეტყობა, გადაშენდნენ.

— მაშ მე კეთილი სამარიელი არა ვარ? — იწყინა გოგონამ.

შენკლინი შეჰყურებდა მას და, სილამაზით მოჯადოებული, თვალს ვერ აცილებდა. გოგონას სახეზე მზე ადგა და სხივი, რომელიც მის არაჩვეულებრივად თხელ, თითქმის გამჭვირვალე ყურს ეცემოდა, მსჭვალავდა მას და მეორე მხარეს გადიოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ყური, და არა მარტო ყური, სხეულის ყველა ნაწილი,

---

* ესპანელების, იტალიელების, პორტუგალიელთა და ლათინური ამერიკის მკვიდრთა დამამცირებელი სახელწოდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

არამატერიალური იყო. შენკლინი ტკბებოდა გოგონას ცისფერი თვალებისა და მზეზე აელვარებული ოქროსფერი თმის ფერთა კოლორიტით. მაგრამ განსაკუთრებით მისი უნაზესი მკლავები, არაჩვეულებრივად წვრილი წელი, უნატიფესი მხრები და ულონო, სუსტი თითები ხიბლავდა, რადგან ისინი მკვეთრ კონტრასტს ქმნიდნენ მის უხეშ ძალასთან; ძალასთან, რომელსაც ხელის ერთი დარტყმით შეეძლო წელში გადაეტეხა გოგონა, დაემსხვრია მისი მხრები, ხელის მოჭერით გაეჭყლიტა მისი თითები.

— მაშ მე კეთილი სამარიელი არა ვარ? — კვლავ უსაყვედურა გოგონამ.

შენკლინი მიხვდა, რომ გული ატკინა და შეეცადა გამოესწორებინა შეცდომა:

— რა თქმა უნდა, ხარ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სამარიელობა ზეთისხილის ზეთის გარეშე გამიწიე.

შენკლინს არ უნდოდა, მალე დასრულებულიყო მათი საუბარი.

— ერთი მითხარი, ჩემი არ გეშინია? — ჰკითხა გოგონას.

გოგონამ გულიანად გაიცინა.

— დედას ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, არაფრის არ უნდა გეშინოდესო. "თუ შენ კეთილი ხარ და გინდა, რომ სხვებიც კეთილნი იყვნენ, აუცილებლად კეთილი იქნებიანო", მეუბნება ხოლმე დედიკო.

შენკლინი ალაფრთოვანა გოგონას სიტყვებმა.

— როცა მზისაგან მიფარავდი, ფიქრობდი, რომ კეთილი კაცი ვარ?

— რა თქმა უნდა! მე ყველა ადამიანი კეთილი მგონია. ჭიებსა და მატლებს ვერ ვიტან მხოლოდ.

— მაგრამ ზოგი ადამიანი ხომ ჭიასა და მატლზე უარესია.

— დედა ასე არ ფიქრობს. ის ამბობს, ყველა ადამიანი ბუნებით კეთილიაო.

— როგორ, განა დედა ღამე კარს არ კეტავს?!

— არა, არ კეტავს. მას არავისი და არაფრის არ ეშინია. სწორედ ამიტომ სათამაშოდ მარტოს მიშვებს, როცა კი მოვისურვებ. ერთხელ ჩვენს სახლში ქურდი შემოიპარა; დედა წამოდგა და თავზე დაადგა. როგორ ფიქრობთ, ვინ იყო იგი? ღარიბი, მშიერი ადამიანი აღმოჩნდა. დედამ ის კაცი დააპურა, გაისტუმრა, მერე კი სამუშაო უშოვა.

შენკლინის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. გაუმართლებლად გრძელვადიანმა პატიმრობამ და ციხეში არაადამიანურმა მოპყრობამ იგი გამოუსწორებელ დამნაშავედ ჩამოაყალიბა; მისი ეშინოდათ, გაურბოდნენ; ბავშვები მისი დანახვისას შიშისაგან დედას ეკვროდნენ; მასთან შეხვედრას მოზრდილი ქალებიც კი თავს არიდებდნენ, ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდნენ. ეგონა, რომ დამნაშავენი, მათ შორის თვითონაც, საყოველთაო ზიზღის ატმოსფეროში ცხოვრობდნენ; საზოგადოებისგან განკვეთილნი იყვნენ. დღეს კი ამ პატარა გოგონამ დაანახა, რომ ეს ასე არ იყო: კეთილი ადამიანები მათ თანაუგრძნობდნენ, ებრალებოდათ.

ფიქრისაგან გოგონას ხმამაღალმა შეძახილმა და ტაშის შემოკვრამ გამოაფხიზლა:

— ააა, მივხვდი! სუფთა ჰაერის მოყვარული ყოფილხართ; სწორედ ამიტომ გეძინათ ბალახზე.

შენკლინს მწარედ გაეცინა.

— ალბათ ყველა მაწანწალა სუფთა ჰაერის მოყვარულია. — განაგრძო გოგონამ, — დედასაც უყვარს სუფთა ჰაერი, მეც მიყვარს; ორივე სუფთა ჰაერზე, აივანზე ვიძინებთ ხოლმე. ეს ჩვენი მიწაა; თქვენ ალბათ ღობეზე გადმოძვერით. დედიკო მეც მაძლევს ღობეზე გადაძრომის უფლებას, თუ შარვალს ჩავიცვამ. თქვენთვის კიდევ რაღაც მაქვს სათქმელი: ძილში ხვრინავდით და კბილებს აკრაჭუნებდით. ეს ცუდი ჩვევაა. ამას შეიძლება თანდათანობით გადაეჩვიოთ, თუ ყოველთვის დაძინების წინ თავს შთააგონებთ: "არ უნდა ვიხვრინო, არ უნდა დავაკრაჭუნო კბილები". ყოველი ცუდი, ისევე, როგორც ყოველივე კარგი შეიძლება ჩვევაში გადაიზარდოს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ცუდი ჩვევები მოვიცილოთ, კარგები კი დავიტოვოთ. ადრე ჩვეულებად მქონდა წარბების შეჭმუხნა. დედა მეუბნებოდა: "წარბების ჭმუხნას უნდა გადაეჩვიო, რადგან წარბებშეჭმუხნილ ადამიანს გონება დაბინდული აქვს, ხოლო ნათელი სახის ადამიანს გონებაც ნათელი აქვსო". მერე ხელის წასმით "მიუთოებდა" წარბებს. ასე, თანდათანობით გადავეჩვიე წარბების ჭმუხნას. ამბობენ, თვითშთაგონებით კბილის ტკივილიც კი შეიძლება მოვირჩინოთო, მაგრამ მე ეს არ მჯერა; არც დედიკოს სჯერა.

შეუსვენებელმა ტიტინმა გოგონა დაღალა, გაჩუმდა, სული მოითქვა. სდუმდა შენკლინიც, კაცი, რომელმაც ცხოვრების უდიდესი ნაწილი მტრობისა და სიძულვილის ატმოსფეროში გაატარა. უნდოდა რაღაც ეთქვა გოგონასათვის, მაგრამ ვერ ახერხებდა; გაავებული და გაბოროტებული ადამიანებთან კეთილგანწყობილ საუბარს გადაჩვეულიყო. ახლა თავისი ცხოვრების უბედნიერეს წუთებს განიცდიდა; მას შემდეგ, რაც კრიმინალურ სამყაროში გადაიჩეხა, პირველად ესაუბრებოდნენ, როგორც ადამიანს და ამას აკეთებდა კეთილი, ლამაზი გოგონა. ინვა ბალახზე, სიცხისაგან ყელი უშრებოდა, მაგრამ ამას ადვილად იტანდა და მოუთმენლად ელოდა, კიდევ რას ეტყოდა კეთილი ფერია. ბოლოს გამშრალი ტუჩები ენით დაისველა და ბავშვს ჰკითხა:

— გოგონავ, რა გქვია?

— ჯოანა.

— მე კი როს შენკლინი. — თქვა მაწანწალამ, რომელმაც გოგონას გამოხედვაში იგივე შეკითხვა ამოიკითხა.

მრავალი წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც შენკლინი თავის ვინაობას ამხელდა.

— ჩემი აზრით, თქვენ ბევრს მოგზაურობთ. — უთხრა გოგონამ.

— საკმაოდ, მაგრამ არც იმდენს, რამდენსაც ვისურვებდი.

— მამას სურს, ბევრს მოგზაურობდეს, მაგრამ არ სცალია, ძალიან დაკავებულია. დედა და მამა მხოლოდ ერთხელ იყვნენ ევროპაში. ეს იყო დიდი ხნის წინათ, მაშინ ჯერ დაბადებული არ ვიყავი. ამბობენ, მოგზაურობა საკმაოდ ძვირი ღირსო.

შენკლინმა არ იცოდა, დათანხმებოდა თუ არა მის განცხადებას, რომ მოგზაურობა ძვირია. მდგომარეობიდან ისევ გოგონამ გამოიყვანა:

— მაწანწალებს იაფი უჯდებათ მოგზაურობა. ამიტომ ხომ არ გადაწყვიტეთ მაწანწალად გახდომა?

შენკლინმა ტუჩები გაილოკა და გოგონას თავის დაქნევით დაუდასტურა ეს მოსაზრება.

— დედა ამბობს, ცუდია ადამიანებს ხეტიალი რომ უხდებათ სამუშაოს საძებნელადო. მაგრამ აქ, ჩვენთან, ველ-

ზე სამუშაოს პოვნა ძნელი სულაც არ არის; ფერმერებს არ ყოფნით მუშები. თქვენ მუშაობთ?

შენკლინმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. იგი ჩიხში მოქცეულიყო: გოგონასთან ამ თემაზე საუბრის გაგრძელება ნიშნავდა უმუშევრობის გამო წუხილს, რაც მის აზრს ეწინააღმდეგებოდა. მას ხომ მიაჩნდა, რომ ამ უსამართლო საზოგადოებაში უნდა გძულდეს ეს საზოგადოებაც და შრომაც. მაგრამ სწორედ ახლა, გოგონას სათნოებით მოხიბლული, მზად იყო შეეცვალა თავისი დამოკიდებულება შრომისადმი. იგი ფიქრობდა: ეს მშვენიერი არსება ხომ ოჯახში იზრდება, ჰყავს მამა, რომელიც თავისი შრომით ზრდის და აცხოვრებს მას. ო, როგორ მოუნდა, თვითონაც ყოფილიყო მამა და ასეთი გოგონა ჰყოლოდა:

— ნეტავი შენისთანა გოგონა მყავდეს, არაფერს მოვაკლებდი, თავდაუზოგავად ვიშრომებდი, ყველაზე მძიმე სამუშაოსაც კი შევეჭიდებოდი.

— ცოლი არა გყავთ?

— არა, მე არავინ გამომყვება!

— რატომაც არა, თუ...

გოგონამ შეხედა მის დაფლეთილსა და ჭუჭყიან ტანსაცმელს.

— განაგრძე, გოგონავ, ნუ გერიდება! არ მეწყინება. თუ კარგად ვიქნები დაბანილი, წვერგაპარსული და დავარცხნილი, თუ კარგად ვიქნები ჩაცმული, თუ ჩემს მიმართ პატივისცემით იქნებიან გამსჭვალულნი, თუ მუდმივი სამუშაო მექნება. ერთი სიტყვით თუ არ ვიქნები ის, რაც ვარ. ასეა, ხომ?

გოგონა თავის დაკვრით ეთანხმებოდა მის მიერ წარმოთქმულ ყოველ ფრაზას.

— მე კი არა ვარ ასეთი ადამიანი. — განაგრძობდა შენკლინი, — მაწანწალა ვარ, ჭუჭყში ვარ ჩაფლული, სამუშაო არ გამაჩნია და არც მინდა შრომა.

— მაგრამ ხომ მითხარით, რომ გინდათ, ჩემისთანა გოგონა გყავდეთ და, ამისათვის მზად ხართ იშრომოთ...

შენკლინმა არ იცოდა, რა ეპასუხა; ძალიანაც უნდოდა, მაგრამ ეს ხომ აუხდენელი ოცნება იყო. გოგონამ იგრძნო, უხერხული ვითარება რომ შეიქმნა და შეეცადა, საუბრის თემა შეეცვალა:

— რას ფიქრობთ ღმერთის შესახებ?

— არასდროს შევხვედრივარ მას. — მიუგო შენკლინმა.

მის პასუხში იგრძნობოდა ღვთისადმი გულისწყრომა, რაც გოგონას არ მოეწონა.

— უცნაური კაცი ყოფილხართ. პირველად ვხედავ ადამიანს, რომელსაც არ უნდა შრომა, ეგუება ჭუჭყს, ღმერთზე კი გამწყრალია.

— არაფერი მოუცია ჩემთვის ღმერთს, — თქვა შენკლინმა.

მის მეხსიერებაში ელვის სისწრაფით გაცოცხლდა ბანაკებსა და მაღაროებში არაადამიანური შრომის სურათები.

— არც შრომას მოუტანია ჩემთვის რაიმე სიკეთე. — დაუმატა მან.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

მშიერი და მზისგან მოთენთილი შენკლინი თვალს ვერ აცილებდა გოგონას. აქამდე არასოდეს არავისთვის შეუხედავს ასეთი თვალით. ეს იყო მზერა მამაშვილური სიყვარულისა; მზერა ოცნებისა, გამხდარიყო ასეთი გოგონას მამა. მაგრამ კარგად ესმოდა, რომ მისთვის, ნაძირალასა და ულირსისათვის, მიუწვდომელი იყო ამ ოცნების აღსრულება. ო, როგორ მოუნდა, გოგონასთვის ეამბორა, მაგრამ როგორ მიეკარებოდა, იგი ხომ სიმყრალისა და სიბინძურის განსახიერება იყო. გოგონა გვერდზე შებრუნდა, ღრუბლებს დაუწყო ყურება. შენკლინმა ათრთოლებული, ჭუჭყიანი ხელი მისი კაბის კალთას შეახო; მისთვის ესეც ამბორი იყო. ღვინის ქარხნიდან მუშების ყაყანი მოისმოდა, შორეული ბუჩქიდან — მწყრის ქვითქვითი. ეს ხმები ახლა უფრო მძლავრად ჩაესმოდა ყურთ და ფონად გასდევდა მარტოობის დამთრგუნველ გრძნობას.

— მე ნაძირალა ვარ, ულირსი... — აღუღლუღდა შენკლინი.

გოგონას ყურადღება არ მიუქცევია ამ ლუღლუღისათვის, წამით შეხედა მხოლოდ. უხერხული სიჩუმე გრძელდებოდა. შენკლინს ხელში ეკავა გოგონას კაბის კალთა. რას არ მისცემდა, ოღონდაც შეძლებოდა, ბაგეებითაც შეხებოდა ამ კალთას; დააპირა კიდეც, მაგრამ ვერ გაბედა. მერე უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა, აზრს ვერ აყალიბებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ალაპარაკდა:

— არ ვიცი, ეს ცხადია თუ სიზმარი. ადგილი, სადაც ახლა ვიმყოფები, კეთილი ფერიას სამფლობელოა, ფერია კი შენ ხარ, გოგონავ. შენთან საუბარს, ალბათ, ვერ მოვახერხებ, რადგან შენ, სიკეთის სამყაროს მფლობელს, მხოლოდ სიკეთეზე, მე კი ბოროტებისა და ცოდვილთა სამყაროს წარმომადგენელს, მხოლოდ ბოროტებაზე შემიძლია საუბარი.

გათამამებულმა იმით, რომ მოახერხა საკმაოდ გრძელი წინადადებით ჩამოეყალიბებინა აზრი, დაიწყო ფიქრი იმაზე, ამის შემდეგ რა ეთქვა.

— მაშ, თუ ასეა, მიამბეთ ბოროტებაზე, ადამიანთა მიერ ჩადენილ ცოდვებზე. — შესძახა გოგონამ და ტაში შემოჰკრა, — ეს ძალიან მაინტერესებს.

შენკლინმა შეხედა გოგონას, გაახსენდა ეპიზოდები თავისი ამორალობით აღსავსე ცხოვრებიდან: ქურდობა, ყაჩაღობა, ურთიერთობა გზასაცდენილ ქალებთან და სხვა ასეთები. მაგრამ რად აინტერესებს ეს? იქნებ სულაც არაა კეთილი ფერია და ჩვეულებრივი, ხორციელი ადამიანია? ეგებ საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა კარგ თუ ცუდ ადამიანად და ამიტომაც აინტერესებს ყოველივე ეს?

— ბოროტებაზე მხოლოდ ბოროტ ადამიანს შემიძლია ვესაუბრო; — თქვა მან სიცილით, — შენ კი, კეთილო ფერიავ, გამიძნელდება, მაგრამ შევეცდები გესაუბრო იმ კეთილსა და ადამიანურზე, რაც ოდესლაც იყო ჩემს ცხოვრებაში.

ბავშვობიდან მიყვარდა ცხენები. სიჭაბუკეშივე საკუთარ ცხენზე ამხედრებული დავდიოდი სოფლიდან სოფელში, ველად თუ სხვაგან. ცხენი სუფთა არსებაა, ბევრად სჯობს ადამიანს. პატარა ფერიავ, უნდა გითხრა, რომ ცხენი, რაგინდ დაღლილიც უნდა იყოს, წამსვე ემორჩილება მხედრის სურვილს და მიაქროლებს იქით, საითაც უბრძანებს. სიგიჟემდე მიყვარდა ცხენები და ამიტომაც კოვბოი გავხდი.

— კოვბოი? ტეხასელი კოვბოი? — შეჰყვირა გოგონამ და ტაში შემოჰკრა, — როგორ მინდოდა კოვბოის ნახვა! რამდენი რამ მსმენია მამისაგან კოვბოებზე. მან ისიც მითხრა, კოვბოებს მორკალული ფეხები აქვთო.

— დიახ, ტეხასელი კოვბოი ვიყავი. — განაგრძო შენკლინმა, — მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ. სწორია მამაშენი: მე მორკალული ფეხები მაქვს. შეუძლებელია ცხენზე დიდხანს ჯდომა, თუ მორკალული ფეხები არა გაქვს. სამი წლისა ვიყავი, პირველად რომ შემსვეს ახალგახედნილ სამი წლის ცხენზე. ცხენს მცირე მანძილზე, ღობის გასწვრივ დავატარებდი ხოლმე. ახლაც თვალწინ მიდგას: ხალებიანი, ყალყზე შედგომისას ალქაჯს მოგაგონებდათ, მაგრამ ესმოდა, ბავშვი რომ ვიყავი და ადვილად მემორჩილებოდა (ცხენები უფრო გონიერნი არიან, ვიდრე თქვენ გგონიათ). ამის შემდეგ ცხენს არ მოვშორებივარ და ფეხებიც თანდათან მოირკალა.

კიდევ ნახევარ საათს ესაუბრებოდა შენკლინი გოგონას ცხენებზე, თან ხელს არ უშვებდა მისი კაბის კალთას; ელოდა მარჯვე შემთხვევას, როცა კალთაზე ამბორი გოგონას ზიზღსა და გაღიზიანებას არ გამოიწვევდა.

— ჯონა, ჯონა, სადა ხარ, შვილო? — მოისმა ქალის ხმა.

გოგონამ უპასუხა.

აგარაკის ეზოს შესასვლელთან შენკლინმა თვალი მოჰკრა მჭიდროდ შემოტმასნილ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილ არაჩვეულებრივად ლამაზ ქალს. გოგონასაგან განსხვავებით, რომელშიც მხოლოდ სულიერ სილამაზეს ხედავდა, ამ ქალის ხორციელმა სილამაზემ მოხიბლა.

— რას აკეთებ სადილობის შემდეგ მთელი დღე? — ჰკითხა ქალმა გოგონას.

— ვსაუბრობ, დედიკო. — მიუგო გოგონამ, — ძალიან საინტერესო ამბები შევიტყვე.

შენკლინი მძიმედ წამოდგა ფეხზე. გოგონამ დედას ხელი ჩასჭიდა და ანიშნა, ყურადღება მიექცია შენკლინისათვის. ქალმა შეხედა მას და, მიუხედავად იმისა, რომ საზარელი შესახედავი იყო, შენკლინმა ამ შეხედვაში ვერ აღმოაჩინა ნიშანწყალიც კი შიშისა, ზიზღისა თუ ქედმაღლობისა. ქალი შეჰყურებდა მას თავაზიანი, კეთილი ღიმილით.

— გამარჯობათ. — მიესალმა შენკლინს.

— გაგიმარჯოთ, მადამ. — მიუგო შენკლინმა ხრინწიანი ხმით.

— ვიმედოვნებ, თქვენთვისაც საინტერესო იყო ჩემს გოგონასთან საუბარი. — თქვა ქალმა.

— რა თქმა უნდა! თქვენი გოგონა დიდად დავაინტერესე ცხენებზე საუბრით.

— დედიკო, ეს კაცი კოვბოი ყოფილა! — შესძახა გოგონამ.

დედა სიყვარულით შეჰყურებდა შვილს და ეღიმებოდა მის დაინტერესებაზე კოვბოებითა და ცხენებით. დედაშვილით აღფრთოვანებული შენკლინი კი ფიქრობდა, რა საშინელება იქნებოდა, ვისმეს რაიმე ვნება მოეტანა მათთვის; საფრთხე რომ შექმნოდათ, უყოყმანოდ გაწირავდა თავს მათ გადასარჩენად.

— ახლა კი დროა წავიდეთ, შვილო. უკვე საკმაოდ გვიანია. — უთხრა დედამ შვილს.

მერე შენკლინს მიუბრუნდა და ფრთხილად, ისე რომ მისი ღირსება არ შეელახა, შესთავაზა:

— გთხოვთ, წამობრძანდეთ ჩვენთან; დაღლილი იქნებით, გეშიებათ.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, მადამ, არ მშია. — იუარა შენკლინმა.

— ჯონა, მაშინ გამოემშვიდობე, შვილო!

ჯონას მრავალმნიშვნელოვნად აუელვარდა თვალები და ხელი გაუწოდა შენკლინს:

— მშვიდობით, ადამიანო ბოროტებისა და ცოდვილთა სამყაროდან.

შენკლინმა ხელი ჩამოართვა; ეს გოგონასთან შეხვედრით გამოწვეული ბედნიერების მწვერვალი იყო.

— მშვიდობით, პატარა ფერიავ. ახლა კი დროა წავიდე.

დედა-შვილი შინისაკენ გაეშურა, შენკლინი კი არ იძვროდა; იდგა და უხმოდ შეჰყურებდა შინ მიმავალ დედაშვილს, ვიდრე ისინი ეზოს ჭიშკარში გაუჩინარდებოდნენ.

დღე მიიწურა. ირგვლივ სიჩუმემ და სიცარიელემ დაისადგურა. შენკლინმა მიმოიხედა. მერე მივიდა ღობესთან, კეთილი ფერიას სამფლობელოს საზღვართან, გადაძვრა ღობეზე, გადაკვეთა ხიდი და მძიმე ნაბიჯით გზას გაუდგა; თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა; რაც თავს გადახდა, ზმანება ეგონა და ჯერაც ვერ გამოფხიზლებულიყო; დაბნეული და გონებადაბინდული, ფეხს ადგამდა ყველგან, სადაც მოხვდებოდა, მტვერსა და ნაგავშიც კი.

ერთი მილი რომ გაიარა, გამოფხიზლდა. ახლაღა იგრძნო, რომ საშინლად სწყუროდა და შიოდა. გზაჯვარედინთან შეჩერდა. იქვე ახლოს ბარი შენიშნა. მივიდა ბართან. ხელი ჯიბეში ჩაიყო და... ათცენტიან მონეტას მოუთათუნა თითები. ენით გამშრალი ტუჩები გაილოკა; ეს ფული არა კმაროდა დასანაყრებლად და, მშიერ-მწყურვალმა და მოქანცულმა, გზა განაგრძო.

— ღმერთო, ღმერთო. — ლუღლუღებდა შენკლინი, კაცი, რომელსაც ბავშვობის შემდეგ არასოდეს უხსენებია ღმერთის სახელი.

ცოტა ხნის შემდეგ ფერმას მიადგა. დამხმარე სათავსოების სიდიდე და რაოდენობა მეტყველებდა, რომ ფერმა დიდი უნდა ყოფილიყო. პარმაღთან მკლავებდაკაპიწებული შუახნის ფერმერი იდგა; სიგარას ეწეოდა.

— სამუშაო ხომ არ გექნებათ? — ჰკითხა შენკლინმა ფერმერს. ფერმერმა გამჭოლი მზერა მიაპყრო მას და მიუგო:

— მაქვს სამუშაო; ყოველდღიურად ერთი დოლარის ანაზღაურება და უფასო კვება გექნებათ.

— შეგიძლიათ დამავალოთ ყურძნის კრეფა ან ამის მსგავსი სხვა სამუშაო. შემიძლია ხვნა, თესვა, თიბვა. ყველაზე მეტად კი ცხენების მოვლა, გახედვნა, ჯოგის მწყემსვა მეხერხება; ადრე დიდ რანჩოს ვემსახურებოდი, კოვბოი ვიყავი; ისეთ ადგილას დავიბადე და გავიზარდე, სადაც ბავშვობიდანვე ეუფლებიან ასეთ საქმეებს.

ფერმერმა გამომცდელის თვალით შეხედა შენკლინს.

— რაღაც არ ჰგავხარ ასეთ კაცს. — თქვა მან ბოლოს.

— ვიცი, რომ არ ვგავარ; მაგრამ თუ მომცემ შანსს, დაგიმტკიცებ.

— ამჟამად მცირერიცხოვანი ჯოგი მყავს, მაგრამ მოგცემ შანსს, გაზარდო მათი სულადობა. ახლა კი შედი იმ ოთახში და მუშებთან ერთად ივახშმე!

მთელი ეს ხანი როს შენკლინი ცდილობდა, არ დასტყობოდა სიძაბუნე და ომახიანად ესაუბრა ფერმერთან.

— ძალიან კარგი, გავამართლებ თქვენს ნდობას! მითხარით, სად შეიძლება, დავიბანო და წყალი დავლიო?

**ინგლისურიდან თარგმნა**
**ზურაბ ცერცვაძემ**

# რამონ ივანოვიჩ ლოპესი

შეკითხვა: „როგორ მოხდა, რომ თავდასხმა ესოდენ არაპროფესიონალურად იყო მოწყობილი?..“ პასუხი: „რა გასაკვირია, მანამდე ხომ არავინ მომიკლავს!..“ შეკითხვა: „როგორ იქცეოდა ტროცკი?..“ პასუხი: „ტროცკიმ ძალიან გამაოცა. ველოდი, რომ თავზარი დაეცემოდა, შიშისგან გული გაუსკდებოდა. ის კი გააფთრებით დამეტაკა, მწყევლიდა, თავში სასიკვდილოდ იყო დაჭრილი და მაინც შემებრძოლა...“

აი, ასეთი დიალოგი გამართულა რამონ მერკადერსა და ლუის მერკადერს შორის — დაახლ. ნახევარი საუკუნის წინათ მოსკოვში.

რამონ მერკადერი ნამდვილი სახელი და გვარია იმ კაცისა, რომელმაც მექსიკაში, 1940 წლის 20 აგვისტოს, სიცოცხლეს გამოასალმა სამშობლოდან გაძევებული ლევ ტროცკი (ლეიბა ბრონშტეინი) — მთავარი ორგანიზატორი ოქტომბრის რევოლუციისა.

ლუისი კი რამონის უმცროსი ძმა გახლავთ. იგი მონაწილეობდა ესპანეთის ტელევიზიის სპეციალურ გადაცემაში, რომელსაც ერქვა: „რამონ მერკადერი — დანაშაული და სასჯელი“.

იმავდროულად ლუის მერკადერმა დაწერა და მადრიდში გამოაქვეყნა წიგნი, სადაც მოგვითხრობს ე.წ. „საუკუნის მკვლელობის“ ამბავს და ამდიდრებს მას ახალი ფაქტოლოგიური მასალით: ესაა რამონის კერძო წერილები, უმცროსი ძმის საუბრები მასთან და სხვ.

„ამ წიგნს ვწერ იმისათვის, რათა ობიექტურად მოგითხროთ ჩემი ძმის რამონის შესახებ და ამგვარად გავაბათილო მისი სახელის ირგვლივ დახვავებული სიცრუე“, — ასე იწყებს ლუის მერკადერი თავის ოჯახურ ქრონიკას.

დაბადებულან კატალონიაში, შეძლებული ფაბრიკანტის ოჯახში, რომელიც ჩინებული რეპუტაციით სარგებლობდა. მაგრამ დედამ, როგორც ამტკიცებს ლუისი, დაანგრია ოჯახი და ცხოვრება დაუსახიჩრა შვილებს.

რამონმა სიჭაბუკეშივე გაიზიარა დედის მემარცხენე იდეები, ჩაება არალეგალური ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციის საქმიანობაში და მალე პოლიციის თვალსაწიერში მოხვდა. სწორედ იმ დროიდან დარჩა პოლიციას მისი თითების ანაბეჭდი, რამაც შემდგომში შესაძლებელი გახადა ტროცკის მკვლელის ნამდვილი ვინაობის დადგენა.

ლუის მერკადერი აღნიშნავს: „მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ყველას, ვინც ჩემს გარშემო ტრიალებდა ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, მთელი სულითა და გულით სძულდა ტროცკი და ტროცკიზმი. ამგვარი განწყობილების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ანარქისტებისა და ტროცკისტების ამბოხება რესპუბლიკის წინააღმდეგ ბარსელონაში, 1937 წლის მაისში. მაშინ მეც იქ ვიყავი და კარგად ვიცი ყველაფერი, რაც მოხდა. ეს იყო საშინელება — ამბოხება ჩვენს ზურგში, რომლის შედეგადაც დაიღუპა ხუთასი კაცი და დაიჭრა ხუთი ათასი. ამის პატიება არ შეიძლება! ასე დაიბადა ჩვენი სიძულვილი ტროცკიზმის მიმართ და ამიტომაც იგი, ვინაც 1940 წელს მოკლა ტროცკი, მტარვალად არავის ეჩვენებოდა“.

რამონ მერკადერი ესპანეთიდან ჩაუყვანიათ პარიზში და საბჭოთა საელჩოში გაუვლია ინსტრუქტაჟი. იქ სამუდამოდ დაემშვიდობა თავის სახელსა და გვარს. ჯერ დაარქვეს ბელგიელი ჟურნალისტი ჟაკ მოლნარი, მერე კი — კანადელი ბიზნესმენი ფრენკ ჯეკსონი. 1939 წლის შემოდგომაზე ჩავიდა მეხიკოში, დაბინავდა საუკეთესო სასტუმროში და თავისი სატრფოს, ჯერ კიდევ პარიზში გამოჭერილი ტროცკისტი ქალის, სილვია აგელოფის მეშვეობით შეძლო შეღწევა ტროცკის ადგილსამყოფელში.

ლუის მერკადერი გვარწმუნებს, რომ რამონი მკვლელობის ჩასადენად როდი გაუგზავნიათ მექსიკაში. მას მხოლოდ ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა ცენტრისათვის.

ცნობილი ტროცკისტი ისააკ დოიჩერი, ავტორი სამტომიანი თხზულებისა ტროცკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, კვერს უკრავს ლუის მერკადერს და გვაუწყებს, რომ ჯეკსონს ევალებოდა ტროცკის სახლისა და დაცვის დაზვერვა, მისი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების შესწავლა, ხოლო შეიარაღებული თავდასხმის ხელმძღვანელად შეარჩიეს სახელგანთქმული მექსიკელი მხატვარი, კომპარტიის წევრი დავიდ სიკეიროსი, ესპანეთის სამოქალაქო ომში რესპუბლიკელთა ბრიგადას რომ მეთაურობდა და სხვებსავით სძულდა ტროცკი.

ლუის მერკადერის სიტყვით, ბრძანება ტროცკის მკვლელობის თაობაზე მიიღო სიკეიროსმა, მაგრამ ბრიყვულად მოიქცაო. საამისოდ იმოწმებს რამონის ნაამბობს:

„ეს ქაჯი, მკვლელების ხროვასთან ერთად, შეიჭრა ტროცკის სახლში და, როგორც ნაღდმა მექსიკელმა დეტექტიურ ფილმში, ბათქაბუთქი ატეხა მარჯვნივ და მარცხნივ. მერე მოკურცხლა და არც კი შეუმოწმებია, მოკლეს თუ არა ვინმე. იყო ასობით გასროლა, საშინელი ხმაური და ერთი კაციც არ დაუჭრიათ. კოტოვი (ოპერაცია „ტროცკის“ ხელმძღვანელი) სასოწარკვეთამ შეიპყრო. მან მოლაპარაკება გაუმართა ერთ ამერიკელ მფრინავს იმის შესახებ, რომ მას დაებომბა ტროცკის საცხოვრებელი, მაგრამ ეს საქმე ძალზე ძვირი, რთული და სარისკო აღმოჩნდა“.

ლუის მერკადერი, თავის მხრივ, დასძენს: „კოტოვი და რამონი ახლო მეგობრები იყვნენ. რამონმა იცოდა, რომ თუკი კოტოვი ვერ შეასრულებდა ბრძანებას, საბჭოთა კავშირში სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა“.

მაშინ რამონს უთქვამს მისთვის: „ნუ სწუხარ, ამ საქმეს მე მოვაგვარებ“.

მოუგვარებია კიდეც!

მაგრამ... „მე ხომ მანამდე არასოდეს არავინ მომიკლავს და საერთოდ არ ვიცოდი, როგორ ხდება მკვლელობა. როდესაც წერაყინი ჩავარტყი თავში, ტროცკი დასაკლავი ღორივით აჭყვიტინდა, მე კი მისი მცველები დამაცხრნენ და ხელ-ფეხის განძრევაც აღარ შემეძლო“.

ტროცკის მკვლელმა ზუსტად ოცი წელიწადი გაატარა ციხეში და საიდუმლოდ შეინახა ყველაფერი: თავისი მრწამსი და შეხედულებანი, თავისი ნამდვილი ვინაობა და, რაც მთავარია, იმათი ვინაობა, ვისი ნება-სურვილიც შეასრულა მეხიკოში, 1940 წლის 20 აგვისტოს. გამომძიებლები, მოსამართლენი, ექიმები და ფსიქოანალიტიკოსები ამაოდ ლამობდნენ რამონ მერკადერის გამოტეხას. ვერაფერიც ვერ ათქმევინეს.

1960 წელს დაასრულა თავისი პატიმრობის ვადა. ფრანკოს ესპანეთში როგორ დაბრუნდებოდა! ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებამ უბოძა პოლიტიკური თავშესაფარი და მოქალაქეობა, მაგრამ რამონ მერკადერმა მოსკოვში ცხოვრება ამჯობინა. ჩააბარეს დოკუმენტები რამონ ივანოვიჩ ლოპესის სახელზე და გადასცეს ჯილდოც — საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი.

გარდაიცვალა 1978 წელს. დაკრძალულია მოსკოვში, კუნცევოს სასაფლაოზე. მის სამარეს ამშვენებს ვარდისფერი გრანიტის ობელისკი ასეთი წარწერით: „რამონ ლოპესი. საბჭოთა კავშირის გმირი“.

ლუის მერკადერი აღშფოთებას გამოთქვამს: საკუთარი სახელი სიცოცხლეში ხომ წაართვეს და აღარც მარადისობაში გაატანესო.

ხ40/40



# იდუმალი ხვაშიადი

რაოდენ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა დასავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVI საუკუნის დამდეგს წარმოქმნილსა და მოკლე ხანში შესამჩნევად აღზევებულ სეფიანთა ირანს, ამას დამაჯერებლად ამტკიცებს რომის პაპის შეშფოთება და წუხილი — 1514 წელს სეფიანთა ირანის ხელმწიფის შაჰ-ისმაილის დამარცხების გამო ოსმალთაგან ჩალდირანის ბრძოლაში, რასაც მიიჩნევდა დიდ უბედურებად, თავს რომ დაატყდა ქრისტიანულ სამყაროს.

განა პარადოქსი არაა, რომ სუნიტმა ოსმალებმა მარცხი აგემეს შიიტ ყიზილბაშებს და კათოლიკური ევროპის სულიერ მესაჭეს ძილი გაუტყდა?!

საქმე ის გახლავთ, რომ იმედი აღმოსავლელი მოკავშირის შემწეობისა მაჰმადიანურ სამყაროსთან ბრძოლაში ადრიდანვე ასაზრდოებდა და ამხნევებდა დასავლეთის საომარ სულისკვეთებას. უცნაურად ერწყმოდა ერთიმეორეს ოცნება მითიურ პრესვიტერ იოანეს უზარმაზარი ლაშქრის მოახლოებაზე სირია-პალესტინაში დამკვიდრებულ ევროპელ ჯვაროსანთა შესაწევნად და იმავე ჯვაროსანთა რეალური კონტაქტები მაჰმადიანური ქვეყნების შემმუსვრელ მონღოლებთან.

ეს იყო XIII საუკუნეში და აი, სამი საუკუნის შემდეგ გაჩნდა ქრისტიანულ სახელმწიფოთა ახალი, პოტენციური მოკავშირე სეფიანთა ირანის სახით.

დასავლეთი ლამობდა მტკიცე კავშირის შეკვრას ოსმალეთის იმპერიის მოსისხლე მტერთან, რომელიც ასეთივე მონდომებით ცდილობდა დასავლეთის ქვეყნების ჩაბმას ძლევამოსილ ოსმალეთთან ომში.

თავად ოსმალეთის იმპერია, XVI საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, რთული არჩევანის წინაშე იდგა: ან აღმოსავლეთში უნდა ეომა ანდა დასავლეთში. ოსმალეთს უკვე აღარ ძალუძდა ომის წარმოება ორ ფრონტზე. ასე რომ, ირანთან ზავი მწვანე შუქს უნთებდა ოსმალეთის აგრესიას დასავლეთში და, პირუკუ, ევროპულ სახელმწიფოებთან ზავი ხელებს უხსნიდა ოსმალეთს, რათა ენერგიულად შეეტია ყიზილბაშებისათვის.

რომ განვსაზღვროთ, თუ რა ადგილი ეჭირა სეფიანთა ირანს ოსმალეთის იმპერიის მოწინააღმდეგე ქვეყნების თვალსაწიერში, საამისოდ არაერთი საყურადღებო ფაქტიდან საკმარისი იქნებოდა თუნდაც ერთი მათგანის დამოწმება. ერთი თურქული წყაროს მიხედვით, გერმანიის იმპერატორთან მოლაპარაკებისას რომის პაპის ელჩი კარდინალი პაოლო, რომელიც ცდილობდა ერთიანი ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბებას, აღნიშნავდა: „უფალს ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ მრისხანე მეტოქე რომ არ გამოეგზავნა შაჰ-თამაზის სახით, ევროპა და ქრისტიანობა დიდი ხანია დაღუპული იქნებოდა".

ვენეციელი დიპლომატი ბერნარდო ნავაგერო ირწმუნებოდა: სეფიანთა ირანის შაჰს ცოტაღა აკლია, რომ ქვეშევრდომებმა გააღმერთონო. ოსმალეთის სულთანს ძალზე ეშინია მისი და არასოდეს არა ჰყოლია უფრო დიდი მტერი, ვიდრე ირანის შაჰიო.

ასევე ვენეციელი დომენიკო ტრევიზანი ამტკიცებდა, რომ ირანის შაჰი ერთადერთი დაბრკოლება იყო „დიდი ბატონისათვის" (ასე ეძახდნენ ოსმალეთის სულთანს ევროპაში) მთელს აზიაში გასაბატონებლად.

ანტონიო ერიცოს სიტყვით, „დიდი ბატონის" მტრობა ირანის შაჰის მიმართ ისეთი იყო, რომ მისი განადგურება უფრო მეტად ეწადა, ვიდრე რომელიმე ქრისტიანი ხელმწიფისა.

სეფიანთა ირანსა და ოსმალეთის იმპერიას შორის დადებულმა ამასიის ზავმა (1555 წ.) დიდი შეშფოთება გამოიწვია ევროპაში. ოსმალეთმა, ამ ზავის წყალობით, უსაფრთხოება მოიპოვა ზურგიდან (ე.ი. სეფიანთა ირანისგან) და ამიერიდან დაუბრკოლებლად შეეძლო, რომ მთელი თავისი სამხედრო ძალები გადაესროლა ევროპისაკენ.

სეფიანთა ირანში, ცხადია, მშვენივრად ესმოდათ ევროპელთა ხვაშიადი, რასაც თვალნათლივ მოწმობს სეფიანთა დინასტიის ყველაზე სახელმოხვეჭილი ხელმწიფის შაჰ-აბასის სიტყვები: ქრისტიანებს სწადიათ, რომ ოსმალებმა და სპარსელებმა ერთმანეთს ცხვირ-პირი დაუმტვრიონ, თვითონ კი მაშინღა გამოჩნდნენ, როდესაც სულთანს ყელში თოკს წავუჭერ, რათა ჩემს გამარჯვებაში წილი დაიდონო.

ისტორიული პარალელების გავლებაც შეიძლება, თუკი თვალს გადავავლებთ მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებს. გავიხსენოთ აშშ ვიცე-პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის სანუკვარი ოცნება (აუხდა!) ორი ურჩხულის ურთიერთშემუსვრის თაობაზე...

---

## ქრონიკა

12 ოქტომბერს **ევროპის სახლში** გამომცემლობა **„ინტელექტისა"** და **საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის** თაოსნობით 1964 წლის ნობელიანტი მწერლის **ჟან-პოლ სარტრის** „სიტყვების" ქართული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მწერალმა ნობელის პრემიის მიღებაზე უარი განაცხადა.

წიგნის ხმაურიანი ისტორია გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. იგი საქართველოში პირველად 50000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა. ამავე პერიოდში, 1975 წელს სარტრი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოდის, რის გამოც მთლიანი ტირაჟი ნადგურდება. სტამბის თანამშრომელმა გადაარჩინა მხოლოდ ორი ეგზემპლარი, რომლებიც მთარგმნელებს – **გასტონ ბუაჩიძესა და კოტე ჯავრიშვილს** გადასცა. გადარჩენილი წიგნების ასლების და შემონახული ეგზემპლარის მეშვეობით წიგნი ხელმეორედ ახლა დაიბეჭდა.

წიგნზე ისაუბრეს საგამომცემლო პროექტის – „ნობელის პრემიის ლაურეატები" – ავტორმა **კახმეგ კუდავამ**, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის თანამშრომლობისა და კულტურული ღონისძიებების უფროსმა **ჟილ კარასომ** და **დავით აბაშიძემ (გრიგოლ აბაშიძის** ვაჟი).

**ჟილ კარასომ** გამომცემლობას „სიტყვების" გამოცემისთვის მადლობა გადაუხადა და დასძინა, რომ ჟან-პოლ სარტრი დიდი მწერალი, ფილოსოფოსი და დრამატურგია, ხოლო მისი შემოქმედება და მოღვაწეობა მრავალწახნაგოვანი. მისი განცხადებით, იგი პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანი იყო, რომლის შეხედულებათა შესახებ დავა დღესაც მიმდინარეობს.

„სიტყვების" თარგმანი 1965 წლის ჟურნალ „მნათობში" მეექვსე და მეშვიდე ნომრებში გამოქვეყნდა. ცხრა წლის შემდეგ, „სიტყვების" ქართული ტექსტის აკრეფის დღეს (1974 წლის 13 თებერვალს), **ალექსანდრე სოლჟენიცინს** საბჭოთა მოქალაქეობა ჩამოერთვა. სამშობლოდან განდევნილი, დასავლეთში ჩადის. დევნილ მწერალს მხარს უჭერენ მსოფლიო ინტელექტუალები და მათ შორის ჟან-პოლ სარტრი, ხოლო საქართველოში გამომცემლობა „მერანში" მწერლის ქართულ ენაზე ნათარგმნი წიგნი — „სიტყვები" ტირაჟით 50000 მომენტალურად ნადგურდება, გარდა ორი ეგზემპლარისა", — განაცხადა გასტონ ბუაჩიძემ.

დაბოლოს, წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ მისტიკურობას კახმეგ კუდავას ნათქვამიც ადასტურებს — „წიგნის 37-წლიანი გზა საინტერესოა დღევანდელ დღემდე, ვფიქრობ, რომ მის გამოსვლას და არსებობას რაღაც უხილავი მისტიკურობა თან სდევს: როდესაც ბატონ გასტონ ბუაჩიძის საფრანგეთიდან ჩამოსვლა შევიტყე, მინდოდა დაბეჭდილი ეგზემპლარების გადაცემა. პირველივე ეგზემპლარი, რომელიც ჩვენთან მოვიდა, მოტრიალებული გვერდით იყო დაბეჭდილი".

# მდგრადი და ეფექტური დემოკრატიისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორ სტივენ ჯონსის მიერ, საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიაზე წარმოთქმული სამადლობელი სიტყვა.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 წლის 29 ივნისი.

1978 წლის სექტემბერში, როგორც ახალგაზრდა PhD სტუდენტმა, პირველად შემოვდგი ფეხი ამ დიდებულ დაწესებულებაში, სადაც ერთი წელი ვსწავლობდი ჩემი ქართული ენის პედაგოგის, ლეილა გეგუჩაძის ინტენსიური ზედამხედველობითა და კანკალით, მუდამ, როცა ქართულად ლაპარაკს მაიძულებდა. ამ უნივერსიტეტში საუკეთესო საზოგადოებას შევხვდი და შევიძინე მეგობრები, რომლებიც ჩემი ცხოვრების მეგზურები არიან. ბევრი ამჟამად აქ იმყოფება. მაგრამ ეს სულ სხვა დრო იყო. განკვეთის შიშის გარეშე მიჭირს თქმა, რომ ჩემი კვლევის სფეროს საქართველოს პირველი რესპუბლიკა წარმოადგენდა. ჩემ პირად საიდუმლოზე ისეთივე დილემა აირეკლება, როგორიც ნებისმიერ დიქტატურაზე. განათლებას სახელმწიფოს აშენებაც ძალუძს და დანგრევაც. დიქტატურას მუდამ ეშინოდა უნივერსიტეტების და ხუთი თვით ადრე, ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდი, ამ უნივერსიტეტის სტუდენტები დემონსტრაციებს აწყობდნენ, რათა საბჭოთა ხელისუფლებისთვის ეჩვენებინათ, რატომ უნდა დაიცვა საკუთარი ენა.

პარადოქსია, რომ მე, 1978-79 წლებში თსუ სტუდენტს, შემეძლო წამეკითხა ძირგამომთხრელი ნაწერები ჩემთვის მეორე ძვირფას დაწესებულებაში, ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკაში. ერთ-ერთი მწერალი მეამბოხე სულით გამოირჩეოდა. ეს ილია ჭავჭავაძე გახლდათ. ჭავჭავაძე მიხვდა, რომ განათლება საქართველოს თავისუფლების წყაროა, ამ სიტყვის ფართო გაგებით. თავის ესეიში „ისევ განათლების საკითხებზე" ჭავჭავაძე წერს, რომ განათლება კაცთმოყვარეობის, კარგი ცხოვრების, მატერიალური კეთილდღეობისა და ხსნის უშრეტი წყაროა. 1889 წელს, აღნიშნული ესეით ჭავჭავაძეს სურდა დაერწმუნებინა ქართველობა, რომ განათლება პიროვნული, ეროვნული და კაცობრიული თავისუფლების წყაროა. მართალია, ამ გზავნილის მნიშვნელობა არ შეცვლილა, მაგრამ მის განხორციელებას დაემუქრა საშიშროება.

დიდ ბრიტანეთში იმ რწმენით აღვიზარდე, რომ ყველას აქვს შესაბამისი განათლების მიღების, სტუდენტობის კანონიერი უფლება. ეს არის საზოგადოების, სოციუმის, ხალხის მონაპოვარი.

ჩემს ახალ ქვეყანაში, აშშ-ში ამჟერად სულ სხვა ვითარებაა. განათლებამ დაკარგა ადამიანის თავისუფლებისა და უფრო მეტი სამართლიანობის მიღწევის ფუნქცია. უფრო სწორად, განათლება იქცა კონფორმიზმისა და ხანგრძლივი უსამართლობის წყაროდ. აშშ-ს უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯებში ჩვენი სტუდენტების 70% მაგ. უფრო მაღალი შემოსავლების მქონე ჯგუფებს განეკუთვნებიან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ქმნის სამართლიანობისა და ადამიანური რესურსების დაკარგვის საშიშროებას. მთავარია ის, რომ დემოკრატიის ხარისხი და ძალა მცირდება.

მე იდეალისტი ვარ, მაგრამ არა სულელი. მე ვიცი საქართველოს პრობლემები. ეს ღარიბი ქვეყანაა, ადამიანებს სამუშაო სჭირდებათ, საქართველოს მწირი შემოსავლები აქვს. ამიტომ ილია ჭავჭავაძე მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ განათლება კეთილდღეობის განმტკიცებისა და სოციალური აქტივობის საფუძველია. მაგრამ ორივე განათლებაა – ზერელე და ღრმაც. ზერელე განათლება მთავრობებისთვის სახელმწიფოს ეფექტური მართვის მექანიზმია, მაღალი წარმადობისა და კონკურენტუნარიანობის განმტკიცების საშუალება.



სტივენ ჯონსი

ღრმა განათლება, პირიქით, ხელს უწყობს, როგორც თქვენ უწოდებთ, სულის აღზრდას, რაც მოქალაქეობრიობის ხარისხს აუმჯობესებს, მაგ. იმას, რაც ინფორმირებული სკეპტიციზმი, პოლიტიკაში მონაწილეობა და განსხვავებული შეხედულებებისადმი შემწყნარებლობაა – ეფექტური და მდგრადი დემოკრატიის საფუძველს.

ვშიშობ, რომ 2003 წლიდან დაწყებული აღმავლობის მიუხედავად, განათლება საქართველოში, განსაკუთრებით უნივერსიტეტებში, მეტწილად დასავლურ თარგზეა მოჭრილი. მთავარია, ვასწავლოთ ჩვენ შვილებს, როგორ გახდნენ ეფექტური მენეჯერები და გამოიყენონ კომპიუტერი, თუმცა არ ვასწავლით, როგორ იქცნენ კარგ მოქალაქეებად ანდა კარგ მმართველებად. ამისთვის ჩვენ გვჭირდება განათლება, რომელიც ითვალისწინებს ტოლსტოის, ისევე როგორც მილტონ ფრიდმანს.

ეს არ არის 1970 წლის იდეალისტის განცხადება. სრულებითაც არა. ეს დაუცხრომელი პრაგმატისტის არგუმენტია, ვისაც საქართველოსთვის – დამოუკიდებლობის ოცი წლისთავზე – სურს კარგი მართვა, სამოქალაქო დემოკრატია, ძლიერი პოლიტიკური ერთობა და ჭეშმარიტი კეთილდღეობა. ამიტომაც დავყავი ამდენი ხანი აქ, ამ დიდებულ დაწესებულებაში ჩემ კოლეგებთან ერთად.

უნივერსიტეტების პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა ჯანსაღი დემოკრატიის გულისგულშია დავანებული.

ინგლისურიდან თარგმნა

**ქეთევან ტომარაძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლუკა ბესელია

კომპოზიცია

ISSN 1987-77